გიორგი გოცირიძე

პირველი მსოფლიო ომი
და
საქართველო

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

მონოგრაფიაში "პირველი მსოფლიო ომი და საქართველო" განხილულია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი. დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიის სახით არ გამოკვლეულა პირველი მსოფლიო ომისადმი საქართველოს დამოკიდებულების საკითხი. როგორც ცნობილია, მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა ისტორიული პროცესების განვითარებაზე, შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუქა და სათავე დაუდო ახალი სახელმწიფოების ისტორიებს, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ისტორიასაც. ნაშრომში გამოკვეთილია პირველ მსოფლიო ომში განვითარებული ისტორიული მოვლენების როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში. ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა ომამდე და ომის წლებში, საქართველოს საკითხი ომში მონაწილე ქვეყნების გეგმებში, ქართველი ხალხის ომისადმი დამოკიდებულება და სხვა.

მონოგრაფია განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე საზოგადოების ფართო წრეებისათვის.

რედაქტორი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ოთარ ყორდანია

რეცენზენტები – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ალექსანდრე ბენდიანიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ნიკო ჯავახიშვილი

© გ. გოცირიძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-706-9

საკითხის ისტორიისათვის

პირველი მსოფლიო ომი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. იგი მიმდინარეობდა 4 წელი, 3 თვე და 10 დღე (1914 წლის 1 აგვისტოდან 1918 წლის 11 ნოემბრამდე). მან მოიცვა 38 სახელმწიფო, სადაც ცხოვრობდა 1,5 მილიარდი ადამიანი, ანუ დედამიწის მოსახლეობის სამი მეოთხედი. მობილიზებულ იქნა 73,5 მილიონი კაცი, დაიღუპა 10 მილიონი და დაიჭრა 20 მილიონი. ასეთია მისი მოკლე, მშრალი სტატისტიკა. ომმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ისტორიის შემდგომი განვითარების პროცესზე.

ამიტომაც პირველი მსოფლიო ომის ისტორიით მრავალი ქვეყნის მკვლევარები იყვნენ დაინტერესებულნი. მისთვის მეცნიერების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებს მიუძღვნიათ ნაშრომები: ეკონომისტებსა თუ სოციოლოგებს, სამოქალაქო თუ სამხედრო ისტორიკოსებს, სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეებს. ქართველ ისტორიკოსთაგთან აღვნიშნავთო. გიგინეიშვილს, ვ. დონაძეს, ი. ტაბაღუას, გ. კიღურაძეს, ვ. ჩოჩიას და სხვა (7; 6; 11; 3; 21; 27). მათ ნაშრომებში განხილულ-გაანალიზებულია პირველი მსოფლიო ომის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა: ომის წარმოშობა, შედეგები და გაკვეთილები, მისი გავლენა მეომარი ქვეყნების ეკონომიკასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ომში თითოეული მონაწილის როლზე, სამხედრო ხელოვნებისა და საომარი ოპერაციების ხასიათზე და სხვა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს თემაზე დღემდე არ შექმნილა მონოგრაფიული ნაშრომები. მოგვეპოვება მხოლოდ ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი ნარკვევები და ისიც მცირე რაოდენობით.

შ. ბასილაიას სადოქტორო დისერტაციაში „ამიერკავკასია პირველი მსოფლიო ომის წლებში" – განხილულია: ომისადმი კლასებისა და პარტიების დამოკიდებულება; ეროვნული საკითხი, ამიერკავკასიის საზოგადოებრივი ორგანიზა-

ციები, ომი და ეკონომიკა, მუშათა კლასი, გლეხობა და ომი. საკითხთა ფართო წრის მიუხედავად, აღნიშნულ დისერტაციაში კიდევ ბევრი რამ არის ნათელსაყოფი და საკვლევი. კერძოდ, სათანადო ადგილი არა აქვს დათმობილი საქართველოს ომისადმი მიმართების საკითხს, თანაც, საბჭოთა პერიოდში შექმნილ ნაშრომში აქცენტი ისეთ საკითხებზეა გამახვილებული, როგორიცაა: პროლეტარიატისა და გლეხობის მდგომარეობა ომის წლებში, ბოლშევიკების დამოკიდებულება ომისადმი და მათი ბრძოლა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. ამასთან, ისტორიული მოვლენები 1917 წლის თებერვლამდეა განხილული (43).

ჩვენთვის საინტერესო პრობლემებს ეხმაურება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომის V-VI-VII თავები, რომლებშიც პირველ მსოფლიო ომის დროს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი (141). მაგრამ წიგნი იდეოლოგიური შეზღუდულობის გამო სრულყოფილ წარმოდგენას ვერ გვიქმნის განსახილველი პრობლემების ირგვლივ. იგივე ითქმის საბჭოთა პერიოდში შექმნილ საქართველოს ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებზეც (19; 20;21).

გარდა აღნიშნულისა, პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს თემაზე დაწერილ ნაშრომთა გარკვეული ნაწილი ეხება მუშათა და გლეხთა მოძრაობას საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს, მათ პრობლემებს, გამოსვლებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ უკეთესი მომავლისათვის (64; 39; 13; 61; 45,1). მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიით შეიარაღებული საბჭოთა ისტორიკოსები მოვლენებს ცალმხრივად და არაობიექტურად აფასებდნენ და ბუნებრივია, ვერ ასახავდნენ იმ დროის საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების რეალურ სურათს.

პირველი მსოფლიო ომის წლებში საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შესასწავლად გარკვეული ცნობები გვხვდება გ. ჯანგველაძის, გ. ჟვანიას, უ. სიდამონიძის შრომებში, თუმცა მათი შეხედულებების უკრიტიკოდ მიღება შეუძლებელია (38; 46; 28).

აღნიშნული საკითხის ირგვლივ მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს ალ. ბენდიანიშვილის მონოგრაფია „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921წწ" (4). მასში საფუძვლიანადაა განხილულ-გაანალიზებული პირველი მსოფლიო ომისადმი ქართველი საზოგადოებრიობის დამოკიდებულება, პოლიტიკური პარტიების ეროვნული პროგრამები და ომის გამო მათში შეტანილი ცვლილებები, თურქეთთან ამიერკავკასიის ხელისუფლების ურთიერთობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზეზები და სხვა. ნაშრომის ღირებულებას ზრდის უკრაინის სახელმწიფო არქივში მიკვლეული ფასეული მასალები.

პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს ეკონომიკის შესახებ მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს პ. გუგუშვილის, ალ. ბენდიანიშვილის, ა. ფარსადანიშვილის შრომები (8; 9; 5; 31).

მეომარ სახელმწიფოთა საქართველოსადმი თუ მისი ცალკეული კუთხეებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ მ. სიორიძეს, გ. მანჯგალაძეს, ა. ჩოხელს, ვ. ადამიას (26; 259; 25; 17; 62; 42). მსჯელობა-ანალიზის გარკვეული ტენდენციურობისა და შეზღუდულობის მიუხედავად, მდიდარ დოკუმენტურ მასალებს ვპოულობთ გ. ფიფიას, გ. ღამბაშიძის ნაშრომებში (56;34).

უკანასკნელ ხანს ქართული ისტორიოგრაფია შეივსო საინტერესო გამოკვლევებით, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხება(208; 193; 193; 209; 210). ზოგიერთი მათგანი მონოგრაფიის სახითაც გამოქვეყნდა (10; 28; 151; 30; 29).

ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს ფრაგმენტულად ეხებიან რუსი საბჭოთა ისტორიკოსები, რომელთა შორისაც დავასახელებთ: ვ.ი. ნოტოვიჩს, დ. ს. ზავრიევს, ს.ტ. არკომედს, ა.ბ. კადიშევს (54; 47; 41; 49). მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის გავლენას, ცხადია, ვერც ისინი ასცდნენ. ნაშრომზე მუშაობისას შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით დ.მ. ლენგის „საქართველოს თანამედროვე ისტორიას" და ვოლფდიტერ ბილის გამოკვლევას „ცენტრალურ სახელმწიფოთა კავკასიური პოლიტიკა 1914-1918 წლებში" (66; 67).

მონოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა მოიცავს როგორც გამოუქვეყნებელ, ისე გამოქვეყნებულ საარქივო დოკუმენტებსა და მასალებს. მაგრამ საბჭოთა პერიოდში ქვეყნდებოდა მხოლოდ ისეთი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ან საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობითა და ეკონომიკური რესურსებით მეომარი ქვეყნების დაინტერესებაზე მეტყველებდნენ, ან კიდევ საქართველოში გაბატონებულ მძიმე საოკუპაციო რეჟიმზე (155; 154; 150; 156). ცხადია, მასალების ასეთი ტენდენციური შერჩევა რეალურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის მთელ რიგ საკითხებზე. გარკვეული სამსახური გაგვიწია „ამიერკავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებმა და მასალებმა" და ამიერკავკასიის სეიმის სტენოგრაფიულმა ჩანაწერებმა (152; 153).

პრობლემის კვლევისას ვისარგებლეთ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებით. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ფონდი 13-ში დაცული კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მასალები, რომლებიც ძვირფას ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოში ჩატარებულ მობილიზაციაზე, მოსახლეობის ომისადმი დამოკიდებულებაზე. მოსახლეობისადმი სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებებს ეხება 519-ში (ომში დაზარალებულთა დახმარების კავკასიის მთავარი კომიტეტი) და-

ცული მასალები. პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქართველებზე მოგვითხრობს ფონდ 1437-ის (ნ. ნ. ბარათოვის ფონდი) და 1477-ის (დ. ნათიევის ფონდი) დოკუმენტები. 1917 წლიდან ამიერკავკასიაში განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის ომთან დაკავშირებულ საკითხებს, გვაცნობს ფონდ 1819-ში (ამიერკავკასიის სეიმი), ფონდ 1831-ში (ჩხენკელი ა. ა.), ფონდ 1818 (ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა), ფონდ 2080 (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი), ფონდ 1836-ში (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი) დაცული მასალები და სხვა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ ძვირფას ცნობებს შეიცავს მემუარული ლიტერატურა. რა თქმა უნდა, მემუარებში მოტანილი მასალის უკრიტიკოდ და შეუმოწმებლად მიღება არ შეიძლება, მაგრამ ფაქტების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მეტნაკლებად ობიექტური სურათის წარმოდგენა. პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს შესახებ მოთხრობილი აქვთ როგორც უცხოელ, ისე ქართველ პოლიტიკოსებს, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეებს. უცხოელთაგან გამოვყოფთ გენერლების: ლიუდენდორფის, დენსტერვილის, ფელდმარშალ ჰინდენბურგის, ჯემალ ფაშას, დევიდ ლოიდ ჯორჯის მოგონებებს (173;170; 112; 171; 172). ისინი გვეხმარება, ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ძირითადად მეომარ სახელმწიფოთა საქართველოსადმი დამოკიდებულების შესახებ. ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია რ. გაბაშვილის, დ. ვაჩნაძის, ნ. ჟორდანიას, გ. მამნიაშვილის, შ. მაღლაკელიძის, კ. სალიას მემუარებმა (160; 161; 168; 166; 165; 164; 163). ზ. ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“. ვ. ნოზაძის „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“ კი სცილდებიან მემუარული ჟანრის მოთხოვნებს და მაღალი დონის მეცნიერულ ნაშრომებად გვევლინებიან. ზემოთ დასახელებული ავტორები I მსოფლიო ომთან დაკავშირებული მოვ-

ლენების უშუალო მონაწილენი იყვნენ., რაც, ბუნებრივია, ზრდის მათი მოგონებების მნიშვნელობას (159, 167).

არანაკლებ ღირებულია პირველი მსოფლიო ომის დროინდელი პრესა, როგორც ოფიციალური, ისე ოპოზიციური ორგანოები: "Кавказ", "Кавказское Слово"„სახალხო ფურცელი", „კლდე", „საქართველო", „იმერეთი", ბერლინში გამომავალი „ქართული გაზეთი" და სხვა.

როგორც დავინახეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ არის შესწავლილი პირველი მსოფლიო ომისადმი საქართველოს დამოკიდებულების საკითხი. პრობლემით ჩვენი დაინტერესებაც ამ სფეროში არსებულმა ვაკუუმმა განაპირობა. ჩვენ მიზნად დავისახეთ, საგანგებოდ შეგვესწავლა ეს მეტად აქტუალური პრობლემა და გვეჩვენებინა: საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება უშუალოდ ომის წინ და ომში წლებში, მასზე პირველი მსოფლიო ომის გავლენა, საქართველოს საკითხი კონფლიქტში მონაწილე მეომარ სახელმწიფოთა გეგმებში, ქართველი საზოგადოებრიობის დამოკიდებულება ომისადმი.

საკითხის ირგვლივ უკვე არსებული დოკუმენტური თუ სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე ჩვენ მიერ გამოვლენილი ახალი საარქივო თუ სხვა წყაროების გათვალისწინებით დეტალურად ვაანალიზებთ, თუ რა გავლენა მოახდინა ომმა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე; კომპლექსურად წარმოვაჩინეთ მეომარ სახელმწიფოთა დამოკიდებულებას საქართველოსადმი, ამასთან ერთად, ხაზს ვუსვამთ გერმანელთა ლოიალურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ; ახლებურად ვაშუქებთ ომში მონაწილე ქართველთა ამა თუ იმ ბანაკის მხარეზე ბრძოლის მიზეზებს, მათ მიზნებსა და მისწრაფებებს; იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში გამოვყოფთ ორ ძირითად მიმდინარეობას და მათ პრორუსულ (პროანტანტურ) და პროგერმანულს ვუწოდებთ; ასევე ვასკვნით, რომ ქართველთა ბრძოლას პირველ

მსოფლიო ომში ჰქონდა არა იმპერიალისტური, არამედ ეროვნული ხასიათი; ვაზუსტებთ ომში მონაწილე ქართველთა რაოდენობას; გამოვკვეთავთ პირველ მსოფლიო ომში განვითარებული ისტორიული მოვლენების როლს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში.

ომის თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალობას არც ერთ ეპოქაში არ კარგავს. იგი ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასში მონაწილე მეომარი ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებაზე, განურჩევლად იმისა, ესა თუ ის ქვეყანა გამარჯვებული გამოდის ამ ომიდან თუ დამარცხებული.

პრობლემაზე მუშაობისას კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდა, რომ იცვლებიან მთავრობები, მაგრამ სახელმწიფოთა ინტერესები და მისწრაფებები ძირითადად იგივე რჩება. ასე იყო პირველი მსოფლიო ომის დროს და ასეა ახლაც. საქართველოსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკაში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. დღესაც ისევე აინტერესებთ მსოფლიოს მძლავრ სახელმწიფოებს საქართველო, როგორც ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და გეოგრაფიული მდებარეობით ხელსაყრელი კუთხე, როგორც მაშინ, ამ ცხრა ათეული წლის წინ. პირველი მსოფლიო ომის დროს არსებულმა გარემო ფაქტორებმა ხელი შეუწყეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ქართველებმა მაშინ შეძლეს ხელსაყრელი მდგომარეობით თავიანთი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოყენება. ომმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ გარემო ფაქტორებით და ვიღვაწოთ ქვეყნის აღმშენებლობისათვის. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ომმა და მის დროს მიმდინარე ისტორიულმა მოვლენებმა გვასწავლეს, არის ის, რომ თვითონ ერი უნდა იყოს შინაგანად მზად ქვეყნის სასიკეთოდ ქმედებისათვის, რათა მოპოვებული არ დაკარგოს. დღესაც, როდესაც ასეთი

მნიშვნელოვანია საქართველოს ურთიერთობა გარემომ-

პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები და საქართველოს საკითხი მეომარ სახელმწიფოთა გეგმებში

პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები

ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის აღმოცენება იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის განვითარების ობიექტურმა კანონებმა განაპირობა. ომი იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა უკიდურესად გაღრმავებისა და გამწვავების შედეგად მომწიფდა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ნახტომისებური განვითარების შედეგად მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა დაირღვა. ევროპის უძველეს ძლიერ სახელმწიფოებს – ინგლისსა და საფრანგეთს ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუსწრო „კალმითა" და „დაშნით" გაერთიანებულმა გერმანიის იმპერიამ. აღმოსავლეთში გაძლიერდა იაპონია. თურქეთი შიშით შესცქეროდა მომავალს. ორი სლავური ტერიტორიის –ბოსნიისა და ჰერცოგოვინას მფლობელი ავსტრია-უნგრეთი ახალ ლუკმას ეძებდა. ევრაზიაში მიმდინარე ამბებს ინტერესით ადევნებდა თვალყურს აშშ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პირველი მსოფლიო ომის აღმოცენების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა იმპერიალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდა და კოლონიებსა და დამოუკიდებელ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ წრეებს შიდაპოლიტიკური სიძნელეები მსოფლიო მასშტაბის ომის გაჩაღებისკენ უბიძგებდა.

იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკური ვითარების მიმოხილვისას არ შეიძლება, არ მოვიხმოთ XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ეროვნული მოძრაობის ბელადი ილია ჭავ-

ჭავაძე, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, უშეცდომოდ განჭვრიტა გასული საუკუნის ბოლოდროინდელი მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები, რელიეფურად გადმოგვცა ევროპაში შექმნილი ვითარების მთავარი კონტურები: ,,საფრანგეთს გული ასკდება ელზას-ლოტარინგიაზედ, რომელიც პრუსიამ ძალად ჩამოართვა და ცოტაოდენადაც თვალი უჭირავს ბელგიაზედ, ავსტრია ცდილობს ნემეცები ხელიდან არ გამოაცალოს პრუსიამ და თუ გამოაცალოს, სამაგიეროდ სლავიანებში მაინც ფეხი მოაკიდებინოს. რუსეთს ჯერ კიდევ არ დაუბინავებია სლავიანები ისე, როგორც მისი საპოლიტიკო საჭიროვება მოითხოვს და ალმაცერად ადევნებს თვალს ავსტრიასა, რომელიც როგორღაც ფეხაკრეფით და ქურდულად სლავიანებისკენ მოიპარება, ინგლისი იმის ცდაშია, რომ თავისი თითქმის მაცხოვრებელი ინდოეთი შიშ-გარეთ ამყოფოს, ერთის მხრით, რუსეთი ინდოეთის საზღვრებზედ ახლო არ მიუშვას და მეორეს მხრით ინდოეთისაკენ გზა არ გაიხსნას ეგვიპტით" (37, 64).

ილია ჭავჭავაძემ სერიოზული ყურადღება მიაქცია ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების –,,დიდი და პატარა ონავრების'' კოლონიალურ პოლიტიკას აზიასა და აფრიკაში და იგი მიიჩნია ,,მიზეზად შუღლისა და ჩხუბისა", რომელსაც შეეძლო ,,სულ ახალი მტერ-მოყვარეობა ჩამოეგდო ევროპის დიდთა სახელმწიფოთა შორის" 37, 176).

მსოფლიო პოლიტიკაში არსებული საკვანძო საკითხების მეცნიერული ანალიზის ფონზე ილია ჭავჭავძემ, ძირითადად, სწორად განსაზღვრა ევროპის ქვეყნების ორ დიდ სამხედრო პოლიტიკურ ბანაკად გაყოფა: „ერთის მხრივ, გერმანია, ავსტრია-ვენგრია და ოსმალო, მეორეს მხრით, რუსეთი, საფრანგეთი და იტალია" (37,74), მათ შორის არსებული ანტაგონიზმი მან მომავალი ,,დიდი ომის'' წარმოშობის გამომწვევ მიზეზად მიიჩნია.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პოლიტიკური მოვლენები მსოფლიოში ილიასეული მეცნიერული სიზუსტით წარიმართა: 1914 წლის ზაფხულისათვის მეომარ სახელმწიფოთა ბანაკები ფაქტობრივად ჩამოყალიბებული იყო: ანტანტა –საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისის შემადგენლობით (რომელსაც მოგვიანებით შეუერთდნენ: იაპონია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, აშშ, საბერძნეთი) და სამთა კავშირი – გერმანია, ავსტრია-უნგრეთ, თურქეთ, ბულგარეთის (1915 წლიდან) შემადგენლობით. ერთი სიტყვით, საბაბილა იყო საჭირო, რომ ეს „შეთოფიარაღებული მშვიდობიანობა" ომში გადაზრდილიყო და ამ საბაბმაც არ დააყოვნა სარაევოს გასროლის სახით.

გერმანიისაგან წაქეზებულმა ავსტრია-უნგრეთმა 1914 წლის 28 ივლისს ომი გამოუცხადა სერბიას. რუსეთმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ინგლისი და საფრანგეთი, ავსტრია–უნგრეთს მოსთხოვა ომის შეწყვეტა და მობილიზაცია გამოაცხადა. რუსეთის მიერ მობილიზაციის საპასუხოდ, 1 აგვისტოს გერმანიამ ომი დაიწყო რუსეთის, ხოლო 3 აგვისტოს საფრანგეთის წინააღმდეგ. გერმანიამ საფრანგეთში შეჭრის მიზნით დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი, რისთვისაც ინგლისმა გერმანიას მოსთხოვა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ბელგიის ტერიტორიიდან და, როცა პასუხი ვერ მიიღო, 4 აგვისტოს ომი გამოუცხადა გერმანიას. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

ზემოთ საუბარი გვქონდა პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებზე, ხოლო რაც შეეხება მეომარ სახელმწიფოთა მიზნებს, იგი, დამპყრობლურთან ერთად, ეროვნული ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი. სწორედ ეროვნული ხასიათი გახლავთ ამ ომის განმსაზღვრელი ნიშანი. გ. ქიქოძე მშვენივრად გადმოგვცემს ამ სულისკვეთებას: „საზოგადოდ იმპერიალისტურ პოლოტიკას მისდევს ყოველი დიდი და ენერგიული ერი, რომელიც თავის ისტორიულ საზღვრებში ვეღარ ეტევა და ხელმწიფებისადმი, ესე იგი სხვა ერების

დაპყრობისაკენ მიისწრაფის. დღეს ასეთ პოლიტიკას ყველაზე აშკარად გერმანია ადგია. მაგრამ ყველა მებრძოლ ერზე ეს აშკარად არ ითქმის. ვერ ვიტყვით, რომ ბელგია, სერბია, ბულგარეთი ან ოსმალეთი მსოფლიო იმპერიის დასაარსებლად იბრძოდეს. პირველი სახელმწიფო უფრო სენტიმენტალური მოტივებით ჩაერია ომში, მეორესა და მესამეს ეროვნული გაერთიანების იდეა ამოძრავებს. ხოლო უკანასკნელი ნახევრად ეროვნული ხასიათის ომს აწარმოებს. საფრანგეთსაც და იტალიასაც უფრო დაკარგული ან ,,გამოუსყიდავი'' პროვინციების დაბრუნება სურს, ვიდრე უცხო ტერიტორიების შეძენა. ინგლისი კიდევ ძველად შეძენილი მსოფლიო საბრძანებლის შენარჩუნებისათვის ზრუნავს. ამგვარად, თანამედროვე მსოფლიო ომი მეტად რთული მოვლენაა. იმპერიალისტური მოტივები გადახლართულია სხვაგვარ მოტივებთან, ყველას კი საერთო ის აქვთ, რომ ეროვნული იდეით არიან განათებული" (33, 33-34). ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგაც გვექნება საუბარი. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველო ხომ ამ ომზე დიდ იმედებს ამყარებდა.

ჩვენი ქვეყანა იმთავითვე მოექცა მეომარ სახელმწიფოთა ინტერესების სფეროში. პირველი მსოფლიო ომის წინ აქ მომრავლდნენ საქართველოს ,,ფლორითა და ფაუნით"დაინტერესებული მოგზაურები, რომელთაგან ბევრი უცხოეთის დაზღვევის აგენტი იყო (68; 86; 85).

ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის დაწყება დაკავშირებული იყო იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა უკიდურეს გამწვავებასთან. იმპერიალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან, კოლონიებსა და დამოუკიდებელ ქვეყნებში ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან. მონინააღმდეგე ბანაკებში (ანტანტა, ოთხთა კავშირი) შემავალი ზოგი ქვეყანა აგრესიულ ომს აწარმოებდა, ზოგი კი თავდაცვითს. შესაბამისად, მეომარ სახელმწიფოთა

მიზნები დამპყრობლურთან ერთად ეროვნული ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი.

საქართველოს საკითხი გერმანიის მთავრობის გეგმაში

XIX ს-ის 90-იანი წლების შუახანებიდან სახელმწიფო საზღვრების გაფართოვება გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად იქცა. ამ პერიოდში შემუშავებული იმპერიის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის არსი, რომელიც ,,მსოფლიო პოლიტიკის" (,,ველტპოლიტიკ") სახელწოდებითაა ცნობილი, ფორმულირებულია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბიულოვის სიტყვაში, რომელიც მან 1897 წელს წარმოთქვა რაიხსტაგში: ,,წავიდა ის დრო, როდესაც გერმანელი ერთ მეზობელს მიწას უტოვებდა, მეორეს ზღვას და თვითონ მხოლოდ ცით კმაყოფილდებოდა. ახლა ჩვენც ვთხოულობთ ადგილს მზის ქვეშ" (3, 92). გერმანიის მმართველმა წრეებმა დასვეს საკითხი მსოფლიოს ტერიტორიული გადანაწილების შესახებ. 1893 წელს შექმნეს კიდეც სპეციალური ორგანიზაცია ,,პანგერმანული კავშირი", რომლის ამოცანასაც შეადგენდა ფართო დაპყრობების პროპაგანდა და საზოგადოების იდეოლოგიური მომზადება ფართომასშტაბიანი ომისათვის. მისი წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა სხვისი კუთვნილი კოლონიებისა და ტერიტორიების დაპყრობა და ე.წ. ,,ახალი შუალედური ევროპის" იმპერიის შექმნა, რომელიც გადაჭიმული იქნებოდა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებიდან შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზებამდე (54,32).



ვილჰელმ II და გერმანელი გენერლები.

გერმანიის მმართველი წრეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ახლო აღმოსავლეთს, რომელიც მეტად ხელსაყრელ პლაცდარმს წარმოადგენდა მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში. გარდა ამისა, მათ კარგად ესმოდათ ამ რეგიონის ეკონომიკური მნიშვნელობაც. პანგერმანელი კავშირის წევრი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სამხედრო წევრებთან დაახლოვებული პირი პაულ რორბახი წერდა: „გერმანიის მომავალი აღმოსავლეთშია – მცირე აზიაში, სირიაში, მესოპოტამიასა და პალესტინაში... აქ გვაქვს ჩვენთვის საჭირო ნედლეულის დიდი ნაწილი, თანაც კონცენტრირებული ერთ ადგილას" (52,150). სწორედ ამიტომ მოექცა საქართველო XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში გერმანიის იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის არეალში, როგორც უადრესად მნიშვნელოვანი პლაცდარმი ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში (ინდოეთისა და ჩინეთისაკენ) აგრესიის გასაფართოებლად და რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სიძნელეების შესაქმნელად. ჰინდენბურგის აზრით,

კავკასია გერმანიისათვის უნდა ყოფილიყო: სამხედრო მრეწ-ველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელი, შეიარაღებული ძალების ახალი ნაწილებით შევსების წყარო და გერმანიის მრეწველობისათვის იაფი სამუშაო ძალის რეზერვი (169,104).

ამრიგად, საქართველოში დამკვიდრება წარმოადგენდა გერმანიის საერთო შეტევის ნაწილს აღმოსავლეთით. გერმა-ნიაში შემდეგნაირად მსჯელობდნენ: ,,თავისი საუკუნეობრი-ვი მისიის ერთგულმა გერმანიამ უნდა უკუაგდოს სლავები კავკასიიდან ისევე, როგორც მან უკუაგდო ისინი 800 წლის წინ ელბის გაღმა მხრისაკენ (6,31). ამ ექსპანსიონისტური გეგმის განხორციელება შეუძლებელი იყო მსოფლიო მას-შტაბის ომის გაჩაღების გარეშე. მანამდე კი გერმანია საქმეს ინინაურებდა და კოლონიალიზმის ფარულ ფორმებს მიმარ-თავდა, ხელს უწყობდა რუსეთის ტერიტორიაზე გერმანელ-თა დასახლებების შექმნას, კაპიტალის დაბანდებას, ამა თუ იმ სახის ქონების შეძენასა და სხვ.

მომავალ ომში გერმანიის მმართველი წრეები დიდ იმე-დებს ამყარებდნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, მათ შორის, საქართველოში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებ-ზე, რომელთა დიდი ნაწილი პანგერმანული საზოგადოებე-ბის წევრი და გერმანული იდეებისადმი თავდადებული იყო (2, 317).

საქართველოში ფეხის მოკიდების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა კაპიტალის დამკვიდრება სახალხო მეურნე-ობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი სამთამადნო მრეწველობაში, რადგან მძლავრი სამხედრო წარმოების გან-სახორციელებლად აუცილებელი იყო მეტალურგიული მრეწ-ველობის განვითარება, ეს კი შეუძლებელი იყო მაღალხა-რისხოვანი მანგანუმის დიდი საბადოების გარეშე, რაც არა თუ გერმანიას, დასავლეთ ევროპას საერთოდ არ გააჩნდა (16, 21). XX ს-ის 10-იან წლებში გერმანულმა ფირმებმა დიდ-ძალი კაპიტალი დააბანდეს ჭიათურის მანგანუმის წარმოე-

ბაში, შედეგად კი მათ სამხედრო მრეწველობისათვის საჭირო ამ სტრატეგიული ნედლეულის იმდენად დიდი მარაგი შექმნეს, რომ ომის დროს, მიუხედავად ანტანტის ქვეყნების მკაცრი ბლოკადისა, გერმანიის მეტალურგია მის ნაკლებობას თითქმის არ განიცდიდა (16, 110-111). გერმანელი საქმოსნები დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ამიერკავკასიის ეკონომიკის სხვა მხარეებისადმიც. მაგ., გერმანელთა ხელში იყო კვებისა და მსუბუქი მრეწველობის რიგი საწარმოები, სპირტსახდელი, კონიაკისა და ღვინის ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილი" (258, 72).

ამ ფირმებში მომუშავე პირები, აქაური გერმანელი კოლონისტები გერმანიის დაზღვევას დიდ სამსახურს უწევდნენ. გარდა წმინდა სამხედრო ხასიათის ცნობების შეგროვებისა, ისინი მუშაობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, აქეზებდნენ მათ საქართველოს გამოყოფის სასარგებლოდ (19, 316).

საქართველოში გერმანიის აგენტურა გააქტიურდა 1910 წლიდან. მის წინაშე დადგა სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ცნობების შეგროვება, დივერსიული ჯგუფების შექმნა. სამხედრო სფეროში მას ევალებოდა საქართველოში დისლოცირებული რუსეთის არმიის ნაწილთა ბრძოლისუნარიანობის შესწავლა, ადგილობრივი სარკინიგზო და საგზატკეცილო ხაზების, პორტების აღნიშვნით რუქების შედგენა და სხვ. ეკონომიკურ სფეროში აგენტურას უნდა ეზრუნა ომიანობის დროისათვის საჭირო რესურსების შესწავლაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პროგერმანული და პროთურქული ორიენტაციის პირების გამოვლენას (56, 35). გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის პირადი მითითებით, გერმანიის არმიის გენერალურ შტაბთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელსაც დაევალა რუსეთის ზურგში ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზება. მასვე უნდა დაემყარებინა კავშირი ქართველ პატრიოტებთან. აღ-

ნიშნულმა განყოფილებამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმის წარმოებას (56, 49).

გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ჰინდენბურგი და შტაბის უფროსი ლიუდენდორფი

1911 წლიდან საქართველოს პორტებში – სოხუმში, ბათუმსა და ფოთში დიდი რაოდენობით შემოვიდა გერმანული და ავსტრიული წარმოების იარაღი. ამის შესახებ კავკასიაში რუსეთის ჯარების შტაბის უფროსი მეფისნაცვალს მოახსენებდა: „უკანასკნელ ხანს შეინიშნება დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შემოტანა. მისი უდიდესი ნაწილი რჩება ბათუმის ოლქის მაჰმადიანურ მოსახლეობაში, დანარჩენი კი იგზავნება კავკასიის სხვა რაიონებში" (56, 38). რუსეთის მთავრობამ გატარებული ენერგიული ზომების შედეგად შეძლო, დროებით შეეწყვიტა იარაღის მასიურად შემოზიდვა.

საქართველოში მოქმედ აგენტურულ ქსელს ხელმძღვანელობდა ორი რეზიდენტურა – თბილისისა და არზრუმისა. არზრუმის რეზიდენტურას განაგებდა გერმანიის კონსული ედგარ ანდერსი. მისი საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო აჭარასა და აფხაზეთში ანტირუსული აჯანყების მოსახდენად. ამასთან, აქცენტი აღებული იყო ამ რაიონების მაჰმადიანურ მოსახლეობაზე. თბილისის რეზიდენტურამ გააააქტიურა თავისი საქმიანობა, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ვილჰელმ მეორესთან დაახლოებული პირი ფრიდრიხ შულენბურგი. მან გააფართოვა აგენტთა ქსელი, კავშირი დაამყარა მეფის არმიის ოფიცრებთან, ჩააბა ისინი სადაზვერვო საქმიანობაში. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობაში იყო იგი ქართველ თავადაზნაურობასთან და ეროვნულად განწყობილ წრეებთან, ბურჟუაზიასთან, შთააგონებდა მათ დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის იდეას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ (56, 36-37). მართალია, რუსეთის მთავრობის მიერ გაწეული კონტრზომების შედეგად (გერმანელი აგენტების საქართველოდან გაძევება) გერმანიის დაზვერვამ მნიშვნელოვნად შეასუსტა თავისი მოღვაწეობა საქართველოში, მაგრამ მთლიანად არ შეუწყვეტია. ომის დაწყების შემდეგ გერმანიას ამ საქმეში აქტიურ დახმარებას უწევდნენ ნეიტრალური სახელმწიფოების საკონსულოები (25, 75).

როგორც გამოიკვეთა, საქართველო გერმანიის – XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს ამ მზარდი სახელმწიფოს –დაინტერესების უბრალო ობიექტი კი არ იყო, არამედ მისი „მსოფლიო პოლიტიკის" ექსპანიონისტური გეგმის ნაწილი. საქართველო გერმანიისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პლაცდარმს, როგორც აზიაში (მახლობელი აღმოსავლეთი, ინდოეთი, ჩინეთი) წინსვლისათვის, ისე რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი პრობლემის შესაქმნელად. გარდა ამ სამხედრო-სტრატეგიული მხარისა, გერმანიის საქართველოთი დაინტერესებას ეკონომიკური ფაქტორებიც განაპირობებდა.

საქართველოს საკითხი ოსმალეთის იმპერიის მთავრობის გეგმებში

ამ პერიოდში საქართველო ოსმალეთის იმპერიის მთავრობის ინტერესების საგანიც იყო. ახალგაზრდა თურქთა საშინაო და საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ედო ზია გიოკალპისა და მის მიმდევართა მიერ შექმნილი თურქიზმის იდეოლოგია, რომელიც გულისხმობდა უნაპირო თურანის შექმნას. მასში კავკასიას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა (6, 58, 75). ამიერკავკასიის სასაზღვრო რაიონებში სადაზვერვო საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით თურქეთის მთავრობამ 1908 წელს თავის საკონსულოებთნ დანიშნა კომერციული აგენტები თბილისში, ყარსსა და ბათუმში. ისინი იყვნენ თურქი ოფიცრები, რომელთაც ევალებოდათ საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობა (259, 75).

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ პოლიტიკურმა ბედმა თურქეთი გერმანიას დაუკავშირა. ამ უკანასკნელმა თვითონ გამოთქვა სურვილი თურქეთთან მოკავშირეობისა. მას ხელს არ აძლევდა თურქეთის დასუსტება, რადგან მხოლოდ მისი საშუალებით იყო შესაძლებელი თავის დახსნა ან-

ტანტის რკინისებური გარემოცვიდან. 1914 წლის 2 აგვისტოს გერმანია-თურქეთს შორის გაფორმდა საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის IV მუხლში ვკითხულობთ: „გერმანია უზრუნველყოფს თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას რუსეთის წინააღმდეგ" (55, 98). თურქეთის არმიების ხელმძღვანელობა მთლიანად გადიოდა გერმანიის სამხედრო მისიის ხელში (56, 48).

გერმანიასთან საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ თურქეთმა დაიწყო მობილიზაცია, საქვეყნოდ კი ნეიტრალიტეტი გამოცხადდა. ამის თაობაზე ჯემალ ფაშა თავის ჩანაწერში აღნიშნავდა: „ჩვენ გამოვაცხადეთ ნეიტრალიტეტი მხოლოდ მისთვის, რომ მოგვეგო დრო. ჩვენ ველოდებოდით მომენტს, როდესაც ჩვენი მობილიზაცია დამთავრდებოდა და შეგვეძლო მონაწილეობა მიგვეღო ომში" (171, 110). ნეიტრალიტეტის გამოცხადებასთან ერთად, ამიერკავკასიის მოსაზღვრე თურქეთის აღმოსავლეთის ვილაიეთებში შემოღებულ იქნა სამხედრო მდგომარეობა. გაძლიერდა რუსეთის საზღვრის დაცვა. გააქტიურდა თურქეთის დაზვერვა (56, 48-49; 83, 112, 115). ოტომანის მთავრობამ კავკასიაში პროპაგანდის მიზნით სპეციალური კომისია შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: სამი გენერალი, ოთხი თურქი ოფიცერი და პარიზიდან ჩამოსული ოთხი ინტელიგენტი ქართველი (98).

მსოფლიო ომში თურქეთის ჭეშმარიტი მიზნები გადმოცემულია „ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის მიმართვაში, რომელიც თურქეთის ომში ჩაბმასთან დაკავშირებით პარტიის ყველა განყოფილებას დაეგზავნა: "ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მსოფლიო ომში ჩვენი მონაწილეობის მიზანს წარმოადგენს არა მარტო ჩვენი ქვეყნის გადარჩენა დაღუპვისაგან, რომელიც მას ემუქრება. არა, ჩვენ ვისახავთ უფრო უშუალო მიზანს – ჩვენი ეროვნული იდეალის განხორციელებას, რომელიც მოითხოვს, რომ ჩვენ დავამარცხოთ ჩვენი მოსკოველი მტერი და გავაფართოვოთ ბუნებ-

რივ საზღვრამდე ჩვენი იმპერია, რომელიც მოიცავს და გაა-ერთიანებს ჩვენი მოდგმის ყველა ხალხს" (6, 106). ამ გეგმაში საქართველოსაც თავისი „საპატიო" ადგილი ეკავა.

მაგრამ გერმანია ასე როდი ფიქრობდა. მას თურქეთი ესაჭიროებოდა, როგორც ობიექტი თავისი მიზნების განსა-ხორციელებლად. გავიხსენოთ კაიზერ ვილჰელმ II-ის ლიმან ფონ სანდერსისადმი მიმართული სიტყვები 1912 წლის დე-კემბერს: ან გერმანიის დროშა მალე იფრიალებს ბოსფორის ციხე-სიმაგრეზე, ან მე მელოდება გადასახლებულის ბედი წმ. ელენეს კუნძულზე" (56, 46).

ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერი ენვერ ფაშა

გერმანია დაინტერესებული იყო თურქეთის ომში ჩაბ-მით (თურქეთის ჯარებს უნდა დაემაგრებინა კავკასიის

ფრონტზე რუსეთის სამხედრო ნაწილები და ამით მოკავშირეებისათვის გაეადვილებინა საქმე), მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ენვერ ფაშას გეგმის განხორციელებას – ,,დიდი თურქეთის" შექმნას. თუმცა თავდაპირველად თურქეთში გერმანიის ელჩ ვანგენგაიმის პირით დაპირებებს აძლევდა – თანხმობას აცხადებდა თურქეთისათვის ამიერკავკასიის ზოგიერთი ოლქის დაბრუნებაზე, ხოლო ზუსტად რომელზე, არ უთითებდა (56,49). მსოფლიო დაპყრობაზე მეოცნებე გერმანია თურქეთს დიდ ტერიტორიებს ვერ შესთავაზებდა, მცირედს კი ეს უკანასკნელი არ დასჯერდებოდა. ამიტომაც გერმანია დიპლომატიურად იკავებდა თავს წინასწარი დაპირებისაგან და ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგად განცხადებებს აკეთებდა. ხოლო, მას შემდეგ, რაც გერმანიის ვარაუდი ომის სწრაფად მოგების შესახებ ჩაიფუშა, თურქეთის მნიშვნელობა გერმანიისათვის კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ ის უფრო მეტად გაეხვია თურანისტულ და ისლამისტურ სამოსელში. ასეთი შთაბეჭდილებების შექმნას ცდილობდნენ თურქერთის არმიაში მომსახურე გერმანელი ოფიცრები. ფუად ბეის ცნობით, თურქეთის მე-2 არმიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ფონ ფრანკენბერგი შტაბის თურქ ოფიცრებთან ერთად სწავლობდა თურქეთის მომავალ საზღვრებს, რომლებსაც ოსმალეთის იმპერია მსოფლიო ომის დასასრულისათვის მიაღწევდა. ,,თუმცა ეს შორსმჭვრეტელი გეგმები თვით გერმანელ სარდლობასაც ფანტაზიად მიაჩნდა, მაგრამ გერმანიისათვის ამ შემთხვევაში რეალური იყო მხოლოდ ერთი რამ – მისივე დახმარებით რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილი ოსმალეთის აგენტურის გამოყენება ისევე, როგორც გამოყენება სულთან ხალიფას ავტორიტეტისა ისლამის სამყაროში (6, 94). შემთხვევითი არ იყო, რომ გერმანია-თურქეთს შორის 1914 წლის 2 აგვისტოს დადებული საიდუმლო ხელშეკრულების მუხლები, რომლებიც კავკასიას ეხებოდნენ, ზოგადად იყო ჩამოყალიბებული და ორივე მხარე მის შემდგომში თავი-

სი შეხედულებისამებრ განმარტავდა; და მეორეც –აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში იყო მხოლოდ 1918 წლის ბოლომდე, აქედან გამომდინარე, გერმანია თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ ომის დროს ჰპირდებოდა, ხოლო, მისი დამთავრების შემდეგ არ სურდა მასთან კავშირი.

1914 წელს კი გერმანელები ენერგიულად მოითხოვდნენ თურქეთის ომში ჩაბმას. სტამბოლში ბერლინიდან მიღებულ იქნა რეკომენდაციები, დაეჩქარებინათ კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის აჯანყება (56,49). თურქეთის მთავრობაში პროგერმანული ფრთის ბურჯმა, სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ 1914 წლის 22 ოქტომბერს საიდუმლოდ უბრძანა ადმირალ სუშონს: „თურქეთის ფლოტმა უნდა მიაღწიოს შავ ზღვაზე ბატონობას. მოძებნეთ რუსეთის ფლოტი და შეუტიეთ მას ომის გამოუცხადებლად, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი" (55, 322). 1914 წლის 27 ოქტომბერს გერმანია-თურქეთის ფლოტი შევიდა შავ ზღვაში. 29 ოქტომბერს მათ მიერ დაბომბილ სანავსადგურო ქალაქებს შორის იყო ფოთი, ბათუმი და სოხუმი. ასე ჩაება ოსმალეთის იმპერია პირველი მსოფლიო ომის საომარ ოპერაციებში.

აქვე აღვნიშნავთ საქართველოს მიმართ ავსტრალია-უნგრეთის დამოკიდებულების შესახებ. მართალია, ამ უკანასკნელს საქართველოს მიმართ რაიმე კონკრეტული მიზნები არ გააჩნდა, მაგრამ ცდილობდა, გერმანია თურქეთსა და საქართველოს პოლიტიკურ წრეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებათა მსვლელობის კურსში ყოფილიყო (17,48). ომის წლებში იგი გერმანიის დიპლომატიისათვის მხარდაჭერით კმაყოფილდებოდა. ავსტრია-უნგრეთის ტრაპიზონელ კონსულს –კვიატკოვსკის პირდაპირი კავშირი ჰქონდა ქართულ კომიტეტთან და ლეგიონთან ტრაპიზონში (26, 58).

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის წინ ანტანტის (ძირითადად რუსეთის) წინააღმდეგ ერთმანეთს უკავშირდებიან გერმანია და თურქეთი. ამ უკანასკნელს თურქიზმის იდეოლოგიის გავრცელება და „დიდი თურანის" შექმნა სურს.

ეროვნული იდეალის განხორციელებას იგი იმპერიის საზღვრების გაფართოებასა და თავისი მოდგმის ყველა ხალხის გაერთიანებაში ხედავს. კავკასია და მათ შორის საქართველო მას ამ მიზნის მისაღწევად სჭირდება. გერმანია კი თურქეთს მხოლოდ თავისი მიზნებისთვის იყენებს. იგი მისი საშუალებით ფიქრობს ანტანტის გარემოცვიდან თავდასხნას, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, გერმანია არც აპირებს მისი თურქეთისათვის დათმობას.

საქართველოს საკითხი ანტანტის გეგმებში

იმდენად, რამდენადაც საქართველო რუსეთის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, მოკავშირე ქვეყნებს თითქოს არ უნდა ჰქონოდათ რაიმე პრეტენზიები კავკასიის ამ კუთხის მიმართ, მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე და ომის წლებშიც ინგლისელები ცდილობდნენ, გაეაქტიურებინათ მოღვაწეობა ამიერკავკასიის ქვეყნებში თავიანთი აგენტების მეშვეობით. ინგლისელებმა და ფრანგებმა ომის დასაწყისშივე თბილისში დააარსეს ინგლისურ-რუსული და ფრანგულ-რუსული ბიუროები, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ ანტანტას. ინგლისელებმა შეძლეს თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ გაზეთები: ,,რესპუბლიკა'' და ,,კავკაზსკოე სლოვო" (155, 102-110).

საქვეყნოდაა ცნობილი რუსეთის ცარიზმის ტრადიციული პრეტენზიები ახლო და შუა აღმოსავლეთის მიმართ. შავი ზღვის ბუნებრივი გასასვლელებით თავისუფლად სარგებლობის უფლება საშუალებას მისცემდა მას, ურთიერთობა ჰქონოდა ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებთან და მსოფლიოს სხვა სააღებმიცემო ცენტრებთან. ამ გზით ის კონტინენტური კარჩაკეტილობისაგან გათავისუფლებას ცდილობდა. ეკონომიკური კავშირურთიერთობების დასამყარებლად და სამამულო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე შეუფერხებ-

ლად გასატანად სავაჭრო-ეკონომიკურ საჭიროებასთან მჭიდრო კავშირში იყო სამხედრო-სტრატეგიული მოტივები. მეფის რუსეთს სურდა, შავი ზღვა თავისი მონოპოლისტური კონტროლისათვის დაექვემდებარებინა, განემტკიცებინა თავისი სამხრეთი ნაწილის უშიშროება. თანაც, ესარგებლა სრუტეებით შავი ზღვის სამხედრო ფლოტის თავისუფალი მანევრებისათვის. საჭირო შემთხვევაში მისი ხმელთაშუა ზღვის აუზში გადაყვანისათვის და პირიქით. 1913 წლის 23 ნოემბრით დათარიღებულ ნიკოლოზ II-ისადმი მიმართულ საგარეო საქმეთა მინისტრის ს. დ. საზონოვის მოხსენებაში ნათქვამია: ,,როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი პოზიცია, ჩვენ არ შეიძლება დავუშვათ სრუტეების ძლიერი სახელმწიფოების ხელში გადასვლა, რადგან ეს ნიშნავს მთელი სამხრეთი რუსეთის ეკონომიკური განითარების ამ სახელმწიფოსადმი სრულ დაქვემდებარებას''. გარდა ამისა, რუსეთისათვის გზა სპარსეთში პოზიციების განმტკიცებისა და ინდოეთისაკენ საქართველოზეც გადიოდა. ამ ამოცანების გადაწყვეტა მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო. (11, 6).

როდესაც ახლო და შუა აღმოსავლეთის ასპარეზზე XX ს-ის დასაწყისში გამოვიდა გერმანია, რუსეთმა ობიექტურად შეაფასა ამიერკავკასიის პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ახალ პირობებში და შეეცადა თავისი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას ამ რეგიონში. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს შუაგულიდან, კერძოდ კი ტირიფონის ველიდან, ქართველების აყრა და იქ დიდმასშტაბიანი სამხედრო პოლიგონის მოწყობის მცდელობა (100). ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ამ გეგმის განხორციელებას. ხოლო ომის წლებში რუსეთის მთავრობა აპირებდა, საქართველოს სანაპირო ადგილები რუსი ოფიცრებით დაესახლებინა. ომიანობა ხომ ,,ერთი საუკეთესო პირობაა საკოლონიზაციო პოლიტიკის საწარმოებლად". საზონოვს საჭიროდ მიაჩნდა: სახმელეთო მიმოსვლის საშუალებათა გაძლიერება შავი ზღვის

სანაპიროზე, საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანა ამიერკავკასიაში, სატრანსპორტო საშუალებათა გაძლიერება შავ ზღვაზე (11, 6).

რკინიგზის მაგისტრალების მშენებლობას დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. მათი დანიშნულება იყო, როგორმე გაეერთიანებინათ მსოფლიოს დანაწევრებული ეკონომიკური რაიონები და დაემორჩილებინათ ისინი უდიდესი სახელმწიფოებისა და მათი მონოპოლიების ინტერესებისათვის. ერთ მშვენიერ დღეს რუსეთი რომ არ აღმოჩენილიყო მტრულ სახელმწიფოთა რკინის გარემოცვაში, საჭირო იყო კონტრზომების მიღება, მაგრამ, როგორც წესი, უდიდესი რკინიგზის მაგისტრალები ქვეყნის შიგნით იწყებოდნენ და, ასე თუ ისე, დაკავშირებულნი იყვნენ შინამშენებლობასთან. მაგ., რუსეთს არ შეეძლო განეხორციელებინა თავისი პროექტები თურქეთსა და ირანში რკინიგზის გაყვანის თაობაზე, თუ არ გაიყვანდა რკინიგზებს, პირველ რიგში, კავკასიაში ან შუა აზიაში. კავკასიაში ამ საქმეს დიდ ყურადღებას აქცევდა ვორონცოვ-დაშკოვი. რკინიგზას უნდა უზრუნველეყო კავკასიის ეკონომიკური ცხოვრების ნორმალური განვითარება და ოკრუგის სამხედრო შენაერთების მზადყოფნა (40, 36- 41).

1914 წელს კაპიტანმა ფილკოვიჩმა რუსეთის იმპერიის მიმოსვლის გზათა სამინისტროში წარადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დარგ-კოკ-გორის საუღელტეხილო (როკზე) და ბორჯომიდან ოლთისამდე, ერზრუმამდე მისვლით რკინიგზის მშენებლობას (114). ომი აიძულებდა რუსებს, ბევრი რამ გაეკეთებინათ რკინიგზის გამართვისათვის. საქართველოში უკვე 1918 წლის ივლისისათვის იყო 600 ლოკომოტივი და 5 000 ვაგონი, ბათუმ-ნატანების მოკლე მონაკვეთზეც კი –სამი ლოკომოტივი და რამდენიმე ასეული ვაგონი (115,59).

,,თურქეთის ჩაბმა ომში გზას გაუხსნის რუსეთს წინაპრების მიერ ნაანდერძევ ისტორიული ამოცანების გადასაწ-

ყველაზე შავი ზღვის სანაპიროზე, - „ნათქვამი იყო ნიკოლოზ II-ის მანიფესტში, რომელიც გამოქვეყნდა 1914 წლის 20 ოქტომბერს (ძვ. სტილით) თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების გამო (11,252). "კონსტანტინოპოლი უნდა გახდეს რუსეთის ქალაქი, შავი ზღვა უნდა იქცეს რუსეთის ტბად", –ასეთი იყო რუსეთის სურვილიც, მიზანიც და, გნებავთ, დევიზიც.

როგორც გამოიკვეთა, ომის დაწყების ეტაპზე ინგლისსა და საფრანგეთს საქართველოს მიმართ რაიმე გარკვეული პრეტენზიები არ ჰქონდათ. ხოლო ის ტრადიციული დამპყრობლური დამოკიდებულება, რომელიც მეფის რუსეთს ჰქონდა საქართველოს მიმართ, აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა , რადგანაც სწორედ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა აძლევდა მას საშუალებას, გაჭრილიყო როგორც სამხრეთ-დასავლეთით (კონსტანტინეპოლი, ბოსფორი, დარდანელი), ისე სამხრეთ-აღმოსავლეთით (სპარსეთი, ინდოეთი) და დაეკმაყოფილებინა თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები. ეს კი აიძულებდა რუსეთს, ფართო მასშტაბით გაეშალა სარკინიგზო მშენებლობა, რაც საქართველოსაც აძლევდა ხელს.

საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ ჯორჯი

ამრიგად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიტომისებური განვითარების შედეგად მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა დაირღვა. დაიწყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლა. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ორი

მტრულად განწყობილი ბანაკი: ანტანტა და ოთხთა კავშირი, პირველი მსოფლიო ომის ფრონტები მათი პოლიტიკური ჟინის დაკმაყოფილების პოლიგონად იქცა. საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის ერთ-ერთ უმდიდრეს და გეოგრაფიულად ხელსაყრელ მხარეს, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ამ ორი დაპირისპირებული ბანაკის იმპერიალისტურ გეგმებში. ყველას თვალი ეჭირა ამ ,,ობოლ მარგალიტზე".

გერმანიისათვის საქართველო წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან პლაცდარმს ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში (ინდოეთისა და ჩინეთისაკენ) აგრესიის გასაფართოებლად და რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი დაბრკოლებების შესაქმნელად. ერთი სიტყვით, საქართველოში დამკვიდრება მისი აღმოსავლეთისაკენ საერთო შეტევის ნაწილი იყო. ეს რაც შეეხება გერმანიის გეგმის პოლიტიკურ მხარეს, ხოლო სამხედრო-ეკონომიკურ ასპექტში, მას საქართველო აინტერესებდა, როგორც სამხედრო მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელი, შეიარაღებული ძალების ახალი ნაწილებით შევსების წყარო და გერმანიის მრეწველობისათვის იაფი სამუშაო ძალის რეზერვი.

გერმანიის მსგავსად, ბევრი მიზანი ჰქონდა თურქეთსაც. მისი პროგრამა ჩვენ პირობითად შეგვიძლია ,,მაქსიმუმად" და ,,მინიმუმად" დავყოთ. პროგრამა ,,მაქსიმუმი" ითვალისწინებდა ე.წ. დიდი თურქეთის – ,,თურანის" შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეკავებინა, ხოლო პროგრამა ,,მინიმუმი", რომელიც ძირითადად ოქტომბრის ამბების შემდეგ ჩამოყალიბდა, გულისხმობდა ოსმალეთის იმპერიასა და საბჭოთა რუსეთს შორის ბუფერული ტიპის სახელმწიფოს შექმნას; ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო საქართველო უნდა ყოფილიყო. ამავე დროს, თურქეთს სურდა, ხელში ჩაეგდო მაჰმადიანებით დასახლებული საქართველოს მიწა-წყალი. ამრიგად, გერმანიასა და თურქეთს საქართველოს მიმართ გამოკვეთილი ინტერესები ამოძრავებდათ. ამ ორ მოკავშირე სახელმწი-

ფოს თავ-თავისთვის უნდოდა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ეს ულამაზესი კუთხე. გერმანიას სურდა, ეს რესურსები თავისი სრული მონოპოლიიის ქვეშ ჰქონოდა და, ბუნებრივია, მას ასე ადვილად არ დაუთმობდა თურქეთს. ეს უკანასკნელიც ხარბად უმზერდა საქართველოს, როგორც ბუნებრივი ნედლეულის წყაროს. ასე რომ, მათი ინტერესები ამ საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდა. საქართველო მათ შორის ,,განხეთქილების ვაშლად" იქცა. ომის დასაწყისში მათ შორის წინააღმდეგობა სუსტად იყო გამოხატული, ომის დამამთავრებელ ეტაპზე კი დაიძაბა, როდესაც ამიერკავკასიის დაპყრობა უკვე რეალურ საქმედ იქცა.

ანტანტის ქვეყნებს (რუსეთის მოკავშირეებს) თითქოს არ უნდა ჰქონოდათ რაიმე პრეტენზიები საქართველოს მიმართ, რამდენადაც ეს უკანასკნელი რუსეთის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. ომის დასაწყისში ძირითადად ასე იყო, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი სურათი შეიცვალა: ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთის სამხრეთი ნაწილი გავლენის სფეროდ გაიყვეს, რის შედეგადაც საქართველო ინგლისის პოლიტიკურ ორბიტაში მოექცა.

მეფის რუსეთის მთავრობას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა სამხრეთ-აღმოსავლეთში (სპარსეთი, ინდოეთი) და სამხრეთ-დასავლეთით (ბოსფორი, დარდანელი, კონსტანტინოპოლი) თავისი სამხედრო სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ხოლო მას შემდეგ, რაც ახლო და შუა აღმოსავლეთის მიმართ XX ს-ის დასაწყისში პრეტენზიები გერმანიამაც გამოთქვა, რუსეთისათვის ამიერკავკასიის პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ახალ პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა და იგი შეეცადა თავისი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას ამ რეგიონში.

საქართველოსადმი მეომარ სახელმწიფოთა დამოკიდებულების ანალიზმა ნათლად გვიჩვენა, რომ თითოეულ სა-

ხელმწიფოს ამ ომში საკუთარი მიზნები ამოძრავებდა და საქართველოც მას მხოლოდ და მხოლოდ თავისი მიზნებისათვის სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ეს სახელმწიფოები შეგვიძლია პირობითად ორ ბანაკად დავყოთ. ერთი ბანაკი (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი) მთლიანად უგულებელყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ხოლო მეორე (გერმანია და მისი მოკავშირეები), ნებსით თუ უნებლიეთ, ისევ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას უწყობდა ხელს.

საქართველო XX საუკუნის პირველ ოცწლეულში

საქართველომ XX საუკუნეში შეაბიჯა, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელმა მხარემ. აქედან გამომდინარე, რუსეთში მიმდინარე მოვლენები პირდაპირ ასახვას ჰპოვებდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე.

XX საუკუნის დამდეგს რუსეთში დაიწყო მძაფრი ეკონომიკური კრიზისი, რამაც წარმოებათა დიდი ნაწილის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. კრიზისის პერიოდში მიმდინარეობდა წვრილ საწარმოთა ლიკვიდაცია და სამრეწველო კონცენტრაცია. რუსეთის სამრენველო ცხოვრების ახლებური პროცესები გავლენას ახდენდა საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც კოლონიური ჩაგვრის ვითარებაში მთლიანდ საიმპერიო ინტერესებისადმი იყო დაქვემდებარებული.

საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა ცალმხრივად ვითარდებოდა. ცარიზმი შეგნებულად კრძალავდა სამანქანო მრეწველობას, რადგანაც იგი ხელს შეუწყობდა ქვეყნის დამოუკიდებელ სამრეწველო წინსვალს. ის გასაქანს აძლევდა ისეთ წარმოებებს, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საგნებსა და პროდუქტებს ამზადებდნენ. იქმნებოდა რკინიგზის საჭიროებასთან, ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული სახელოსნოები. ამ მხრივ აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, ბათუმში კი ნავთობის გადამამუშავებელი და საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელი სახელოსნოები, რომლებმაც ქალაქს სამრეწველო სახე მისცეს (18, 60-68).

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მნიშვნელოვანი წინსვლა დაეტყო სამთო და მეტალურგიულ მრეწველობას (ქვანახშირის, მანგანუმის, რკინის მადნის, ვერცხლის, ტყვიის, ბარიტის, ცეცხლგამძლე რკინის მოპოვება) (18, 86-99). აღმავლობას განიცდიდა ხე-ტყის დამამუშავებე-

ლი და საშენ მასალათა წარმოებანი, საფეიქრო, ტყავისა და ფეხსაცმლის, თამბაქოს, მინის, საპნის, ზეთსახდელი ფაბრიკები, ყველ-კარაქის ქარხნული წარმოება და სხვა (18, 68-85). დასახელებული დარგების შემდგომი აღმავლობა ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვისა და სამრეწველო გადატრიალების პროცესის გაღრმავების ბაზაზე მიმდინარეობდა.

აღნიშნული პერიოდისათვის შეინიშნება უცხოური კაპიტალის მოძალება (ფრანგულის, ინგლისურის, გერმანულის) რუსეთის იმპერიის ამ რეგიონში. სამრეწველო ცხოვრების დაბალი დონის გამო რუსეთი ვერ ახერხებდა, აეთვისებინა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, ამ უკანასკნელს კი საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საკუთარი კაპიტალი არ გააჩნდა.

ამრიგად, საქართველოს მრეწველობა 1900-1914 წლებში სწორხაზოვნად არ ვითარდებოდა. სამრეწველო აღმავლობა შეიცვალა XX საუკუნის დამდეგის ეკონომიკური კრიზისითა და მისი მომდევნო დეპრესიით, რაც თითქმის ყველა ძირითადმა დარგმა განიცადა. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად, მრეწველობამ სწრაფი ტემპით იწყო განვითარება. წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია გაძლიერდა. საწარმოთა რიცხვი შემცირდა, დაქირავებულ მუშათა, და მეტადრე, წარმოებული პროდუქციის ოდენობა გაიზარდა (18, 109).

XX საუკუნის დასაწყისიდან პირველ მსოფლიო ომამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა. თანდათან იზრდებოდა მიწათმოქმედების უმეტესი დარგების საქონლიანობა (მემარცვლეობაში, მესაქონლეობაში, მევენახეობა-მებაღეობაში, მეთამბაქოებაში, მეაბრეშუმეობაში), სასაქონლო და კაპიტალისტური ურთიერთობების შემდგომი განვითარების პირობებში კიდევ უფრო ღრმავდებოდა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის პროცესი (18, 113).

XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობა შინაგან და საგარეო ბაზრებს ყოველწლიურად აწოდებდა 2-3 მილიონი მანეთის მარცვლეულს, 10-12 მილიონი მანეთის ღვინოს, 1-1,5 მილიონი მანეთის სპირტს, 12-13 მილიონი მანეთის მესაქონლეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებს, 2-3 მილიონი მანეთის აბრეშუმს, 7-8 მილიონი მანეთის თამბაქოს, 1-2 მილიონი მანეთის ბამბას, 3-4 მილიონი მანეთის ხილ-ბოსტნეულსა და სხვა (18,126).

ასე რომ, XX საუკუნის დასაწყისისათვის კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ დააჩქარა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროცესი. პირველ მსოფლიო ომს საქართველო ღონიერი და მდიდარი სოფლის მეურნეობით შეხვდა.

სოფლად გაძლიერდა კოოპერაციული მოძრაობა, რომელიც დევნიდა ძველი ყაიდის ვაჭარ-მევახშეებს და ნერგავდა ვაჭრობა-კრედიტის კაპიტალისტურ ფორმებს, რაც აჩქარებდა და აღრმავებდა გლეხობის დაშლას ბურჟუაზიული საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გლეხობაში დაწყებული დიფერენციაციის პროცესი ამ დროისათვის თანდათან ღრმავდება, რასაც სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამაც შეუწყო ხელი. ჩნდებოდნენ შეძლებული გლეხები, რომლებიც მდიდრდებოდნენ სოფლის ღატაკი მოსახლეობის მიწა-წყლის მიტაცების ხარჯზე. ეს პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში. მაგალითად, ყვარელში მსოფლიო ომის წინ 40-ზე მეტ გლეხს მოჯამაგირეები და დღიური მუშები ჰყავდა, ახალსოფელში – 20 გლეხს, კურდღელაურში – 10-15 გლეხს, იყალთოში – 7-10 გლეხს და სხვა (5, 388-390).

კულაკური ზედა ფენის გაჩენის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც (18, 130-131).

დასავლეთ საქართველოში კულაკობა პროცენტულად უფრო ნაკლები იყო და შედარებით მცირე მასშტაბის მეურ-

ნეობას ეწეოდა, მაგრამ ბევრი მათგანი სოფლის მეურნეობასთან ოსტატურად ათავსებდა ვაჭრობა-მრეწველობას და თანდათან ზრდიდა თავის ქონება-შემოსავალს (იქვე). მცირე მიწიანი და უმიწაწყლო გლეხობა (გლეხობის 60-65%) არსებითად დაქვეითებული იყო პროლეტარის და ნახევრად პროლეტარის მდგომარეობამდე. ისინი იძულებულნი იყვნენ, არსებობის სხვადასხვა წყარო გამოენახათ. ერთ-ერთი მათგანი იყო გარე სამუშაოებზე გასვლა, რომელმაც საუკუნის დასაწყისიდან ფართო ხასიათი მიიღო. გაღატაკებული გლეხობის ნაწილი სამრეწველო მუშათა კლასის რიგებში გადადიოდა, უმრავლესობა კი თავისი შრომითი საქმიანობის დროებით ასპარეზად ქალაქს თვლიდა და იმაზე ოცნებობდა, რომ აღებული გროშებით სოფლად მეურნეობა გაეფართოებინა. მათ ცალი ფეხი საკუთარ მიწაზე ედგათ, მეორე კი – დამქირავებლის წარმოებაში.

უმიწაწყლო გლეხთა ერთი ნაწილი იძულებული ხდებოდა, მიემართა მემამულისათვის და მძიმე საიჯარო პირობებში წარემართა მეურნეობა. ამას ზედ ერთვოდა სახელმწიფო გადასახადები. ორმაგი ჩაგვრა კი საქართველოს გლეხობას უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის განაწყობდა. თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ასპარეზი საქართველოში სოფელი იყო.

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად საქართველოს სოციალურ ფენათა შორის თავის ხვედრით წილს თანდათან აფართოვებდა მუშათა კლასი.

სოციალურ ცვლილებებს განიცდიდა თავადაზნაურთა ფენაც. გაჩანაგდა ბევრი თავადაზნაურული მეურნეობა, მამული ვალებში გაიყიდა. შესამჩნევი იყო რიგ მემამულურ მეურნეობათა ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის ტენდენციაც. მემამულეთა ნაწილი (გ. მუხრანბატონი, ი. რატიშვილი, ძმები სულხანიშვილები, მ. ერისთავი, ნ. ციციშვლი) ცდილობდა, შრომის ნაყოფიერება აემაღლებინა აგროლონისძიებათა ხარჯზე. ამაში მათ წოდებრივი ორგანიზაციებიც ეხმა-

რებოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია თავადაზნაურთა საკრებულოებისა და საადგილმამულო ბანკის საქმიანობა, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს სამეურნეო საკითხების მოგვარებას (18, 134) და ბევრ სასიკეთო საქმესაც ჩაუყარეს საფუძველი. აქვე აღვნიშნავთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობას ქვეყნის კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო იზრდებოდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობა, რომლის წვრილბურჟუაზიული მასა დიდად აღემატებოდა ე.წ. პროლეტარიატს" (27, 131).

წვრილბურჟუაზიულ ფენას მიეკუთვნებოდა ინტელიგენციაც, რომელიც საკუთრებას არ ფლობდა და მთლიანად ხელფასებზე იყო დამოკიდებული. ინტელიგენციის ძირითადი შემადგენლობა წვრილბურჟუაზიული მასიდან იყო გამოსული და პოლიტიკურად მის სულისკვეთებას ასახავდა. მართალია, ინტელიგენტთა შორის თავადაზნაურული გვარების წარმომადგენლებიც ერივნენ, მაგრამ ისინი სოციალურად თავიანთ კლასთან აღარ იყვნენ დაკავშირებულნი, რადგან მამულებს აღარ ფლობდნენ. საქართველოს ინტელიგენცია დემოკრატიული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. თერდგალეულთა იდეოლოგიაზე აღზრდილი გაბედულად ამჟღავნებდა კოლონიური რეჟიმისადმი შეურიგებლობას და სათავეში ედგა ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაკადი შექმნა ახლადფეხადგმულმა ეროვნულმა ბურჟუაზიამ, რომელსაც თავისი ინტერესები გააჩნდა. მცირერიცხოვნების მიუხედავად, ის აქტიურად იბრძოდა ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრების დაუფლებისათვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად, საბოლოო

მიზნად ისახავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას.

მაშასადამე, პირველი მსოფლიო ომის წინ კაპიტალისტური ურთიერთობების ინტენსიურმა ზრდამ ქალაქად და სოფლად თავისი ასახვა ჰპოვა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზეც: დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს გლეხთა კლასის დიფერენციაციის პროცესი: გაჩნდნენ კულაკები, საშუალო შეძლების და უღარიბესი გლეხები, თავადაზნაურთა ერთიანი კლასი შეცვალა გაბურჟუებულმა და გაღარიბებულმა თავადაზნაურობამ, გაიზარდა მუშათა კლასი და ინტელიგენტთა ფენა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა: რევოლუციური სიტუაციის აღმოცენება, 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, პოლიტიკური რეაქციის ბატონობა, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება, რომელმაც ასახვა ჰპოვა ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ახალ-ახალი პოლიტიკური ჯგუფებისა თუ პარტიების მოღვაწეობაში – აი, ყველაფერი ის, რამაც წარმართა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება XX საუკუნის დასაწყისიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. საქართველოს მუშათა კლასმა, გლეხობამ, წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა ფენებმა 1905-1907 წლების რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მუშათა 1905 წლის ივნისის, ოქტომბრისა და დეკემბრის პოლიტიკური გაფიცვები. ორგანიზებულობითა და შემტევი ხასიათით გამოირჩეოდა გლეხთა მოძრაობაც, რომლის შესახებ საკმარისია ითქვას, რომ ის გასცდა სტიქიური აღშფოთებისა და ტერორის ფარგლებს და თვითმპყრობელობისა და მემამულეების წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ შეიარაღებულ ბრძოლად იქცა. ამიტომ გაუსწორდა დიდი სისასტიკით საქართველოს მოსახლეობას თვითმპყრობელობა. რევოლუციის დამარცხებას ქვეყანაში მოჰ-

ყვა რეაქციის მძიმე წლები. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა, შეიქმნა „ოხრანკის“ კავკასიის განყოფილება. დაიწყო მასობრივი რეპრესიები. გენერლების – ბაუერისა და ალიხანოვ-ავარიელის რაზმებმა ცეცხლს მისცეს საქართველოს ქალაქები და სოფლები (15, 208). დევნის გამო ემიგრაციაში ბევრი ქართველი მოღვაწე გადაიხვეწა. მეფის მთავრობის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკა განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა საქართველოს კოლონიზაციის გაძლიერებით. 1908-1915 წლებში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან საქართველოში 66 ათასი კაცი გადმოასახლეს. თვითმპყრობელობას განზრახული ჰქონდა, საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში ნახევარი მილიონი კოლონისტი გადმოესახლებინა და მხარის მოსახლეობაში რუსების ხვედრითი წილი 2,5%-დან 15%-მდე გაეზარდა. ამით ის, ჯერ ერთი, „სეპარატიზმისათვის“ სჯიდა ქართველებს და აქ თავისი ბატონობის სოციალურ დასაყრდენს აძლიერებდა და მეორეც: აღნიშნული ღონისძიებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კონსტანტინოპოლისა და ინდოეთისათვის ბრძოლის რთულ გზაზე. მაგრამ რეაქციამ ვერ შეძლო რევოლუციის მონაპოვრების მთლიანად გაუქმება. სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს არსებობა, სტოლიპინის აგრარული რეფორმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რუსეთის ფეოდალური მონარქიის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. რუსეთის სახელმწიფო წყობილებასა და ეკონომიკურ ურთიერთობებში მომხდარმა ამ სერიოზულმა ცვლილებებმა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა – ხელი შეუწყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას. ქართველები მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს მუშაობაში. მოღვაწეობას აგრძელებდნენ რევოლუციის დაწყებამდე და რევოლუციის მიმდინარეობის პროცესში ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები და მიმდინარეობები. „მათ შორის დიდი კა-

მათი, დავა, ბრძოლა გაჩაღდა საქართველოს მაშინდელი აწყმოს ყველაზე არსებით საკითხზე – ეროვნულ საკითხზე, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე" (208).

საქართველოში ყველაზე ადრე მუშათა პარტიები შეიქმნა, თუმცა ისინი დამოუკიდებელ ეროვნულ პარტიებად ვერ გაფორმდნენ და რუსეთის შესაბამისი მუშათა პარტიისრსდმპ-ს- ბოლშევიკური და მენშევიკური ფრთის შემადგენელ ნაწილებად იქცნენ. ისინი იმთავითვე უგულებელყოფდნენ ეროვნულ საკითხს. მათი მოძღვრების მიხედვით, ეროვნული საკითხი·კლასობრივს ექვემდებარებოდა. ეროვნული ნიჰილიზმი, ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინააღმდეგ მათ თავიანთ დროშად გაიხადეს. კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს პრინციპად აღიარებით სოციალურ-დემოკრატებს გათიშვა შეჰქონდათ ეროვნული ფრონტის მთლიანობაში. სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ მათ მიერ IV სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით გამოსული ვარლამ გელოვანის წინააღმდეგ მიმართული კამპანია. თუმცა მოვლენების განვითარების პარალელურად ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, ანგარიში გაეწიათ ეროვნული მოძრაობისთვისაც და მის წინაშე სერიოზულ დათმობებზე წასულიყვნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველი მენშევიკებისაგან ე.წ. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" აღიარება, რომლის მიხედვით, ავტონომია უნდა მისცემოდა არა საქართველოს, არამედ ქართველ ერს ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად და მის კომპეტენციაში უნდა შესულიყო მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხები (4,180). სოციალ-დემოკრატების ეროვნულ პროგრამას უპირისპირდებოდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია, რომელიც აღმოცენდა ქართველ დემოკრატ ინტელიგენტთა იმ ჯგუფიდან, რომელიც „ივერიასა" და „ცნობის ფურცელში" თანამშრომლობდა. ის ეროვ-

ნულ საკითხში თავგამოდებით იცავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეას რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის ფორმით. სოციალისტ-ფედერალისტების წიაღში იშვა და შემდეგ ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის სათავეებთან ილია ჭავჭავაძე იდგა. მათი პროგრამაც თავდაპირველად საქართველოს ავტონომიური ერთეულის შექმნას მოითხოვდა (24,50).

მაშასადამე, თუ სოციალ-დემოკრატები უგულებელყოფენ ეროვნულ საკითხს, „საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ეროვნული პროგრამის ღერძს ავტონომიის მოთხოვნა წარმოადგენდა. პოლიტიკური რეაქციის წლებში ამ იდეის რეალიზაციისათვის მათ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ" (4, 196-197). პრაქტიკული საქმიანობის გააქტიურებისათვის პირობები კი პირველმა მსოფლიო ომმა შექმნა.

ამდენად, პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთში მიმდინარე დიდმა პოლიტიკურმა ძვრებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, რუსეთის თვითმპყრობელობის მცდელობაში, გაეძლიერებინა საქართველოში რუსიფიკატორული და კოლონიზატორული პოლიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურებაში. იზრდებოდა ბრძოლა სოციალური სამართლიანობისათვის და ამავე დროს წინა პლანზე იდგა ეროვნული თვითშეგნება. ამ ორი საწყისის მორიგება იყო სხვადასხვა თაობისა და მიმდინარეობის ქართველ მოღვაწეთა უმთავრესი საფიქრალ-სააზრუნავი.

ამრიგად, მსოფლიო ომის წინ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ფაქტობრივად რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებით იყო შეპირობებული. მაგრამ მეფის ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად. კაპიტა-

ლიზმის განვითარებამ საქარტველოში ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას. სახალხო მეურნეობაში მიმდინარე ძვრებმა კი გააღრმავა საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესი. ქვეყანაში მიმდნარე ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა მოამზადეს საქართველოს მუშათა კლასი, ბურჟუაზია, გლეხობა (კულაკებად, საშუალო შეძლებისა და უღარიბეს ფენებად გაყოფილი), დაქსაქსული თავადაზნაურობა და რიცხობრივად მზარდი ინტელიგენცია ომის წინა და ომის დროინდელ სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ომმა თავისი გავლენის სფეროდ აქცია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა უბანი. მას დაექვემდებარა რკინიგზა, ზღვაოსნობა, ვაჭრობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და სხვა. ომის დაწყებამ არსებითი ხასიათის ცვლილებები გამოიწვია მრეწველობის სფეროში. ამიერიდან გამოშვებული პროდუქცია ომის საჭიროებას უნდა მოხმარებოდა. პროდუქციის ზრდა კი მიმდინარეობდა არა ახალი ფაბრიკა-ქარხნების ამუშავების ხარჯზე, არამედ უკვე არსებულის სამხედრო რელსებზე გადაყვანით. სამრეწველო პროდუქციის გადიდებას, აგრეთვე ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებასა და მატერიალური რესურსების მობილიზაციას ემსახურებოდნენ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები. ერთ-ერთი ასეთი კავკასიის სამხარეო-სამრეწველო კომიტეტი დაარსდა თბილისში 1915 წლის ივნისის ბოლოს. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თბილისის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე, კაპიტალისტი მილოვი, პრეზიდიუმის წევრებად – ფაბრიკანტი ენფიანჯიანცი და ჟურული (247). სექტემბერში ამ ორგანოს სახელი შეეცვალა და ეწოდა „ამიერკავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი“. მის შემადგენლობაში შევიდნენ ამიერკავკასიის ქალაქების სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები. საქართველოდან თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა

და ფოთის ორგანოები. თბილისის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში 18 საწარმო შედიოდა, ბათუმისაში – 8. მათ ევალებოდათ ასაფეთქებელი მასალების, ხელყუმბარების, ჯარისათვის საჭირო ტანისამოსისა და პროდუქტების მომზადება (38, 147).

აღსანიშნავია, რომ I მსოფლიო ომის წლებში იმპერიის სამრეწველო ცენტრებიდან დიდი ნგრევა საქართველოს მრეწველობამ განიცადა. ჯერ კიდევ ომის პირველი თვეების განმავლობაში მრეწველობის მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა დარგებმა წარმოება 40-50%-ით, ხოლო მუშათა რიცხვი 13 %-ით შეამცირეს (ომის დასაწყისისათვის საქართველოში მუშათა რაოდენობა დაახლოებით 45 000 კაცამდე იყო (13, 22)). ეს მაშინ, როდესაც იმპერიის მასშტაბით საქარხნო საფაბრიკო ინსპექციას დაქვემდებარებულ საწარმოთა რიცხვი 30% -ით, ხოლო მუშათა რაოდენობა მხოლოდ 10 %-ით შემცირდა (19, 320-321).

ომის გამო ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობამ შეამცირა ან საერთოდ შეწყვიტა პროდუქციის გამოშვება, რის გამოც 1914 წლის მეორე ნახევარში თბილისის გუბერნიაში გაიზარდა უმუშევართა არმია (148, 324). დაიშალა ბევრი ძველი წაროება. იმ საწარმოთა შორის, რომლებიც ომის დაწყების შემდეგ მთლიანად გადავიდნენ სამხედრო უწყების დაკვეთების შესრულებაზე (რამაც მათი შედარებითი აღმავლობა გამოიწვია), უნდა დავასახელოთ: საწარმოო იარაღების მკეთებელი მექანიკური საწარმოები, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები (ისინი ძირითადად ნაღმებს უშვებდნენ), ზოგიერთი დამხმარე სარემონტო საწარმო, ტყავის, ფეხსაცმლისა და საფეიქრო წარმოება, თამბაქოს გადამამუშავებელი, ზეთის, საპნისა და სანთლის წარმოება, 1915 წლიდან ამუშავებული პიტოევის ხელყუმბარების ქარხანა (31,163). უნდა აღინიშნოს ამიერკავკასიის მილატერიზაციის მაღალი დონე რუსეთის სხვა რაიონებთან შედარებით. მაგ., 1916 წლის ბოლოს რუსეთის იმპერიაში ომის სა-

ჭიროებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოში დასაქმებული იყო რუსეთის მუშათა კლასის 73,3 %, ამიერკავკასიაში – 78,2 % (39,68).

ომმა საწარმოებს კვალიფიციური მუშა მოსწყვიტა. მისი ადგილი არაკვალიფიციურმა მუშებმა, ქალებმა და მოზარდებმა დაიკავეს. ამან ომის პირველივე თვეებში გამოიწვია შრომის ნაყოფიერების დაცემა. ამ უკანასკნელს ხელს უწყობდა აგრეთვე სათბობისა და ნედლეულის ნაკლებობა. ეს ყველაფერი კი მეფის ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა, გაედიდებინა სამუშაო დღე. ცარიზმის მესვეურები ამ გადაწყვეტილებას „გარდაუვალი საჭიროებით" ამართლებდნენ (148, 342). ომის დაწყების პირველივე დღეებში დღის ხანგრძლივობა 9-10 სთ-დან 12 სთ-მდე გაიზარდა (13, 19). ამავე დროს, მეფის რუსეთი გადასახადებსაც ადიდებდა. იგი საქართველოდან ჯერ კიდევ ომამდე საშუალოდ 5,5 მილიონ ოქროს მანეთზე მეტ შემოსავალს იღებდა ყოველწლიურად (19,322). ამას ემატებოდა ფულის გაუფასურებაც – სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგის შემცირება (148, 347).

არასაკმარისი პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა ხალხის მოთხოვნებს, ეს კი იწვევდა ფასების ზრდას. უკვე 1914 წლის აგვისტოში იმდენად აიწია სურსათ-სანოვაგის ფასებმა, რომ მეფისნაცვალმა ნიხრი დააწესა ხორცსა და პურზე. ტყავეულობა სრულიად აღარ იშოვებოდა, საბაკლო და საგალანტერიო საქონელი საარაკოდ შემცირდა, ისე რომ, შეუძლებელი იყო მათზე ფასების მომატების გამორკვევა. ვაჭრებს ოქროს ხანა დაუდგათ –საქონლის საბაზრო ღირებულება მათი პირადი სურვილით ისაზღვრებოდა (235).

ყველაფერ ამას თუ დავუმატებთ, რომ საშინაო ვაჭრობა არ იყო სათანადოდ განვითარებული და იგი მუშათა ენერგიას ვერ იყენებდა, ხოლო სასტუმროებისა და ღვინით ვაჭრობის დარგში აღებ-მიცემობა ერთნაირად დაეცა, რაც უკიდურესად ავიწროვებდა მუშა ხალხს, ანადგურებდა წვრილ მესაკუთრეს და შლიდა ეროვნულ ცხოვრებას, ადვილი წარ-

მოსადგენია ქართველთა ეკონომიკური ყოფის ამსახველი სურათები, ქართველი მუშები (და მათთან ერთად გლეხები) ფრონტის ზურგში.

საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის ცხოვრებასთან. მოსკოვ-ლოძის მანუფაქტურების გაბატონებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ადგილობრივი მრეწველობა. მოსპო გადამამუშავებელი მრეწველობა, რამაც ქართველი ხალხი რუსული წარმოების მომხმარებლად აქცია. ომის წლებში ექსპორტისა და იმპორტის საშუალებები შეიზღუდა, რამაც მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო საბედისწერო გახადა. საქართველოდან ვერ გადიოდა სარეალიზაციო საქონელი და ვერ შემოდიოდა აუცილებელი და საჭირო საგნები, რის შედეგადაც ხალხი თავს სრულიად ვერ იკმაყოფილებდა. „აბა რა მნიშვნელობა აქვს შავ ქვასა და ნახშირს ჩვენთვის? ან ტყის მასალას, შეშას და სხვა, რომელიც სოფელში ვერავის გაუსაღებია", – უიმედოდ კითხულობდა გაზ. „სახალხო ფურცლის'' კორესპონდენტი 1916 წლის 469-ე ნომერში. ომმა ფოთსაც თავისი დაღი დაასვა. ახალი საქონელი აღარ გადაჰქონდათ, განსაკუთრებით შეწყდა სურსათის გადაზიდვა. ქალაქი ნელ-ნელა იცლებოდა და ყველანი თავშესაფარს ეძებდნენ (175).

შეწყდა საზღვარგარეთ მარგანეცის გაზიდვაც. მთელი ეს მდიდარი წარმოება გაიყინა ომის გამო. თუ 1913 წელს მოიპოვეს 56 289 ფუთი, 1917 წელს –12 488. მაშინ, როდესაც 1909-1914 წლებში გერმანულმა ფირმებმა ჭითურიდან 90 მილიონი ფუთი მარგანეცი გაზიდეს (18,96). იმავე წლებში მსოფლიო ბაზარზე გატანილი მარგანეციდან საქართველოზე მოდიოდა 41 %, ბრიტანეთის ინდოეთზე 35% ბრაზილიაზე – 14 %, ხოლო ყველა სხვა ქვეყანაზე –10 % (256, 293). შემცირდა ქვანახშირის წარმოებაც. თუ 1913 წელს მოიპოვეს 4 199 ფუთი, 1917 წელს მხოლოდ – 3 379. ბოსფორისა და დარდანელის დაკეტვის შემდეგ თითქმის მთლიანად შეწყდა ვაჭრობა საზღვარგარეთთან (64, 14).

ომის წლებში შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო რკინიგზა. 1915 წლის დასაწყისიდან რუსული სამხედრო ნაწილების ზრდა კავკასიაში და მათი წინსვლა ოსმალეთის ტერიტორიის სიღრმეში დღის წესრიგში აყენებდა ჯარის ნაწილების ტრანსპორტირების საკითხს. ომის დროს ამიერკავკასია ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებული იყო მხოლოდ ერთლიანდაგიანი რკინიგზით ბაქოზე გავლით პეტროვსკამდე (მახაჩკალა), მისი და გზათკეცილების დაბალი გამტარუნარიანობის გამო მეფის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა 1902 წლიდან ტუასპე-სენაკის რკინიგზის გაყვანა შავი ზღვის სანაპიროზე. მის მშენებლობას ხელი შეუშალა რუსეთ-იაპონიის ომმა, შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ.

რკინიგზის მშენებლობა ომის დროსაც გაგრძელდა. მასში ადგილობრივ მუშებთან ერთად ავსტრალიელ, გერმანელ და თურქ ტყვეებსაც ამუშევებდნენ (13,75). უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთა ხელით ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში მას შემდეგ, რაც 1915 წლის აგვისტოს გამოქვეყნდა რუსეთის იმპერიის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ბრძანება სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ობიექტებში ტყვეთა მუშაობის გამოყენების შესახებ (118). ომის წლებში შენდებოდა კახეთის რკინიგზა, აგრეთვე რკინიგზა ნოვოროსიისკი-ბათუმი, ნებართვა იყო თბილისი-ვლადიკავკაზის რკინიგზის მშენებლობაზე, რომელიც 1300 კმ-ით შეამცირებდა მანძილს ამ ორ ქალაქს შორის, რადგან ბაქოს გავლით მანძილი 1500 კმ იყო (155, 107-108).

ომის საჭიროვებამ მოითხოვა კავკასიის საუღელტეხილო გზის მშენებლობის დაწყება, რომელსაც თბილისი კავკაზთან უნდა დაეკავშირებინა. გზის დამთავრება გათვალისწინებული იყო 1917-1922 წლებში. მის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველები ინჟინერ ი. მ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. რუსეთის იმპერიალიზმის მოსარჩლის მიხეილ მენშიკოვის აზრით, საუღელტე-

ხილო რკინიგზა უდიდეს საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობას შეიძენდა ზავის შემდეგ, რადგანაც მთელი აზია მოჰყვებოდა გამარჯვებული რუსეთის სტრატეგიული და სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროში. ის რუსეთს დააკავშირებდა როგორც ბაღდათთან, ისე ევროპასთან და გზასაც გაზსნიდა აფრიკის მიმართულებით.

მ. მენშიკოვის მიერ კარგად არის დანახული ქართველი კაცის შესაძლებლობები. მას სომხეთთან შედარებით უპირატესობა აქვს მიცემული. იგი მიჩნეულია საომარ მოქმედებასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმეთა საუკეთესო მომგვარებლად, როგორც ოსმალეთის საქართველოში, ისე თვით სომხეთში, ტრაპიზონსა თუ არზრუმში. მენშიკოვის აზრით, ომის წლებშიც კი ქართველებს შეჰქონდათ კაპიტალისტური კულტურა სპარსეთში. იგი თვლიდა, რომ საუღელტეხილო გზა კიდევ უფრო ფართო გასაქანს მისცემდა ქართულ კულტურას, მთლიანად საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობას (220).

მრეწველობასთან ერთად დაზარალდა სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეცხოველეობა. I მსოფლიო ომის პერიოდში ჯერ შემცირდა, ხოლო შემდეგ თითქმის სავსებით შეწყდა ჩრდილოეთ კავკასიიდან მსხვილრქიან და წვრილფეხა პირუტყვთა მოდენა (ომამდე კი იგი ამიერკავკასიაში სახორცედ დაკლული პირუტყვის მნიშვნელოვან წილს შეადგენდა). სამაგიეროდ გაიზარდა პირუტყვის დაკვლა არმიის საჭიროებისათვის და ცხენისა და ხარ-კამეჩის სატრანსპორტო საშუალებად გამოყენება. არმიისათვის ამ მიზნით წაყვანილი პირუტყვი, ცხადია, სოფელს უკან აღარ უბრუნდებოდა. ომის წლებში მთელი ეს მოთხოვნილება ამიერკავკასიის მეცხოველეობას დაანვა. ომის მხოლოდ პირველი ორი წლის განმავლობაში ამიერკავკასიამ არმიას მიაწოდა მსხვილრქიანი პირუტყვი – 297 054 თავი. წვრილფეხა – 63 362 თავი. მომდევნო წელს მიწო-

დება კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო, რადგანაც ჩრდილოეთ კავკასიიდან პირუტყვის შემოდენა არსებითად შეწყდა.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ცხრილის სახით ვაჩვენოთ ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობა ომამდე და ომის დროს მსხვილქიან პირუტყვთა (ხარი, ძროხა, კამეჩი და მათი ნამატი) რაოდენობის მიხედვით.

ცხრილი #1

ქვეყნის დასახ.	1913 წ.	% ჯამთან	1916 წ	% ჯამთან
საქართველო	1 302 000	40. 98	1 082 000	48. 09
სომხეთი	511 000	16. 08	506 000	22. 49
აზერბაიჯანი	1 364 000	42. 94	662 000	29. 42
სულ	3 177 000	100 %	2 250 000	100.0
%	100.0		70.8	

(8,818-819)

მართალია, ამ სქემის მიხედვით აზერბაიჯანი ყველაზე უფრო დაზარალებული მხარეა მეცხოველეობის თვალსაზრისით, მაგრამ საქართველოც რომ არასახარბიელო მდგომარეობაშია, ესეც ნათელია.

არანაკლები ზიანი მიაყენა ომმა მეცხენეობას. წარმოვადგენთ ცხრილს

ცხრილი №2

ქვეყნის დასახ.	1913 წ.	% ჯამთან	1916 წ	% ჯამთან
საქართველო	121 000	38. 17	77 000	39.49
სომხეთი	37 000	11. 67	32 000	16. 41
აზერბაიჯანი	159 000	50. 16	86 000	44. 10
სულ	317 000	100.0	195. 000	100.0
%	100.0		61. 5.	

(8,823)

ომის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველწლიურად იზრდებოდა ფასები მეცხოველეობის პროდუქტებზე. 1916, განსაკუთრებით 1917 წლიდან ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ბაზრებში ძალიან ხშირად მაღალ ფასებშიც არ იშოვებოდა მეცხოველეობის პროდუქტები (8, 224-285). ბამბეულისა და შალეულის ფასებმა 300- 400 %-ით მოიმატა. შემცირდა აბრეშუმითა და მატყლით ვაჭრობა, რითაც თუშეთს, კახეთსა და იმერეთს მოესპოთ სახსარი მეურნეობის ფეხზე წამოყენებისა.

1915 წლიდან ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი სოხუმის ოკრუგში, თანდათან დაეცა მეთამბაქეობაც. ამისი მიზეზი შემდეგი იყო: 1) თურქეთის ქვეშევრდომ გამოცდილ ლაზ და ბერძენ მეთამბაქოეთა სოხუმის ოკრუგიდან სამშობლოში წასვლა; 2) საგარეო და საშინაო ბაზრებთან მიმოსვლის შეწყვეტა (თამბაქოზე მოთხოვნის დაცემა) და 3) რუსეთისაგან აფხაზეთის მოწყვეტა, რამაც გამოიწვია ფასების მომატება ფქვილზე და კარტოფილზე. ეს პროდუქტები ომამდე ყუბანიდან შემოჰქონდათ. მიმოსვლის საშუალებათა ჩაკეტვამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი საქართველოში შემოტანა, ამან კი ადგილობრივი გლეხები აიძულა, აქამდე თამბაქოს პლანტაციებით დაკავებულ მიწებზე პურეული და კარტოფილი დაეთესათ (9,227)

საქართველოში საგრძნობი სიძნელეები შეიქმნა მარცვლეულის სფეროშიც. იმ დროს ამიერკავკასიას ყოველწლიურად სჭირდებოდა დაახლოვებით 28-29 მილიონი ფუთი პური. მარცვლეულისა და ფქვილის რეგულარული იმპორტი კი დარღვეული იყო, რის გამოც სოფელი მწვავე სასურსათო გაჭირვებას განიცდიდა. მდგომარეობა ეტაპობრივად უარესდებოდა არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების, ცუდი და არასაკმარისი სათესლე მასალის, სახნავი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის დაუმუშავებლობის გამო: დიდძალი მამრობითი სქესის მოსახლეობის არმიის რიგებში გაწვევამ ამიერკავკასიის სოფლებში თვალსაჩინოდ შეამცი-

რა მუშახელის რაოდენობა: მაგალითად, საქართველოს ისედაც ჩამორჩენილ სახალხო მეურნეობას ომმა გამოსტაცა 300 000-ზე მეტი მუშახელი. სოფელი ბავშვების, ქალებისა და ხეიბრების ანაბარა დარჩა. ამას ისიც დაემატა, რომ ომთან დაკავშირებული სიძნელეების გამო თითქმის სრულებით შეწყდა მეზობელი ირანიდან მუშათა შემოსვლა. იქიდან ხომ ომამდე ამიერკავკასიაში ყოველწლიურად 150 000-მდე მუშახელი შემოდიოდა.

ნათესების შემცირებას ხელი შეუწყო აგრეთვე ისედაც ხშირმა ეპიდემიებმა, რაც განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა სამხედრო საჭიროებისათვის პირუტყვის ერთი რაიონიდან მეორეში ხშირი გადაყვანის გამო. ამან დიდძალი შინაური პირუტყვის, გამწევი ხარისა და მეწველი ძროხების დაცემა გამოიწვია. მიმოზიდვის (ტრანსპორტის) საშუალებათა შემცირებამ გააძნელა ცალკე რაიონებს შორის სასურსათო პროდუქტების გადანაწილება, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა სასურსათო პრობლემები. 1915 წლისათვის მდგომარეობა უკვე აშკარად საშიში იყო. პურეულისა და მარცვლეულის სიმცირე იწვევდა ფასების ზრდას, რაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მოსახლეობის მდგომარეობას. სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით 1915 წელს თბილისში გაიმართა საგანგებო თათბირი „პირველი აუცილებლობის საგანთა ფასების და ბინის ქირის მზარდი სიძვირის თავიდან აცილების მიზნით". თათბირზე სიტყვით გამოვიდა კავკასიის მეფისნაცვალი, რომელიც იძულებული გახდა, ეღიარებინა სურსათსანოვაგის მეტისმეტი გაძვირების და ბინის ქირის შეუჩერებელი ზრდის შედეგად მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა. ამასთან, იზრდებოდა გადასახადები. 1914 წლის 24 დეკემბერის კანონით, 15%-ით გადიდდა გლეხთა საადგილმამულო გადასახადი (19, 321).

ქართველი კაცის გასაწირს ერთი უბედურებაც ემატებოდა: წყალდიდობა და მოუსავლიანობა მათ უკანასკნელ სარჩოს ართმევდა პირიდან. ასე, რომ უკვე 1915 წლის ბო-

ლოსათვის ჩვენი ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ რაც უფრო გაჭირდა ცხოვრება, მით უფრო მეტი თვითმოქმედება დაეტყო პროვინციებს. სოფელში გაჩაღდა საკოოპერაციო მოძრაობა, ჯერ მარტო 1915 წელს იმდენი კოოპერატივი შეიქმნა, რამდენიც არ შექმნილა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. იქმნებოდა კოოპერატივთა კავშირები, სამაზრო-სარაიონო საკოოპერაციო ბიუროები, ქუთაისში საგუბერნიო-საკოოპერაციო კომიტეტიც შედგა, დაწესდა კახეთის საკოოპერაციო კავშირი. ამ მოძრაობამ განსაკუთრებით ძლიერი ხასიათი სოფელში მიიღო. აქ კოოპერატივი ბრძოლის ერთადერთ საშუალებად იქცა სიძვირის წინააღმდეგ, მაგრამ ფასების მომატება მაინც უსწრებდა კოოპერაციას (ომს ხომ თავისი კანონები აქვს, მართალია სასტიკი, შეუვალი, მაგრამ გარდაუვალი!). რაც მათ სისუსტეს განაპირობებდა. მიუხედავად ამისა, კოოპერაციულმა მოძრაობამ მაინც დიდი სამსახური გაუწია ხალხს (218).

იმდროინდელი პრესის ფურცლებზე სისტემატიურად შუქდებოდა ქალაქსა თუ სოფლებში მიმდინარე პროცესები. საქართველოს სოფლებში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ასახავს ,,სახალხო ფურცელში" დაბეჭდილი სტატიები. 1914 წლის 99-ე ნომერში შემზარავადაა აღწერილი ქართველი მუშისა და გლეხის ყოფა: ,,თანამედროვე სიძვირე ცხოვრების მანძილზე რამდენადმე ასატანია მწარმოებელ გლეხ-მუშისათვის, როცა ამ უკანასკნელთა ნახელობებს გზა აქვს გახსნილი. მაგრამ როცა ხალხის ნაწარმოებს გასავალი არა აქვს, ხოლო ცხოვრებას ახალი წყაროები ენერგიის ამოძრავებისა არ გააჩნია, იმ დროს ერი აუწერელ უბედურებაში ვარდება და პირდაპირ ღატაკდება. ჰყიდის მრავალწლობით ნაღვაწს, შეძენილ სიმდიდრეს, იარაღს, საქონელს, მიწას და მით ხდება ნამდვილი პროლეტარი, უკეთ პარაზიტი, მაწანწალა''... ან კიდევ: ,,მინდვრების ნახევარი დასავლეთ საქართველოში მოუვლელია, ქალები თავს ვერ ართმევენ სამუშაოს, ცუდად აცვიათ, ჭამენ, ავადდებიან ხშირად, ასეთივე

მდგომარეობაა ქიზიყში, სადაც მუშა ხელისა და მუშა პირუტყვის ნაკლებობაა. უკვე სამჯერ ჩაუტარებიათ ცხენების მობილიზაცია... ცხვრებს ჯერ არ შეხებიან, მაგრამ გასული ზამთრისა და საკვების სიმცირის გამო მათი ნახევარზე მეტი დაიხოცა" (64, 16-17).

ომის მძიმე გავლენა სოფელზე კარგად არის ნაჩვენები გაზეთ „ საქართველოს" 1916 წლის 162-ე ნომერში: „სოფელი დაცარიელდა, მიწა სულ მთლიანად ვერ მუშავდება, ვენახი უპატრონოდ მიტოვებული ხმება, მებაღეობაც განდგურების გზას დაადგა. დაუმუშავებელია მინდორი. სოფელმა მუშახელთან ერთად დაკარგა საქონელი, ურმები... უღელი ხარი, რომელიც ომამდე 10 თუმანი ფასობდა, დღეს 30 თუმნად იყიდება, ასეა ყველაფერი... გლეხი იაფობას შეჩვეული ხარბობს ფულს და დაუნდობლად ჰყიდის საქონელს... ასე რომ, სოფელი მასაზრდოებელ წყაროს თანდათან ჰკარგავს, რაც მომავალში მას დიდ საფრთხეს უქადის". იმავე გაზეთის ივნისის ნომერში კიდევ უფრო ტრაგიკული სურათია დახატული: „გულშემზარავი გმინვა, კვნესა და მწარე ტირილი გაისმის ქვემო იმერეთიდან და გურია სამეგრელოდან... საზრდო აღარ აქვს ნახევარ მილიონ მიწის მუშაკს, მშრომელ გლეხობას... შიმშილით წყდებიან ბავშვები, შიმშილის გამო თოკით თავს იხრჩობენ მოხუცნი".

ომისაგან გამოწვეული სამეურნეო ნგრევა, გადასახადების ზრდა, ხალხის მატერიალური ცხოვრების პირობების ჩვეულებრივზე მეტად გამწვავება, ზღაპრული სიძვირე და სპეკულანტების აღვირახსნილი თარეში, მეფის ჯარების მძიმე მდგომარეობა ფრონტებზე ხელს უწყობდა სოციალური დაძაბულობის ზრდას საქართველოში. გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ქალაქსა და მრეწველობაში იგი შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ წინააღმდეგობათა საფუძველზე იშლებოდა. სოფლად კი ფეოდალიზმის ნაშთებისა და კაპიტალიზმის საფუძველზე არსებული წინააღმდეგობანი ერთმანეთზე იყო გადახლარ-

თული. გლეხი ებრძოდა როგორც მიწათმფლობელს, ასე კა-პიტალისტს, რომლის წარმოებაშიც იგი ქირაზე მუშაობდა. ამავე დროს ადგილი აქვს ბრძოლას უღარიბეს გლეხობასა და კულაკებს შორისაც.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოხატულება იყო: დანაშაულებების ზრდა, ყაჩაღთა თარეში, რომელმაც ერთხელ გურია-სამეგრელოში ღამით მგზავრობაც კი შეაფერხა. მწარმოებლებს, მყიდველებსა და გამყიდველებს შორის გართულებულ ურთიერთობასა და საგაფიცვო მოძრაობას ხელს უწყობდა ქართველი ბოლშევიკების პროპაგანდაც. მაგალითისათვის, ომის საწინააღმდეგო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი 1914 წლის ოქტომბერ-დეკემბერში რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა შორის, რაც გამოიწვია კავკასიის ფრონტის საჭიროებისათვის მუშების ხელფასიდან გარკვეული თანხის დაკავების ცდამ. 1915 წლის I ნახევარში გაფიცვები მოხდა ადელხანოვის, თაიროვის, ტოლეს ქარხნებში, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, სააფთიაქო სავაჭრო მუშა-მოსამსახურეებსა და ტრამვაის მუშათა შორის, საპნის ქარხანაში, რეგერის სახელოსნოში, სტამბებში. თუმცა ერთი რამ უნდა აღინიშნოს: იმდროინდელ გაფიცვებსა და საპროტესტო გამოსვლებს დაბალი ხელფასები და მძიმე მატერიალური მდგომარეობა უფრო განაპირობებდა, ვიდრე ომის საწინააღმდეგო განწყობილება.

1916 წლის თებერვლიდადან სკეპულაციის ზრდასთან დაკავშირებით დაიწყო ,,ქალთა ბუნტები" თბილისში, ქუთაისში, სამტრედიაში, სოხუმში, ხონში და სხვა (92). ქალები არ-ბევდნენ ვაჭარ-სპეკულიანტთა სასურსათო მაღაზიებს და ურთიერთშორის ინაწილებდნენ პროდუქტებს. ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითებამ ხელი შეუწყო არა მარტო საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობას ფაბრიკა-ქარხნებში, არამედ მშრომელი ხალხის საპრტესტო გამოსვლებს ხელისუფლების წინაარმდეგ. 1916 წლის 4 ივლისს, საღამოს შვიდ

საათზე ნაძალადევის მიდამოებში მუშებისა და ჯარში გაწვეულ მეომართა ცოლების აქტიური მონაწილეობით დაიწყო მაღაზიებისა და საწყობების დარბევა (13,160). როგორც ჩანს, გაფიცვებმა ისე შეაშინა კავკასიის მეფისნაცვალი, რომ იგი იძულებული გახდა 1917 წლის 29 იანვარს გამოეცა ბრძანება, რომლის საფუძველზეც გაფიცვებში მონაწილე მუშები გაიგზავნებოდნენ ფრონტზე (64, 39), თუმცა შემდეგ შეცვალეს გადაწყვეტილება და ასეთ ჯარისკაცებს ისევ უკან აბრუნებდნენ (144).

ასეთი მდგომარეობა იყო სოფლადაც. მაგ., 1916 წლის ივლისში დიდი მოძრაობა იყო პროვინციებში, სადაც მოითხოვდნენ გასაწვევთა დროის გადავადებას მოსავლის აღებამდე. ამის შემდეგ მოლაშქრეთა გაწვევა უნდა მომხდარიყო თანდათანობით და დიდი შერჩევით, რათა სოფელი ერთბაშად წელში არ გაწყვეტილიყო და არ განადგურებულიყო (219).

ომის დროს თბილისში ბევრი ლტოლვილი იყრიდა თავს, რაც გამოწვეული იყო საქართველოს ფრონტისპირა მდებარეობით. „პედროგრატსკიე ვედომოსტის" კორესპონდენტი 1915 წლის 13 იანვრით დათარიღებულ წერილში წერს, რომ თბილისში დასაძინებელი კუნჭულიც კი 10-15 მანეთი ღირდა. 1918 წლის 30 მაისისათვის თბილისის რკინიგზის სადგურში 68 ვაგონი სავსე იყო ლტოლვილებით, თბილისში მყოფ 30 000 მეტ ლტოლვილთაგან 7 000 უბინაო იყო (142).

ომის დამამთავრებელ ეტაპზე საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო კრიზისული გახდა. მდგომარეობა არ შეცვლილა არც გერმანია-თურქეთის დამარცხების შემდეგ. ინგლისის მთავრობამ შეგნებულად ჩაკეტა საქართველოსკენ მომავალი ყველა გზა... სრუტეების გახსნიდან რამოდენიმე კვირის განმავლობაში შავ ზღვაში სამასზე მეტი სამხედრო სატრანსპორო და სატვირთო გემი შემოვიდა, მაგრამ არც ერთ სატვირთო გემს არ ჰქონდა სა-

ქართველოს ნავსადგურში საქონლის შეტანის უფლება (34, 44).

რუსეთის იმპერიის 1912 წლის 25 ივნისის კანონი ითვალისწინებდა ომში გაწვეულთა ოჯახებზე მთავრობის მიერ დახმარების გაწევას. კანონის მიხედვით, სახელმწიფო ხაზინიდან დახმარების მიღების უფლება ჰქონდათ გაწვეულთა როგორც მეუღლეებსა და შვილებს, ასევე მამებს, დედებს, ბებიებსა და პაპებს, ძმებსა და დებს, თუ ისინი იმყოფებოდნენ გაწვეულის კმაყოფაზე (80). ომის მთელი პერიოდის მანძილზე, ინფლაციური პროცესების გამო, ერთ ოჯახზე გათვალისწინებული ულუფა, რომლის ღირებულება 1914 წლის აგვისტოში 4 მან. და 50 კაპ. იყო, 1916 წელს იყო 6 მან. და 60 კაპ., ხოლო 1917 წლის 1 თებერვალს 12 მანეთამდე გაიზარდა. (133). მინისტრთა საბჭოს 1915 წლის 15 აპრილის დადგენილებით, ის ოჯახები, რომელთა წევრი ჯარისკაციც გაიქცეოდა ფრონტიდან, კარგავდნენ ულუფის მიღების უფლებას. მოგვიანებით ცვლილება შეიტანეს ამ დადგენილებაში და ფრონტზე დაბრუნებულ ჯარისკაცთა ოჯახებზე აღადგინეს ულუფის გაცემა (143).

ყველაზე მასშტაბური ორგანიზაცია, რომელიც ომში გაწვეულთა ოჯახებს ეხმარებოდა, იყო კავკასიის მეფისნაცვლის 1914 წლის 2 აგვისტოს განკარგულებით დაარსებული „ომში დაზარალებულთა დახმარების კავკასიის მთავარი კომიტეტი". მისი საპატიო თავმჯდომარე გახლდათ მეფისნაცვალი ვორონცოვ–დაშკოვი. კომიტეტში რუსებთან ერთად ქართველი მოხელეებიც შედიოდნენ. მაგალითად, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი კ.ნ. აბხაზი, სამხედრო სანიტარული ინსპექტორი ი.ზ. გოპაძე, საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მ.ვ. მაჩაბელი, კახეთის მემამულეთა საზოგადოება „კახეთის" მმართველობის თავმჯდომარე ლ. ა. ვაჩნაძე და სხვ. გარდა ამისა, კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ომში დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილი ყველა

კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (122). მის საქმიანობაში შედიოდა ომში დაჭრილ და დასახიჩრებულ ჯარისკაცთათვის ლაზარეთების, ჰოსპიტლების, სანატორიუმების მოწყობა, ყველანაირი დახმარება და შემსუბუქება ომში გაწვეულთა ოჯახების მდგომარეობისა: ობოლ ბავშვთა თავშესაფრების მოწყობა, საბავშვო ბაგა-ბაღების მსგავსი დაწესებულებების გახსნა იმ მიზნით, რომ დედებს მუშაობის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ობოლ ბავშვთა სწავლის საფასურის გადახდა, სოფლად მოსავლის დასაბინავებლად ორგანიზაციის მოწყობა და სხვ. ამ ამოცანების შესრულების მიზნით მას უნდა მოეხდინა ყველა კერძო, საზოგადოებრივი და სამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია (120).

კავკასიაში გამომავალი გაზეთის რედაქტორებმა კომიტეტისგან მიიღეს თხოვნა, გაეხსნათ გაზეთებში რუბრიკა, სადაც გამოცხადდებოდა იმ ორგანიზაციათა და პირთა სია, რომლებმაც შემოწირულობანი გაიღეს ომის საჭიროებისათვის (121). კომიტეტს თავისი ფილიალები ჰქონდა ქალაქებსა და მაზრებში, რომელთა საშუალებითაც ეხმარებოდა მოსახლეობას, დაჭრილებს. მაგ., 1916 წლის 1 აპრილიდან 1 ნოემბრამდე თბილისის საქალაქო ცენტრალური კომიტეტისათვის გადაირიცხა 10 000 მანეთი, გორის საქალაქო კომიტეტისათვის - 3 000 მანეთი და 45 კაპ., თელავის სამაზრო კომიტეტისათვის - 3 000 მანეთი და სხვ. ომისაგან დაზარალებულთა დახმარების კავკასიის მთავარი კომიტეტი, გარდა თავისი ფილიალებისა, აფინანსებდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიზანმიმართულ საქმიანობასაც. მაგ., თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კომიტეტის საჭიროებისათვის იმავე პერიოდში გაიღო 15 000 მანეთი, თბილისის ალექსანდრე II-ის სახელობის ბავშვთა თავშესაფრისათვის –281 მანეთი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილებისათვის – 24 000 მანეთი და სხვ. (123)

გარდა ზემოთ დასახელებული ორგანიზაციისა, დაჭრილთა, ავადმყოფთა, დასახიჩრებულთა უშუალო მოვლა-პატრონობა ევალებოდა 1914 წლის სექტემბერში ჩამოყალიბებულ კავკასიის ქალაქთა კავშირს. მუშაობის კოორდინირების მიზნით თბილისში დაარსდა ცენტრალური ბიურო, რომელშიც შევიდნენ კავკასიის სხვადასხვა ქალაქების, მათ შორის, თბილისისა და ქუთაისის თავებიც. ბიუროს თვმჯდომარედ ქალაქ თბილისის თავი ა. ხატისოვი აირჩიეს (70).

1914-1915 წლების მიჯნაზე კავკასიის ქალაქთა ცენტრალურმა ბიურომ მოაწყო ლაზარეთები 25 000 საწოლით: მათ შორის, თბილისში – 9 800, ქუთაისში – 1085, გორში – 515 (69), გამართა სანიტარული მატარებელი დაჭრილთა ზურგში გადასაყვანად. გარდა ამისა, შექმნა 6 სანიტარულ-სატრანსპორტო რაზმი, 19 საექიმო პუნქტი, 6 სადეზინფექციო კამერა, ლტოლვილთა მომსახურებისათვის გახსნა 35 საექიმო პუნქტი 3 000 ადგილით, 59 საექიმო-საფერშლო პუნქტი, 8 საჩაიე, 36 აბანო და სხვ. ამ ორგანიზაციას დასაქმებული ჰყავდა 17 000 კაცი (12, 246). გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობდა შემდეგი საქველმოქმედო საზოგადოებები: საეპარქიო კომიტეტი, თბილისის თავადაზნაურთა კომიტეტი, თბილისის საქალაქო ცენტრალური კომიტეტი. სამაზრო კომიტეტები იყო შემდეგ მაზრებში: ახალქალაქში, ახალციხეში, ბორჩალოში, გორში, დუშეთში, სიღნაღში. საქალაქო კომიტეტები – გორში, დუშეთში, თელავში; არსებობდა გორის თავადაზნაურთა კომიტეტი, ბორჯომის კომიტეტი, დუშეთის ქალთა კომიტეტი და სხვ. (125).

თბილისის გუბერნიის სათავადზნაურო კომიტეტმა გახსნა წმ. ნინოს სახელობის ქართული ლაზარეთი (124). საავადმყოფოებს აწყობდნენ კერძო პირებიც. ერთ-ერთი ასეთი საავადმყოფო ფუნქციონირებდა ე.ი. სარაჯიშვილის სახლში კახეთის მოედანზე (200). პ. ზუბალაშვილმა უფასოდ დაუთმო საქალაქო ლაზარეთს შენობა და მის მოსაწყობად 20 000

მანეთიც გაიღო (205). როგორც ჩანს, იმავე ზუბალაშვილს უნდა შეეწირა დაჭრილთათვის ნახევარი მილიონიც, რისთვისაც ხელმწიფის უმაღლესი მადლობა დაუმსახურებია (174). საქართველოს ბურჟუაზიამ ომის საჭიროებისათვის ასი ათას მანეთზე მეტი გაიღო. თბილისის ვაჭართა წარმომადგენლებმა იკისრეს ას საწოლიანი ლაზარეთის გახსნა და შენახვა ომის მთელი პერიოდის განმავლობაში. თბილისის საუფლისწულო სარდაფის მუშებმა და მოსამსახურეებმა მოაწყეს სამსაწოლიანი ლაზარეთი, გარდა ამისა, გადაწყვიტეს, ომში დაშავებულთა სასარგებლოდ თავიანთი ჯამაგირიდან გადაედოთ 5-7 % (176). ხატისოვის ცნობით, 1914 წლის სექტემბრისათვის უკვე თბილისში იყო 1000 საწოლი, რომლის შენახვა 80 000 მანეთი ჯდებოდა. ომიანობისაგან დაზარალებულთა ცენტრალურ-საქალაქო კომიტეტის სააღმასრულებლო ბიურომ გადაწყვიტა, ტრამვაის სააბონენტო წიგნაკის ფასი 10 კაპიკით გაეზარდა და ზედმეტი ფული (დღეში 30 მანეთი) ომის საჭიროებისათვის მოეხმარებინა (201). ქალაქის თვითმმართველობა სპეციალურ ყუთებსაც კი ამზადებდა ომში გაწვეულ ჯარისკაცთათვის პაპიროსის მოსაგროვებლად (177).

1914 წლის 9 აგვისტოს სხდომაზე ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება ჯარისკაცთა დასახმარებლად. დადგენილებით გათვალისწინებული იყო, ქალაქის გამგეობის ყველა მოსამსახურეს მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ჯამაგირიდან დაჰკავებოდა 1 %, რომელიც ომის საჭიროებას მოხმარდებოდა. ადგილები შენარჩუნებოდათ ამ დაწესებულებიდან ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცებს, ანდა მისცემოდათ ჯამაგირის ნახევარი; დროებით დანიშნულ სანიტარულ ექიმს დანიშვნოდა ხელფასი თვეში 50 მანეთის ოდენობით. ქალაქის გამგეობამ თავის დაქვემდებარებაში შექმნა კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა ომისათვის საჭირო ფულისა და სხვადასხვა ნივთების შეკრება. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქალაქის თავი, ბ-ნი

ი.მ. ჩიქოვანი, წევრებად –ქალაქის გამგეობის წევრები. აირჩიეს აგრეთვე მდივანი, ბუღალტერი, მოლარე და სხვები. იმის გამო, რომ ქუთაისი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, გამგეობამ გადაწყვიტა, დანარჩენი სამუშაოები (რაც ომთან არ იყო დაკავშირებული) შეეჩერებინა (202). თბილისის გამგეობამ კი ექთანთა მოსამზადებლად მოწყალების დის კურსებიც მოაწყო (248).

ომში გაწვეულ ქართველ ჯარისკაცთა და მათი ოჯახებისადმი დახმარება ქალაქის თვითმმართველობებისა და თავადზნაურთა შემდეგ სასოფლო ყრილობებმაც იკისრეს. პირველი სიტყვა ამ მიმართულებით კახეთის სასოფლო საზოგადოებათა ყრილობებს ეკუთვნის. მათ დაადგინეს, სოფლის ძალღონით დახმარება აღმოეჩინათ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის (198).

ქართველები თავიანთ თანამოძმეებზე საქართველოს ფარგლებს გარეთაც ფიქრობდნენ. მაგ., თავად ნიკო მინგრელსკის საქმეთა მწარმოებელმა, იურისტმა ილია მაჩაბელმა ცნობილ ადვოკატ ესერ დიმიტრი ჭიაბრიშვილთან ერთად პეტროგრადში შექმნა ქართველ ჯარისკაცთა დახმარების საზოგადოება, რომლის შეწევნით გაიხსნა საავადმყოფოები და ჰოსპიტლები. ომის პირველი თვეებიდანვე აქ უამრავი დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი იწვა. ჭიაბრიშვილის ბინაზე შეკრებილმა დედაქალაქის ქართული კოლონიის წევრებმა ინჟინერ ნესტორ ცინცაძის ინიციატივით მაჩაბელსა და ჭიაბრიშვილს დაავალეს, ეთხოვათ პეტროგრადის „გრადონაჩალნიკისათვის“ თავად ალექსანდრ ობოლენსკის მეუღლის, ნიკო მინგრელსკის დის სალომესათვის საზოგადოების ხელმძღვანელობა, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. გამგეობის წევრებად აირჩიეს დ. ჭიაბრიშვილი, ნ. ცინცაძე, ვ. დუმბაძე, კნეინა აპრაქსინა (თარხანოვა) და ორი პეტროგრადელი ქართველი ქალბატონი. მდივნად ი. მაჩაბელი , მოლარედ ნ. ცინცაძე. საპატიო თავმჯდომარეობა სთხოვეს იმპერატორის დას ქსენია ალექსანდრეს ასულს.

ჯარისკაცთა დახმარების მიზნით ეს საზოგადოება აწყობდა საქველმოქმედო კონცენტებს, სპექტაკლებს. მან მხოლოდ ორი წელი იარსება (1915 -1917) და ამ ხნის მანძილზე ოცი ათას ქართველ დაჭრილ მეომარს გაუწია დახმარება: სისტემატურად მიაწოდებდა სურსათს, ტანსაცმელს, ქართულ წიგნებს, იკვლევდა მათ ოჯახურ მდგომარეობას და გაჭირვებულთა ოჯახებს ფულს უგზავნიდა 25-100 მანეთის ოდენობით.

ქართველ დაჭრილ მეომრებზე შეფობა ჰქონდათ აღებული ნოვოჩერკასკის ქართველ სტუდენტებსაც. ისინი უშუალოდ იმ ქალაქში მყოფ ჯარისკაცებს ეხმარებოდნენ. მათ კავშირი ჰქონდათ საქართველოს საზოგადოებასთან, საიდანაც იღებდნენ ქართულ წიგნებს დაჭრილთა გასართობად (180). ქართველ მეომრებს მზრუნველობდა აგრეთვე ქ. ვორონეჟის საზოგადო პედაგოგიური ორგანიზაცია, რომელიც ნოვოჩერკასკის სტუდენტების მსგავსად სისტემატურად ითხოვდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს (228). მოსკოვში არსებობდა ქართული ლაზარეთი ბატონ სუხოდოლსკის ბინაში. მისი გამგე იყო კნ. სუმბათაშვილი (მსახიობ სუმბათაშვილის და) (182).

როგორც ვხედავთ, დაჭრილ ქართველებზე მხოლოდ თანამოძმეები როდი ფიქრობდნენ. მათი ბედით რუსებიც იყვნენ დაინტერესებულნი (სხვა საკითხია თვითონ მიზეზები ამ დაინტერესებისა). ქართველები რუსების მხარეზე იბრძოდნენ და მათი ბრძოლისუნარიანობის ხარისხი, ბუნებრივია, აღელვებდათ რუსებს. ალბათ, 1915 წლის იანვრის დასაწყისში მეეტლეთა უფროსის ო. კოროლიოვის სურვილითა და ინიციატივით თბილისში ჩატარდა მეეტლეთა დღე, რომლის მუშაობაშიც 544- მა მეეტლემ მიიღო მონაწილეობა. აქციის მიზანი იყო, მთელი დღის შემოსავალი გადარიცხულიყო თბილისის საქალაქო კომიტეტში ომში დაზარალებულთა

დასახმარებლად. სულ შეიკრიბა 2 229 მანეთი და 25 კაპიკი (249).

დახმარების დროს მთავრობის მხრიდან კონტროლი იყო დაწესებული, რათა ერთსა და იმავე ოჯახს ორჯერ ან მეტჯერ არ მიეღო ერთი და იგივე დახმარება. საკონტროლო სამუშაობს კარგად ართმევდა თავს რუსეთის ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატი, თუმცა ისეთი უმნიშვნელო საქმის გამორკვევას, როგორიც იყო, ეკუთვნოდა თუ არა დახმარება მოხალისეთა ოჯახებს, 1912 წლის 25 ივნისის დებულებით, ერთი წელი მოუნდა (74).

ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ იმ დახმარებებზე, რომელსაც მთავრობა უწევდა მეომრებსა და მათ ოჯახებს. ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მთავრობა მაქსიმალურად აკმაყოფილებდა ხალხის მოთხოვნებს. პერიოდული შემოწირულობანი და ფულადი დახმარება მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო გაღატაკებული და უსასოოდ დარჩენილი ხალხისათვის. აღნიშნულს მოწმობს შინაგან საქმეთა მინისტრის მაკლიაკოვის ქუთაისის გუბერნატორისადმი 1914 წლის 3 აგვისტოს გაგზავნილი დეპეშაც, რომელშიც მინისტრი მოითხოვდა, დამატებითი სახსრები გამოენახათ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის, რადგან 1912 წლის 25 ივნისის კანონით გათვალისწინებული დახმარება საკმარისად არ მიაჩნდა (116).

მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ საქართველო ფრონტისპირა მხარეს წარმოადგენდა და ომის სუსხი მისკენაც აღწევდა. ეს კი ისედაც გაპარტახებული და დაბეჩავებული ქართველის ცხოვრებას კიდევ უფრო ამძიმებდა.

თურქეთთან ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, როდესაც მისმა გემებმა შავი ზღვის ქალაქები დაბომბა. ამან მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია, რის გამოც შეშინებულნი საქართველოს შიდა პროვინციებს მოაწყდნენ. მაგ., აფხაზეთიდან ზუგდიდს ჩამოვიდნენ, ბათუმის სკოლებმა ქუთაისში გააგრძელეს მეცადინეობა. ფოთის მოსახლეობა სოფლებში

გაიხიზნა (179). განსაკუთრებით დაძაბული იყო საქართველოს მოსახლეობა სარიყამიშის ოპერაციის წინ 1914 წლის ნოემბერში. თბილისში ევაკუაცია გამოცხადდა, ყველაფერი რუსეთში გაჰქონდათ. ფრონტიდან გამოქცეულმა მეფისნაცვლის მოადგილემ მიშლაევსკიმ თავხედური წინადადებით მიმართა საქართველოს თავადაზნაურობასა და ხალხს. იგი მოითხოვდა, რომ ქართველებს საკუთარი ხელით დაენგრიათ ხიდები, სახლები, გადაეწვათ ბაღ-ვენახები და ყანები, რათა შემოსულ მტერს დახვედროდა უდაბნო – უსახსრო, უბალახო, უცხენო, უსაქონლო და, რაც ყველაზე ამაზრზენია, უადამიანო. და ეს ყველაფერი ქართველს უნდა გაეკეთებინა მხოლოდ იმიტომ, რომ კავკასიიდან გაქცეულ რუსის ჯარს უკან გამოსდევნებოდა. „თბილისსა და სხვა ქალაქებს ისე ავაფეთქებთ ჩვენ თვითონ, რომ ქვა-ქვაზედ არ დარჩეს ოსმალების თავშესაფრად''-ო, –ამბობდა მიშლაევსკი (160, 123).

ეს განცხადება განიხილა ქართველ თავადაზნაურთა საკრებულომ, რომელსაც ოფიციალური პასუხი უნდა გაეცა (!). კოტე აფხაზის მიერ აღნიშნული განცხადების წაკითხვის შემდეგ სიტყვა ითხოვა მიუნხენის სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულმა, ცნობილმა მხატვარმა დავით გურამიშვილმა. იმდენად სამარცხვინო და შეურაცმყოფელია ეს სიტყვა ქართველი კაცისათვის, იმდენად ააშკარავებს დამონებული კაცის ქცევას, რომ არ შეგვიძლია, სრულად არ მოვიყვანოდ იგი: „ბატონებო, რუსის ჯარი, რომელიც იცავდა საქართველოს 115 წლის განმავლობაში თათართა ურდოებისაგან, სტოვებს კავკასიას; აი ეხლა, დღესა თუ ხვალ, მთავარსარდალი ააფეთქებს მხცოვან თბილისს, ჩვენი მოქალაქეობრივი წმინდა ვალია, ზედმიწევნით შევასრულოთ მისი ბრძანება, დავანგრიოთ, გადავწვათ ყველაფერი, რომ ვერაგ მტერს არ დარჩეს არაფერი... უნდა ხელში ავიღოთ ყველამ მაჟარა, თუ სხვა იარაღი არ გვექნება, და გავყვეთ რუსის ჯარს... გავწყდეთ ყველანი და... თუ ერთი ქართველი არ

დარჩა, ისტორიაში მაინც დარჩება სახელი, რომ რუსის იმპერატორსა და ხალხს ისეთი ერთგული ხალხი ჰყავდა, როგორიც არის რაინდი ქართველი ერი, რომელმაც არაფერი დაზოგა და თავიც დასდო,– პატარა სამშობლო დიდი მამულის სამსხვერპლოდ მიიტანა''-ო (160, 124-125).

როგორც ჩანს, დ. გურამიშვილს (დიდი ქართველის სეხნიას) ერთმანეთში ერეოდა მონობა და რაინდობა. დასანანია, რომ მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდამ გაიბრძოლა საქართველოსა და ქართველთა განადგურების წინააღმდეგ, მათ შორის იყო რ. გაბაშვილი, რომელმაც თამამად განაცხადა (ასეთ ფონზე), რომ მათ უკვე ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები გერმანიასთან, ავსტრიასთან და ოსმალეთთან, რომლებიც ცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. შალვა ქარუმაძემ კი (რომელიც დარბაზში საკითხის განხილვის დროს შევიდა) თავისი რაზმელებით დააშინა საკრებულოს მონაწილენი, თუ ისინი გაბედავდნენ გადაწყვეტილების მიღებას. ასე დაიშალა დარბაზი, ზოგი გაიპარა კიდეც (160, 123-125).

საქართველოს ტერიტორია მაშინ გადაურჩა მტრისგან ხელყოფას.

ამგვარად, ომის გამოცხადების პირველივე დღეებიდან საქართველოში ამოქმედდა ბევრი სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენდა, როგორც დახმარება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის, ისე მზრუნველობა დაჭრილ-დასახიჩრებულებზე. თანამოძმეთა დასახმარებლად საზოგადოებები იქმნებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც: პეტროგრადში, ნოვოჩერკასკში, ვორონეჟში, მოსკოვში და სხვ.

სამწუხაროდ, საზოგადოების მიერ გაწეული ღონისძიებანი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მოსახლეობის ცხოვრების საერთო სურათს ფაქტობრივად ვერ ცვლიდა და მას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.

ეს რაც შეეხებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს, ხალხის მატერიალურ მდგომარეობას. გარდა ამ პრობლემებისა, რაზე ფიქრობდა ქართველი კაცი, რაზე ოცნებობდა, რას განიცდიდა, რა იყო მისი სულიერი საზრდო, რითი იკვებებოდა? ან ჰქონდა კი მას საამისო განწყობა და, რაც მთავარია, დრო? როგორც ირკვევა, ქართველი კაცი არც ომის წლებში დაცემულა სულიერად და თავის თავში აღმოუჩენია ის ძალა, რომელიც საქვეყნო-საზოგადო საქმეს გააკეთებინებდა. სწორედ ასეთი საქმე გახლდათ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის გახსნა თბილისში.

ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა, ომში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა უკვდავსაყოფად დიდუბის ეკლესიის ეზოში, სადაც ქართველ მოღვაწეთა პანთეონის მოწყობას აპირებდა, შეწირულობებით აეგო გარეგნობით თუნდ უბრალო, მაგრამ შინაარსით დიდი ძეგლი. გამგეობამ მოწოდებები გაავრცელა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბევრ დაღუპულ ვაჟკაცს ეღირსა სამშობლო მხარეში შესაფერისი პატივით დაკრძალვა, ახლობელთა ცრემლებით მოირწყო მათი საფლავები, მაგრამ ბევრს ეს უკანასკნელი ნუგეშიც ვერ ხვდა წილად. მათი ძვლები სპარსეთისა და ოსმალეთის უცნობ მთა-ხევებში გაიფანტა, პოლონეთ-ლიტვის მინდვრებსა თუ კარპატის მთებში. საქართველოში დარჩენილი ქართველი მოღვაწენი ვალდებულად თვლიდნენ თავს, საუკუნო ხსენება შეეთვალათ მათთვის და ისტორიაშიაც აღენიშნათ მათი სახელები. ამას ავალებდათ მათ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი კეთილშობილური ადათ-წესები. საზოგადოების წევრები მოუწოდებდნენ ყველა შეგნებულ ქართველს, რათა ძეგლი დაედგათ მათთვის. ეს მომავალ თაობასაც შეახსენებდა, რომ თანამოძმეები დიდად აფასებენ მოძმეთა ღვაწლს და მათ ქველობაზე აშენებენ თავიანთ მომავალ ბედნიერებას. ქველმოქმედ მოქალაქეებს შეწირულობანი და ცნობები დაღუ-

პულთა შესახებ, მათი წოდებისა და სამსახურის აღნიშვნით უნდა გაეგზავნათ საზოგადოების გამგეობის სახელზე, რომელიც თბილისში, სასახლის ქუჩის 5 სახლში მდებარეობდა (36, 119).

დაღუპულ გმირთა სიის სწორად შესადგენად საზოგადოების გამგეობა იწვევდა ერობებს (149). ამ საქვეყნო საქმესთან დაკავშირებით იგი ხშირად აწყობდა კრებებს, რომლის დღის წესრიგში ახალი ინფორმაციები და მიმდინარე საკითხები შეჰქონდათ. 1915 წლის ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე გამგეობამ მიმართა ღრმად პატივცემულ სრულიად საქართველოს ეგზარქოს პიტირიმს, ეპისკოპოს ანტონის და დეკანოზ მირიანაშვილს, რათა მათი მეოხებით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას მიეღო კანონიერი თანხმობა დიდუბის ეკლესიის გალავანში ზომით 100 ოთხკუთხა საჟენის გამოყოფაზე სასაფლაო ადგილისათვის. მართლაც, ეს ადგილი გამგეობას 5 000 მანეთად გადაეცა, არა და მისი ღირებულება 50 000 მანეთი იყო. თანაც, ასეთი შეღავათიც გაუწია: გამგეობას შეეძლო აღნიშნული თანხა მთელი ხუთი წლის განმავლობაში დაეფარა. გამგეობა ქართველ მოღვაწეთა სავანე-პანთეონის მოწყობას ქართული საეკლესიო არქიტექტურული სტილით აპირებდა. პანთეონში დაიკრძალებოდნენ ქართული კულტურის დარგში გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი. სიმბოლურად დაიდგმებოდა მცირე მოცულობის ძეგლი იმ პირთა ხსოვნის საპატივსაცემოდ, რომელთაც ,,თავიანთი სისხლით დაამტკიცეს სრულუფლებიანი მონაწილეობა ჩვენი სამშობლო ქვეყნის იმ რეფორმების დასამყარებლად, რომელსაც მოელის განახლებული რუსეთი" (149, 297). გარდა პანთეონისა, შეიქმნა ძმათა სასაფლაოები ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთში (79).

უნდა აღინიშნოს ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული საისტორიო მუზეუმის ყველაზე ძვირფასი ნივთების გადარჩენის საქმეში. 1915 წლის თბილისის პანიკის დროს იგი შეეცადა ამ ნივთების ყუთებში ჩალაგებას კიევში გასაგ-

ზავნად, მაგრამ ირადიონ სონღულაშვილმა და რეზო გაბაშვილმა პროტესტი გამოთქვეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ხელშეკრულების ძალით ოსმალები და გერმანელები ქართველთა გასათავისუფლებლად მოდიოდნენ. ამის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა გადაწყვიტა, ნივთები კუბოებში ჩაელაგებინა და დაეფლა დიღომში, სონღულაშვილის მამულში, რათა საომარი არეულობის დროს არაფერი დაკარგულიყო (40, 126).

მართლაც, ზოგჯერ ისეთი არეულობა იქმნებოდა ხოლმე, რომ იშლებოდა სამუშაო პროცესი, მაგ., „Кавказское слово" 1915 წლის 21 თებერვლის ნომერში იტყობინებოდა, რომ სასწავლო წელი 14 მარტს შეწყდებოდა. ეს მიმანიშნებელია იმისა, რომ ომი სასწავლო პროცესზეც თავისებურ გავლენას ახდენდა. განათლების მესვეურნი ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, შეემცირებინათ სწავლის ხანგრძლივობა და გაედიდებინათ არდადეგები. ზოგიერთი გიმნაზია შეერთდა კიდეც და ერთ შენობაში გადავიდა. შემცირდა სასწავლო პროგრამები. მოიხსნა გამოცდები (გარდა გამოსაშვები კლასებისა) (87).

ომმა გამოაცოცხლა საზოგადოებრივი აზრი. ეს იმითაც გამოიხატებოდა, რომ გაიზარდა მოთხოვნილება და ინტერესი გაზეთებისადმი. ადრე თუ 100-150 გაზეთი იყიდებოდა, ახლა ყოველდღიურად 400-500 გაზეთი საღდებოდა (231).

ომის წლებში ქართულმა საზოგადოებრიობამ 1916 წლის 17 ოქტომბერს თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, რათა შექმნილიყო კომისია რუსეთის მიერ შემოერთებულ ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცნობილი მონასტრების – ხახულის, იშხნისა და ოშკის შესასწავლად. კომისია შედგა პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით და ნაყოფიერადაც იმუშავა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ძეგლების გამოსაკვლევად (78). ექსპედიციის შედეგები გამოქვეყნდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

თავის სიტყვას ამბობდა ქართული მწერლობაც. ომისადმი დამოკიდებულება ნათლად აისახა ქართველ პოეტთა და მწერალთა შემოქმედებაში. ამ დროს შეიქმნა ვაჟა-ფშაველას ლექსი ,,ჯარისკაცის წერილი", რომელიც გაზ. ,,სახალხო ფურცლის" 1915 წლის 13 იანვრის ნომერში დაიბეჭდა. ლექსი საბრძოლო პათოსითაა დაწერილი, მასში კარგად ჩანს ქართველი ჯარისკაცის საომარი შემართება:

,,ვცდილობთ, რომ საქართველოსა
ვუშველოთ ჩვენის ხარჯითა,
სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა.
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა!...
რუსეთში მყოფი ვნატრულობ
სამშობლო ვნახო თვალითა".

თითქმის შენიღბვით, მაგრამ მაინც აშკარად იგრძნობა ლექსში ავტორის დაეჭვება, დაუფასდება კი მას რუსის ჯარისათვის გაწეული ამაგი:

,,ნეტავ თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი,–
არ იქცა საყოვ-ყორნედა
ჩვენი ლამაზი ალაგი".

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ სტრიქონებში ერთი ქართველის განწყობილება როდია გადმოცემული. იგი საერთოდ ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ასახავს ომისადმი.

ომის თემას მიეძღვნა შემდეგი ნაწარმოებები: გ. ტაბიძის ,,ტრანშეები'', ,,მე ერთი მქონდა წუხილი", ,,ცეცხლი"; ირ. ევდოშვილის ,,ქართველ დედას"; ს. შანშიაშვილის ,,არა მსურს'' (ვუძღვნი მებრძოლთ) (214); შიო მღვიმელის ,,მშობელთა ცრემლი" (215); გ. ქუჩიშვილის ,,მხედარი – ლექსი", ,,დედის მოთქმა" (213); ,,სიკვდილი': დ. მეჩონგურის ,,ჩემი სამშობლო'' (181); ჩახრუხაძის ,,ბრძოლის ველზე' (178); ,,ჯა-

რისკაცს'' (183) და სხვ. როგორც ვხედავთ, იმდროინდელი პრესის ფურცლებზე სიტემატურად იბეჭდებოდა ეს ლექსები.

როგორც გამოიკვეთა, ომმა არსებითი ხასიათის ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის სახალხო მეურნეობაში და იგი სამხედრო მიზნებს დაუქვემდებარა. გაჩერდა ბევრი ფაბრიკა-ქარხანა, შემცირდა პროდუქციის წარმოება. ხალხს უკიდურესად გაუჭირდა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. მრეწველობის დარგებიდან განსაკუთრებით დაზარალდა სამთამადნო მრეწველობა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია თავდაცვის საწარმოებში დასაქმებული მუშახელის მხრივ ამიერკავკასიის მილიტარიზაციის მაღალი დონე რუსეთის საერთო იმპერიულ მონაცემებთან შედარებით. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით, ომმა დღის წესრიგში დააყენა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების საკითხი.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ომის წლებში ყველაზე მეტი ზარალი განიცადა: მეცხოველეობამ, მეთამბაქოეობამ, მემარცვლეობამ. ომით გამოწვეულმა ნგრევამ დაძაბა სოციალური ვითარება და ხელი შეუწყო კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ასე რომ, მიმდინარე ომმა მთელი რიგი პრობლემების წინაშე დააყენა ქართველი კაცი. მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარებები ბევრი ვერაფერი შეღავათი იყო მისთვის. მიუხედავად იმისა, ქართველი მოსახლეობა უკანასკნელ ლუკმას თმობდა და ფრონტზე თავის ძმებს, ქმრებს, შვილებს, მამებს და ახლობლებს უგზავნიდა.

ომის მძიმე წლებში საქართველოს კულტურული ცხოვრება არ ჩამკვდარა. პირიქით, იგი ახალი შინაარსით გამდიდრდა. ომმა, მართალია გარკვეული კორექტივები შეიტანა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში (მაგ. განათლების სფეროში), მაგრამ, ამასთან ერთად, ქართული მხატვრული ლიტერატურა გამდიდრდა ომის თემაზე შექმნილი არაერთი

პროზაული და პოეტური ნაწარმოებით, რომლებიც მოსახლეობის საბრძოლო განწყობას ამაღლებდა. ქართულ-ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებას შესძინა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცნობილი მონასტრების შესახებ. მთლიანად საქართველოს კი დაუტოვა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე დაღუპულ ქართველ ჯარისკაცთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მასასადამე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების აღმავალი და დაღმავალი ხაზი გარემო-ფაქტორებით იყო შეპირობებული. თუ ომის წინა წლებში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპებით ზრდას, პირველი მსოფლიო ომის გამანადგურებელმა ძალამ არა მხოლოდ შეაფერხა ეს პროცესი, არამედ სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგი განადგურების პირას მიიყვანა.

ომის წინ დაწყებული საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესი ომის პირობებში კიდევ უფრო გაღრმავდა, ამან კი კლასობრივი ბრძოლის გამწვავება გამოიწვია.

დიდი ცვლილებები მოხდა ქართული საზოგადოების ცნობიერებაშიც. იგი სოციალური და ეროვნული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე დადგა. ამას მეფის ცარიზმის მიერ საქართველოში გააქტიურებული რუსიფიკატორული და კოლონიზატორული პოლიტიკისაგან თავდაცვაც ავალებდა. ეს უკანასკნელი კი გრძნობდა პირველი მსოფლიო ომის მოახლოებას და საქართველოში ხელსაყრელ პირობებს იქმნიდა მომავალი დაპყრობებისათვის.

ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ომისადმი

ჩვენ მიმოვიხილეთ მეომარ სახელმწიფოთა გეგმები საქართველოს მიმართ. ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამდა და აფასებდა საქართველოს მოსახლეობა პირველ მსოფლიო ომს, როგორი იყო დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი და, საერთოდ, რას ფიქრობდნენ საქართველოში ამ დროს.

ქართული პრესის ფურცლებზე თანმიმდევრულად და სისტემატურად შუქდებოდა ფრონტზე მიმდინარე მოვლენები თუ ომთან დაკავშირებული საკითხები. გაზ. ,,ახალი აზრი" ყოველი ნომრის მოწინავეში ეხებოდა საომარი ოპერაციების მიმდინარეობას სათაურებით: ,,საერთაშორისო ომი", ,,ომის ამბები", ,,მასალები მსოფლიოს სხვა გაზეთებიდან", ,,დეპეშები", გაზეთი ,,თემი" აქვეყნებდა წერილებს სათაურით ,,ევროპის ომი" და ა.შ. თითქმის ყველა გაზეთში ქვეყნდებოდა ფრონტზე დაჭრილ და მოკლულ ქართველთა სია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველმა მსოფლიო ომმა გააცხოველა ქართული ეროვნული აზროვნება და იგი სამშობლოს სამსახურში ჩააყენა. ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია პირველი მსოფლიო ომის დროს უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ფხიზლად იდგა ერის ინტერესების სადარაჯოზე, დემოკრატიული მიმართულების პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებში იგი დაუფარავად გამოხატავდა თავის შეხედულებებს, რომლებიც ხშირად სამთავრობო პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა.

ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი უარყოფდა პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ხასიათს და მას ერების ომად მიიჩნევდა. გაზ. ,,სახალხო ფურცლის'' რედაქციას მსოფლიო ომის გაჩაღება ინტერნაციონალიზმის იდეის მარცხად და ეროვნული იდეის გამარჯვებად ესახებო-

და: ,,დღევანდელი ომი,–წერდა გერონტი ქიქოძე, – ეროვნული ომია და სწორედ ამიტომ არის იგი გამსჭვალული დიდი მიზნებითა და იდეალებით" (233). დიდი ქართველი მოაზროვნის მიხაკო წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველ დიდ მსოფლიო ომში...,,პროლეტარიც კი გმირულად იბრძოდა სამშობლოსათვის, თავისი ერისათვის, თავადთან, აზნაურთან, ბურჟუასთან, გლეხთან ერთად... ... ყოველი ერი, სახელმწიფოს არამქონე და უცხოსაგან დამონებული, ჩაება ომში ამა თუ იმ სახით და მოითხოვდა მისი პოლიტიკური თვითმყოფობის აღდგენას და საერთაშორისო ცნობას, როდესაც ზავის შესაკრავადა და ქვეყანაზედ კვლავ წესიერების აღსადგენად დასხდებოდნენ გამგენი ამა ქვეყნისანი" (32, 296).

ეროვნული საკითხი ასე მკაფიოდ, ნებსით თუ უნებლიეთ, არ ყოფილა არასოდეს წამოყენებული კაცობრიობის წინაშე. ბევრის აზრით, მხოლოდ ახლა დადგა ხანა ახალი სახელმწიფოების შექმნისა ეროვნული პრინციპების მიხედვით და თითქმის ყველა ეროვნებათა იდეალების განხორციელებისა, ,,ანტიგერმანულმა კოალიციამ მთელი კაცობრიობის წინაშე ააფრიალა დროშა, რომელზედაც, ეჭვი არ არის, გულწრფელად დააწერა: – ერთა შორის ძმობა, – და ყველა ჩაგრული ერის დაცვა თავის საომარ ლოზუნგად გაიხადა" (206).

გაზეთის კორესპონდენტი, ალბათ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ასკვიტის სიტყვებს გულისხმობდა, ნათქვამს 1914 წლის 25 სექტემბერს დუბლინში: საერთაშორისო სამართლის პრინციპების დამკვიდრება ისეთ მყარ საფუძველზე, რომ მცირე და უფრო სუსტი ერები დაცულნი ყოფილიყვნენ ძლიერთა სისასტიკისა და აგრესიისაგან"(172,33). არანაკლებ დაპირებებს იძლეოდა ოთხთა კავშირიც.

ამიტომაც უყურებდნენ ამ ომს იმედის თვალით რუსეთის იმპერიის მარწუხებში მყოფი ქართველები. ისტორიულ-

მა მომენტმა ისინი დუმილის პოზიციიდან ქმედების პოზიციაზე გადაიყვანა. ქმედების მთავარ მიზნად კი გაერთიანება დაუსახა. აი, რას წერს დ. კასრაძე 1914 წელს გაზ. „ახალ ქართლში": „დღეს ჩვენც, როგორც ყველა ერები, შეეერთდეთ, მოვსპოთ... შინაური მტრობა და შუღლი, პარტიული დაყოფა. პარტიული ჟინიანობა, დაე შეეწიროს ეროვნულ ფილოსოფიას და გვახსოვდეს ერთი რამე, ეს ერთი რამ უწმინდესი სიმბოლო: ქართველი. ამ შემეცნებას მივცეთ ფართო გზა და მის გარშემო ავამოძრაოთ ჩვენი ფიქრი, ჩვენი გონება" (185).

მაგრამ როგორი იყო კავკასიაში პოლიტიკური მდგომარეობა 1914 წლის მეორე ნახევარში? კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების გამგე მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ თავის საგანგებო მოხსენებით ბარათში პერიოდს 1914 წლის მაისიდან დეკემბრამდე ორ ძირითად ნაწილად ყოფს. პირველი –ომის დაწყებამდე (ივნისი-ივლისი), ხოლო მეორე –ომის მიმდინარეობის ხანა. ახასიათებს რა პოლიტიკურ ვითარებას კავკასიაში 1914 წლის ივნისსა და ივლისში, ის უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ პერიოდს შეუპოვარი გაფიცვები ახასიათებდა ბაქოსა და თბილისში, ხოლო აგვისტო-ნოემბერში „საზოგადოებრივი ძალების, მოსახლეობის ფართო ფენების მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ისტორიული მოვლენებისაკენ და სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებისაკენ. ამ პერიოდში სულ სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ადამიანები (რომლებიც ადრე ერთმანეთს მტრობდნენ კიდეც) მჭიდროდ დაირაზმნენ რუსეთის ეროვნული დროშის ქვეშ რუსეთის იმპერიის დასაცავად" (97). ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა ასე.

ომისადმი დამოკიდებულების საკითხში საზოგადოებრივი აზრი ძირითადად ორ ნაწილად იყო გაყოფილი. თითოეულ მხარეს თავისებურად ესახებოდა სამშობლოს მომავალი. მის კეთილდღეობას ერთი ნაწილი ომში ანტანტის გამარ-

ჯვებას უკავშირებდა, ხოლო მეორე – ოთხთა კავშირის. ამის ნიადაგზე ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში გამოიკვეთა ორი ძირითადი ორიენტაცია: პრორუსული (პროანტანტური) და პროგერმანული. აქვე მივუთითებთ, რომ ეს ორი ბანაკი წოდებრივ საფუძველზე არ ყოფილა ჩამოყალიბებული. ორივეში შედიოდნენ როგორც მაღალი, ისე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები.

იყვნენ მესამენიც – რუსეთის სდმპ-ის ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენლები, რომელთა მიზანს შეადგენდა მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. მათ აზრს იზიარებდნენ პეტროგრადის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტებიც. 1914 წლის 1 ნოემბერს თბილისში გაიმართა რსდმპ-ის კავკასიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც მიიღო დადგენილება ომის საწინააღმდეგო პროკლამაციის გამოცემის შესახებ (146,75), ხოლო 1916 წლის 9 და 17 ივლისს შედგა ბოლშევიკთა კავკასიის ბიუროს სხდომები, რომლებზედაც განიხილეს ჯარში ახალწვეულთა გაწვევის საკითხი. პირველ სხდომაზე მიიღეს გაწვევისადმი ბოიკოტის რეზოლუცია, ხოლო მეორეზე დაადგინეს, ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად დაემყარებინათ კავშირი პეტროგრადთან და იქიდან მიღებული მითითებებით ემოქმედათ (146, 385).

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკთა შორის ომისადმი დამოკიდებულების საკითხში ერთსულოვნება არ იყო, ზოგიერთი მათგანისთვის გაურკვეველი იყო მსოფლიო ომში საკუთარი ხელისუფლების დამარცხების საჭიროება. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით შედგა თბილისის ბოლშევიკების ხელმძღვანელთა კრება 1916 წლის 10 იანვარს, რომელსაც 11 კაცი დაესწრო (13,138). აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ბოლშევიკთა საერთო მიზანი იყო პროლეტარიატის სამოქალაქო ომისათვის მომზადება.

პრორუსული (პროანტანტური) ორიენტაცია

პრორუსული ორიენტაციის მომხრეთა ბანაკს განეკუთვნებოდნენ საქართველოში ყველაზე გავლენიანი პარტიის – სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთის წარმომადგენლები, თუმცა მასში პროგერმანული მიმართულებების მიმდევრებიც იყვნენ ე. გეგეჭკორის, ნ. რამიშვილისა და ნ. ხომერიკის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ომმა პირველ ხანებში ქართველი მენშევიკები დააბნია და მათში განხეთქილება გამოიწვია. მათი უმრავლესობა კ. ჩხეიძის მეთაურობით თავდაპირველად „ნეიტრალიტეტის" პოზიციაზე იდგა. 1914 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარდა მენშევიკთა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს ომთან მენშევიკების დამოკიდებულების საკითხი. მეფის ოხრანკის წარმომადგენლის მოხსენებით ბარათში მეფისნაცვლისადმი აღნიშნული იყო ნოე ჟორდანიას სურვილი – სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სამშობლოს საკეთილდღეოდ ხმა მიეცა ბიუჯეტის დამტკიცებისათვის. კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ ჟორდანიას მხარი არ დაუჭირა(13,94-95).

გ. პლეხანოვის მოწოდებამ, რომელშიც ის სოციალ-დემოკრატიისაგან ომისადმი მხარდაჭერას მოითხოვდა, ხელი შეუწყო მათი პოზიციების გარკვევას. ეს მოწოდება კი განხილულ იქნა ახალსენაკის კონფერენციაზე 1915 წლის ოქტომბერში, რომლის შემდეგაც მთავრობის მოხელე აღნიშნავდა, რომ თავდაცვის იდეამ, რომელსაც ანი (ნ. ჟორდანია) იცავდა, გაიმარჯვა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს თათბირის გადაწყვეტილება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში მონაწილეობის მიღების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით საბოლოოდ იცვლება ტაქტიკა კავკასიის სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც პასიურ და საეჭვო ნეიტრალიტეტიდან გადადის თავდაცვის იდეისათვის აქტიურად მხარდაჭერის პოზიციაზე (19,310-311).

ნოე ჟორდანიას აზრით, ომმა ეროვნული მომენტი საკ-სებით დაუმორჩილა სახელმწიფო მომენტს, სახელმწოფოს შიგნით ერთა შუღლი შენელდა; სახელმწიფო და სამშობლო ერთი და იგივე ცნება გახდა, ყველა პატარა ერმა და სოციალ-დემოკრატმა სამშობლოდ დიდი ერის სახელმწიფო უნდა აღიაროს, სამშობლოს დაცვა ნიშნავს სახელმწიფო ტერიტორიის დაცვას (38, 144).

1914 წლის ნოემბერში პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჯენევის ჯგუფს მიმართა წინადადებით, შექმნილი ვითარება რუსეთის მიერ ჩაგრული ხალხების გასანთავისუფლებლად გამოეყენებინათ და ერთ-ერთი მეომარი სახელმწიფოს მატერიალური დახმარებით მოეწყოთ აჯანყება. ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჟენევის ჯგუფმა კატეგორიულად უარყო აღნიშნული წინადადება და ოფიციალური რეზოლუციაც მიიღო (19,318).

ქართველ მენშევიკთა პრორუსულ ორიენტაციას პირველ მსოფლიო ომის დასაწყისში კარგად გამოხატავს ნ. ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა გიორგი მაჩაბელთან შეხვედრაზე 1914 წლის ოქტომბერში: „ჩვენი პარტია მუშაობს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ანტანტის მხარეზე. დარწმუნებული ვარ გაიმარჯვებს ინგლისის მეთაურობით და მაშინ აიძულებს თავის მოკავშირე რუსეთს უფრო დემოკრატიული რეჟიმი დაამყაროს, ამით ჩვენც გადმოგვივარდება რამე ლუკმა გამარჯვებულთა სუფრიდანა" (160, 149).

მენშევიკები ეხმარებოდნენ მეფის მთავრობას ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცების უკან დაბრუნებაში, ეწეოდნენ დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლის აგიტაციას. მთავრობა არ სდევნიდა ამ პარტიას. მისი წარმომადგენლები მსახურობდნენ თვითმმართველობის ორგანოებში, თავდაცვის ორგანიზაციებში. კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში პეტერსონი მენშევიკებთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ არავითარი საჭიროება არ იყო, მიე-

ღოთ რაიმე რეპრესიული ზომები ამ პარტიის წევრთა წინააღმდეგ (69, 20-21).

ნაკლებგავლენიანი სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაც მხარს უჭერდა მეფის მთავრობას, თუმცა მისი მემარცხენე ფრთა თავდაპირველად ომის წინააღმდეგი იყო (13,96).

პროანტანტური ორიენტაციისა იყო სოციალისტ-ფედერალისტთა ერთი ნაწილიც, მაგრამ ეს ორიენტაცია ომის მიმდინრეობის არც ერთ ეტაპზე მყარი არ ყოფილა. მათი შეხედულებები იმისდა მიხედვით იცვლებოდა, თუ სასწორის პინა რომელი ბანაკის მხარეზე გადაიხრებოდა. შესაბამისად ისინი ანტიცარისტული აჯანყების მოწყობასაც ფიქრობდნენ ხელსაყრელი მომენტისათვის, გერმანია-თურქეთის ორიენტაციასაც უარყოფდნენ და თანაგრძნობის დეპეშის გაგზავნასაც აპირებდნენ ინგლისსა და საფრანგეთში. მათი აზრით, რუსეთის მოკავშირე ეს ორი სახელმწიფო გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობაში და სათანადო მოლაპარაკების დროს ქართველი ხალხის ინტერესებსაც გაითვალისწინებდა (4, 203).

ეს რაც შეეხებოდა პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ რა განწყობილება სუფევდა თავადაზნაურობაში ? როგორი იყო მათი დამოკიდებულება ომისადმი? 1914 წლის 3 აგვისტოს შეიკრიბა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება, რომლის დაწყებამდეც გადახდილ იქნა პარაკლისი, რათა ძლევა მინიჭებოდა რუსეთის მხედრობას. ეს თითქოს უმნიშვნელო ფაქტი მშვენივრად წარმოაჩენს მათ სულისკვეთებას. თავადაზნაურთა წინამძღოლმა კ.ნ. აფხაზმა გამოკვეთა რა ომის მნიშვნელობა და ისაუბრა სრულიად რუსეთის თავადაზნაურთა წარმომადგენლობის კავშირთან დაახლოებაზე, წამოაყენა წინადადება, რომ ომის საჭიროებისათვის გამოეყოთ 25 000 მანეთი. ამ ფულიდან 10 000 მანეთი გაეგზავნათ მოსკოვში დაარსებული თავადაზნაურთა კავშირისათვის, 15 000 მანეთი კი გადაეცათ იმ კომიტეტისათვის,

რომელიც სულ მალე უნდა დაარსებულიყო თბილისში, და რომელშიც შევიდოდნენ თავადაზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტატები და საზოგადო კრების მიერ არჩეული თავადაზნაურები. კრებაზე არჩეულ იქნა საგანგებო დეპუტაცია, რომელიც აღნიშნულ დადგენილებას მოახსენებდა მეფისნაცვალს (227).

ზუსტად სამი კვირის შემდეგ შედგა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრება, რომელზედაც ნიჟარაძემ ისაუბრა ქართველთა ერთგულებაზე ტახტისა და მეფისადმი, მათ ვაჟკაცობასა და მამაცობაზე. იგი მიუწოდებდა ქართველებს, რომ გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, სულიერად შეიარაღებულიყვნენ და მედგრად დაეცვათ საერთო სამშობლო – რუსეთი. „ახლა კი ჩვენი მეფე და სამშობლო ღმერთს შევავედროთ, რომ გამარჯვება მიენიჭოს", – ასე დაამთავრა სიტყვა ნიჟარაძემ, რასაც დარბაზში „ვაშას" ძახილი მოჰყვა. კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ მათ მისცემოდათ შეიარაღების ნება (199).

ქართველი საზოგადოების ნაწილი აღაფრთოვანა 1914 წლის ნოემბერში ნიკოლოზ II-ის სტუმრობამ საქართველოში. მასთან შეხვედრაზე გიორგი ჟურულმა ასეთი სიტყვებით მიმართა იმპერატორს: „იცოდე მეფევ, რომ ბრძოლებში ნაცადს იმ ხმალს, რომელიც შენის მოწოდებით ქარქაშიდან ამოიღო საქართველომ და რომელიც წელზე შემოირტყა... ქარქაშში ჩააგებს შენის ბრძანებით" (232). ამ სტუმრობამ გაამხევა და გააააქტიურა საქართველოს ბურჟუაზია და თავადაზნაურობა. იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლმა ნიჟარაძემ მეფეს ქართველ თავადაზნაურთაგან მებრძოლი რაზმების შედგენის ნებართვა სთხოვა. ასეც მოხდა. მოკლე ხანში ქართველმა თავადზნაურობამ ფრონტზე ორი ბატალიონი გააგზავნა პოლკოვნიკ ჯანდიერისა და ჭავჭავაძის სარდლობით. მნიშვნელოვანი ნაწილი მოხალისედ შევიდა „ველურ დივიზიაში", მრავალი ქართველი ქალიშვილი მოწ-

ყალების დად ჩაეწერა მოქმედ არმიაში (19,305). ბატალიონში უნდა ემსახურა 500 კაცს. მსურველი კი უთვალავი იყო (91).

არანაკლები აქტიურობით გამოირჩეოდნენ მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. მათი ომისადმი დამოკიდებულების გარკვევაში უთუოდ დაგვეხმარება ვორონცოვ-დაშკოვის 1914 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული წერილი: "კავკასიის ოკრუგის მობილიზაციამ ჩაიარა ბრწყინვალედ, სათადარიგო ჯარისკაცები ცხადდებოდნენ იშვიათი აღმაფრენით. გამოუცხადებლობის შემთხვევები არ ყოფილა, ამიტომაც სათადარიგო ჯარისკაცები გაცილებით მეტნი მოვიდნენ. ჯარის განწყობა შესანიშნავია. ყველა ბრძოლისაკენ მიისწრაფვის. მთელი მოსახლეობა ფეხზე დგას... მთლიანობაში მობილიზაციამ ჩაიარა წარმატებით, რასაც თან ახლდა კავკასიაში მოსახლე უკლებლივ ყველა ეროვნების საერთო აღტაცება" (40,130).

მეფის მოხელის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, რომ ქართველი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თავის სამშობლოდ რუსეთი მიაჩნდა, თუმცა ბოლომდე არ ჰქონდა დაკარგული ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი თურქეთის ომში ჩაბმის შემდეგ.

თურქეთის ომში ჩაბმამ საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო განაწყო ბრძოლოსათვის, ფეხზე დააყენა, რადგანაც მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ ისტორიული ამოცანის – ჭანეთის შემოერთების საქმეში. ქართული მოსახლეობის პრორუსულ ორინტაციას ხომ ბევრად განაპირობებდა ჭანეთის პრობლემაც. რუსეთის სახელმწიფო საზღვრების სამხრეთისაკენ გადატანა ხელს შეუწყობდა ქართველების ლაზებთან და სხვა გამაჰმადიანებულ თანამოძმეებთან დაახლოებას. ამასთან ერთად, რუსეთის საზღვრების გაფართოება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახალ პირობებთან შეთანხმებას გამოიწვევდა, რაც, ქართველების აზრით, ქვეყნის შედარებით თავისუფალი განვითარების წანამძღვრებს

შექმნიდა. ჭანეთის დაუფლებით და მასზე გამავალი სავაჭ-
რო გზების საშუალებით საქართველო დაუკავშირდებოდა
„ევროპის მრავალფეროვან ცხოვრების ვითარებას", კერ-
ძოდ, ბათუმ-ტრაპიზონის რკინგზის გაყვანით დაუახლოვდე-
ბოდა ბერლინ-კონსტანტინოპოლ-ბაღდადის რკინიგზას,
რაც მას აზიასთან, ინდოეთისა და ძველი ეგვიპტის სავაჭრო
ცენტრებთან დააკავშირებდა. ამ გზით საქონელსაც ადვი-
ლად შემოიტანდა და ქვეყნის ეკონომიკური აღორძინები-
სათვის ტრანზიტსაც დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა. გარ-
და ამისა, ქართველთა რიცხვი იმპერიაში ნახევარი მილიო-
ნით გაიზრდებოდა.

ჭანეთ-ტრაპიზონი და ჭორიხის არე-მარე ხელსაყრელ
პირობებს ქმნიდა მრეწველობის განვითარებისათვის. აქ
ვარგისი მიწის 2/3 გამოუყენებელი იყო, ხოლო გამოუკვლე-
ველი – 9/10 მადნეული სიმდიდრისა. ეს რაიონი საუკეთესო
ფუძე იყო მიწის სივიწროვით შეწუხებული ქართველი გლე-
ხობისათვის (221). ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას ქართვე-
ლობა ომს უკავშირებდა, რადგან ოსმალეთის საქართველოს
საკითხი საერთაშორისო ბედთან იყო გადაწნული. რუსეთის
მხედრობის მიერ ამ ტერიტორიის დაკავების შემდეგ 1916
წელს ქართველმა საზოგადოებამ დღის წესრიგში დააყენა
ოსმალეთის საქართველოს დანარჩენ საქართველოსთან შე-
ერთების საკითხი. ამას მოითხოვდა საქართველოს ეროვნუ-
ლი სინდისი და ინტერესები. ეს უნდა ეგრძნოთ როგორც რუ-
სეთის, ისე მის მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურებს.

როგორც ვხედავთ, ქართველობა ბევრ სასიკეთოს მოე-
ლოდა ომისგან თავისი მომავალი ცხოვრებისათვის. მხო-
ლოდ ომის საშუალებით მიაჩნდათ შესაძლებლად ქვეყანაში
დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება, საქართვე-
ლოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთება, მისი საშუა-
ლებით კი ევროპასთან დაკავშირება და ქვეყნის ეკონომიკუ-
რი პოტენციალის ზრდა. ამიტომაც იყო ასე მომართული
ბრძოლისათვის. მისი სულიერი განწყობილების უკეთ წარ-

მოსაჩენად, არ შეგვიძლია, არ დავიმოწმოთ დიდი აკაკის წერილი, რომელიც 1914 წლის 27 ოქტომბერს გაზეთ „თემში" გამოქვეყნდა. დოკუმენტი, უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, მოგვყვავს მთლიანად: „ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერ-ჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებითი არა ყოფილა რა! ყველა თავის სურვილ–ნებით და სიხარულით მიისწრაფოდა რუსის გმირებთან ერთად თავდასადებად შორეულ ქვეყნებში. დიდი ხნის გულის ნადებმა გრძნობამ სიმღერათ ამოიხეთქა და ტკბილი გუგუნი გადაეცა საქართველოს მთასა და ბარს. ერთი საუკუნეა, რაც ამისთანას არას მოსწრებია-რა საქართველო. დღევანდელ ქართველში გამოიღვიძა წინაპარმა! გმირული სიკვდილი აღარაფრად მიაჩნდა და თავის განწირვით უნდა, რომ სხვების სიკვდილი დასთრგუნოს და მომავალ დგმას ცხოვრება მიანიჭოს!...

რამ გამოუღვიძა მთელი საუკუნის განმავლობაში მიყუჩებული გრძნობა? –იმ აღთქმამ, რომელიც გამოიხატება სარდლის სიტყვებში: რუსეთი გამოდის მოსარჩლედ პატარა ქვეყნების, რომელნიც ძალმომრეობით დაჩაგრული არიან! დე, ამიერიდან ნუღა იქნება პატარა ერის გაქელვა და ქვეყნად დამყარდეს თანასწორობა, ძმობა, ერთობა და სიყვარული, – აი, სწორედ ამ აზრით იყვნენ ჩვენი წინაპრები გამსჭვალულნი, როდესაც რუსები მოიწვიეს! თუ დღემდის არ ხორციელდებოდა ეს დიადი აღთქმა, ეს სულ ზოგიერთების ბრალი იყო და დღეს განახლებული რუსეთის აზრი და სურვილი გამოითქვა უმაღლესის პირით. იმედია ასრულდება ჩვენი წინაპრების განზრახვაც.

სწორედ ამან ააფრთოვანა დღეს საქართველო და მოაგონა მამა-პაპის ანდერძი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!'' გაუმარჯოს დიდებულ რუსეთს და მასთან ერთად ამ პატარა საქართველოს! მრავალჟამიერ!''

გაზეთ „შედრევანში" ნ. ბალანჩივაძე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართველობის იდეალი ყოველთვის იყო ეროვნული ცხოვრების გაუმჯობესება მხოლოდ საერთო-სა-

იმპერიო გზით, რუსეთის ხალხთან ერთად (243). პირველმა მსოფლიო ომმა ნათელყო ქართველთა სრული ერთგულება რუსეთისადმი. იქვე ნ. ბალანჩივაძე აღნიშნავდა, რომ საქმით ქართველობა არა თუ არ ჩამორჩენია კავკასიის სხვა რომელიმე ერს ბრძოლის დროს, არამედ პირველობაც კი გამოიჩინა. რითი იყო ეს ერთგულება გამოწვეული? რატომ ენდობოდნენ ქართველები რუსებს იმ დროს, როდესაც მათგან არაფერი სიკეთე არ ახსოვდათ ისტორიულად, პირიქით, მხოლოდ გულგატეხილობასა და იმედის გაცრუებას თუ გაიხსენებდნენ. ვფიქრობთ, ამ ერთგულების მიზეზი ქართველი ხალხის ფსიქიკაში უნდა ვეძებოთ. ოპტიმისტი ერი, დაინახავდა თუ არა სინათლის შუქს, ყველაფერ ცუდს ივიწყებდა და მომავალს იმედიანად გასცქეროდა. ოპტიმიზმი და მიმტევებლური ბუნება – აი, ჩვენი აზრით, ერთგულებისა და თავგანწირვის თავი და თავი! მაგრამ რა შუქი დაინახეს ქართველებმა ასეთი? რაღა თქმა უნდა, ეროვნული თავისუფლების იმედი! მათ სწამდათ, რომ რუსეთი ამ მძიმე კრიზისის შემდეგ შექმნიდა ისეთ პირობებს, როდესაც თიი:ოეულ ერს მიეცემოდა თავისუფალი ეროვნული განვითარების საშუალება. მათთვის ეროვნული თავისუფლება კი იყო არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, არამედ შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ნაციონალური კულტურისა, რომელიც არავის არ უქმნიდა საფრთხეს, თვითონ კი მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ეს იმედი კიდევ უფრო გაუცხოველა მათ პოლონელებისადმი უმაღლესი მთავარსარდლის ცნობილმა მიმართვამ. ამ მიმართვაში ქართველებმა დაინახეს სამთავრობო პოლიტიკის შეცვლის სიმპტომები ომის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მცირერიცხოვანი ერების მიმართ. ,,ომმა, წარმოებულმა უცხო ხალხების გასანთავისუფლებლად, არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს, – ამბობენ ქართველები, –სახელმწიფოსა და დიდი რუსი ხალხის ერთგულ და მოსიყვარულე არარუსთა ბედზე, რომლებიც მხოლოდ ერთისაკენ მიისწრაფვიან – თავიანთი

ეროვნულ-კულტურული ძალების თავისუფალი განვითარებისაკენ" – წერდა „Кавказское слово" 1914 წელს (251).

სამწუხაროდ, ქართველთა ერთ ნაწილს მართლაც ეგონა, რომ მეფის რუსეთის მთავრობა ზრუნავდა არარუს ხალხთა ბედზე. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ ისეთ ელემენტარულ და სასიცოცხლო სულიერ მოთხოვნას, როგორიცაა ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა – ცარიზმი არ დააკმაყოფილებდა მიმდინარე ომში რუსეთისათვის გაღებული უდიდესი მსხვერპლის სანაცვლოდაც კი.

ამრიგად, პრორუსული (პროანტანტური) ორიენტაციის მომხრეთა ბანაკი ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი იყო საქართველოში. მასში ძირითადად შედიოდნენ რსდმპ-ის მენშევიკური ფრთის წარმომადგენლები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ნაწილობრივ სოციალისტ-ფედერალისტები. არაერთგვაროვანი იყო ამ ბანაკის წოდებრივი შემადგენლობაც. მასში გაერთიანებულნი იყვნენ როგორც მაღალი, ისე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები.

პრორუსული (პროანტანტური) ორიენტაცია განპირობებული იყო, როგორც საზოგადოების ერთი ნაწილის ფანატიკური ერთგულებით რუსეთის ცარიზმისადმი, ისე იმედით, რომ ომში გამარჯვებული მთავრობა ქვეყანაში დემოკრატიულ გარდაქმნებს განახორციელებდა და თავისი სახელმწიფო საზღვრების სამხრეთისაკენ გაფართოვებით ქართველებსაც ქვეყნის შედარებით თავისუფალი განვითარების წანამძღვრები შეექმნებოდა. ისინი არ იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ეროვნული იდეალის განხორციელება მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ესახებოდათ. საკითხისადმი სწორედ ასეთი მიდგომა აერთიანებდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანებულ თუ უპარტიო პრორუსული (პროენტანტური) ორიენტაციის მომხრეებს.

პროგერმანული ორიენტაცია

პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიის იმპერიის ინტერესების სფეროში შევიდა.

რატომ მიაპყრო მზერა გერმანიის საიმპერატორო კარმა საქართველოს? გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, მათ ამ უკანასკნელში თავიანთი მოკავშირეც დაინახეს. ამის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ქართული ემიგრაციის ცნობილ წარმომადგენელს შ. მაღლაკელიძეს: გერმანიას რუსეთის მოსახლეობაში სჭირდებოდა ,,ერთგვარი დასაყრდენი, თუ ფიზიკური არა, სულიერი მაინც... ვილჰელმ II ეძებდა რუსეთის სუსტ მხარეს. ეს სუსტი მხარე არის პროვინციებში, მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოებში... საქართველოს ისტორიულად დიდი ხანი არაა, რაც დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა – ასთოთხმეტი წელია და აიღო მიზნად საქართველო... საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა წამოაყენა ვილჰელმმა, რატომ წამოაყენა ეს, სხვა საქმეა. მთავარი ისაა, რომ მანამდე ისე ღიად არავის დაუყენებია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი" (165,34).

ქართველები უთუოდ კარგად ერკვეოდნენ, რომ გერმანიის მთავრობა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მზად იყო, ეცნო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ხალხების თვითმყოფადობა და მათი სახელმწიფოებრიობა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. ამიტომ წარმოიშვა მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღეებიდან საქართველოში გერმანული ორიენტაცია, რომლის დასამკვიდრებლად ქართულ პოლიტიკაში ენერგიული მუშაობა მიმდინარეობდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროგერმანული ორიენტაციის მომხრეებს კარგად ესმოდათ, რომ ქართველი ხალხის ეროვნული იდეალის განხორციელება რუსეთის დამარცხების გარეშე შეუძლებელი

იქნებოდა. მათთვის ეროვნული იდეალი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ნიშნავდა. ,,ჩვენ რუსეთის შინაგანი ცხოვრებისაგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ, რაც უფრო გამაგრდება შიგნით რუსეთი, მით უფრო სასტიკი განსაცდელი მოელის ჩვენს ერს, ჩვენს მიწა-წყალს'', – წერდა გ. კერესელიძე ბერლინში გამომავალ ,,ქართულ გაზეთში", და იქვე დასძენდა, რომ ერთადერთი საშუალება იყო ,,რუსეთის დახმარება მისი გარეგანი მტრისაგან, რომლის ინტერესები მოითხოვს არა ჩვენ განთავისუფლებას, ან რომლის ინტერესიც წინააღმდეგი არ არის ჩვენი დამოუკიდებლობის არსებობისა" (94, 9).

პროგერმანული ორიენტაციის პირველი პიონერები იყვნენ საზღვარგარეთ მოღვაწე პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლები: პ. სურგულაძე, ლ. და გ. კერესელიძეები, ნ. მაღალაშვილი, გ. მაჩაბელი, მ. წერეთელი და სხვ. მათი ნაწილი გაერთიანებული იყო ჯენევაში 1910 წლიდან არსებულ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში, რომელსაც ხელმძღვანელობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პეტრე სურგულაძე.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები ჟენევიდან ბერლინში გადავიდნენ. პირველები სწორედ ისინი დაუკავშირდნენ გერმანიის მთავრობის მოხელეებს და მათთან ერთად დაიწყეს მუშაობა გერმანიასა და საქართველოს შორის ურთიერთობების დასამყარებლად. საქართველოს დამკომმა გერმანიის საგარეო საქმეთა უწყებისადმი შეადგინა მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს 2,5 მილიონ მცხოვრებთაგან 300 000 მაჰმადიანი იყო, რომელთაც კავკასიის ნეიტრალიზაციისათვის იარაღი, ფული და სურსათი სჭირდებოდათ (67, 63-64).

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით შემუშავებულ იქნა კომიტეტის მუშაობის გეგმა, რომლის საბოლოოდ დასამტკიცებლად კომიტეტის წევრები წარუდგნენ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. აქ მათ ურთიერთობა ჰქონდათ საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველ რუდოლფ ნადოლთან და გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსთან, აღმოსავლეთის საქმეების ღრმად მცოდნე ოტო გიუნთერ ფონ ვეზენდონკთან, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული პრობლემის შესწავლის საქმეში. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა გერმანიის მთავრობასთან გააფორმა ხელშეკრულება, „სადაც იყო დაპირება გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს ცნობისა, თუ გერმანია გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. იყო აღთქმული აგრეთვე ყველანაირი დახმარება კომიტეტის მუშაობისათვის" (163).

გერმანიის გენერალური შტაბის ჩანაფიქრით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს უნდა უზრუნველეყო მრავალრიცხოვანი სადივერსიო ჯგუფების შექმნა, რომლებიც იმოქმედებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მათ ასევე ევალებოდათ რუსეთ-თურქეთის საზღვარზე ინციდენტების განხორციელება, რომლებსაც უნდა დაეჩქარებინათ თურქეთის ომში ჩაბმა (56, 63).

ამ მიზნით გერმანიის გენერალური შტაბის სპეციალურმა განყოფილებამ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა თურქეთში გადაგზავნა. ერთ-ერთი პირველი გაიგზავნა ლ. კერესელიძე. გერმანიის წარმომადგენელი ბერნში, რომბერგი, ამასთან დაკავშირებით 1914 წლის 29 აგვისტოს ბერლინს მოახსენებდა: „ქართველი დღეს

ვენის გავლით კონსტანტინოპოლისაკენ გაემგზავრა. მას გადაეცა პასპორტი, რომელშიც იგი მოიხსენიება ელზას-ლოტარინგიის მცხოვრებ ლეო კერელეს სახელით. მისი ბილეთის ღირებულება დანიშნულების ადგილამდე გადახდილია საკონსულოს მიერ" (56, 64).

სამი კვირის შემდეგ კერესელიძეს მიჰყვნენ კომიტეტის სხვა წევრებიც. მათაც გერმანული პასპორტები და გადაკეთებული სახელები ჰქონდათ: ნესტორ მიურბანდი, პიერ სურატე, პაულ კელინგი, გეორგ კერელე; მალე სტამბოლს ჩავიდნენ და მათ შეუერთდნენ მელიტონ ქარცივაძე, ზია აბაშიძე, შალვა ვარდიძე და სხვ. კონსტანტინოპოლში ჩასულ ქართველთა რაოდენობა სამ ათეულს არ აღემატებოდა. მათ სტამბოლში გერმანიის ელჩ ჰანს ვანგენჰაიმისა და გავლენიანი სტამბოლელი მაჰმადიანი ქართველების მეშვეობით კავშირი დაამყარეს ოსმალეთის მთავრობასთან (56,64).

ბერლინიდან მიღებული მითითებების საფუძველზე დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა გერმანიის საქმეთა რწმუნებულს სტამბოლში ლოის მოზელს. მან კერესელიძესთან ერთად ლაზისტანში რუსეთ-თურქეთის სასაზღვრო ზოლში ის უბნებიც მოინახულა, საიდანაც რუსეთის წინააღმდეგ დივერსიული ოპერაციები უნდა მოეწყოთ. სექტემბრის ბოლოსათვის მოზელი დაბრუნდა სტამბულში და გერმანიის ელჩს მუშაობის შედეგები მოახსენა.

საქართველოს დამკომისაგან დამოუკიდებლად გერმანელებთან კონტაქტების დამყარებას ცდილობდა გიორგი მაჩაბელიც, რომელიც მსოფლიო ომის დაწყებას ბელგიაში შეხვდა. იგი დაუკავშირდა ბელგიის გუბერნატორს, ფელდმარშალ ფონ დერ გოლცს, რომელსაც გაუზიარა თავისი აზრი გერმანია-საქართველოს მომავალი ურთიერთობების შესახებ. ფელდმარშალს ეს გეგმა იმდენად მოსწონებია, რომ გიორგი მაჩაბელი საკუთარი ავტომანქანით გაუმგზავ-

რებია გერმანიაში. მას ჰაიდელბერგში მიხაკო წერეთელი მოუნახულებია და ბერლინში მასთან ერთად ჩასულა.

ბელგიის გუბერნატორი, ფელდმარშალი ფონ დერ გოლცი

გ. მაჩაბელსა და მ. წერეთელს გერმანიის საგარეო-საქმეთა სამინისტროში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მთავრობის მოხელეებთან (163). ამ შეხვედრაზე მ. წერეთელმა რუსეთში გერმანიის ყოფილ ელჩს გრაფ პურტალეს მიმართა შეკითხვით – მომავალ საზავო კონფერენციაზე იქნებოდა თუ არა მოსმენილი საქართველოს მემორანდუმი. საპასუხოდ მას განუცხადებია, რომ ეს დამოკიდებული იქნებოდა ქართველების პოზიციაზე: თუ ისინი გამოვიდოდნენ რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ გერმანია დაიცავდა საქართველოს ინტერესებს. მ. წერეთელმა იმედი გამოთქვა, რომ ქართვე-

ლები რუსეთის წინააღმდეგ 50 000 კაციან ლაშქარს გამოიყვანდნენ. გერმანიის წარმომადგენლებმა კი ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიარაღება, დაარწმუნეს მოლაპარაკებაში მონაწილე ქართველები, რომ საომარი საჭურვლის ნაწილი უკვე შეტანილი იყო ტრაპიზონში და, თუ შეთანხმება დაიდებოდა, იგი გაეგზავნებოდა ქართველ აჯანყებულთა ლაშქარს (4, 203).

ამის შესახებ რუსეთის დაზვერვამ თავის მთავრობას აცნობა: გერმანია ცდილობს გამოიყენოს ქართველთა აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ და ამას თურქეთის ომში ჩაბმის მომენტს უკავშირებს. გერმანიიდან აჯანყებულთათვის გამოიგზავნება იარაღი 50 000 კაცზე, აგრეთვე ფული 2 მლნ მანეთის ოდენობით (4, 203).

როგორც ჩანს, ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში საუბარია იმ იარაღსა და ფულზე, რომელსაც გერმანიის მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს დაჰპირდა. ისინი, როგორც ვთქვით, აგვისტოს ბოლოდან უკვე თურქეთში იმყოფებოდნენ პრაქტიკული მუშაობის გასაწევად. გერმანელთა ხელშეწყობით გ. მაჩაბელმა და მ. წერეთელმა შეიმუშავეს პროექტი ამიერკავკასიის მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ. მათ 1914 წლის 24 სექტემბერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს გეგმა „რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილებისა და მისი შემდგომი პოლიტიკური მოწყობის შესახებ". მასში ცენტრალური ადგილი ეკავა ამიერკავკასიაში შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა და მობილიზაციის გეგმის ჩაშლას და ამით კავკასიის არმიის დემორალიზაციას. ეს გამოიწვევდა რუსეთის დასუსტებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობდა მის დამარცხებას პირველ მსოფლიო ომში. რუსეთის ჩამოშორების შემდეგ ამიერკავკასია მოიხსენიებოდა, როგორც დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა.

გერმანია გულმოდგინედ შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას. ორასი ათასი მარკაც კი გამოყო ქართველ მოხალი-

სეთა რაზმების ფორმირებისათვის, შესაბამის უწყებებს კი საჭირო რაოდენობის იარაღის შეგროვება დაავალა (56, 65). უკვე ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის იარაღით დატვირთული 26 ვაგონი კენიგსბერგიდან კონსტანტინოპოლში გაისტუმრეს, სადივერსიო ოპერაციების საწარმოებლად საჭირო მეომრებს კი ტყვეთა ბანაკებში დაუწყეს ძებნა. ეს არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. აღნიშნული დროისათვის გერმანიაში 881 ქართველი ტყვე ყოფილა, ამათგან 80 %- საომარი ოპერაციებისთვის გამოუსადეგარი, დანარჩენი 20 % -იდან კი მხოლოდ უმცირესობას გამოუთქვამს სურვილი გერმანიის დროშის ქვეშ ებრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ისინი გადაისროლეს თურქეთში, სადაც იმ დროს ძირითადად ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანებისაგან შედგენილ რაზმს – ქართულ ლეგიონს –ლეო კერესელიძე ხელმძღვანელობდა. იგი თავის რაზმს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდა.

გერმანიის მთავრობის რჩევით გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი ბერლინიდან სტამბულში ჩავიდნენ და დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს შეუერთდნენ, რომლებიც ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას სექტემბრიდან აწარმოებდნენ. მოლაპარაკების პროცესი დაძაბულად მიმდინარეობდა. თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის არეალში ამიერკავკასიას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა და ამდენად თურქეთის ხელისუფლება მტკივნეულად განიცდიდა ყველაფერს, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მის ჩანაფიქრს. ოსმალეთის მთავრობა ვერ ურიგდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას და ეწინააღმდეგებოდა კომიტეტის მოთხოვნას, ეცნო საქართველო 1914 წლის საზღვრებში. ოსმალეთის მთავრობის ასეთმა პოზიციამ, გერმანელების დიდმა მცდელობამ – მიღწეულიყო შეთანხმება თურქეთის მთავრობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის, შექმნა საქართველოს ისტორიისათვის ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: 1. „კავკასიის ნე-

იტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი"; 2. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმება ოსმალეთთან.

პირველი დოკუმენტის ავტორები გახლდნენ მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი. იქიდან გამომდინარე, რომ თურქეთის მთავრობა ვერ ურიგდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, ისინი, გერმანიის მთავრობის მოთხოვნით, იძულებულნი გახდნენ ცვლილებები შეეტანათ 1914 წლის 24 სექტემბრის გეგმაში. მასში ამიერკავკასიის ფედერაციის ნაცვლად გათვალისწინებული იყო ქართული სახელმწიფოს, სომეხ-თათართა კანტონისა და მთიელთა ფედერაციის ჩამოყალიბება (56, 66).

კავკასიის ომისშემდგომი პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხი ერთნაირად აღელვებდათ როგორც ქართველებს, ისე გერმანელებსა და თურქებს. საკითხისადმი ქართველების დამოკიდებულებას განსაზღვრავდა გერმანიასა და თურქეთს შორის ურთიერთობა, ამიტომაც არ ჰქონდათ თავდაპირველად გერმანული ორიენტაციის მქონე ქართველებს მკაცრად ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ისინი ხან ამიერკავკასიის ფედერაციის შექნის იდეას უჭერდნენ მხარს, ხან კი დამოუკიდებელი საქართველოსი. გერმანია, რა თქმა უნდა, უარს არ იტყოდა, რომ მთელი კავკასია თავისი გავლენის სფეროდ ექცია, მაგრამ გერმანიასთან მკვეთრი დაპირისპირება არ სურდა. ვფიქრობთ, გერმანელებმა და თურქებმა კომპრომისული გზა აირჩიეს, როდესაც ამიერკავკასიის ფედერაციის ნაცვლად ქართული სახელმწიფოს, სომეხ-თათართა კანტონისა და მთიელთა ფედერაციის შექმნაზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებამ კი ასახვა ჰპოვა ქართველების მიერ შედგენილ „კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტში".

ამ დოკუმენტის საფუძველზე გაიხსნა თურქეთისაკენ მიმავალი გზები და შესაძლებელი გახდა მასთან თანამშრომ-

ლობა. ამან კი ის შედეგები გამოიღო, რომ გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა და ოსმალეთის მთავრობას შორის.

ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ვკითხულობთ: „ოსმალეთის მთავრობამ უნდა სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უვადო უფლება მის ისტორიულ-რეალურ ტერიტორიაზე, რომელიც შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ საზღვრებს. შავ ზღვაზე დაკოვსკიდან პირდაპირის ხაზით აბაშამდე და შემდეგ პირდაპირის ხაზით ელბრუსამდე, რომელიც შედის საქართველოს შემადგენლობაში. ელბრუსიდან პირდაპირის ხაზით ბალთამდე და შემდეგ ასაკოვიდან დაღესტნის საზღვრამდე და ჩამოვა სალავათამდე. სალავათიდან პირდაპირ გოქჩამდე, რომლის ჩრდილოეთი მხარე საქართველოსი იქნება. გოქჩიდან პირდაპირ ჩილდირამდე, ჩილდირიდან ბალვანამდე, ბალვანიდან არტანუჯამდე, რომელიც შედის საქართველოს საზღვარში. არტანუჯიდან ოსმალეთის და რუსეთის 1914 წლის საზღვრამდე, იქ სადაც ჩამოდის მდინარე ჭოროხი.

ქალაქები: განჯა, ალექსანდროპოლი, ერევანი, ყარსი და არდაგანი რჩებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ".

ხელშეკრულების მეორე მუხლის მიხედვით, ოსმალეთის მთავრობა წინააღმდეგობას არ გაუწევდა საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას რუსეთის ჯარისაგან განთავისუფლებულ საქართველოს ტერიტორიაზე.

მეტად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მესამე მუხლი. მასში ნათქვამია: "გამოცხადდება თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობა, ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და იღებს მის წარმომადგენელს". ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ქონებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული ქონება, „როგორც ანაზღაური დანაკლისისა, რომელიც ჰქონდა ქართველ ერს ერთ საუკუნეზე მეტის მონობაში" (მუხლი IV); ოსმალეთის მთავრობა თავისი ჯარის საქარ-

თველოს ტერიტორიაზე ყოფნის დროს ქართველებისაგან არავითარ კონტრიბუციას და გადასახადს არ აიღებდა (მუხლი V); იგი დახმარებას ჰპირდებოდა ქართველებს საკუთარ ტერიტორიაზე იარაღისა და სხვა სამხედრო მასალის გატარებაში ომის მთელი პერიოდის მანძილზე (მუხლი VI). შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი მუხლი ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართველების შეიარაღებული ძალების ფორმირების საკითხს ეხება, კერძოდ, მეშვიდე მუხლში ნათქვამია: ,,ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომ მან შეადგინოს ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონი და ჰპირდება გაუადვილოს საქმე". ამავე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ლეგიონი დაკომპლექტდებოდა ოსმალეთში, გერმანიასა და ავსტრიაში მოხვედრილი სამხედრო ტყვეებისაგან, ოსმალეთში ომის დროს გადასული ქართველი ემიგრანტებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ქართველებისაგან.

ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველოს ჯარის ორგანიზაცია და მისი ოსმალეთის არმიასთან ურთიერთობის ნიუანსები. მართალია, საშინაო საქმეები ასევე ოფიცრების, სამხედრო შტაბისა და მეთაურის დანიშვნა საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა, მაგრამ ქართული ლეგიონის მეთაურად უნდა დანიშნულიყო თურქეთის მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის უმაღლესი მხედართმთავრის განკარგულებაში გადადიოდა. გენერალური შტაბი სტრატეგიული გეგმის მთლიანობის დაცვის საბაბით აწესრიგებდა სამხედრო ოპერაციებს ქართული ლეგიონის მონაწილეობით. ამ უკანასკნელს მხოლოდ საქართველოს საზღვრებთან ჰქონდა ბრძოლის უფლება, რათა ხალხის აჯანყება და დროებითი მთავრობის გამოცხადების შესაძლებლობა მისცემოდა. ოსმალეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა, ქართულ მხარეს იარაღითა და ფულით დახმარებოდა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ვალად ჩაითვლებოდა.

მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების მეცხრე მუხლიც. დაზავების შემდეგ ოსმალეთის მთავრობას დაუყოვნებლივ გაჰყავდა თავისი ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან. საომარი ოპერაციების მიმდინარეობის დროს კი მას უფლება ჰქონდა, ესარგებლა რკინიგზითა და სხვა გზატკეცილებით. ოსმალეთის ჯარისთვის საჭირო რეკვიზიცია მოხდებოდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის საშუალებით. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდებოდა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია.

თავის მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ოსმალეთის მხარეს ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდა: ვალდებულებას კისრულობდა, გაეწია ოსმალეთის სასარგებლო პროპაგანდა. ეცადა, რომ ოსმალეთის ჯარი მეგობრულად ყოფილიყო მიღებული საქართველოში, გაეცნო ოსმალეთის ჯარისათვის რუსეთის ფრონტის მდგომარეობა, გაეადვილებინა მისთვის მისვლა-მოსვლა და გადაჯგუფება სამხედრო ოპერაციებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა და ოსმალეთის მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ყველა პირობა ძალაში რჩებოდა საქართველოს დროებითი მთავრობისთვისაც ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (207).

ამრიგად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ არა გერმანელების მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროქართული პოლიტიკა, არ გვექნებოდა საქართველოსათვის ეს მეტად ღირებული დოკუმენტები. რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, იმ პერიოდში გერმანელები უფრო მეტად აქტიურობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, ვიდრე ქართველები. განა 1914 წლის 24 სექტემბერს გიორგი მაჩაბლისა და მიხაკო წერეთლის მიერ შემუშავებულ „რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილებისა და მისი შემდგომი პოლიტიკური მოწყობის გეგმაში" დამოუკიდებელი საქართველოს ნაცვლად ამიერკავკასიის ფედერაციის შექ-

მნა არ იყო ნავარაუდევი? განა თურქეთის პოზიციამ და გერმანიის ინტერესებმა არ მოამზადეს ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად? მათ "კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტში" ხომ ამიერკავკასიის ფედერაციის ნაცვლად, გერმანიისა და თურქეთის ინტერესების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის საკითხი შეიტანეს. ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უკვე 1914 წლის შემოდგომისთვის გერმანიამ და თურქეთმა ამიერკავკასია ფაქტობრივად გავლენის სფეროებად გაიყვეს: საქართველო გერმანიის ზონაში შევიდა, ხოლო თურქეთს შესაძლებლობა მიეცა, თავისი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება ამიერკავკასიის დანარჩენ ტერიტორიაზე ეცადა.

ამ პროექტში გათვალისწინებული იყო საქართველოში კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების დამყარება ჰოჰენცოლერების დინასტიით სათავეში.

როგორც ჩანს, საქართველოში მონარქიის აღდგენის წინადადება ამ ქვეყნით დიდად დაინტერესებული გერმანიის იმპერატორისაგან მომდინარეობდა. მას სურდა, საქართველოს სამეფო ტახტზე დაესვა თავისი მემკვიდრე იოახიმი. დედოფალიც შერჩეული ჰყავდათ, მიხეილ მაჩაბლის ქალიშვილი მარინე (165,35). საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების თანხმობით, იოახიმი ტრაპიზონშიც ჩავიდა და ქართველი ლეგიონერებიც ინახულა, როგორც საქართველოს ტახტის მემკვიდრემ (165, 36). გერმანიის საიმპერატორო ტახტის დავალებით, მთავრობა ამ საკითხის ზონდირებას ახდენა თავდაპირველად ქართველ საზოგადოებრიობაში, შემდეგ კი საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩთან საბჭოთა რუსეთში გაბრიელ ხუნდაძესთან საუბარში გერმანიის ელჩ მირბახს უთქვამს.: ,,საქართველოს აღდგენა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებში შესაძლებელია

იმ პირობით, თუ იგი დათანხმდება გერმანელი პრინცის მიღებას" (237).

აღნიშნული ციტატა მოწმობს, თუ რა შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა გერმანიის საიმპერატორო კარს. იგი ჰოჰენცოლერების დინასტიის საქართველოში დამკვიდრებით კიდევ უფრო გააფართოებდა თავის გავლენას მსოფლიოს ამ რეგიონში. ამასთან ერთად, დღის წესრიგში დადგებოდა საქართველოს აღდგენა თავის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებში. ასე უნდა შესწყობოდა ერთმანეთს გერმანელთა და ქართველთა ინტერესები.

ქართულ საზოგადოებრიობასა და მოგვიანებით რესპუბლიკური საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა გერმანიის ამ წინადადებას. საზოგადოების ნაწილი მომხრე იყო ქვეყანაში მონარქიის აღდგენისა, მათ მოგვიანებით მონარქიული გადატრიალებაც სურდათ, რომლის განხორციელებასაც, შესაძლოა, გერმანიის პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამ შეუშალა ხელი (164).

როგორ გამოიყურებოდა გერმანიის თვალით დანახული საქართველოს საზღვრები? როგორც 1914 წლის 14 სექტემბერს, ლეო კერესელიძის კონსტანტინოპოლში გერმანიის ელჩ, ბარონ ვანგენჰაიმთან შეხვედრისას გაირკვა, ეს უკანასკნელი პირობას იძლეოდა, რომ მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებაზე გერმანია მხარს დაუჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მის შემადგენლობაში შევიდოდა: აფხაზეთი, სამეგრელო, სამურზაყანო, სვანეთი, ლეჩხუმი, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიები, ზაქათალა, ბათუმი (67,63).

ამ ფაქტების შესახებ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ქართველ პატრიოტთა ერთმა ჯგუფმა და მას მაინც ჰქონდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი. ეს იმედი კი მათ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ჩაუსახათ. ჯგუფი ჟურნალ ,,კლდის" გარშემო იყო გაერთიანებული (161, 138).

მართალია, მათი გავლენა ქართულ ფართო წრეებზე ჯერ კიდევ სუსტი იყო, ხოლო მათი საქმიანობა ავანტიურიზმად ითვლებოდა, მაგრამ ისინი ამოძრავდნენ საზოგადოების დასარაზმავად ანტიცარისტული აჯანყების მოწყობის მიზნით. შექმნეს საიდუმლო ორგანიზაციები, აგროვებდნენ იარაღს და სხვ. 1914 წლის ოქტომბრისათვის მათ იარაღის უკვე რამდენიმე საწყობი ჰქონდათ (160,48). მათ მიერ დაარსებული ერთ-ერთი უფრო ფართო საიდუმლო ორგანიზაცია იყო ,,ქართული ეროვნული კომიტეტი", რომელიც 1914 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. მასში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. აქ იყვნენ როგორც სოციალისტ-ფედერალისტები, ისე ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და უპარტიოებიც კი. ასე რომ, თავისი შემადგენლობით ,,ქართული ეროვნული კომიტეტი" ინტერპარტიული ორგანიზაცია იყო. ,,ქართული საქველმოქმედო საზოგადოების" სახელით შენიღბულნი ისინი ეხმარებოდნენ დაჭრილ მეომრებს, საერთოდ გაჭირვებულ ხალხს, ფარულად საქართველოს განთავისუფლების გეგმებს ადგენდნენ და არალეგალური ორგანიზაციებიდან პატრიოტულ ძალებს იკრებდნენ. როგორც ჩანს, სწორედ მათგან ფლობდა ინფორმაციას გერმანელი აგენტი კიშკე, რომელიც ფონ დენ გოლცს მოახსენებდა, რომ საქართველოში ხელსაყრელი პირობები არსებობდა აჯანყებისათვის და რომ ქართველებს შეეძლოთ თოფქვეშ დაეყენებინათ 30 000 კაცი (67,60).

საქმის წარმატებით წარმართვისათვის საჭირო იყო ამ ორი ორგანიზაციის დაკავშირება. მართლაც, მალე გერმანიის მთავრობის დავალებით, საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი ,,იმის გასაგებად, თუ როგორ შეხვდებოდა ქართველი ერი და მისი პოლიტიკური პარტიები, ქართველი საზოგადოება საერთოდ, - დამოუკიდებლობის იდეას და თვით დამოუკიდებლობას'' (160,148). ამ საკითხის განსახილველად ქუთაისში, ვასილ ფალიაშვილის ბინაზე, მოწვეულ იქნა ინ-

ტერპარტიული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან (მენშევიკები) ნოე ჟორდანიამ და ევგენი გეგეჭკორმა, სოციალისტ-ფედერალისტებიდან–სამსონ ფირცხალავამ და გრიგოლ რცხილაძემ, ხოლო „ქართულ ეროვნულ პარტიას" წარმოადგენდნენ შალვა ამირეჯიბი და რეზო გაბაშვილი. გ. მაჩაბელმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო გერმანიისა და ოსმალეთის მთავრობებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სთხოვა მხარდაჭერა. კონფერენციაზე ნათლად გამომჟღავნდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში პროგერმანული ორიენტაციის საკითხისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა. სოციალისტ-ფედერალისტებს ჯერ კიდევ გარკვევით არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული თავიანთი პოზიცია: მენშევიკების დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი (იხ. გვ. 58). მათი პროანტანტური პოზიციის მიუხედავად, ისინი ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს მუშაობაში. ცნობილია ნოე ჟორდანიას სიტყვები, ნათქვამი ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე: „ ... თქვენ იმუშავეთ მაგ გზით, ჩვენ ჩვენი გზით, ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, იქნებ ზოგ რაიმეში ხელიც შეგიწყოთო" (160,149). თუმცა ამ დროისათვის მენშევიკურ პარტიაში საკმაოდ ძლიერი იყო პროგერმანული ტენდენცია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ე. გეგეჭკორი და სხვ. (168, 69). მხოლოდ ქართულმა ეროვნულმა პარტიამ განაცხადა პრინციპული თანხმობა გერმანიის ბლოკთან თანამშრომლობაზე და მათი ინიციატივით დაარსდა კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თბილისის ფილიალი, რომლის წევრები იყვნენ დ. ვაჩნაძე, ს კედია, რ. გაბაშვილი (168,157).

პროგერმანული ორიენტაციის მომხრენი იყვნენ აგრეთვე ქუთაისის ფედერალისტთა ჯგუფის წევრები. მათ შორის: ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრიგოლ ერმალოს ძე ლალიძე, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი შოთა პლა-

ტონის ძე დადიანი, პეტროგრადის სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელი დავით ჩიქოვანი და სხვ. დასახელებულ პირებს, აგენტურის მონაცემებით, ურთიერთობა ჰქონდათ კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან (82).

ევროპაში დაბრუნებისას გიორგი მაჩაბელმა პეტროგრადში ინახულა თავისი უმცროსი ძმა ნიკო და სხვა ქართველები, სადაც შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ფილიალი. მისი ხელმძღვანელობა დაევალა ნ. მაჩაბელს (10, 17).

აღმოსავლეთის ფრონტზე მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებების გამო კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოთი გერმანიის დაინტერესება. სერბიის ჯარების განადგურებისა და ბულგარეთის გერმანიის ბლოკთან შეერთებამ გერმანიას საშუალება მისცა, აქცენტი დასავლეთიდან მისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსებით მდიდარი აღმოსავლეთისაკენ გადმოეტანა. საქმე ისაა, რომ გერმანელი სტრატეგები არ ითვალისწინებდნენ ომის ხანგრძლივად წარმოებას. გერმანია ანტანტის საზღვაო ბლოკადაში აღმოჩნდა. ბლიცკრიგის ჩაშლამ და ომის გახანგრძლივებამ ის გაუთვალისწინებელი პრობლემების წინაშე დააყენა. გერმანიის მთავრობა ვარაუდობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მდიდარი მატერიალური რესურსების გამოყენებას. პირდაპირი სარკინიგზო ხაზი–ბერლინი-ვენა-ბელგრადი-კონსტანტინოპოლი–მას ამის განხორციელების საშუალებას აძლევდა. ლოიდ ჯორჯი აღნიშნავდა, რომ სერბიის დამარცხებამ გერმანელებს გზა გაუხსნა აღმოსავლეთისაკენ – ბელგრადიდან ბაღდადამდე, უზრუნველყო ის პურით, ყავით, ჩაით, სპილენძითა და პირველხარისხოვანი ჯარისკაცებით (40,170). ანტანტის ქვეყნების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 1916-1917 წლების ზამთარში. ინგლისელი გენერლის ტუნსენდის საექსპედიციო კორპუსი ბაღდადთან განცდილი მარცხის შემდეგ, 1916 წლის 26 აპრილს, 147 დღის ალყის შემდეგ ქუტ-ელ-ამართან

თურქების მიერ იქნა განადგურებული. საომარი ოპერაციების წარუმატებლობის გამო ინგლისში ეცემოდა მთავრობის ავტორიტეტი. რუსეთი მარცხს მარცხზე განიცდიდა. „უკმაყოფილება და მღელვარება მოედო რუს ჯარისკაცებს... ქვეყანა იმყოფებოდა რევოლუციის ზღურბლზე" (172, 56).

შექმნილი ვითარება ხელს უწყობდა საქართველოში პროგერმანული ორიენტაციის მომხრეთა პოზიციების განმტკიცებას. მით უფრო, რომ 1916 წლიდან დაიწყო გერმანული წყალქვეშა ნავების მიერ იარაღის ფარული შემოზიდვა საქართველოში.

რემდენიმე სიტყვით აღვნიშნავთ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პროპაგანდისტული საქმიანობის შესახებ. დამოუკიდებლობის კომიტეტი თავისი იდეის განსახორციელებლად საქართველოს საკითხის აგიტაციას ეწეოდა, სადაც კი ამისი შესაძლებლობა ექნებოდა. იგი ამით მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა ქართველი ხალხის მხარდასაჭერად. მის მოწადინებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. 1915 წელს ბერლინში დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც შევიდნენ ცნობილი იურისტები, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები ფრანც-ფონ ლისტის ხელმძღვანელობით. აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. ამ საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრის, ქართველი ხალხის გულშემატკივრის, ლიტველი ბარონ როპის ინიციატივით ევროპულ ენებზე გამოიცა წიგნი სათაურით – „იცნობთ თქვენ რუსეთს?", სადაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ჩაგრულ ერთა მდგომარეობა იყო აღწერილი. პროპაგანდის მიზნით, „ქართული გაზეთის'' ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდებოდა პუბლიკაციები, სადაც თანაგრძნობა იყო გამოხატული თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი. მაგ., 1916 წლის 15 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა „რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგის მოწოდება" აშშ-ის პრეზიდენტ ვილსონისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ჩვენ, უცხო ერნი და უცხო

სარწმუნოების აღმსრულებელნი რუსეთის იმპერიისა ვუჩივით რუსეთის მთავრობას მთელის განათლებულის კაცობრიობის წინაშე და ვთხოვთ შველას, რათა დაგვიხსნას სრული მოსპობისაგან". მოწოდებას ხელს აწერდნენ უკრაინელთა, ბალტიისპირეთის ქვეყნების, პოლონელთა, ფინელთა, ებრაელთა, მუსლიმანთა წარმომადგენელნი, ხოლო ქართველთა სახელით – მ. წერეთელი. ამ დოკუმენტით თვალსაჩინო ხდება ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის შედეგიანობაც, ხარისხიც და მასშტაბებიც. დაუცხრომელი პატრიოტები, როგორც ჩანს, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა მთელ კაცობრიობას გაეგო ქართველი ერის, როგორც რუსეთის იმპერიის მიერ დამონებული ხალხის, გასაჭირი და მხარში ამოსდგომოდა მას. აშშ-ის პრეზიდენტის ,,შეწუხებასაც" არ ერიდებოდნენ ისინი, ოღონდ კი საქართველოს რამე შველებოდა. ალბათ, მათ ძილშიც არ ეძინათ ,,ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულებს".

მოწოდების გამოქვეყნებიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ლოზანაში ჩატარდა ერთა კავშირის მესამე სამშვიდობო კონფერენცია, სხვა ერებთან ერთად მას ჩაგრული ერების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კონფერენციაზე ქართველი ხალხის სახელით სიტყვა წარმოთქვა მ. წერეთელმა, რომელმაც მონაწილეთა საერთო მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა. მასში მოკლედ იყო აღწერილი ქართველი ერის ერთ საუკუნეზე მეტი ხნის ბრძოლის ისტორია ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის, მხილებული იყო მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა და მისი შედეგები საქართველოში. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა მოხსენება ბერლინში ფრანგულ ენაზე დასტამბეს. იგი სრულად დაიბეჭდა ,,ქართული გაზეთის'' 1916 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ნომრებში, ხოლო ნაწილობრივ– კ. სალიას ჟურნალ ,,ბედი ქართლისას" მე-15 ნომერში.

წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით იყო აღსავსე დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობა-მოღვაწეობა.

ხშირად მათ საკუთარი ერის წარმომადგენლებისაგან უფრო უხდებოდათ თავდაცვა. ამ წინააღმდეგობამ ზემოაღნიშნულ კონერენციაზეც იჩინა თავი, როდესაც ქართველ სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელმა ბ. თევზაიამ საჯაროდ დაგმო მ. წერეთლის სიტყვა და რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები წარმოთქვა. მან პარტიის სახელით მ. წერეთელის შესახებ თამამად განაცხადა: „ქართველ ერს არავისთვის დაუვალებია მისი სახელით აქ გამოსვლა და ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, ქართველები, ვიბრძვით მხოლოდ რუსეთის დემოკრატიასთან ერთადო".

ადვილი წარმოსადგენია, ასეთი მასშტაბის საერთაშორისო კონფერენციაზე თანამემამულისაგან გაკეთებული ეს განცხადება როგორი ლახვრის ჩაცემა იყო დამოუკიდებლობის კომიტეტელებისათვის. იქ ხომ ევროპისა და აზიის ხალხთა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები და პარტიული ინტერესები არავის დაუყენებია საერთო ეროვნულ ინტერესებზე მაღლა. ბუნებრიავია, ყველასთვის აშკარა გახდა ქართველთა შორის უთანხმოება. გამოხმაურებასაც არ დაუყოვნებია. იმდროინდელი ევროპული პრესა მოიცვა ამ ამბავმა. თითქმის არ დარჩენილა გერმანული, ფრანგული და შვეიცარული გაზეთი, სადაც ინფორმაცია არ ყოფილიყო ამის თაობაზე. ყველგან ცალსახად ეწერა, რომ მხოლოდ ქართველთა წარმომადგენლებს მოუვიდათ ურთიერთშორის უთანხმოება. მხოლოდ „გაორებული საქართველოს" შვილებს დაემართად ესო. სწორედ ამ სათაურით – „გაორებული საქართველო" – დაიბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიას სტატია გაზეთ „სახალხო ფურცლის" 1917 წლის 11 აპრილის ნომერში.

ბოლშევიკი ნოე ბუაჩიძე კი თავისი მოღვაწეობით თურქეთსა და ბულგარეთში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საწინააღმდეგო შეხედულებებს ავრცელებდა. იგი გამოდიოდა თურქეთში მოღვაწე ქართველი ნაციონალისტების წინააღმდეგ. თავის მოხსენებებში ამხელდა ქარ-

თველი ნაციონალიტებისა და თურქ-გერმანელთა ზრახვებს საქართველოს მიმართ. 1915 წელს ბულგარეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც მკითხველს აცნობდა, რომ ქართველმა სოციალისტებმა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად თურქეთთან დადეს კავშირიო. ბუაჩიძემ პროტესტის წერილი გაუგზავნა რედაქციას, რომელშიც გადმოსცა სოციალ–დემოკრატთა პროგრამა და ტაქტიკური გეზი (19, 319).

ასე იყო თუ ისე, ისტორია გრძელდებოდა და მოვლენებიც ისტორიული კანონზომიერებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებიც არ წყვეტდნენ ფიქრს საქართველოს თავისუფლებაზე. 1917 წლის 16 თებერვალს „ქართული გაზეთის" ფურცლებზე მიხეილ წერეთელმა და გიორგი კერესელიძემ ღია წერილით მიმართეს აშშ-ის პრესიდენტს ვილსონს. წერილის დაწერა მათ პრეზიდენტის მანიფესტმა გააბედვინა, რომლითაც მან 22 იანვარს სენატს მიმართა მომავალი ზავისა და მშვიდობიანობის დამყარების თაობაზე. აი, რას წერდნენ ისინი პრეზიდენტს: „ბატონო პრეზიდენტო! როდესაც მოვა დრო კაცობრიობის ორგანიზაციის გაკეთებისა თქვენი იდეების მიხედვით, როდესაც ზავის მომავალ კონგრესზე ამერიკის ხალხს და მის პრეზიდენტს ერგებათ ხვედრათ, შეასრულონ დიდმნიშვნელოვანი როლი, მაშინ არ დაივიწყოთ საქართველო, რომელსაც აქვს, ყოველ შემთხვევაში, იმდენივე უფლება დამოუკიდებლობაზე ან შინაგან მთლიან ავტონომიაზე, რამდენიც ყოველ სხვა უსამართლოდ დაჩაგრულ ერს".

აშშ პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი



აშშ პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის გამოსვლა კონგრესზე

მაშასადამე, პროგერმანული ორიენტაცია საქართველოში მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღეებიდან წარმოიშვა. ამისი მიზეზი იყო ქართველების რწმენა, რომ გერმანიის მთავრობა, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ცნობდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა თვითმყოფადობას და მათ სახელმწიფოებრიობას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. პროანტანტური ორიენტაციის მომხრეებისაგან განსხვავებით, პროგერმანული ორიენტაციის მიმდევრები ეროვნული იდეალის განხორციელებას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ფიქრობდნენ. ეს კი გერმანიასთან მოკავშირეობით და რუსეთის დამარცხებით მიაჩნდათ შესაძლებლად.

ამრიგად, ქართველ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნებოდა პირველი მსოფლიო ომისადმი, მაგრამ ერთ საკითხში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთსულოვანი იყო – იმდენად, რადენადაც ომში მონაწილე მმართველმა ბურჟუაზიულმა წრეებმა პირველ

მსოფლიო ომში წინა პლანზე ეროვნული საკითხი წამოწიეს, ხალხს იმედი ჩაესახა. ისინი ამ ომისაგან ეროვნულ თავისუფლებას მოელოდნენ, მაგრამ ეროვნული თავისუფლება ყველას თავისებურად ესმოდა: საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ის იყო ეროვნული ცხოვრების გაუმჯობესება მხოლოდ საერთო-საიმპერიო გზით, რუსეთის ხალხთან ერთად, ხოლო მეორე ნაწილისათვის – ამ საერთო-საიმპერიო გზიდან გადახვევა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. საკითხისადმი სხვადასხვაგვარმა მიდგომამ პარტიულ დაყოფაშიც იჩინა თავი. თითოეულ პარტიას თავისებურად ესმოდა ქვეყნის მომავალი. მის ბედს ზოგი რუსეთს უკავშირებდა (მაგ. სოციალ-დემოკრატები), ზოგიც გერმანიას (მაგ. ეროვნულ-დემოკრატები). ასე ჩამოყალიბდა ძირითადად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ორიენტაცია: პრორუსული(პროანტანტური) და პროგერმანული. იყვნენ მესამენიც – რუსეთის სოციალ-დემიკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენლები, რომელთა მიზანიც მსოფლიო ომის სამოქალაქო ომში გადაზრდა, ხელისუფლების სათავეში მოსვლა და სოციალისტური სახელმწიფოს აშენება იყო. მათი პოლიტიკური თვალსაწიერი რუსეთს არ სცილდებოდა და ქვეყნის ბედნიერება მხოლოდ მის შემადგენლობაში ესახებოდათ.

პრორუსულ ორიენტაციაშიც, თავის მხრივ, ორმა ტენდეციამ იჩინა თავი: პირველი ტენდენციის მომხრეებს (ისინი მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ) რუსეთის იმპერატორის იმედი ჰქონდათ და მდგომარეობის გაუმჯობესებას მისი კეთილი ნებისაგან მოელოდნენ, ხოლო მეორე ტენდენციის მიმდევრები (ძირითადად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები) ხსნას ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებში ხედავდნენ, რომლებიც, მათი აზრით, ომის დამთავრების შემდეგ რუსეთს აიძულებდნენ, ეფიქრათ მის შემადგენლობაში მყოფ პატარა ერებზე.

პროგერმანული ორიენტაცია, პრორუსულისაგან განსხვავებით, თავისუფალი იყო ყოველგვარი შიდა ელემენტებისაგან. მის იდეალებსა და მიზნებს გამოხატავდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და ქვეყნის შიგნით ჟურნალ ,,კლდის'' გარშემო გაერთიანებული ჯგუფი. მათ სურდათ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ, თუმცა კარგად ესმოდათ, რომ გერმანიის მთავრობას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა თვითგამორკვევისა და მათი დამოუკიდებლობის ცნობა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად სჭირდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზაზე ის, ქართველებთან შედარებით, ხშირად უფრო მიზანსწრაფული იყო. ასე იყო თუ ისე, ობიექტურად გერმანიისა და პროგერმანული ორიენტაციის მიმდევართა ინტერესები ერთმანეთს თანხვდებოდა. თავიანთი იდეალის განსახორციელებლად ეს უკანასკნელნი ბრძოლის სხვადასხვაგვარ ფორმებს იყენებდნენ, პროპაგანდა -აგიტაციიდან დაწყებული და საომარი მოქმედებით დამთავრებული.

ქართველების მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში

მობილიზაცია

თავისუფალი ეროვნული განვითარების იმედი იყო წყარო ქართველი ხალხის სულიერი განწყობილებისა, მისი მისწრაფებისა. სანამ ეს რწმენა ცოცხლობდა, მანამდე ქართველებიც ხალისიანად მიდიოდნენ რუსეთის მტრის მოსაგერიებლად. ამიტომ ჩატარდა მობილიზაცია წარმატებით, ამიტომ იჩენდა ვაჟკაცობასა და სიმამაცეს მრავალი ათასი ქართველი ბრძოლის ველზე.

ამის დამადასტურებელი ფაქტები უხვად მოიპოვება საარქივო მასალებსა თუ იმდროინდელი პრესის ფურცლებზე. აკადემიკოსი ნიკო მარი საქართველოში მოგზაურობის დროს მოიხიბლა იმით, რომ მობილიზაცია თვით „მიყრუებულ სვანეთსა და გურიაშიც" კი მაღალ დონეზე იყო ჩატარებული. ჯერ კიდევ მობილიზაციის გამოცხადებამდე პრისტავებს მიეთითათ, გასცნობოდნენ და ჩინოვნიკებისთვისაც გაეცნოთ პოლიციის მოქმედების გეგმები, როგორც დაბალ ჩინოსანთა გაწვევის, ისე ცხენებით მომარაგების თაობაზე (109). 1914 წლის 18 (31) ივლისს კი გამოიცა იმპერატორის ბრძანება საყოველთაო მობილიზაციის შესახებ (35, 164). პრისტავებს დაევალათ, ბრძანება ხალხმრავალ ადგილებში გამოეკრათ – მოედნებსა და ბაზრობებზე. მობილიზაციის პირველ დღედ გამოცხადდა 25 ივლისი (7 აგვისტო), როდესაც იმპერატორის ბრძანებით, სახელმწიფო ლაშქრის I თანრიგის მეომრები გაიწვიეს. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 1914 წლის 17 ივლისის ბრძანებით, მობილიზაციის გამოცხადების მომენტიდან აიკრძალა სპირტიანი სასმელების ყოველგვარი ვაჭრობა შემკრები პუნქტების და-

ხურვამდე და სამხედრო ნაწილებამდე მიმავალ გზებზე (110).

1914 წლის 1 სექტემბერს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიცვალა ჯარში გაწვევის წესი. თუ მანამდე რუსეთის არმიაში ახალწვეულებს კენჭისყრით იწვევდნენ, ახლა უკვე სამსახური ევალებოდა 21 წელს მიღწეულ ყველა ახალგაზრდას. გაწვევას ექვემდებარებოდა ყველა წოდება. შეიზღუდა შეღავათები. კერძოდ, საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მოეხსნათ გადავადება. ახალი კანონი აღარ ითვალისწინებდა გადავადებებს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით და სხვ. (71). გადავადების უფლება ეძლეოდათ მხოლოდ მძიმე ავადმყოფებს (ისიც მორჩენამდე), პატიმრებსა და სამართალში მიცემულთ (ვიდრე მათი საქმე არ განიხილებოდა), დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს; ტყუპებიდან კი ომში მიჰყავდათ სიაში პირველად ჩაწერილი (217, 72). 1915 წლის 19 სექტემბერს (2 ოქტომბერს) გამოიცა ბრძანება ჯარში კვალიფიციურ მუშათა გაწვევის ვადების გაგრძელების შეზღუდვის შესახებ.

ქართველებს სამი კატეგორიის ჯარში უწევდათ სამსახური. ესენი იყო: მუდმივი ჯარი, სახელმწიფო ლაშქარი და მოხალისეთა. კანონი საყოველთაო სამხედრო სამსახურის შესახებ ითვალისწინებდა ნებსით ვალდებულთა და მონადირეთა კატეგორიებსაც. სახელმწიფო ლაშქარი იქმნებოდა ომის შემთხვევაში. მასში შედიოდა 21 წლიდან 43 წლამდე ასაკის ყველა პირი, რომელიც არ ითვლებოდა მუდმივ ჯარში. ისინი იყოფოდნენ I და II თანრიგის მებრძოლებად (158).

მეტად საინტერესოა ქართველ მოხალისეთა რაზმების შექმნის ისტორია, რომელიც 1914 წლის შემოდგომაზე აჭარაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, ეჩვენებინა ევროპისათვის, რომ ოსმალეთის მხარეზე მებრძოლი ქართველების საპირისპიროდ, რუსეთის რეგულარულ ნაწილებში გაწვეულ ჯარისკაცთა გარდა, ქართველობამ „მოხალისეთა რაზმებიც" გამოიყვანა

ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის დასაცავად. მოხალისეთა ორი ბატალიონის შექმნით ეს ფაქტი დაფიქსირდა თუ არა, რუსეთს აღარც უზრუნვია დამატებითი რაზმების შექმნაზე. მაგ., აფხაზეთის მოსახლეობამ თავად ა. შერვაშიძის თაოსნობით გამოთქვა სურვილი, ჩამოეყალიბებინათ ცხენოსანთა ნაწილი, უარი უთხრეს – ისედაც ბევრიაო (91). ვფიქრობთ, რუსები ერიდებოდნენ ეროვნული ნაწილების შექმნას, რადგანაც ქვეცნობიერად მათი სახით პოტენციურ მოწინააღმდეგეებს ხედავდნენ. მათთვის უკეთესი იყო, ისინი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე გაეფანტათ. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტებს თბილისის სამხედრო სასწავლებელში არ აგზავნიდნენ, ეშინოდათ, რომ მათ საქართველოში გავლენა არ ჰქონოდათ. ვაკანსიები ქართველებისათვის საქართველოში არ არსებობდა. შეიძლებოდა მხოლოდ გამონაკლისის დაშვება (164, 17-18).

ზემოაღნიშნულ ბატალიონებს, რუსეთის იმპერიის სამსახურთან ერთად, ქართველმა საზოგადოებამ მეტად მნიშვნელოვანი საქმეც დაავალა. მათ უნდა დაეცვათ აჭარის „მოღალატე" ქართველი მაჰმადიანი თურქები, რაც მთავარია, რუსი სამხედროებისაგან. ორივე ქართულმა რაზმმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა(161,126).

ომის წლებში მთელი დატვირთვით მუშაობდნენ გამწვევი პუნქტები, მათ მოხელეებს დაძაბულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ საქმეს წარმატებით ართმევდნენ თავს. მაგ., თბილისის გამწვევი პუნქტების მომსახურე პერსონალის მუშაობით კმაყოფილმა გუბერნატორმა ქალაქის თავისაგან მოითხოვა იმ პირთა სია, რომელთაც წარმატებები ჰქონდათ ამ საქმეში (250). ომის მთელი პერიოდის მანძილზე რამდენჯერმე მოხდა ახალწვეულების ვადამდე გაწვევა. მაგალითისათვის წარმოვადგენთ ცნობებს იმ პირთა რიცხვის შესახებ, რომლებიც გაწვეულნი იყვნენ თბილისის გუბერნიიდან 1915 წლის 15 მაისიდან 15 ივნისამდე.

მიღებული	ქ.თბილისი	ახალქალაქის მაზრა	ახალციხის მაზრა	ბორჩალოს მაზრა	გორის მაზრა	დუშეთის მაზრა	სიღნაღის მაზრა ზაქათალის ოლქი	თელავის	თიანეთის	თბილისის	სულ
ა)უშეღავათოები	203	270	94	461	481	151	326	197	59	195	2437
შეღავათიანები 4 თანრიგის	1	62	47	105	60	21	17	31	7	33	384
3 თანრიგის	8	83	29	95	86	24	30	43	14	25	437
2 თანრიგის	8	22	10	54	36	9	6	18	2	14	149
1 თანრიგის											
ბ)ნებსითვალდებულნი	1										1
გ) მონადირეები							1				1
შესულნი მოხალისეებად 1916 წლის გასანვევებიდან	52										52

(75).

საინტერესოა ომში გაწვეულ ქართველთა რაოდენობის გარკვევა. საარქივო მასალებში, პერიოდულ პრესაში თუ მემუარულ ლიტერატურაში სხვადასხვა მონაცემებია მოყვანილი: 180 000 (239); 200 000 (27, 374); 300 000 (240; 203). ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორ ციფრად 200 000-ია მიჩნეული. ჩვენი კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს, გარკვეული კორექტივები შევიტანოთ ამ საკითხთან დაკავშირებით. 1919 წელს პეტროგრადში გამოიცა მოსკოვის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის, თავად ა. სუმბათოვის წიგნი ''В мощных объятиях'' (общая очэртания 117 лэт русско-грузинского объединения). მასში მოყვანილია ციფრობრივი მონაცემები იმ პერიოდის ქართველი მოსახლეობისა და მათგან პირველ მსოფლიო ომში გაწვეულთა რაოდენო-

ბის შესახებ. აღნიშნული მონაცემები ჩვენ შევადარეთ პავლე ინგოროყვას მიერ მოყვანილ ცნობებს 1918 წლის ივლისში გამოქვეყნებული წიგნიდან „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ". ამ უკანასკნელში მოყვანილია მასალები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობისა (აქვეა ნაჩვენები ჯარში გაწვეულთა რიცხვიც) 1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით. ვფიქრობთ, ეს მონაცემები უტყუარია. პავლე ინგოროყვას მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 1916 წელს შეადგენდა 3 365 000 კაცს, აქედან ქართველები იყვნენ 2 349 000, მათ შორის ქრისტიანი ქართველები 2 111 000კაცი(14, 16-17). საქართველოს ტერიტორიიდან, გარდა ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმისა და არტაანის მხარეებისა, 1916 წელს ჯარში გაწვეული იყო სოფლებიდან 199 000 კაცი, მათ შორის 167 000 ქართველი, ქალაქებიდან – 40 000 კაცი, მათ შორის 19 000 ქართველი. ე.ი. საქართველოდან 1916 წლისათვის ჯარში გაწვეულთა 239 000 კაციდან 186 000 ქართველი იყო (14, 16-17). ამას დაემატებიან ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმისა და არტაანის ქრისტიანი ქართველები, მეფის არმიაში მომსახურე უამრავი ქართველი ოფიცერი და გენერალი და ეს რიცხვი 1916 წლისათვის, ვფიქრობთ, დაახლოებით 200 000 კაცამდე გაიზრდება. ცხადია, ეს სია მაინც არასრულია, რადგანაც მასში გათვალისწინებული არ არის 1917-18 წლების მონაცემები.

ა. სუმბათოვის მიხედვით, საქართველოში 2 250 000 ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. „ამ რაოდენობიდან 1 1/4 მილიონი მამაკაცია ძუძუთა ბავშვებიდან ღრმა მოხუცებამდე. დავუშვათ, რომ მამაკაცთა რაოდენობის ნახევარი, ე. ი. 625 ათასი, შედგება იმ ადამიანებისაგან, რომლებმაც მიაღწიეს ან გადასცდნენ სამხედრო სამსახურის ასაკს. მათ შორის დაახლოვებით 320 ათასი, ე. ი. 50%-ზე მეტი ითვლებოდა ომის მიმდინარეობის დროს რუსეთის არმიაში და, – ჩვენ ხელთ არსებული ყველა მონაცემით, თითქმის სულ ერ-

თიანად აქტიურად მომქმედ ნაწილებში. მაშასადამე, საქართველოში მაცხოვრებელ 2 250 000 ქართველთან შედარებით მეომარ ქართველთა რიცხვი ომის მიმდინარეობის ყოველ მომენტში შეადგენდა 14%-ზე მეტს, ე.ი. დაახლოვებით მთელი მოსახლეობის 1/7 ნაწილს".

შემდეგ ავტორი ამ მონაცემებს ადარებს რუსეთის საიმპერიო მაჩვენებლებს და ასკვნის, რომ რუსეთის მთელი მოსახლეობიდან (170 000 000) ჯარში გაიწვიეს მაქსიმუმ 7%, ე.ი. ქართველები იყვნენ ორჯერ მეტი იმპერიის საერთო მოსახლეობასთან შედარებით. ამის შესაბამისად უნდა გაეგზავნა 160 000 კაცი, მაგრამ გაგზავნა 320 000. ავტორის აზრით, ,,ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ადრე თუ გვიან შესწორებას შეიტანს ამ უხეშ გამოთვლაში. მაგრამ, რადგანაც რუსეთის საერთო მოსახლეობის, ქართველებისა და ქართველი მოემრების რაოდენობა ეჭვს არ იწვევს, ხოლო რუსეთის არმიის საერთო რაოდენობა გაცილებით მეტია ნავარაუდევზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს შესწორება არათუ შეამცირებს, არამედ გაზრდის 1914-1917 წლების საერთო სახელმწიფოებრივ ომებში მონაწილე ქართველების რაოდენობას" (59,86–88). ასეთია სუმბათოვის გამოთვლები. საზოგადოებაში თავისი მდგომარეობით (ის იყო მოსკოვის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე, ფრიად მიღებული პირი რუსეთის სამთავრობო წრეებში) მას ხელეწიფებოდა ესარგებლა იმ მონაცემებით, რომელმაც საშუალება მისცა, დაედგინა პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქართველთა რიცხვი–320 000 კაცი.

ჩვენ ვიზიარებთ მის შეხედულებებს. იმდროინდელი ქართული ემიგრაციის ბრწყინვალე წარმომადგენლები – გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი, აგრეთვე დ. ჭიაბროვი წიგნში ,,ომი და ქართველები" (63, 65) 300 000 კაცს ასახელებენ (240). ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს იმდროინდელი პრესის მასალებიც. მაგ., 1914 წელს გაზეთ ,,სახალხო ფურცელზე" ალ. წერეთელი წერდა: ,,შემთხვევა

მქონდა დამეთვალიერებინა ზემო იმერეთის რამოდენიმე სოფელი და თითქმის ვერსად ვიპოვე ისეთი ოჯახი, რომელსაც ერთი წევრი მაინც არ ჰყავდა ბრძოლის ველზე. უფრო ხშირად კი შეხვდები ისეთ ოჯახებს, რომელთაც 3-4 წევრი გაუგზავნია ომში (230); ან შემდეგი ცნობა: „იშვიათია 10-15 კომლიანი პატარა სოფელი საიდამაც 2-4 ვაჟკაცი არ იყოს წასული ბრძოლის ველზე (229). 1915 წლის 20 ივნისის გაზეთ „საქართველოში'' მოყვანილია საქართველოდან გაწვეულ ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობა - 200 000 კაცი. ომის დამთავრებამდე კი ხომ სამი წელი კიდევ იყო დარჩენილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ მსოფლიო ომში დაახლოებით 300 000 ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ეს კი იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 13% იყო.

ჯარში გაწვევა არ შეეხო აჭარის მაჰმადიან ქართველობას (239). 1914 წლის 31 ივლისს ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი წერდა: „აჭარის მაჰმადიანები წყნარად არიან, ოღონდ მობილიზაცია აშფოთებთ, მატერიალური მდგომარეობის გამო''-ო (73). 1916 წელს პირველად გაიწვიეს ჯარში აფხაზები და ინგილოები (222). ამ წლისათვის საქართველოდან პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე იბრძოდა 53 000 არაქართველი, მათ შორის 31 000 სომეხი იყო (14, 16-17).

საქართველოში შეხვდა ომის დაწყებას მოწინააღმდეგე ბანაკში შემავალი ქვეყნების მოქალაქეთა ნაწილი. I მსოფლიო ომის წინა დღეებში გერმანიის გენერალურმა კონსულმა შულენბურგმა თბილისში გააფრთხილა ამიერკავკასიაში მცხოვრები გერმანიის არმიის თადარიგის ოფიცრები და ჯარისკაცები (21 წლის გერმანელი კოლონისტი სამხედრო სამსახურს გერმანიაში გადიოდა და რეზერვისტად ბრუნდებოდა საქართველოში), ყოველ წუთს მზად ყოფილიყვნენ გერმანიაში გასამგზავრებლად (258,67). როგორც ჩანს, მათი გაყვანა საქართველოდან ვერ მოხერხდა. მეფის მთავრობის

გადაწყვეტილებით, აქ მცხოვრები გერმანელები და ავსტრო-უნგრელები უნდა გაესახლებინათ, სამხედრო სამსახურში მყოფნი კი ჩაეთვალათ სამხედრო ტყვეებად (113).

საქართველოში მრავლად სახლობდნენ სექტანტებიც. ომის დაწყებამდე მათში ფართოდ იყო გავრცელებული გერმანული იდეოლოგია. იგი განსაკუთრებით ომის წლებში გაძლიერდა. სექტანტები უარს ამბობდნენ, იარაღით ებრძოლათ რუსეთისათვის, რადგანაც, მათი აზრით, ეს უკანასკნელი ანხორციელებდა მკვლელობებს, მათ კი არ უნდოდათ, ეს ცოდვა დაედოთ კისერზე. სექტანტებს ზურგის სამუშაოებს ასრულებინებდნენ (95).

გარდა მოსახლეობისა, ფრონტის საჭიროებისათვის მობილიზება უყვეს ცხენებს, ურმებს, ავტომანქანებს, კასრებს (81;111).

ომი ფართომასშტაბიანი მოვლენაა. თავისი სპეციფიკით იგი გმირობა-ვაჟკაცობასაც გულისხმობს და სიმხდალესიძაბუნესაც. ამასთან, დეზერტირობასაც არ გამორიცხავს. მისი გამოვლენის ცალკეულ ფაქტებს ქართველთა შორისაც ჰქონდა ადგილი.

სხვა საკითხია, თუ რა იწვევს დეზერტირობას, რა არის მისი საფუძველი. სხვა მიზეზებთან ერთად, უთუოდ ანგარიშგასაწევია ზრუნვა ოჯახზე და მის კეთილდღეობაზე. ცხადია, რომ ომის პერიოდში უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახებს გაუჭირდათ. მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებდათ ფრონტზე მეომარ ჯარისკაცებს, შინ გამოქცეულიყვნენ და ოჯახებისათვის მიეხედათ. მაგრამ ომის მიმდინარეობის პირველი ორი წლის განმავლობაში დეზერტირობას ქართველთა შორის მაინც არ ჰქონია ადგილი. მისი გამოვლენის ერთეული შემთხვევები მხოლოდ 1916 წლის მეორე ნახევრიდან იჩენს თავს. იგი ყოველთვის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და მის ენერგიულ მუშაობას მნიშვნელოვანი შედეგებიც ჰქონდა (108). საარქივო მასალების მიხედვით, საქართველოდან გაწვეულ ჯარისკაცთა შო-

რის დეზერტირები, ძირითადად, ვაჭართა ფენის წარმომადგენლები ყოფილან. ისინი ახერხებდნენ ყალბი ცნობების აღებას, თითქოს თავდაცვის მრეწველობის ობიექტებში მუშაობდნენ და თავს იზღვევდნენ ომისაგან. გაწვევის შემთხვევაში კი ფრონტის წინა ხაზებს მოხერხებულად უქცევდნენ გვერდს. მათ შორის ქართველები ფაქტობრივად არ ყოფილან (76). დოკუმენტები და საარქივო მასალები მწირ ცნობებს შეიცავენ ქართველთა დეზერტირობის შესახებ, ხოლო გმირობა-ვაჟკაცობაზე – მრავალს (59, 92-93).

როგორც დავინახეთ, საქართველოში მობილიზაცია მაღალ დონეზე ჩატარდა. ქართველ მამაკაცთა აბსოლუტური უმრავლესობა ხალისით და შემართებით ჩადგნენ რუსეთის სამსახურში. სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა მიიღო იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის 13%-მა, დაახლოებით 300 000 კაცმა. მათ საომარ განწყობილებას ქმნიდა რწმენა იმისა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ქართველ ხალხს ეროვნული განვითარების საშუალება მიეცემოდა.

ქართველების ბრძოლა რუსეთის დროშის ქვეშ

ომის გზებმა სად არ მოახვედრა ქართველი მეომრები. რომელ ფრონტზე არ ასახელა ისინი და თავგანწირულობისათვის რა მედლები და ჯილდოები არ არგუნა. თავადი ა. სუმბათოვი აღნიშნავს, რომ ის ქართველი ჯარისკაცი, რომელსაც მხოლოდ ერთი წმინდა გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული, დიდად პატივსაცემი არ იყო, რადგანაც იმ დროს მრავლად იყვნენ რამდენიმე ასეთი ჯვრის მქონე ქართველები. გაზეთი „საქართველო" თავმოწონებით წერდა: სამხედრო ჯილდოებს არავისი მხარბეჭი ისე არ დაუმძიმებია, როგორც ქართველებისა"(223). ჯვრებს განსაკუთრებულ პა-

ტივს, ქალაქებთან შედარებით ,სოფლებში მიაგებდნენ: ომის პირველ პერიოდში ქართველებს მხოლოდ დასავლეთის ფრონტზე იწვევდნენ, მეორე პერიოდში ჯარში გაწვევის ეს სისტემა შეიცვალა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დიდი მთავრის ნიკოლოზის ძე რომანოვის დანიშვნასთან დაკავშირებით. უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე ყოფნის დროს მან კარგად გაიცნო ქართველთა შესაძლებლობები და სიმპათიითაც განიმსჭვალა მათდამი. მას ეკუთვნის სიტყვები: „თითოეულ ჩემს ბრძოლაში ხუთი ქართველიც რომ ერიოს, ვიცი, როგორც იომებდა ჩემი არმიაო" (260). მან შეცვალა თავისი წინამორბედის მკვეთრად გამოხატული ანტიქართული პოლიტიკა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ამ ცვლილებისა გახლდათ ძალების დაზოგვაც. სახელმწიფოს ისედაც სუსტ ეკონომიკას დიდ ტვირთად დააწვა ეს ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იყო ფრონტებზე გასაწვევ და ფრონტებიდან დაჭრილ-დასახიჩრებულთა გამგზავრება-დაბრუნებასთან. გარდა ამისა, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის უნარიანობის ხარისხსაც. კლიმატურ პირობებთან შემგუებლობის გამო, ჩრდილოელი ჩრდილოეთში უკეთ იბრძოდა, ხოლო სამხრეთელი - სამხრეთში. მაგრამ ქართველი ხომ ჩრდილოეთშიც ისევე იბრძოდა, როგორც სამხრეთში. რუსეთის პრესა ჯეროვან პატივს მიაგებდა ქართველ მეომრებს, რომელთა ოჯახები, ზოგჯერ მამები და შვილები ერთად იბრძოდნენ რუსეთის ჯარში და მათგან მხოლოდ სიმამაცისა და ვაჟკაცობის ამბები ესმოდათ (184). ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი კორპუსის მეთაური გენერალ-ადიუტანტი მიშენკო წერდა: „რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველები, ახსოვდათ რა წინაპართა ტრადიციული დიდება, ლომებივით იბრძოდნენ" (88). ა. სუმბათოვი სიამაყით აღნიშნავს, რომ, სადაც არ უნდა ყოფილიყო ქართველი, წინაპრებისაგან ნაანდერძევი მისი მებრძოლი სული ყველგან ტოვებდა თავის ნაკვალევს. ისინი უმამაცესნი იყვნენ მამაცთა შორის და ეს სიმამაცე წარმართავდა

მთელ მათ საბრძოლო მოღვაწეობას (59,87-88). გაზეთი „ჩვენი მეგობარი" 1917 წლის 404-ე ნომერში მკითხველს აცნობდა, რომ დასავლეთის ფრონტებზე ყველაზე მძიმე ოპერაციებს ქართული კორპუსები ასრულებდნენ. გენერალ გ. კვინიტაძის ცნობით, პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე 25 ქართველი გენერალი იბრძოდა, მათგან 23 წმინდა გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული (162). საარაკო საქმეებით გამოირჩეოდნენ ქართველი გენერლები. მაგ., გენერალი ჩხეტიანი უმაღლესი ჯილდოთი იქნა დაჯილდოებული, გენერალ მაყაშვილს მოხერხებულობისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე მეტსახელად „თხრილების გენერალი" შეარქვეს. გენერალი ოდიშელიძე რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის განსაკუთრებული ყურადღებით იყო მოცული (166, 129, 134,153). ომის დასაწყისში ის იყო პირველი არმიის შტაბის უფროსი, ომის მეორე პერიოდში მეთხუთმეტე კორპუსს მეთაურობდა, შემდეგ – კავკასიის არმიას (166,159). სარიყამიშის ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა მიიღო და თავი ისახელა გენერალ-მაიორმა ვასილ გაბაშვილმა, რომელიც კავკასიის მესამე მსროლელთა ბრიგადას მეთაურობდა. მისმა კოლონამ 1914 წლის 28 დეკემბერს ღამის ბრძოლაში გაანადგურა თურქეთის 32-ე ქვეითი დივიზია (50,36-37).

ასევე თავი გამოიჩინეს სხვა ქართველმა ოფიცრებმა, მათ შორის, გენერლებმა: დიმიტრი გედევანიშვილმა, გიორგი ერისთავმა, გივი ამილახვარმა, აბრაამ ვაჩნაძემ, ალექსანდრე მიქელაძემ, გიორგი ანდღულაძემ, ზაქარია ბაქრაძემ, პოლკოვნიკმა ნიჟარაძემ, ლეგენდარულმა კაპიტანმა ტარასი ვაშაკიძემ, რომელსაც თურქებმა „შეითან კაპიტანი" უწოდეს. მისი მეტად საინტერესო სამხედრო ბიოგრაფიის გამო, საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ მასზე: ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე დაიბადა 1873 წელს შორაპანის მაზრის სოფელ დიდ გუბში. 1891 წელს დაამთავრა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი. 1892-1895 წლებში სწავლობდა თბილისის იუნკერთა სასწავლებელში, რომლის დამთავრე-

ბისთანავე დაინიშნა დერბენტის 154-ე პოლკის მე-14 ასეულის პროპორშჩიკად, ხოლო 1913 წლიდან - ამ ასეულის მეთაურად. „შეითან კაპიტნად" მისი მონათვლა დაკავშირებულია 1914 წლის 14 დეკემბერს სარიყამიშთან თავისი ასეულით თურქეთის IX კორპუსის დატყვევებასთან. როდესაც კორპუსის მეთაურს ისხან ფაშას შეუტყვია, რომ კაპიტანმა ვაშაკიძემ იგი მხოლოდ ერთი ასეულით დაატყვევა, მაგიდაზე მუშტი დაურტყამს და ზედიზედ წარმოუთქვამს: „შეითან კაპიტან, შეითან კაპიტან!" (ეშმაკი კაპიტანი) (257).

მრავალფეროვანი იყო ამ ოპერაციის ნადავლის ნუსხა:

1) ტყვეები: თურქეთის IX კორპუსის მეთაური ისხან ფაშა, მე-17, 28–ე და 29-ე დივიზიების უფროსები თავიანთი შტაბებით, სხვა 107 შტაბის ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი, 2 000-ზე მეტი ასკერი, სამედიცინო პერსონალი.

2) ბრძოლიდან წამოღებულ იქნა 8 ზარბაზანი და 24 ქვემეხი, უთვალავი ტყვია-წამალი, იარაღი, გადასაზიდი საშუალებები (145). ეს იყო უპრეცენდენტო ფაქტი პირველი მსოფლიო ომის ისტორიაში. აღნიშული ოპერაციის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის ტარასი ვაშაკიძე დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენითა და საფრანგეთის მედლით. „medaille militaire" (132). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1914 წლის 24 დეკემბერს სარიყამიშთან თურქთა კორპუსის დატყვევება წარმატებად ჩაეთვალა მრავალი მაღალი ჩინის პირს. მაგ., ი. ვორონცოვ-დაშკოვმა საფრანგეთის დასახელებული მედალიც კი დაიმსახურა. კაპიტან ვაშაკიძეს სხვა მრავალი ჯილდოც ჰქონდა მიღებული. დიდი სამხედრო ნიჭის წყალობით, 3 წლის (1914-1917 წწ.) მანძილზე კაპიტნობიდან გენერლის წოდებამდე იქნა დაწინაურებული.

მეტად საინტერესოა რუსეთის არმიის სახელმოხვეჭლი გენერლის ნიკოლოზ ბარათოვის(ბარათაშვილის) ბიოგრაფიაც. მანაც ისახელა თავი სარიყამიშის ბრძოლების დროს, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სარიყამიშის მთელი ოპე-

რაციის წარმატებით დამთავრების საქმეში. ის დაინიშნა კავკასიის კავალერიის კორპუსის პირველ მეთაურად, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მის დიდ სამხედრო ნიჭს (128). 1915 წლის ნოემბრიდან გენერალი ბარათოვი სპარსეთშია საექსპედიციო კორპუსის მეთაურად. აქ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მისი სამხედრო ტალანტი. იგი მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ანტანტის ქვეყნების წარუმატებლობამ და თურქულმა პროპაგანდამ სპარსეთი ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკს დაუკავშირა. მან რუსეთის მთავრობას მოსთხოვა ჯარების გაყვანა ჩრდილოეთ ირანიდან, თვითონ კი ანტირუსული აჯანყების მომზადება დაიწყო. სპარსეთის მხარდასაჭერად თურქებმა ვანისა და ურმისის რაიონებში თავი მოუყარეს მსხვილ სამხედრო ნაწილებს, მაგრამ რუსებმა 1915 წლის ივლის-აგვისტოში შეძლეს მათი განადგურება (ალაშკერტის ოპერაცია). სპარსეთში გავლენის შენარჩუნების მიზნით, 1915 წლის 13 ნოემბერს გენერალი ბარათოვი თავისი საექსპედიციო კორპუსით გაგზავნილ იქნა ენზელში. იმავე წლის 20 ნოემბერს მან დაიკავა ყაზვინი, შემდეგ კი გააგრძელა შეტევა თეირანის, ქუმისა და ხამადანის მიმართულებით. თეირანი პანიკამ მოიცვა. ქალაქიდან გაიქცა გერმანიის აგენტურა. ბარათოვის კორპუსმა დაიკავა რა ქალაქები–სევე, ქუმი, ავე და ხამადანი, სპარსეთის მთავრობა იძულებული გახდა, თავი სასწრაფოდ პროანტანტურად გამოეცხადებინა. 3-16 დეკემბრის ბრძოლებში განადგურდა მოწინააღმდეგის ყველა სამხედრო ფორმირება. სწორედ ბარათოვის დამსახურება იყო ის, რომ კავკასიის ფრონტის მარცხენა ფრთის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო, სპარსეთის მხრიდან თბილისსა და ბაქოზე თვადასხმის საშიშროება კი მოხსნილი (56-58).

სწორედ ამ დამსახურებისათვის გამოეცხადა გენერალ ბარათოვს ნიკოლოზ II მადლობა 1916 წლის 12 იანვარს, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ვხარობ თქვენი საექსპედიციო კორპუსის სიმამაცით... მადლობელი ვარ თქვენდამი რწმუნებუ-

ლი ნაწილის სამაგალითო-სამხედრო სამსახურისა და თქვენი მათდამი გონივრული ხელმძღვანელობისათვის". ამ ოპერაციის შედეგად ბარათოვმა მხოლოდ რუსეთს როდი არგო, არამედ მის მოკავშირეებსაც, რადგან რუსეთის ჯარები დაუკავშირდნენ ინგლისის ჯარებს მესოპოტამიაში. ცენტრალური სახელმწიფოები აღმოჩნდნენ თავისებურ რკალში, რომელიც შეიძლებოდა მომავალში შეერთებულიყო. ამიტომაც დაჯილდოვა ინგლისის მთავრობამ გენერალი ბარათოვი მესამე ხარისხის ბონის ორდენით. აღსანიშნავია, რომ ამ ორდენით მხოლოდ სამი კაცი იყო დაჯილდოვებული (127). გენერალ ბარათოვის უპირატესობას ცნობილი ინგლისელი გენერალი დენსტერვილიც კი აღიარებდა (1290). საინტერესოა მისი შემდგომი სამხედრო ცხოვრებაც: საბჭოთა მთავრობას, ბრესტში გერმანიის ბლოკთან 1917 წლის 2 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის თანახმად, სპარსეთიდან თავისი ჯარები უნდა გამოეყვანა. კავკასიის ფრონტის სარდლობის მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მან შეძლო ამ ნაწილების გამოყვანა 1918 წლის მარტისათვის. საექსპედიციო კორპუსის მეთაური გენერალი ბარათოვი არ დაემორჩილა ბრძანებას, დარჩა ირანში, იქ მყოფი მოხალისე ოფიცერ-ჯარისკაცებისაგან შექმნა რაზმები, სულ მალე კი ინგლისის სამსახურში ჩადგა რუსეთის იმპერიის აღდგენის მომლოდინე დიდი გენერალი. ეს მაშინ, როცა დამოუკიდებელ საქართველოს ასე ძვირად უღირდა თითოეული ნიჭიერი გენერალი. მისი მხედართმთავრული ნიჭი როგორ წაადგებოდა მის სამშობლოს, იმ ქვეყანას, რომლის შესახებაც მან თქვა: „როგორი სირცხვილია ეს დამოუკიდებელი რესპუბლიკები"... რაოდენ სამწუხაროა!..

საქართველოს ჰყავდა სხვა ცნობილი დიდი გენერლებიც. გიორგი მაზნიაშვილი ერთ-ერთი მათგანია. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვარშავასთან ბრძოლებში. იგი საქართველოში აღმოსავლეთის ფრონტიდან 1917 წლის 20 სექტემბერს ჩამოვიდა სხვა 60 ქართველ ოფიცერთან ერ-

თად, მას შემდეგ, რაც დასავლეთის ფრონტზე გამოვიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც ყველა მსურველს შეეძლო სამშობლოში დაბრუნება ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნის მიზნით (166,3). 1918 წლის 30 მარტს მაზნიაშვილი დაინიშნა შავი ზღვის სანაპიროს ჯარების უფროსად და აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად. გენერალი მაზნიაშვილი ყოველთვის იქ იყო, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ქვეყანას. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი მეფის რუსეთისა და სამშობლოს წინაშე.

კავკასიის ფრონტზე მსახურობდა მრავალი ორდენის კაპიტანი, გენერალ-მაიორი, ვასილ დიმიტრის ძე ლიონიძე. 1917 წელს იგი კავკასიის არმიის 222-ე ფეხოსანთა პოლკს მეთაურობდა. პოლკის ლიკვიდაციის შემდეგ, 1918 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის სამსახურში ჩადგა (246).

თავდადებით იბრძოდა ომში გენერალი შ. ბაქრაძეც, რომელსაც ორი წმ. გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული. როგორც მოგვიანებით შ. მაღლაკელიძე შენიშნავს თავის მოგონებებში, ასეთი რამ იშვიათი იყო (186). ომის დროს მოღვაწეობდნენ გენერლები ლ. და ა. ვაჩნაძეები, წულუკიძე, ანდრონიკაშვილი, იმნაძე, მდივანი, ქუთათელაძე. ამ უკანასკნელს მოგვიანებით ბათუმის ციხე-სიმაგრე ჩააბარეს (134).

გენერლებთან ერთად ფრონტზე თავი ისახელეს, როგორც მაღალი, ისე დაბალი ჩინის მეომრებმა. მაგალითად, გალიციაში გმირულად იბრძოდა პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ვლადიმერ იოსების ძე გვახარია. იგი დაჯილდოვებული იყო ოქროს იარაღით ვლადიმირის ჯვარ-მახვილით (216).

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯარში გაიწვიეს ქაიხოსრო(ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. იმავე წელს იგი ავსტრიის ფრონტზე დაიჭრა, რის შემდეგაც იგი კავკასიის ფრონტზე იქნა გადმოყვანილი. სარიყამიშში ჩადენილი გმირობისათვის იგი ოქროს ხმლით დააჯილდოვეს. მის დამამთავრებელ ეტაპზე თავისი ასეულით ჩოლოყაშვილმა დიდე-

ბული სამხედრო რეისი შეასრულა და მესოპოტამიის უდაბნოს გავლით შეუერთდა ინგლისელებს.

წმ. გიორგის ჯვრის კავალერი, პოლკოვნიკი გელოვანი ომის დროს ციმბირის ერთ-ერთ გამოჩენილ ლეგიონს მეთაურობდა (166, 143). საკმაოდ სოლიდური იყო პოლკოვნიკთა და პოდპოლკოვნიკთა რაოდენობა რუსეთის მოქმედ არმიაში. სანიმუშოდ დავიმოწმებთ მათ გვარებს: წულუკიძე, ჟღენტი, მარშანია, ლოლაძე, ჭიჭინაძე, იმნაძე, ნიჟარაძე, ჭავჭავაძე, წერეთელი, არდიშვილი, ნათიევი, თავაძე, მელითაური, სუმბათოვი, ოქროპირიძე და სხვ. (137;131). აღარაფერს ვამბობთ უფრო დაბალ ჩინოსნებზე, რომლებმაც არანაკლებ გამოიჩინეს თავი. მაგ., გიორგი გიორგის ძე დადიანიძე ოთხივე ხარისხის წმ. გიორგის ჯვრის კავალერი იყო. 1914 წლიდან იგი იბრძოდა კავკასიის ფრონტზე თურქესტანის მე-17 ქვეითი პოლკის რიგებში. დადიანიძე პირველად წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვრით დაჯილდოვდა ოლთისის მიმართულებით წარმოებული ბრძოლების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის. მეორედ გმირობა მან ერზრუმზე შეტევის დროს აჩვენა, როდესაც 30 თურქი ოფიცერი დაატყვევა. მეორე და პირველი ხარისხის წმინდა გიორგის ჯვრებით კი ირანში მოქმედი გენერალ ბარათოვის საექსპედიციო კორპუსის პირველ ქართულ ქვეით პოლკში ბრძოლების დროს დააჯილდოვეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ორჯერ დაიჭრა თავსა და ხელში, მწყობრი არ მიუტოვებია (186).

აბრამ ვაჩნაძე

ზაქარია ბაქრაძე

ალექსანდრე ერისთავი

გიორგი ანდღულაძე

კოტე აფხაზი

ილია ოდიშელიძე

დავით ვაჩნაძე

გიორგი ერისთავი

გიორგი მაყაშვილი

ნიკოლოზ ბარათოვი (პირველ რიგში თეთრ ქუდში)

ავსტრიის სახღვარზე გმირულად იბრძოდა მრავალგზის ორდენოსანი ევგენი სოლომონის ძე აფხაზავა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუმინეთში მებრძოლი პრაპორშჩიკი ქორქაძე, რომელიც 17-18 წლის ასაკში წარადგინეს წმინდა გიორგის საოფიცრო ჯვარზე და დააჯილდოვეს ოქროს ხმლით (195). უნდა დავასახელოთ აგრეთვე პეტროგრადის ალექსანდროვის თეატრის მსახიობი, რუსული თეატრის ცნობილი რეჟისორის მეირჰოლდის მოწაფე ალექსანდრე ზაქარიას ძე როსტომაშვილი, რომელიც ფრონტზე მოხალისედ წავიდა, გერმანული ენის ბრწყინვალე ცოდნა მას საშუალებას აძლევდა მტრის ზურგში თავისუფლად ემოქმედა. იგი მეთაურობდა მზვერავთა რაზმს სამსონოვის კორპუსში, სადაც წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა, მსახურობდა კავკასიის გრენადიორთა პოლკში. აქ გადასცეს წმ. ვლადიმირის ორდენი ჯვრითა და ბაფთით, ხოლმთან ავსტრიელების

წინააღმდეგ გამოჩენილი მამაცობისათვის კი წმინდა გიორგის ოქროს იარაღზე წარადგინეს (192).

მოხალისედ გაემგზავრა ფრონტზე შტაბს-კაპიტანი გიორგი მიხეილის ძე ხერხეულიძე. იგი გმირულად დაიღუპა პოლონეთში 1914 წლის 25 ნოემბერს. საარაკოა მისი სიცოცხლის ბოლო წუთები. ალყა შემორტყმულს ასე უთქვამს ერთ-ერთი ქართველი მებრძოლისათვის: „ხომ გახსოვს ცხრა ძმა ხერხეულიძე ისტორიაში, ისე მოვიქცევი, რომ სიკვდილს ვამჯობინებ ტყვედ წაყვანას... მე მინდა მოვკვდე მამულისათვის''(204). გმირულად დაიღუპნენ: პოლონეთში ქალაქ ლოძთან, პოლოკოვნიკი ალექსანდრე გიორგის ძე ყაზბეგი, კარპატებში ცხენოსანი ლეგიონის შტაბის როტმისტრი ნიკოლოზ გიორგის ძე ყაზბეგი. ისინი ძმები იყვნენ. ამ პერიოდში გაზეთი „თეატრი და ცხოვრება'' წერდა: „თანამედროვე ომმა ჩვენის ქვეყნის ბევრი შვილი შეიწირა. ხშირია ოჯახი, საიდანაც სამი-ოთხი ძმა და მამა-შვილნი დაღუპულან ბრძოლის ველზე, ერთი ასეთი ოჯახია ჩვენი ცნობილი გიორგი ყაზბეგისა, რომლის სამი შვილი ახლანდელ ომში დაიღუპა." (197).

თვით იმპერატორმაც კი აღნიშნა პირველ მიმართვაში ქართველთა მამაცობისა და გმირობის შესახებ, ეხებოდა რა მდ. ვისლაზე წარმოებულ გრანდიოზულ ბრძოლებს. ისინი კოზენიცთან შვიდი დღე-ღამის განმავლობაში შეუვალად იგერიებდნენ გერმანელებისა და ავსტრიელების ასალ-ახალ შემოტევებს (89).

რაც არ უნდა მცირენი ყოფილიყვნენ ქართველები ამა თუ იმ ფრონტზე, ყოველთვის გამოირჩეოდნენ შეუპოვრობით და თავდადებით. მაგ., კავკასიის ფრონტზე თავდაპირველად თითო-ოროლა ქართველი მსახურობდა და, როდესაც არზრუმის აღებისას 8 დაჯილდოვებული ჯარისკაცი დაიბარეს სურათის გადასაღებად, მათგან ორი ქართველი იყო (162).

ქართველები მოკავშირეთა არმიებშიც იბრძოდნენ. მოხალისეებად იყვნენ საფრანგეთის ჯარში თავადი ბ. აბაშიძე, ვინმე თარსაიძე და ბევრი სხვა.

პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ ქართველი ქალებიც. მაგალითად, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნინო ჯორჯაძე ომის დაწყებისთანავე წავიდა ფრონტზე მოწყალების დად, სადაც გამოჩენილი მამაცობისათვის მიიღო წმინდა გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვარი. მთელს იმპერიაში ამგვარად დაჯილდოვებული მეორე ქალი იყო.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ფრონტებზე მეომარ ქართველ ჯარისკაცებს ყრილობის მოწვევაც კი გადაუწყვეტიათ, რათა ერთად ემსჯელათ საქართველოს მომავალზე. ყრილობის ჩატარების ინიციატივა ეკუთვნოდათ 28-ე კორპუსის ქართველ მხედრებს, რომლებმაც 1917 წლის 4 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით დელეგაცია გააგზავნეს სამხედრო მინისტრ კერენსკისთან ნებართვის გამოთხოვნის მიზნით. ყრილობის ჩატარების წინააღმდეგი ყოფილა ევგენი გეგეჭკორი.

მაშ, რას განიცდიდნენ სამშობლოდან შორს გადახვეწილი ქართველები, რას ფიქრობდნენ და რაზე ოცნებობდნენ? მათი საფიქრალ-საზრუნავი ოჯახი, სამშობლო, მისი აწმყო და მომავალი იყო. მათ სწამდათ, რომ მათი სისხლი უაზროდ არ დაიღვრებოდა და საბოლოოდ ერის კეთილდრეობას, მის ნათელ მომავალს მოხმარდებოდა. სწორედ ამ განწყობითაა დაწერილი მეომართა თუმცა პოეტურად სუსტი, მაგრამ გულწრფელი ლექსები. ჯარისკაც მ. გოცირიძის დაწერილ ლექსებში ვკითხულობთ:

,,საქართველოც ახმაურდეს,
მსურველნი ვართ ჩვენ აღდგენის,
დე, ეს ომი ხალხთ მმუსვრელი,
იყოს მხსნელი ჩვენი ერის'' (234).

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ეჭვი იპყრობდა რუსის ჯარში მებრძოლ ქართველ ჯარისკაცებს.

„თუმც გავიტან ბრძოლით ლელოს,
ეშველება საქართველოს?“ – კითხულობდნენ ისინი.
„და სამშობლო დაბორკილი,
უბრძოლველად დაპყრობილი
მე მეძახის: „ჩემთან მოდი,
ჩემი ხარ და ჩემთვის მოკვდი“ (196).

ასეთი ეჭვებით შეპყრობილნი ისინი მაინც ბოლომდე იდგნენ იქ, სადაც მოვალეობა, პასუხისმგებლობა და რუსეთისადმი მიცემული ფიცი მოუწოდებდათ. ეს მაშინ, როდესაც რუსეთის მთავრობა ქართველ ჯარისკაცებს წერილების ქართულად წერასაც კი უკრძალავდა (96).

ომი წარმოუდგენელია სამხედრო ტყვეების გარეშე. ამ არასახარბიელო მდგომარეობას ვერც ქართველმა მეომრებმა დააღწიეს თავი. ისინი მოწინააღმდეგე ბანაკის თითქმის ყველა ქვეყანაში იმყოფებოდნენ: გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, თურქეთში. მაგ., ავსტრიის ქალაქ ეგერში 1000-ზე მეტ ქართველ ტყვეს მოუყარეს თავი. ტყვეთა ბანაკი იყო ქალაქ ზაგანში, სადაც იმდენი ქართველი ყოფილა, რომ მათ დამხმარე კომიტეტიც კი დაუარსებიათ (242). ბერლინში გამომავალი „ქართული გაზეთის" რედაქტორის სახელზე დაწერილ ქართველი ტყვის რაჟდენ ქოლობნელის წერილიდან ვგებულობთ, რომ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში ქართველ ტყვეთა რაოდენობა არანაკლებ 15 000 ყოფილა (241).

ირკვევა, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ოსმალეთში მყოფი ქართველი ტყვეები. მათი პირობები კავკასიის ფრონტზე დაზავების შემდეგაც არ გაუმჯობესებულა (188).

ერთი ნათელი წერტილი, რაც მათ ჰქონდათ, ის იყო, რომ ომის მიმდინარეობის დროს მათ შეეძლოთ ახლობლებთან მიწერ-მოწერა სამხედრო ტყვეების ცენტრალური ცნო-

ბათა ბიუროს საშუალებით, რომელიც საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან არსებობდა. მაგ., ზაგანის ტყვეთა ბანაკის 56 ქართველი ჯარისკაცი ითხოვდა თავისი ახლობლების ამბების გაგებას (77).

ომის პერიოდში ქართველ ტყვეებს ყურადღებას აქცევდნენ ბერლინში მყოფი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები. ისინი ადგენდნენ მათ მისამართებს. ეხმარებოდნენ ახლობლებთან დაკავშირებაში, უფასოდ უგზავნიდნენ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს (99). მაგ., 1914-1916 წლებში გამოდიოდა ქართულენოვანი გაზეთი, რომელიც განკუთვნილი იყო გერმანიაში მყოფი ქართველი ტყვეებისათვის. ეს იყო ხელნაწერი გაზეთი, რომელშიც ხშირად ქვეყნდებოდა მიხაკო წერეთლის სტატები. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1915 წლის 5 მარტს (211). გარდა საომარი მოქმედებებისა და საქართველო-კავკასიის ამბებისა, გაზეთში იბეჭდებოდა იდეოლოგიური ხასიათის წერილები თემებზე–: „რა არის რუსეთი"? და „რუსეთის ბატონობა საქართველოში".

1916-1918 წლებში ბერლინში გამოდიოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ბეჭვდითი ორგანო – „ქართული გაზეთი." ყოველგვარი ცენზურისაგან თავისუფალ გაზეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი ტყვეების მხარდაჭერისა და გამხნევებისათვის, ეროვნილი სულისკვეთებისა და სულის გაძლიერებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდისათვის.

მიუხედავად გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის მთავრობებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დიდი მცდელობისა, ქართველ ტყვეთა უმრავლესობას არ სურდა მონაწილეობა მიეღო ანტირუსულ მოძრაობაში, რის გამოც ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობები ავიწროვებდნენ, საკვებს მცირე ულუფობით აძლევდნენ და მძიმე სამუშაოებზე აგზავნიდნენ (236).

უცხო ქვეყნებში მყოფ ქართველ ტყვეებზე ზრუნავდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. 1918 წლის 4 იანვარს მას საგარეო საქმეთა სექციისათვის დაუვალებია, რომ ყველა ზომა მიეღო ტყვეთა სამობლოში დასაბრუნებლად. პასუხისმგებლობა ბარნაბა პაპავასთვის დაუკისრებია (139). იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს საქმე, რომ საქართველოს მთავრობამ მისი დროული წარმართვისათვის თვით საგარეო საქმეთა მინისტრიც ჩართო ამ პროცესში.საგარეო საქმეთა სამინისტრო ხარჯებსაც იღებდა ამ საქმისათვის. მაგ., 1918 წლის 7 სექტემბრისათვის მას 100 ქართველი ჯარისკაცისა და 17 ოფიცრისათვის 2 000 მარკა გაუგზავნია. ისიც ყურადსაღებია, რომ ქართველი ტყვეების გერმანიიდან გამოგზავნის ოპერაციაში გერმანიის საიმპერატორი სამხედრო სამინისტროც მონაწილეონდა (103). ქართველ ტყვეთა სამშობლოში დაბრუნებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები: გ.კერესელიძე, გ. მაჩაბელი და სხვ.

ქართველ ტყვეთა პირველი ეშელონი გერმანიიდან საქართველოში 1918 წლის ივლისში გამოვიდა. ამის შემდეგ იგი რეგულარულად გამოდიოდა თვეში ერთხელ (107).

რუსეთში უკრაინის გენერალური კონსული ალექსანდრე კლიმენტის ძე კრივცოვი დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს გ. ხუნდაძეს ტყვეებისა და ლტოლვილების სამშობლოში ევაკუაციის საქმეში (237).

ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა თურქეთში მყოფი ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების საკითხსაც. თურქეთთან ზავის პირობების საბოლოოდ დადგენამდე მთავრობის დავალებით 1918 წლის 15 მაისს გენერალ ოდიშელიძეს ვეჰიბ-ფაშასთან ხელი მოუწერია კონვენციისთვის ტყვეთა გაცვლის შესახებ. ამ შეთანხმებით უზრუნველყო-

ფილი იყო ყოველგვარი სამედიცინო, მატერიალური და ორგანიზაციული ყურადღება (224).

ამრიგად, ქართველი მეომრები ერთგულად და თავდადებით იბრძოდნენ პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე რუსეთის დროშის ქვეშ. ამ ომმა გამოაწრთო და დიდ მხედართმთავრად ჩამოაყალიბა მრავალი ქართველი ოფიცერი, მსოფლიოსათვის ცნობილი გახადა ბევრი მათგანის სახელი. ქართველმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უმარავი მედალი, ორდენი და მადლობა დაიმსახურეს, როგორც რუსეთის, ისე ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისა და პირველი პირებისაგან. თავიანთი გმირობით კავკასიაში გამეფებული ანტიქართული პოლიტიკის შეცვლასაც გარკვეულწილად შეუწყვეს ხელი. რუსეთისადმი მათ თავგანწირვას განაპირობებდა იმედი იმისა, რომ ,,ხალხთ მმუსვრელი" ომი ქართველ ერს ჩაგრული მდგომარეობიდან დაიხსნიდა. ეს იმედი ამოძრავებდათ ქართველ ტყვეებსაც და რუსეთის სამსახურში ყოფნის სურვილსაც არ უკარგავდათ.

ქართველების მონაწილეობა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში

ვფიქრობთ, წინა პარაგრაფში გამოიკვეთა, რომ ქართველების უმრავლესობა რუსეთის სამსახურში იდგა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობას. ამ საქმეში მათ გერმანელებიც ეხმარებოდნენ. გერმანელები დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ ,,ქართული ლეგიონი", რაც შეიძლებოდა მრავალრიცხოვანი ყოფილიყო. ამის ნათელი დადასტურება იყო ,,ქართული ლეგიონის" საქმიანობის გააქტიურების მიზნით მის მეთაურად 1915 წლიდან გრაფ ფონ დერ შულენბურგის დანიშვნა; გერმანიის გენშტაბთან სპეციალური აღმოსავლეთის განყოფილების შექმნა ბარონ ოპენჰაიმის მეთაუ-

რობით, რომელიც ქართველ ტყვეებთან მუშაობდა; მიხაკო წერეთლისა და გიორგი მაჩაბლის ხელმძღვანელობით გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ტყვეთა ბანაკებში მეომრების მოძიება ქართული ლეგიონისათვის, რომლებსაც, გერმანიის მთავრობის დავალებით ეხმარებოდნენ გერმანიის აღმოსავლეთის საქმეთა საინფორმაციო ბიუროს თანამშრომლები ჰარალდ კოზაკი და სხვები. ისინი ბანაკებში მოწოდებებს ავრცელებდნენ. ერთ-ერთ ასეთ მოწოდებაში ნათქვამი იყო: ,,ქართველებო! ჩვენი საყვარელი და მრავალტანჯული სამშობლო საქართველო დღეს იარაღს კიდებს ხელს და ბრძოლის ველზე გამოდის, რათა ამ მსოფლიო ომში მანაც მოიპოვოს თავისუფლება და აღადგინოს წართმეული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება... რუსეთის დამარცხებამ თავისუფლება უნდა მისცეს საქართველოს , უკრაინას, პოლონეთს, ფინეთს და სხვა ხალხებს. ამჟამად საქართველოს გერმანიასა და თურქეთთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლითაც საქართველო თანახმაა იარაღით ხელში გამოვიდეს რუსეთის წინააღმდეგ. სანაცვლოდ გერმანია და თურქეთი საქართველოს აძლევენ გარანტიას, რომ ისინი სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას მის ისტორიულ საზღვრებში... გერმანია გვაძლევს იარაღს და სხვა ყველაფერს აუცილებელს ომისათვის და ჩვენც თურქეთის ჯარებთან ერთად შევალთ საქართველოში... მთელი საქართველო ამჟამად ფეხზე დგას. პარტიებსა და კლასებში ამ საკითხში განსხვავება არ არის. ხალხი მხოლოდ ელოდება ხელსაყრელ მომენტს, რომ იარაღით ხელში ეკვეთოს მტრის (რუსეთის – გ.გ.) რაზმებს... ქართველებო, ისარგებლეთ შემთხვევით და ჩაეწერეთ ქართულ რაზმებში" (93).

აი, მეორე მოწოდებაც: ,,ქართველებო, შესაძლებელია განუხებთ ფიცი, რომელიც რუსეთის იმპერატორს მიეცით, მაგრამ თვით რუსი იმპერატორები არიან თვით ფიცის გამტეხნი, საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის დამრღვევნი

და საქართველოს პოლიტიკური სახელმწიფოს წამშლელნი.... ცარიზმისადმი მიცემული ყოველგვარი ფიცი ნაძალადევია, მას არ გააჩნია არავითარი ზნეობრივი ძალა და ამდენად საჭირო არ არის მისი დაცვა, არამედ უშუალოდ სამშობლოს ერთგული სამსახური. გაუმარჯოს ქართულ სახელმწოფოს! ძირს ტირანები, რომლებმაც გააპარტახეს საქართველო ასწლიანი ბატონობის დროს! დაე, თითოეული ქართველი იქცეს გმირად ამ ბრძოლაში. სჯობს, ტყვეობაში სამარცხვინო სიცოცხლეს ამჯობინოთ მშობლიურ ველებზე სიკვდილი (245).

შედეგმაც არ დააყოვნა: მაგ., 1916 წლის თებერვალში ტრაპიზონში გაიგზავნა ქართველ ოფიცერთა პირველი ჯგუფი, ორ მარტს ცოსენ ვაინბერგის ბანაკიდან ლეგიონში ჩაენერა 5 ოფიცერი (67,75). ავსტრიის ტყვეთა ბანაკში მიხაკო წერეთელთან საუბარში აცრემლებულ გენერალ შაქრო ბაქრაძეს აღუნიშნავს: „ოღონდ კი განთავისუფლებული საქართველო ვიხილო და ჩემი ცხოვრების მიზანი მიღწეული იქნებაო" (245). ლეგიონში სამსახურის სურვილი განაცხადეს იმ ქართველმა ახალგაზრდებმაც, რომლებიც გერმანიაში ეუფლებოდნენ უმაღლეს განათლებას და ამ ომმა იქ ჩატოვა. გერმანიის მთავრობას მათზე, როგორც რუსეთის მოქალაქეებზე, ზედამხედველობა ჰქონდა დაწესებული და შინაურ პატიმრობაში ამყოფებდა. მას შემდეგ, რაც მათ სურვილი გამოთქვეს, ემსახურათ ქართულ ლეგიონში, ისინი გაანთავისუფლეს. მათ შორის იყვნენ: კ. გამსახურდია, რაფიელ ნიჟარაძე, ალექსი ჯაფარიძე, რომლებიც კომიტეტის განკარგულებაში გადავიდნენ (28, 22).

საერთოდ კი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მართალია, ქართველი ტყვეები კარგად აცნობიერებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის უდიდეს მნიშვნელობას, მაგრამ აეჭვებდათ ომში გერმანიის გამარჯვებისა და მათი მეშვეობით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვე-

ბის შესაძლებლობა. მით უფრო, ამის იმედი არ ჰქონდათ თურქეთისაგან.

ქართული ლეგიონის საქმიანობა ქართველი საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ნაცნობია. ამიტომ, ამ საკითხს ჩვენ მოკლედ შევეხებით. ლეგიონის ფორმირება 1914 წლის დამლევისათის დასრულდა. მისი შემადგენლობა 600 კაცს ითვლიდა. თანამდებობები ასე იყო განაწილებული: შტაბის უფროსი –ნესტორ კერესელიძე, ასეულის მეთაურები – ვანო და სერგო ლაბაძეები, მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაური – ვანო წერეთელი, საინტენდანტო ნაწილის უფროსი – მელიტონ ქარცივაძე და სხვები. სამხედრო ხაზით წინამძღოლობას უწევდა ოსმალეთის მესამე არმიის ხელმძღვანელობა, რომლის მთავარსარდალიც იყო სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა, ხოლო გენერალური შტაბის უფროსი – გერმანელი გენერალი ბრონსარტ ფონ შელენდორფი.

1914 წლის დეკემბრისათვის ენვერ ფაშამ რუსეთის წინაარმდეგ საომარი ოპერაციების დაწყების მიზნით ლეგიონი არზრუმის მიმართულებით გააგზავნა და გერმანელ პოდპოლკოვნიკ შტანკეს დაუქვემდებარა. მათი ერთობლივი მოქმედებების შედეგად გარღვეულ იქნა რუსთა თავდაცვითი ზღუდეები და აღებულ იქნა არტაანი. სწორედ აქ მოხდა ქართული ლეგიონის პირველი საბრძოლო ნათლობა. შემდგომშიც არაერთხელ ისახელეს თავი ლეგიონერებმა, რითაც დღითიდღე გერმანელების სიმპათიებს იმსახურებდნენ. სამაგიეროდ, თურქები შიშით ადევნებდნენ თვალყურს ლეგიონის საქმიანობის გააქტიურებას. ისინი, ბუნებრივია, ამის წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან მასში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ. ამიტომაც მიმართა თურქეთის არმიის ხელმძღვანელობამ გერმანიის მთავრობას თხოვნით, დაეშალა ქართული ლეგიონი და პროვოკაციებიც მოაწყო მის წინააღმდეგ (66,79). თურქეთის პოზიცია აღშფოთებდათ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, რადგანაც ქართულ ლეგიონში ისინი მომავალი საქართველოს

ძლიერ ჯარს ხედავდნენ. კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე მათ თამამად აღნიშნეს: „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულ ადვილი შესაძლოა მოკლე მომავალში დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც საქართველოს დასჭირდება შეიარაღებული ძალა. ჩვენი მოვალეობა არის ვიღონოთ და გამოვიყენოთ დღევანდელი პირობები ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ (101).

ლეგიონერთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით 1915 წელს დაწესდა თამარ მეფის ორდენი. გამოქვეყნდა დოკუმენტი, სადაც მოცემული იყო მისი შემოღების, აღწერილობისა და დაჯილდოვების წესი. I მუხლში აღნიშნული იყო, თუ ვის გადაეცემოდა ეს საპატიო ნიშანი. იგი ეძლეოდა იმ პირს, რომელსაც თვალსაჩინო დამსახურება მიუძღოდა ქართველი ერისათვის სასიკეთო საქმეში ან რომლის გავლენასაც შეეძლო ასეთივე სამსახური გაეწია ამ საქმისათვის. ორდენი ორგვარი იყო: ერთი ვერცხლისფერი, მეორე ოქროსფერი, სადაც თამარის სურათი იყო მოთავსებული ვარსკვლავის ცენტრში წარწერით –„ქართული ლეგიონი 1915 წელი". ვერცხლისფერი ნიშანი ეძლეოდათ უბრალო ჯარისკაცებს, ხოლო ოქროსფერი – მაღალი თანამდებობისა და ხარისხის პირებს (II მუხლი). მესამე მუხლში ნათქვამი იყო, რომ ორდენის გაცემის საკითხს წყვეტს კომიტეტი თავის კრებაზე ხმების 2/3-ით. ნიშანთან ერთად დაჯილდოვებულს მიეცემოდა მოწმობა, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა ორდენის ტარების უფლება (IV მუხლი). მოწმობისთვის ხელი უნდა მოეწერათ თავმჯდომარეს, მდივანსა და კომიტეტის დამსწრე წევრებს (V მუხლი). ამა თუ იმ პირის ორდენზე წარდგენა შეეძლო მხოლოდ კომიტეტის ორ წევრს (VI მუხლი). კომიტეტს ჰქონდა სპეციალური წიგნი, სადაც აღნუსხული იქნებოდა დაჯილდოებულ პირთა სია (VII მუხლი) (106).

თამარ მეფის ორდენით ქართველების გარდა უცხოელებიც არიან დაჯილდოებულნი, ის პირნი, რომელთა დამსახურებასაც განსაკუთრებით აფასებდნენ კომიტეტის წევრები. კავალერთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილა პრუ-

სიის პრინცი ვოლდემარი. გერმანელ უფლისწულს ეს ნიშანი გადაეცა იმ დამსახურებისათვის, რომელიც მან ქართულ ლეგიონს გაუწია 1917 წლის მაისში თურქეთიდან რუმინეთში გადაყვანისა და დაბინავების დროს. უცხოელთაგან ორდენოსნები იყვნენ აგრეთვე გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ჰინდენბურგი, გენერლები ლოსოვი და ლიუნდერდოფი, კაპიტანი შულენბურგი, პირველი კლასის ლეიტენანტი გალენი, ლეიტენანტი შედე, დოქტორი ფიშკე და „რამდენიმე ავსტრიელი მოქალაქე''. ისინი დაჯილდოვდნენ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და ლეგიონისათვის გაწეული დახმარებისათვის. გარდა ამისა, გენ. მდივნის 1918 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით, „ყველა გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც 1918 წლის 4 ნოემბრიდან იმყოფებოდნენ საქართველოში ღებულობდნენ წმინდა თამარის ორდენის ტარების უფლებას''. თამარ მეფის ორდენის შესახებ ცნობებს ვხვდებით ნ. ჯავახიშვილის სტატიაში „მასალები ქართული ფალერისტიკის ისტორიისათვის'' (255).

1916 12 დეკემბერს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი გერმანიის გენ. შტაბს და მისი პოლიტიკური სექციის უფროსს ფონ ვეზენდონკს უგზავნის მემორანდუმს (მას ხელს აწერდნენ: პ. სურგულაძე, მ. ქარცივაძე, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები), რომელშიც ლეგიონის შენარჩუნების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზეა საუბარი. ამავე დროს მემორანდუმში დელიკატურად იყო მითითებული, რომ ლეგიონი ქართველებისათვის გერმანიის თანადგომის იმედიც იყო რუსეთის წინააღმდეგ და მისი დაშლით მათ ეს იმედიც ესპობოდათ. ვფიქრობთ, დასაფასებელია კომიტეტის წევრთა დიპლომატიური ალღო. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლეგიონის გასვლასაც ევროპაში, ამიტომ გერმანიის გენერალურ შტაბს სთხოვდნენ მის გადაყვანას გერმანია-რუსეთის ფრონტზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით გ. კერესელიძე წერდა: „ჩვენ აქ, ევროპაში არავინ არ გვიც-

ნობს, ბევრიც ვიყვიროთ, მაინც ვერ მივახვედრებთ ვინ და რანი ვართ. მე და მიხამ აქ დიდი მუშაობა გავწიეთ, გამოვეცით წიგნები, მიხამ იკითხა რეფერატები, მაგრამ ნაყოფი ნაკლებია, ვინაიდან ხალხი ნაკლებად არის დაინტერედებული. სულ სხვა, როდესაც ლეგიონი აქ იქნება. ხალხი დაინტერსდება, გაიგებს ვინ ვართ... მეტად დავაინტერესებთ, საკითხს უფრო ადვილად დავსვამთ. აქ ჩვენ ლეგიონს ძალიან გაუფრთხილდებიან, თუ გერმანელებმა ბესარაბიაზე გაილაშქრეს ოდესისაკენ, რაც ადვილი წარმოსადგენია, მაშინ ჩვენი საკითხი უფრო წამოყოფს თავს. კავკასიაში მყოფი რუსეთის არმია განსაცდელში ჩავარდება და ჩვენ მიხედვით იმისა, თუ როგორ ჯობს – ისე მოვიქცეთ, ან აქედან გავაგრძელებთ ჩვენსკენ, ან ისევ მანდეთკენ გადმოვიყვანთ ჩვენს ლეგიონს'' (105).

ეს წერილი მარტო ერთი პატრიოტის, ამ შემთხვევაში გ. კერესელიძის სურვილებს როდი იტევს. იგი პატროტთა იმ მცირე ჯგუფის ოცნებებსაც მოიცავს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედს გერმანიის მოკავშირეობაში ხედავდა. წერილში კარგადაა დანახული ლეგიონის ბედი ევროპაში, თუმცა მისი მომავალი რომანტიკულ ფერებშია განჭვრეტილი. გ. კერესელიძისა და კომიტეტის სხვა წევრთა სურვილი შესაშური ოპერატიულობით შესრულდა. 15 დეკემბერს გერმანიის გენშტაბმა მემორანდუმის განხილვის შედაგად მოიწონა ლეგიონის რუსეთის ფრონტზე გადაყვანის იდეა. ამ საქმის ორგანიზაციისათვის სამსუნში მივლინებულ იქნენ პ. სურგულაძე და მ. ქარცივაძე (104). მათ 1917 წლის მაისისათვის მოახერხეს ლეგიონერთა თურქეთიდან რუმინეთში ჩაყვანა. აქ ისინი ფრონტზე საომარი მოქმედებებისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ და რუსეთის ომიდან გამოსვლამ ჩაფუშა მათი გეგმები. რუმინეთში 1918 წლის ივლისამდე დარჩნენ, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდნენ – უკვე დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში. აქ ისინი იმავე ლ.

კერესელიძის მეთაურობით ეროვნული არმიის შემადგენლობაში ცალკე შენაერთის სახით შევიდნენ და ახალციხის ფრონტზე გმირულად იბრძოდნენ ე.წ. ყარსის რესპუბლიკის ჯარების წინააღმდეგ (191).

დავუბრუნდეთ ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტსა და მათი ანტიცარისტული აჯანყების იდეას. უნდა ითქვას, რომ ამ იდეას არ იზიარებდნენ კომიტეტთან დაახლოებული გავლენიანი ევროპელები. მათი აზრით, ეს იმდენად საშიში ავანტურა იყო, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა თვით ერის არსებობასაც კი. ქართველთა დიდი გულშემატკივარი ფონ დერ გოლცი გულწრფელად ურჩევდა მიხაკო წერეთელს, რომ კომიტეტის წევრებს არ ეწარმოებინათ პროპაგანდა საქართველოში ქართველი ერის ასაჯანყებლად. იგი შეახსებდა აჯანყებული სომხეთის ბედს ოსამალეთის ტერიტორიაზე რუსეთის შესვლის დროს და მიუთითებდა, რომ ქართველთა პრობლემა წმინდა პოლიტიკური იყო და მათ მცირე სამხედრო ძალას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ამ უზრმაზარ კონფლიქტში (163).

არ ცდებოდა ქართველთა ბედზე დაფიქრებული ფონ დერ გოლცი, როდესაც მიხაკო წერეთელს ამას ურჩევდა. საქართველოში განწყობილება ხომ ძირითდად პრორუსული იყო და ერთი მუჭა ქართველები უძლურნი იქნებოდნენ ამ მართლაც უზარმაზარ კონფლიქტში. ანტირეჟიმული აჯანყების მოწყობაზე ფიქრიც კი, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური გულუბრყვილობა იყო. თუმცა მიხაკო წერეთელი და მისი ევროპელი ქართველი მეგობრები მონდომებით ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ასეთი აჯანყების მოწყობის შესაძლებლობაში, მაგრამ ამაოდ. გერმანიის მთავრობაც თანდათან რწმუნდებოდა ამ იდეის განუხორციელებლობაში და მათი ეს განწყობილება, როგორც ჩანს, კომიტეტის წევრებთან დამოკიდებულებაში ვლინდებოდა. ამ განწყობილებას უთუოდ კარგად გრძნობდა მიხაკო წერეთელი. აი რას

წერს თვითონ იგი 1917 წლის 22 იანვრით დათარიღებულ წერილში: „მუშაობა ბევრია, იმედი კი სრულიად არ არის. ვმუშაობთ ინერციით და ერთადერთი იმედი ისღა დაგვრჩენია, რომ იქნებ მამულისათვის ექნეს მნიშვნელობა ჩვენს მუშაობას მეთქი (102).

მიუხედავად ამისა, ქართველი პატრიოტები იმედს არ კარგავდნენ. მათ მაინც სწამდათ, რომ რუსეთი ომში აუცილებლად დამარცხდებოდა. ალბათ, ამიტომაც მოადგნენ რამდენჯერმე საქართველოს ნაპირებს გერმანული საბრძოლო მასალით დატვირთული წყალქვეშა ნავები 1916-1917 წლებში. იარაღის მისაღები ბაზა იყო ოჩამჩირე-ანაკლიის რაიონში, სოფ. სარფში, სოფ. გრიგოლეთთან. პასუხისმგებელი იარაღის მიღებაზე იყო შალვა ქარუმიძე, ხოლო მისი შენახვა ევალებოდა კოკი დადიანს (160,163). 1915 წლის ოქტომბერში დ. ვაჩნაძემ და გ. გაბაშვილმა გერმანიაში გააგზავნეს ლეიტენანტი ვლადიმერ მძინარაშვილი, რომელიც საქართველოში რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდა გ. მაჩაბელთან ერთად წყალქვეშა ნავით (161,127). ამ იმედით ჩამოდიოდა გიორგი მაჩაბელი საქართველოში, ამ იმედით მოგზაურობდა რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში, რათა ქართველი სტუდენტები ეროვნული კომიტეტის აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად მოემზადებინა (117).

1917 წლის 16 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსი კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილებას მოახსენებდა: „ორი სრულიად სხვადასხვა აგენტურული წყაროდან მიღებული ცნობით შავი ზღვის სანაპიროზე მტრის წყალქვეშა ნავით ჩამოყვანილი თავადი გიორგი მაჩაბელი, რომელიც აწარმოებს დანაშაულებრივ პროპაგანდას გერმანიისა და ავსტრიის საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფ ქართველ ტყვეებს შორის და რომელმაც ივალდებულა გერმანიის ხელისუფლების წინაშე გერმანელი ემისრების საშუალებით აჯანყების მოწყობა ამიერ კავკასიაში, იმყოფებოდა თბილისში გაზეთ „სახალხო

ფურცლის" რედაქტორთან – ჯორჯაძესთან და ქალაქ თელავში – ილიკო მაჩაბელთან" (94).

თბილისში ყოფნის დროს იგი ეწვეოდა ხოლმე გაზეთ „საქართველოს რედაქციას" ისევ და ისევ თავისი იდეების გამოხატვის სურვილით. ომის წლებში დაუღალავ გიორგი მაჩაბელს ყალბი საბუთებით ხან ევროპის ქვეყნებში ხედავდნენ, ხან შორეულ აღმოსავლეთში, ხან თურქეთში და ხანაც ამერიკაში. მის სახელთანაა დაკავშირებული დიდი პოლიტიკური ავანტურა, რომელსაც შემდეგ რუსეთის სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვა, ცოტა უფრო ვრცლად ამის შესახებ: ომის დროს რუსეთმა აშშ-ს 15 000 000 ოქროს მანეთის ღირებულების ყუმბარის დამზადება შეუკვეთა. სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა ამერიკაში თავისი ნდობით აღჭურვილი პირი ვასილ დუმბაძე მიავლინა 15 000 000 ოქროს მანეთითა და სხვადასხვა ყალიბის ყუმბარის გეგმებით. სტოკჰოლმში დუმბაძეს დახვდა გ. მაჩაბელი. მათი პაემანი 24 საათს გაგრძელებულა, არავინ იცის, რას თათბირობდა ორი ქართველი უცხო ქალაქში, მაგრამ მათი საუბრის შინაარს შეიძლება შედეგებით მივხვდეთ: როდესაც დუმბაძე დაბრუნდა პეტროგრადში, მან თან ჩამოიტანა „ამერიკული ფირმების დაკვეთა, 15 მილიონის ქვითრები, სათანადოდ შემოწმებული, სადაც მითითებული იყო, რომ აშშ სამი თვის ვადაში ჩააბარებდა რუსეთს დამზადებულ ყუმბარებს. მართლაც, გერმანული სიზუსტით ჩამოიტანეს ყუმბარები და დააგზავნეს ფრონტებზე. სულ მალე რუსეთის სამხედრო სამინისტროს მისამართით დაიძრა წერილებისა და დეპეშების სეტყვა: „არც ერთი ყუმბარა არც ერთ ზარბაზანს არ ადგება... ყველა ერთი მილიმეტრით უფრო მსხვილია ლულებზედ''-ო. დაიწყო ძიება, კონტროლი, მიწერ-მოწერა ამერიკის მთავრობასა და ფირმებთან, რამაც გამოარკვია, რომ მათ არც კი გაუგიათ ფულის, შეკვეთებისა და დუმბაძის შესახებ. გიორგი მაჩაბელი თურმე შემდეგ სიცილით იხსენებდა: „15 000 000 რუსული ოქროთო გერმანე-

ლებმა პოლონეთის 15 გუბერნია დაიჭირეს, რადგან ოქროებიც გერმანელებმა ჩაიბარეს და შეკვეთილი ყუმბარებიც გერმანელებმა ჩააბარესო'' (160, 174).

ვასილ დუმბაძის საქციელი იმ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ პირობებში გმირობის ტოლფასი იყო. მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რა მოელოდა ,,ეშმაკობის საფასურად'', მაგრამ მაინც რისკი გასწია. იმ 24 საათის განმავლობაში, გიორგი მაჩაბელმა, როგორც ჩანს, ის დაარწმუნა, რომ ეს ,,პატარა ხუმრობა'' სარგებლობას მოუტანდა საქართველოს. ისიც ,,გულუბრყვილოდ'' ,,გაება'' გ. მაჩაბლის მიერ გათვლილ ამ პოლიტიკურ ავანტურაში. ოღონდ ერთი რამ – და ისიც ყველაზე მნიშვნელოვანი – ვერ გაითვალისწინეს ქართველებმა, რომ მათ მოქმედებას მრავალი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლეც შეეწირებოდა.

ამრიგად, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა რიცხვი გაცილებით მცირე იყო რუსეთის დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველებთან შედარებით. მათ რიცხვს ძირითადად შეადგენდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ემიგრანტი ქართველი პატრიოტები, გერმანიის, თურქეთისა და ავსტრია-უნგრეთის ტყვეთა ბანაკებში მყოფი ქართველები და თითოოროლა ანტირუსულად განწყობილი ომის დროს საზღვარგარეთ გაქცეული პიროვნება. ისინი გაერთიანებული იყვნენ ,,ქართულ ლეგიონში". მის საქმიანობას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგანაც მასში დამოუკიდებელი საქართველოს ძლიერი ჯარის ჩანასახს ხედავდნენ. ,,ქართული ლეგიონისადმი" არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს. თუ გერმანია-ავსტრია-უნგრეთის მთავრობები მაქსიმალურ დახმარებას უწევდნენ, თურქეთის მმართველი წრეები ეწინააღმდეგებოდნენ მას, რადგანაც მასში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ. გერმანიის საიმპერატორო მთავრობისა და ქართველი საზოგადოებრიობის პროგერმანული ორიენტაციის წარმომად-

გენლების დიდი მცდელობის მიუხედავად საქართველოში ანტიცარისტული აჯანყება ვერ განხორციელდა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის პრორუსული ორიენტაციის გამო.

შესწავლილმა მასალამ ცხადყო, რომ პირველ მსოფლიო ომში ბევრმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ომისადმი, და უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მომავლისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამო ისინი იმთავითვე ორ საპირისპირო ბანაკში აღმოჩნდნენ. პირველი ბანაკის ქართველები იბრძოდნენ რუსეთის დროშის ქვეშ ოთხთა კავშირში შემავალი ქვეყნების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ბანაკის ქართველები რუსეთის წინააღმდეგ ოთხთა კავშირის მხარეზე. ქართველთა დიდი ნაწილი პირველ ბანაკში იყო, ხოლო უმცირესობა მეორე ბანაკში.

ამდენად, ოთხთა კავშირსა და ანტანტას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ, რაც თავისთავად პირველი მსოფლიო ომის განმსაზღვრელი იყო, გარკვეულწილად საქართველოშიც იჩინა თავი, ოღონდ თვისობრივად განსხვავებულ ასპექტში: ქართველთა შორის დაპირისპირებას, ბუნებრივია, არ ჰქონია იმპერიალისტური ხასიათი. იგი ეროვნილი ნიშნით ხასიათდებოდა. სხვადასხვაგვარი იყო ეროვნული იდეალი ორ საპირისპირო ბანაკში განაწილებული ქართველებისა და მათ შორის წინააღმდეგობასაც ეს განაპირობებდა. მთავარი ის არის, რომ ორივე მხარე თავისი ქვეყნის ნათელ მომავალზე ოცნებობდა. სხვა საკითხია, რომ ეს მომავალი მათ სხვადასხვაგვარად ესახებოდათ. ასე რომ, ქართველთა ბრძოლას პირველ მსოფლიო ომში ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ორივე ბანაკის ქართველობა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის იბრძოდა.

სველე ჰოსპიტალი. 1915 წ.

ქირურგი კოვალევსკი ემზადება ოპერაციისათვის.

ალაშკერტის ველი. პარაკლისი ბრძოლის წინ. 1915 წ.



1915 г. Алашкертская равнина. Молебен перед боем. Начальник 4 Кавказской дивизии

მუში. 1916 წ.

г. Мушъ. Май 1916 г.

თურქები

ინგლისელების ჯავშნოსანი საავტომობილო რაზმი.

ყურ-დაგის ბრძოლების რეზერვი.

Резервъ Курд.-Дагскихъ боевъ.



ლტოლვილები

საქართველო 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ნოემბრამდე

1917 წლიდან რუსეთის ისტორიაში კატასტროფული სისწრაფით განვითარდა მოვლენები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვნად აისახა. მეფის რუსეთი სამწლიანი დამანგრეველი ომის შედეგად კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ომმა მოამწიფა რევოლუციური სიტუაცია. მოამზადა მისი ობიექტური და სუბიექტური წინამძღვრები. მოძრაობა, რომელიც ომის დაწყებამ დროებით დააქვეითა, ომის გაჭინაურებასთან ერთად ახალი ძალით იწყებდა აზღვავებას. მღლევარება ფართოვდებოდა არა მარტო პროლეტარიატის რიგებში, არამედ გლეხობაში და ცარიზმის დასაყრდენ არმიაში. თვითმპყრობელობა გამოუვალ ჩიხში მოექცა. მან აღარ იცოდა, როგორ წარემართა სახელმწიფო მმართველობის საჭე. მოსალოდნელი რევოლუციის შიშმა და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ რუსეთის ჯარები ვეღარ უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგის ჯარებს, მეფის ხელისუფლება აიძულა, მიეღო გადაწყვეტილება გერმანიასთან სეპარატიული ზავის დადების შესახებ. ასეთი ზავი ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ამიტომ ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზია ყოველმხრივ აქეზებდა რუსეთის ბურჟუაზიას, რათა დაუყოვნებლივ მოეხდინა სასახლის გადატრიალება (21, 141). ასეთ პირობებში, 1917 წლის თებერვალში რუსეთში წარმატებით განხორციელდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ამდენად, საერთაშორისო ომის ქარტეხილმა წარმოშვა რუსეთის რევოლუცია, რამაც თავისი დაღი საქართველოს შემდგომი დროის ისტორიასაც დაასვა.

რუსეთში შეიქმნა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, რომელმაც ამიერკავკასიაში მართვის რწმუნებით შექმნა ე.წ. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი''). იგი ერთგულად ასრულებდა რუსეთის დროებითი

მთავრობის ყველა დავალებას. ის განუხრელად ატარებდა „გადამწყვეტ გამარჯვებამდე" ომის გაგრძელების პოლიტიკას და ამიერკავკასიის ხალხებს მოუწოდებდა, მოთმინებით დაეცადათ დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც რევოლუციის ძირითად საკითხებს (მიწის, ზავის და სხვ.) გადაწყვეტდა.

იმავე წლის ოქტომბერში რუსეთში მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა მოხდა, რომლის კვალსაც კვლავ ომის წიაღში მივყევართ.

1917 წლის მეორე ნახევარში ისევ ომის გამო ეკონომიკური კრიზისი რუსეთში უკიდურესობამდე მივიდა. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ომიდან გამოსვლა და სასწრაფოდ რეფორმების გატარება. ამის ნაცვლად დროებითმა მთავრობამ მოინდომა სამხედრო დიქტატურის დამყარება და მისი დახმარებით რვოლუციური ძალების განადგურება. დიქტატორის როლი უნდა ეკისრა უმაღლეს მთავარსარდალს გენერალ კორნილოვს. კორნილოვის შეთქმულება დამარცხდა და მკვეთრად შეიცვალა ძალთა ბალანსი რუსეთში. მემარჯვენე ძალების დამარცხებამ გააქტიურა ბოლშევიკების მომხრე ძალები. დაიწყო საბჭოების ბოლშევიზაცია, გააქტიურდა გლეხთა მოძრაობა სოფლად, ხოლო მეზღვაურებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკების მხარეზე იწყეს გადასვლა. რევოლუციის მოზადებისა და მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ რუსეთის ომიდან გამოსვლის საქმეში დიდი როლი შეასრულა ვ.ი. ლენინმა, რომლის რუსეთში დაბრუნებას გერმანიის მთავრობამ შეუწყო ხელი.

გერმანიის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ ლენინსა და სხვა რუს პოლიტიკურ ემიგრანტებს მისცა რა 1917 წლის აპრილში გერმანიის გავლით შვეიცარიიდან შვეციაში (რუსეთში ჩასასვლელად – გ.გ.) გამგზავრების უფლება (ჰინდერბურგის უკითხავად, მაგრამ ლიუდენდორფის თანხმობით), თვითონაც მონაწილეობა მიიღო 1917 წლის ოქტომბრის ამბებში. ლიუდენდორფი ლენინის

მგზავრობის შესახებ აღნიშნავდა, რომ სამხედრო თვალსაზრისით მგზავრობა გამართლებული იყო, რუსეთი უნდა დაცემულიყო (57, 101-102). ამდენად, 1917 წლის თებერვლის მოვლენებში თუ ინგლის-საფრანგეთი იყო ჩარეული, ოქტომბრის ფაქტები გერმანიის მონაწილეობით წარიმართა. თებერვალიც და ოქტომბერიც პირველი მსოფლიო ომის პირმშო იყო.

ამიერკავკასიის საზოგადოებამ ოქტომბრის ლენინური გადატრიალების პირველსავე დღეებში გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი და იგი მიიჩნია გამარჯვებული ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ დროებით სექტანტურ ამბოხებად, რომელსაც ქვეყნის სრულ ანარქიამდე მიყვანა შეეძლო. ამიერკავკასიის სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზავიების წარმომადგენელთა თათბირმა 1917 წლის 11 ნოემბერს ხელისუფლების სამხარეო ორგანოდ „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი'' აღიარა, ხოლო 15 ნოემბერს მთელი ხელისუფლება გადასცა ამიერკავკასიის კომისარიატს ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნას დიდი სიხარულით შეხვდნენ ანტანტის ქვეყნები. 14 ნოემბერს პარიზში ერთმანეთს შეხვდნენ ლოიდ ჯორჯი, კლემანსო და ორლანდო. მათ გადაწყვიტეს, ყველანაირად შეეწყოთ ხელი ამ მოძრაობისათვის ამიერკავკასიაში, რისთვისაც სპეციალური სამხედრო მისიებიც გამოგზავნეს. ასე მოიქცა აშშ-ც (48, 53). მათი აზრით, მთავრობის შექმნა ამიერკავკასიაში დროებითი ღონისძიება იყო დამფუძნებელ კრებამდე; ამიერკავკასია,როგორც რუსეთისაგან განუყოფელი მხარე, ყოველთვის მასთან იქნებოდა, როცა იქ წესრიგი აღდგებოდა.

ომიდან რუსეთის გამოსვლის შემდეგ მოკავშირეებმა წამოჭრეს მსოფლიო ტერიტორიების ხელახალი გადანაწილების საკითხი. ამ მიზნით 1917 წლის 22-23 დეკემბერს პარიზში ჩატარდა ინგლის-საფრანგეთის კონფერენცია, რო-

მელზეც ხელმოწერილ იქნა საიდუმლო ხელშეკრულება სამხრეთ რუსეთში მოქმედების შესახებ. ამ ხელშეკრულებით ინგლისის გავლენის სფეროში გადავიდა ქურთისტანი, კავკასია, კაზაკების ტერიტორია; საფრანგეთს წილად ხვდა ბესარაბია, უკრაინა, ყირიმი (62,95). 1917 წლის დეკემბერში ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიაში ჯარების გაგზავნის შესახებ, მაგრამ გერმანიის ბლოკთან ომის გამო მაშინ ეს ვერ მოახერხა (170,110-121), ხოლო მოგვიანებით გერმანიის ჯარების საქართველოში შემოსვლის შემდეგ მოკავშირეთა მისიებმა სასწრაფოდ დატოვეს თბილისი და ვლადიკავკაზს შეაფარეს თავი (25,33). 1917 წლის დეკემბერში აშშ-ის ელჩი ლონდონში პეიჯი იტყობინებოდა, რომ ინგლისის მთავრობამ უფლება მისცა თავის წამომადგენლებს, ყველანაირად დახმარებოდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ლანსინგმა თავის მხრივ დავალება მისცა ამერიკის აგენტებს, წაექეზებინათ ნებისმიერი მოძრაობა ბოლშევიკების წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი წარმატება მეტად საეჭვო იქნებოდა (44, 24).

დემოკრატიის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად ამიერკავკასიის კომისარიატმა აშშ-გან მიიღო 60 მლნ მანეთი. 1917 წლის 13 დეკემბერს კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი აღიარებდა, რომ ამ დახმარების გარეშე კომისარიატი ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა ვერც ერთ დღეს (147,168). რადგანაც ამიერკავკასიის მთავრობას მოკავშირე სახელმწიფოები განიხილავდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად, ამიტომ მათი დავალებით ხდებოდა კავკასიის ფრონტიდან დემობილიზებული ჯარისკაცებისათვის იარაღის ჩამორთმევა (46, 183). ამ მიზნით ფინანსურ დახმარებასაც უწევდნენ. ამიერკავკასიის მთავრობა გულმოდგინედ ასრულებდა მათ დავალებებს, რადგან, ჯერ ერთი, სპობდნენ ფრონტიდან მომდინარე სერიოზულ რუსულ ძალას (რომლის ანტისამთავრობო გამოსვლის მცდე-

ლობის მომსწრეც არაერთხელ ყოფილა), რომელზედაც შეეძლო დაყრდნობა მოსკოვის ინსტრუქციებით შეიარაღებულ კავკასიის ბოლშევიკურ კომიტეტს და, მეორეც, აიარაღებდა ჯარის ეროვნულ ნაწილებს.

ქართული ეროვნული შენაერთები ჩამოყალიბდა 1916 წელს. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველთა ქვეითი პოლკი, რომელიც შედიოდა ირანში მოქმედ გენერალ ბარათოვის საექსპედიციო კორპუსში (186). მოგვიანებით რუსეთის დროებითმა მთავრობამაც დართო ნება ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნას. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას შეიქმნა ორი ქართული პოლკი, რომლებიც შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებული ეროვნული არმიის ბირთვს შეადგენდა.

ეროვნული ნაწილების შექმნა განპირობებული იყო კავკასიის ფრონტზე არსებული კრიზისული მდგომარეობით. 1917 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან მასიური ხასიათი მიეცა პოზიციებიდან მთელი დივიზიების მოხსნას. ეროვნული ნაწილების შექმნა სწორედ ფრონტის გადარჩენას ემსახურებოდა. მაგრამ ჩამოყალიბების პროცესში მყოფთ არ შეეძლოთ, წინ აღდგომოდნენ ახალი ნაწილებით შევსებულ შეტევაზე გადმოსულ თურქეთის ჯარს.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა თურქებს კვლავ გაეღვიძათ თურანის შექმნის იმედი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ენვერ ფაშა თურანის შექმნის საკითხში შედარებით ზომიერებას იჩენდა. ოსმალეთის მინისტრთა საბჭო და „ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის ხელმძღვანელობა ერთხმად მოითხოდნენ სამხედრო მოქმედებების მთლიანად გადატანას კავკასიასა და შუა აზიაში და ამ მიზნით თურქეთის ყველა სამხედრო ძალის კავკასიის ფრონტზე კონცენტრირებას. ამიტომ იყო, რომ 1917 წლის დეკემბერში კავკასიის ფრონტის ხელმძღვანელობასთან გაფორმებული დაზავების მიუხედავად, (რომელიც კრძალავდა ჯარის ნაწილების ყოველგვარ გადაადგილებას) (6,159), თურქეთმა გააშიშვლა

არაბეთის ფრონტები და ჯარები კავკასიაში გადმოსხა (88,408). მან იმდენად გააქტიურა თავისი სადაზვერვო საქმიანობა, რომ სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანური მოსახლეობის ნაწილმა მისი ჩაგონებით მოგვიანებით თურქეთთან შეერთების სურვილიც კი გამოთქვა (6, 73-74).

როგორც აღვნიშნეთ, უთანხმოება კავკასიის გარშემო გერმანიასა და თურქეთს შორის მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღეებიდან არსებობდა. გერმანია ცდილობდა, მოეგვარებინა მათ შორის არსებული წინააღმდეგობა მშვიდობიანი ფორმებით და ამას აღწევდა კიდეც, მანამ, სანამ ამიერკავკასიის დაპყრობა რეალურ პერსპექტივას არ წარმოადგენდა, მაგრამ, როდესაც ამიერკავკასიის დაპყრობა ახლო მომავლის საკითხად იქცა, ბრძოლა ორ მოკავშირეს შორის მკვეთრად გამწვავდა. გერმანელთა რწმენით, თურქეთს კავკასიისაკენ უბიძგებდა ძარცვისა და ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდების სურვილი. თურქები ვარაუდობდნენ, რომ კავკასიის ნედლეულს საკმაოდ მაღალ ფასებში მიყიდიდნენ გერმანიას, ამიტომ მაქსიმუმი, რაზეც თანხმდებოდა გერმანია, როდესაც საკითხი თურქების მოთხოვნებს ეხებოდა, ეს იყო რუსეთ-თურქეთის 1878 წლამდე არსებული საზღვრების აღდგენა, სადაც არ მოიპოვებოდა მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრე, ხოლო ბათუმის კომპენსაცია ფოთით შეიძლებოდა (6, 155).

ასე ფიქრობდა გერმანია, რომელსაც უკეთესი პირობები შეექმნა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად რუსეთის ომიდან გამოსვლის შემდეგ აღმოსავლეთისაკენ წინსვლისათვის. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სამხედრო წრეებთან დაახლოებული პირი პაულ რორბახი აყალიბებდა რა გერმანიის მიზნებს აღმოსავლეთით რუსეთის რევოლუციის შემდეგ, ხაზგასმით აღნიშნავდა: „უკრაინისა და შავ ზღვასთან ეკონომიკურად დაკავშირებული სხვა ტერიტორიების რუსეთისაგან გამოყოფა" (54,43). სწორედ ეს გახლდათ ის განმსაზღვრელი, რომელიც წითელ ზოლად

გასდევდა გერმანიის საგარეო პოლიტიკას 1917 წლის ოქტომბრიდან. ამიტომ აგრძელებდა ვილჰელმ II-ის მთავრობა მუშაობას ქართველ საზოგადო მოღვაწეებში პროგერმანული ორიენტაციის დასამკვიდრებლად. გერმანელმა აგენტებმა, საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებმა – პროფესორმა შმიდტმა და დოქტორმა ანდერსონმა იმავე წელს მოახერხეს კავშირი დაემყარებინათ საქართველოს ეროვნული საბჭოს ზოგიერთ წევრთან (56, 94). გერმანიის დაჟინებული მცდელობით მათ შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა, რასაც უნდა მოჰყოლოდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. ამაზე მეტყველებს 1918 წლის პირველი ივნისის გაზეთ „Кавказское слово''-ში გამოქვეყნებული სტატიაც, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების პროექტი შემუშავებული იყო გასული წლის დეკემბერში და მას გერმანიის მოწონება დაუმსახურებია (252;59,64).

1918 წლის იანვარში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებს სტოკჰოლმში საიდუმლო შეხვედრა ჰქონდათ გერმანიის წარმომადგენლებთან – პოლკოვნიკ რიხტერთან და დოქტორ შტაინვახთან. საუბარი შეეხო რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის ხელშეწყობასა და გერმანია-საქართველოს მომავალ მჭიდრო ურთიერთობებს (56, 94). თებერვლის დასაწყისში კი თბილისში გამოიგზავნა გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცერი ემილიო კაიზერი, რომელსაც საქართველოში გერმანიის მთავრობის ინტერესების დაცვა ევალებოდა. მისი ჩამოსვლით იწყება ორ ქვეყანას შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ახალი ეტაპი. საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელთან საუბრისას მან განაცხადა: „მე მაქვს ჩემი კაიზერისა და უშუალო ხელმძღვანელის ბრძანება, ყველა ღონე ვიხმარო გერმანიისა და საქართველოს თანამშრომლობისათვის საძირკვლის ჩასაყრელად (56, 94).

გერმანიის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ თავისი პოლიტიკის წარმატებით წარმართვის მიზნით უკეთესი იყო აქცენტი გადაეტანა ამიერკავკასიის სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე. ამიტომაც ოთხთა კავშირის ქვეყნებმა ბრესტ-ლიტოვსკში ამიერკავკასიის მთავრობაც მიიწვიეს, სადაც 1917 წლის 22 დეკემბრიდან 1918 წლის 3 მარტამდე აწარმოებდნენ მოლპარაკებას საბჭოთა რუსეთთან. აქ ამ უკანასკნელმა წამოაყენა წინადადება, დაედოთ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი. ამასთან ერთად, მოლაპარაკების მთავარი პრინციპი საბჭოთა რუსეთის აზრით, უნდა ყოფილიყო:,,ოფიციალური აღიარება თვითოეული მეომარი ქვეყნის მხრიდან თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებისა გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწოფოს შექმნამდე" (51, 121).

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ კიულმანი ამის თაობაზე აღნიშნავდა: ,,მე, ვეყრდნობოდი რა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, ვაპირებდი ჩამეშალა პუნქტი უანექსიო ზავის შესახებ... მიმეღწია ჩვენთვის ასე საჭირო ტერიტორიული დათმობებისათვის" (74,103). სწორედ ამიტომ მოიწვია ოთხთა კავშირმა ამიერკავკასიის დელეგაცია ბრესტში. თურქეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ვეჰიბ-ფაშამ ამის შესახებ 3 (16) იანვარს აცნობა ოდიშელიძეს: ,,ბრესტ-ლიტოვსკში შეკრებილი შუალედური სახელმწიფოს დელეგატები მზად არიან, ყველაფერი იღონონ ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობის ცნობისათვის, რომელსაც დარწმუნებულმა სრულ წარმატებაში, შეუძლია გაგზავნოს თავისი რწმუნებული დელეგატები ბრესტ-ლიტოვსკში" (152,52).

ამიერკავკასიის მთავრობამ მიწვევა არ მიიღო. მოგვიანებით მენშევიკები გაზეთ ,,ერთობაში" წერდნენ: ,,ჩვენ გვიწვევდნენ ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ ჩვენ ვაღიარებდით თავს რუსეთის ნაწილად, არ გვსურდა დამოუკიდებელი სახით გამოსვლა, რომელიც თავის კეთილდღეობას აგებს მოძ-

მე ხალხის უბედურებაზე და ამიტომ ჩვენ არ წავედით იქ" (190). ამიერკავკასიის მთავრობის მეთაურმა ე. გეგეჭკორმა ასეთი შინაარსის დეპეშა გააგზავნა ბრესტში: „რადგან კავკასია შეადგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსეთის კონპეტენციას შეადგენსო" (160,183).

ამრიგად, ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკების დაწყების წინ შეიქმნა დაძაბული სიტუაცია. გერმანიას და მისი სახით ოთხთა კავშირის ქვეყნებს უპირველეს ამოცანად მიაჩნდათ რუსეთთან სეპარატიული ზავის გაფორმება. ამით მათ საშუალება მიეცემოდათ მთელი ძალები ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიემართათ. ამ ამოცანის პარალელურად გერმანიის მთავრობა იმედოვნებდა ესარგებლა ბოლშევიკების მიერ აღიარებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპით და ხელში ჩაეგდოთ მნიშვნელოვანი ტერიტორიები, მათ შორის ამიერკავკასიაც. ამიტომ იწვევდნენ ამიერკავკასიის დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში და დამოუკიდებლობის აღიარებასაც ჰპირდებოდნენ. ამიერკავკასიის მესვეურთა უარმა კი უფრო გაართულა გერმანიის მდგომარეობა.

გერმანიის დიპლომატია კავკასიის საკითხში ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მას უნდა დაეკმაყოფილებინა თავისი მოკავშირის პრეტენზიები ამიერკავკასიაში: 1914 წელს მიღწეული შეთანხმების მიუხედავად (რომლის ძალითაც ფაქტობრივად საქართველო გერმანიის გავლენის სფეროში შევიდა, ხოლო თურქეთს შესაძლებლობა მიეცა, თავისი პრეტენზიები ამიერკავკასიის დანარჩენ ტერიტორიაზე დაეკმაყოფილებინა), ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნები 1917 წლის ბოლოდან საქართველოს მიმართ იზრდებოდა. მეორე მხრივ, გერმანიას კარგად ესმოდა, რომ გვერდს ვერ აუვლიდა რუსეთის მოთხოვნებსაც, რომელიც ამიერკავკასიას თავის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. ამასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ეროვნული საბჭოს წევრებთან მიღწეული შეთანხმების

საფუძველზე ის ვალდებული იყო, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, მხარი დაეჭირა ამ ქვეყნის სუვერენიტეტისათვის.

აღნიშნული საკითხის მოგვარება ვილჰელმ II-ის მთავრობამ ფრთხილი პოლიტიკის გატარებით დაიწყო. ეს კარგად გამოჩნდა სწორედ ბრესტ-ლიტოვსკში გამართული საზაო მოლაპარაკების დროს, რომლის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ კავკასიის საზღვრების საკითხი თავიდანვე არ იდგა დღის წესრიგში და იგი მხოლოდ 1918 წლის 18 იანვარს ოსმალეთის მოთხოვნით წამოიჭრა. მან პრეტენზია განაცხადა მთელ სამუსლიმანო საქართველოზე, ბათუმის ჩათვლით (167, 22), რასაც გერმანიამაც დაუჭირა მხარი. კალისტრატე სალია წერდა: „გერმანია უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია (თურქეთისათვის), რადგან საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მანდატით აღჭურვილი კონგრესზე არ იყო''-ო (163). მართალია, გ. მაჩაბელი ბრესტ- ლიტოვსკში იმყოფებოდა, მაგრამ ის, როგორც კერძო პირი, თურქების მიერ მოლაპარაკებაზე არ იქნა დაშვებული. რამ განაპირობა გერმანიის თანხმობა? მისი მმართველი წრეები ხომ ცდილობდნენ, საქართველო კავკასიაში თავიანთი პოლიტიკის ფორპოსტად ექციათ. მაშ რატომღა დათანხმდნენ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი პლაცდარმის – ბათუმის –თურქეთისათვის გადაცემას? ვფიქრობთ, ამისი მიზეზი მარტოოდენ გერმანია-თურქეთის მოკავშირეობაში არ არის, ამაში ვრწმუნდებით, როდესაც ვეცნობით გერმანიის საქართველოსთან ურთიერთობის საკითხს, მისი სათავე თვით საქართველოში არსებულ მდგომარეობაში ჩანს. საქმე ისაა, რომ საქართველოს გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები) პარტიის ლიდერები თავის ქვეყანას რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ და საქართველოს მომავალს საერთო რუსულ დემოკრატიულ გარდაქმნებს უკავშირებდნენ. ამიტომ არ აცხადებდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლო-

ბას, ამიტომ არ გააგზავნეს ბრესტ-ლიტოვსკში დელეგაცია და ჩათვალეს, რომ ზავის საკითხი რუსების კომპეტენციას შეადგენდა (160, 183). როდესაც ქართველ პატრიოტთა ერთი ჯგუფი დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა, მაშინ მას სოციალ-დემოკრატები აღუდგნენ წინ, არადა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება საქართველოსათვის სავალდებულო აღარ იქნებოდა. რ.გაბაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ბრესტში მიწვევის ამბავი მენშევიკებმა მათ დაუმალეს „რუსეთის ხათრით... იმის მაგიერ, რომ საიდუმლოდ მაინც გავეგზავნეთ, როგორც „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის'' წევრნი. მაშინ, 1915 წლის ხელშეკრულებათა ძალით და თვით ბოლშევიკების „ვპლოწდოოტ-დელენია''-სი – როგორ დავანებებდით დამარცხებულ ოსმალებს ჩვენს ღვიძლ ტერიტორიას და ამაში, რასაკვირველია, მთავარი ჩვენი არგუმენტი და ძალა, – თვით გამარჯვებული გერმანელები იქნებოდნენ, ჩვენსავით დაინტერესებული კავკასიის დამოუკიდებლობით'' (160, 183). რადგან საქართველოს მესვეურებს ქვეყნის მომავალი ჯერ ვერ გადაეწყვიტათ, ცხადია, გერმანიის მთავრობაც აღნიშნულ საკითხში მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდა და ჯერ კიდევ დაულაგებელი ქვეყნის მიზეზით მოკავშირეს სიტუაციის გარკვევამდე აშკარად არ დაუპირისპირდებოდა. მიუხედავად ამისა, ბრესტ-ლიტოვსკის საბოლოო დოკუმენტის IV მუხლი ისეა ფორმულირებული, რომ გერმანიას პერსპექტივაში მანევრირების მეტი შესაძლებლობა ჰქონდა. „არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები დაუყოვნებლივ გაიწმინდება რუსების ჯარისაგან, რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების ახალ სახელმწიფოებრივ-უფლებრივ ორგანიზაციაში და მათ მოსახლეობას უფლებას მისცემს, დაამყარონ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი თურქეთთან შეთანხმებით ახალი წყობილება'', – ნათქვამი იყო ხელშეკრულებაში (151, 121). ნიშანდობლივია გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლის

როზენბერგის განმარტება საზავო მოლაპარაკების მსვლელობისას: „მეოთხე მუხლის პირობები არ ლაპარაკობს ოსმალურ პროტექტორატზე, არ ლაპარაკობს არც ამ აღნიშნული ოლქების ოსმალეთისათვის შეერთებაზე, იქაა ლაპარაკი მისახლეობის უფლებაზე დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკითხები სახელმწიფოებრივ-უფლებრივ და საერთაშორისო-უფლებრივ დამოკიდებულებით'' (167, 21).

ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საქართველომ დაკარგა: ბათუმის ოლქი – 6 254 ვერსტი², ოლთისის ოკრუგი – 2 621 ვერსტი², არდაგანის ოკრუგი – 4 924 ვერსტი², სულ 13 799 ვერსტი², (84).

1918 წლის ორ მარტს თბილისში მიღებულ იქნა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის კარახანის დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა ამიერკავკასიისათვის ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების ჩამორთმევას მეორე დღისათვის ბრესტ–ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე. იმავე დღეს ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკეთა მოქმედების გამო და ამის შესახებ აცნობა პეტროგრადის, ლონდონის, პარიზის, ვაშინგტონის, კონსტანტინოპოლის, რომის, ტოკიოს, ბერლინის, ვენის საგარეო საქმეთა მინისტრებს, კიევის ცენტრალურ რადას. მთავრობის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სეიმის გადაწყვეტილების თანახმად, ამიერკავკასიის მთავრობა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას და მის საზღვრებს ეხებოდა და რომელიც მისი ნებართვისა და თანხმობის გარეშე იქნებოდა დადებული, არ თვლიდა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონედ და არც სცნობდა მას (152, 85). კარახანის დეპეშით კიდევ ერთხელ დადასტურდა, როგორ მწარედ შეცდა ამიერკავკასიის მთავრობა, როცა ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთის იმედით დელეგაცია არ გააგზავნა. შეცდა კი იმიტომ, რომ მისი პოლიტიკა არათანმიმდევრული და არასტაბილური იყო. ამასთან დაკავშირებით წერდა ალექსანდრე მანველიშვილი: ამიერ-

კავკასიის მთავრობა გაურკვევლ მდგომარეობაში იყო. თუმცა მდგომარეობა გამორკვეული იყო: სახელდობრ, რუსეთის ბატონები იყვნენ ბოლშევიკები, ისინი ზავს კრავდნენ გერმანიასა და თურქეთთან. გერმანია-თურქეთი დაინტერესებულნი არიან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობით. ამიტომ სთხოვდნენ დელეგატებს, რომელნიც საზავო კონფერენციაზე გამომხატველნი იქნებიან ფაქტიურად დამოუკიდებელი ამიერკავკასიისა, ამაზე კი ამიერკავკასიის მთავრობა უარს ამბობს (ხაზი ჩვენია–გ.გ.).

მაშასადამე, ამიერკავკასიის მთავრობა ვერც კავშირს წყვეტს რუსეთის არარსებულ რესპუბლიკასთან და ამავე დროს მოლაპარაკება სურს თურქეთთან რაღაც ანონიმური ფორმით. კვლავ გრძელდება ტირილი და მოთქმა ,,დამფუძნებელი კრების'' ცხედარზე, ხოლო სადაც რაიმე დამოუკიდებელ ნაბიჯს გადასდგამენ, ამას ამართლებენ ,,ობიექტური პირობების იძულებით''. უფრო კი ყველაფერს აბრალებენ ბოლშევიკებს... თურქეთმა ჩვენების შეცდომაზე კარგად გაითამაშა და ახლა სრულიად ბუნებრივად მოითხოვდა აღნიშნული ზავის პირობების განაღდებას" (22, 32).

ბრესტ-ლიტოვსკში ამიერკავკასიის დელეგაციის გაუგზავნელობა შეცდომა იყო. ამას მოგვიანებით თვით აკაკი ჩხენკელიც აღიარებდა. პარიზში 1956 წელს გამართულ ერთ-ერთ საჯარო კრებაზე მისთვის გერმანიის კანცლერს უთქვამს: ,,დროზე რომ ბრესტ–ლიტოვსკში დასწრებულიყავით, ჩვენ მხარს დაგიჭერდით და თქვენს მიწებს თურქებს არ დავუთმობდითო'' (იქვე)

პოლიტიკური მოუმწიფებლობის გამო ამიერკავკასიის მთავრობამ თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი ბრესტ-ლიტოვსკში. ეს ნათელი იყო თურქეთის მთავრობისთვისაც, რომელსაც ამიერკავკასიის მთავრობის მოუქნელობა ახალ-ახალი ტერიტორების დაპყრობის მადას აღუძრავდა. ამიტომ გულუბრყვილობა იყო მისგან რაიმე სასიკეთოს მოლოდინი ტრაპიზონში. ამიერკავკასიის მთავრო-

ბას ისიც არ შეეძლო, დამოუკიდებლად და სხვებთან შეუთანხმებლად დასთანხმებოდა თურქეთის მთავრობას მოლაპარაკებაზე. ნოე რამიშვილი 1918 წლის16 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმზე თურქეთთან სეპარატიული ზავის დადებასთან დაკავშირებით კითხულობდა, იყვნენ თუ არა ისინი ვალდებულნი, ყოველი ნაბიჯი შეეთანხმებინათ მოკავშირე სახელმიფოთა წარმომადგენლებისათვის. გარდა ამისა, ამიერკავკასიის კომისარიატმა ზავის საკითხის მოსაგვარებლად 1918 წლის 16 თებერვალს თბილისში კონფერენციაზე მოიწვია უკრაინისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის წარმომადგენლები. პირველის პასუხი არ მოვიდა, მეორე კი იტყობინებოდა, ჩამოსვლას ვერ მოვასწრებთო (153, 5; 135).

ცოტა უფრო ადრე, კერძოდ, 10 თებერვალს, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის წევრთა ერთობლივ სხდომაზე გენერალმა ლებედინსკიმ განაცხადა, რომ კავკასიის ფრონტზე აღარ ყავდათ შეიარაღებული ძალები ომის გასაგრძლებლად და ეს მაშინ, როცა თურქეთის არმიები მაჰმადიანური მოსახლეობის დაცვის საბაბით წინ მოიწეოდნენ. მათ დასაპირისპებლად ეროვნული ნაწილების გამოყვანა შეუძლებელი იყო მათი მოუმზადებლობისა და ჩამოუყალიბებლობის გამო (136). ალბათ, ამ გარემოებამ უფრო გადააწყვეტინა ამიერკავკასიის მთავრობას, დაეწყო მოლაპარაკებები თურქეთთან. ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც თავს უფლებამოსილად თვლიდა, შექმნილ პირობებში თურქეთთან საბოლოო ზავი გაეფორმებინა. საზავო ხელშეკრულების საფუძველი უნდა ყოფილიყო რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული 1914 წლის სახელმწიფო საზღვარი. დელეგაციას უნდა მიეღწია იმისათვის, რომ აღმოსავლეთ ანატოლიის სომეხი მოსახლეობისათვის თურქეთს მიეცა ავტონომია. ამავე სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ტრაპიზონის საზავო დელეგაციის შემადგენლობა, რომელშიც საქართველოს მხრიდან შედიოდნენ: 2 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალ-ფედერალისტი, 1 ეროვნულ-დემოკ-

რატი. დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა აკაკი ჩხენკელი (153, 35).

კონფერენცია გაიხსნა 14 მარტს. სულ ჩატარდა 6 პლენარული სხდომა და 2 კერძო თათბირი. თურქეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველი რანგის კაპიტანი რაუფ ბეი. დელეგაციის შემადგენლობაში არ იყო უმაღლესი რანგის არც ერთი მოხელე. ამიტომაც ტრაპიზონის მოლაპარაკება ფიქტიური და ულტიმატური ხასიათისა გახლდათ. ეს კონფერენციის გახსნისთანავე გამოვლინდა, როდესაც გაიმართა კამათი ტრაპიზონის ნეიტრალურობისა და მოლაპარაკების პროცესში სხდომების თავმჯდომარეობის შესახებ. ჩხენკელის წინადადება –სხდომებს რიგრიგობით ვუხელმძღვანელოთო – არ იქნა მიღებული. უარის შემდეგ ჩხენკელმა განაცხადა, რომ ის აზრს არ იცვლიდა, მაგრამ საქმის სერიოზულობის გამო არ სურდა ინციდენტის კონფლიქტამდე მიყვანა (154,36-38).

ტრაპიზონის კონფერენციის პირველ სხდომაზე ნათლად გამოვლინდა თურქეთის მთავრობის მცდელობა, მიეღწია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისათვის. დეპუტატთა მანდატების შემოწმების შემდეგ თურქეთის დელეგაციამ ითხოვა, მიეღო ზუსტი ცნობები „ამიერკავკასიის ფორმის, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანიზაციის თაობაზე". მანვე დასვა საკითხი, შეასრულა თუ არა ამიერკავკასიის მთავრობამ ყველა ის პირობა, რომელსაც მოითხოვდა საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემთხვევაში (153,5).

ჩხენკელის საპასუხო განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის სეიმი შექმნილი ხალხთა თავისუფალი ნების საწყისებზე, იმ დროს ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც განსაზღვრავდა ამიერკავკასიაში მმართველობის არსსა და ფორმას, რომ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეწყდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მოქმედება და

აქ შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მას შემდეგ შევიდა რაც მიიღო თურქეთის მთავრობის წინადადება, დამოუკიდებლად ეწარმოებინა მოლაპარაკება და უარყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ასე რომ,– ნათქვამი იყო განცხადებაში, – ამიერკავკასია უკვე წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თუმცა ჯერ კიდევ არ უცნობებია ამის შესახებ სხვა სახელმწიფოსათვის. თურქეთის დელეგაცია არ დაკმაყოფილდა ამ განცხადებით და კონფერენციის მესამე სხდომაზე წარმოადგინა ახალი განცხადება, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები: იგი ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ორ ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულება სავალდებულო არ იყო მესამე სახელმწიფოსთვის, მაგრამ, ამასთან ერთად, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თუ ამიერკავკასიას სურდა, ესარგებლა საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მაშინ ამ ნორმების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მიეღწია სხვა სახელმწიფოების მხრიდან მისი აღიარებისათვის. იმის გამო, რომ ამ აღიარებას არ ჰქონდა უკუქმედების ძალა, ხოლო ამიერკავკასიის მთავრობამ თავი შეიკავა ბრესტის კონფერენციაზე დელეგაციის გაგზავნისგან, კავკასიის ფრონტზე კი მხოლოდ რუსეთის არმია იდგა, თურქეთის დელეგაციამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ამიერკავკასიის დელეგაციის განცხადება ბრესტის ხელშეკრულების არ ცნობის თაობაზე (154,88).

ტრაპიზონის კონფერენციის მე-4 სხდომაზე ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება კანონიერი და სავალდებულო იყო. ამასთან ერთად, ,,დელეგაცია გამოთქვამს სურვილს, რომ სანამ დაწყებული მოლაპარაკება მიიღებს დასრულებულ ხასიათს და ორივე მხარისათვის გამოიღებს ასე სასურველ შედეგს, ამიერკავკასიამ გადაწყვიტოს დამოუკიდებლობისა და მმართველობის ფორმის გამოცხადება" (41,43). კვლავ ამაო გაბ-

რძოლება ამიერკავკასიის დელეგაციისა და დაჟინებული მოთხოვნები თურქეთის დეპუტაციისა. მას გაგონებაც არ უნდოდა აღმოსავლეთ ანატოლიის თვითგამორკვევის შესახებ, ხოლო ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების პირობად მიიჩნევდა ამ უკანასკნელის მხრიდან ხელის აღებას ბათუმის, არდაგანისა და ყარსის სანჯაყებზე.

22 მარტს კონფერენციაზე შესვენება გამოცხადდა. ამიერკავკასიის დელეგაციის ნაწილი თბილისში დაბრუნდა. ამიერკავკასიის სეიმმა 26 მარტის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ა. ჩხენკელისათვის დამოუკიდებელი მოქმედების უფლების მინიჭების შესახებ. 5 აპრილს საზაო მოლაპარაკების ბოლო მე-6 სხდომაზე ამიერკავკასიის დელეგაციამ განაცხადა მთელი ოლთისის ოლქის, არდაგანის სამხრეთის, ყარსის ოკრუგის სამხრეთ-დასავლეთისა და ყაგიზმანის ოკრუგის დასავლეთი ნაწილების თურქეთისათვის გადაცემის თაობაზე. თურქეთის დელეგაციამ შესვენება ითხოვა, ხოლო 6 აპრილს მიღებული იქნა თურქეთის მთავრობის ულტიმატუმი, 48 საათის განმავლობაში ეცნობებინათ საბოლოო პასუხი. ამასთან ერთად, ოსმალეთის ჯარები ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრნენ. მეორე დილას ულტიმატუმი ა. ჩხენკელის დასკვნით თბილისს მოხსენდა. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ თურქები ბათუმიდან რვა ვერსით იყვნენ დაშორებულნი. არდაგანი აღებული იყო, ყარსის ბედი ორ დღეში გადაწყდებოდა, ამიტომ ჩხენკელი საჭიროდ თვლიდა, რომ იმ დღესვე მიეღო უფლებამოსილება ბრესტის ხელშეკრულების ცნობისა (152, 159).

8 აპრილს მიღებულ იქნა მთავრობის პასუხი მაქსიმალური დათმობების წინადადებით. ამიერკავკასიის დელეგაცის სხდომაზე კი მიიღეს გადაწყვეტილება ბრესტის ხელშეკრულების ცნობის თაობაზე, რაც იმავე დღეს მოხსენდა მთავრობას. იმის გამო, რომ 10 აპრილს საღამოს 9 სთ-თვის მთავრობის პასუხი ჯერ არ იყო ცნობილი, ხოლო თურქების

მიერ კიდევ 48 სთ-ით გაგრძელებულ ულტიმატუმს ვადა გასდიოდა, აკაკი ჩხენკელმა რაუფ-ბეის მოახსენა, რომ ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ოთხეულის (ჟორდანია, რამიშვილი, გეგეჭკორი, წერეთელი) სახელზე გაგზავნილ დეპეშაში მან აღნიშნა: ,,გეგეჭკორმა და რამიშვილმა კატეგორიულად აღიარეს შენარჩუნების (ბათუმის – გ.გ.) შეუძლებლობა და ეს დაემთხვა ჩემს აზრს. ამის საფუძველზე დელეგაციამ უკვე გადადგა ოფიციალური ნაბიჯი, რომლის შესახებაც გეცნობათ თქვენ. მაქსიმუმის შეთავაზება დაგვიანდა, თურქები მტკიცედ დგანან ულტიმატუმზე. მოვალედ ვთვლი თავს განვაცხადო, რომ უნდა ავიცილოთ ომი ბათუმის გადაცემის ფასადაც კი. ომი საფრთხეში აგდებს საქართველოს არსებობას და კავკასიის მთლიანობას. მე კატეგორიულ უარს ვაცხადებ ჩემს თავზე ავიღო ეს პასუხისმგებლობა, დელეგაცია მეთანხმება. მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა უპასუხოს ჩემს დეპეშებს. (სადაც ა. ჩხენკელი ბრესტის ზავის ცნობას მოითხოვდა - გ.გ.). თუ თანახმა არ არის, აუცილებელია ჩემი და დელეგაციის გამოწვევა, რადგანაც ჩვენი შემდგომი მოლაპარაკებები ჩვენთვის წარმოუდგენელია (41, 71).

13 აპრილს რაუფ-ბეიმ აცნობა ამიერკავკასიის დელეგაციას, რომ ამ უკანასკნელის მიერ ბრესტის ხელშეკრულების ცნობამ დღის წესრიგში დააყენა ოსმალეთის მოკავშირეების მოანაწილეობის საკითხი მოლაპარაკების პროცესში და რომ ამიერკავკასიას უნდა გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა.

1918 წლის 13 აპრილს გაიმართა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც მიიღო დადგენილება: ,,იმასთან დაკავშირებით, რომ სამშვიდობო ხელშეკრულება ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის საზღვრების თაობაზე ვერ იქნა მიღწეული, ამიერკავკასიის დელეგაციას ებრძანა, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო თბილისში'' (138). 14 აპრილს მთავრობის მიერ ამიერკავკასიის დელეგაცია გაწვეულ იქნა. თურქეთის დე-

ლეგაციასთან გამომშვიდობების დროს ითქვა, რომ აღნიშ-ნულ მდგომარეობას ორივე მხარე თვლიდა არა კონფერენ-ციის შეწყვეტად, არამედ შესვენებად (154, 91). ასე უშედე-გოდ დამთავრდა ტრაპიზონის მოლაპარაკება.

ტრაპიზონის მოლაპარაკების პროცესში კიდევ ერ-თხელ გამომჟღავნდა ამიერკავკასიის მთავრობისა და მისი დელეგაციის არაკომპეტენტურობა და პოლიტიკური სიბე-ცე. ისინი ნორმალურად არ იცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებსა და ტრაპიზონში ბრძოლა ისე დაიწყეს, თითქოს ბათუმი, არტაანი და ყარსი უკვე ოსმალეთისათვის იყო გადაცმული (226).

ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე, 1918 წლის 13 მარტს, ამიერკავკასიის დელეგაციის სხდომაზე გ. გვაზავამ და გ. ვეშაპელმა წინადადება წამოაყენეს, ეთხოვათ გერმანი-ისთვის მონაწილეობა მიეღო მოლაპარაკებაში, მაგრამ დელეგაციის მეთაურმა ა. ჩხენკელმა განაცხადა, რომ მათ ამისათვის მანდატი არ ჰქონდათ (41, 31). რადგანაც ტრაპი-ზონის კონფერენცია უშედეგოდ გრძელდებოდა და თურქე-თის ჯარი საქართველოს საზღვრებისაკენ მოიწევდა, რ. გა-ბაშვილის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ნ. ჟორდანიამ მას გ. მაჩაბელთან ერთად მისცა ბერლინში წასვლის მანდატი. მათ უნდა ეთხოვათ გერმანიის მთავრობისათვის ჩარეული-ყო საქმეში და ოსმალეთზე გავლენა მოეხდინა, მაგრამ ამ მიზნით ტრაპიზონში ჩასულ რ. გაბაშვილსა და პ. ინგოროყ-ვას ა. ჩხენკელი უკმეხად დახვდა და უკან დაუბრუნებლობის შემთხვევაში დაპატიმრებით დაემუქრა (160, 193-194).

1918 წლის 3 აპრილს გამართულ ამიერკავკასიის სეი-მის პრეზიდიუმის, ფრაქციათა წარმომადგენლების და მთავ-რობის ერთობლივ სხდომაზე ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა თურქეთთან მოსალოდნელი საომარი ოპერაციებისთვის მზადყოფნის აუცილებლობის შესახებ. სხდომაზე ითქვა, რომ ავტორიტეტების აზრით, ბათუმი ტექნიკური თვალსაზ-რისით საიმედოდ იყო დაცული. მიღებული იყო ზომები ბა-

თუმის დამცველთა შევსებისა და გაძლიერებისათვის. ამასთან არ იდგა ცოცხალი ძალის უკმარისობის პრობლემა. მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის ძალები უმნიშვნელო იყო, მოსახლეობა კი მზად იყო მტერთან საბრძოლველად(152,163-164). შემდეგ დროინდელმა მოვლენებმა სრულიად საწინააღმდეგო სურათი დაგვიხატა. სეიმის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებისა და საგანგებო უფლებებით აღჭურვილი კოლეგიის შექმნის შესახებ. მასში შედიოდნენ: მთავრობის თავმჯდომარე, იგივე სამხედრო მინისტრი, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები. სხდომაზე ამიერკავკასიის მოსახლეობას მიმართეს მოწოდებით, რომლის დედააზრი იყო: „ყველანი ფრონტზე! ყველანი თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად!" (152,33-35).

1918 წლის 6 აპრილს სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ოდიშელიძემ ამიერკავკასიის სეიმზე განაცხადა, რომ პირველმა მობილიზაციამ ვერ შეავსო ეროვნული ნაწილები, ამიტომ საჭირო იყო მეორე მობილიზაცია. გადაწყვიტეს ჯარში გაეწვიათ ახალგაზრდები 28 წლის ასაკამდე, ხოლო უკმარისობის შემთხვევაში, 32 წლის ასაკამდეც კი (152,15-16). თურქული ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი ახალგაზრდობა მასიურად მიეშურებოდა ფრონტისაკენ, თუმცა დეზორგანიზაცია მოსახლეობაში მაინც იგრძნობოდა. ხალხი დაღლილი იყო ოთხწლიანი ომით. რუსეთის დროშის ქვეშ ბრძოლამ ისინი ფიზიკურად გამოფიტა. ამას ემატებოდა მთავრობის არაკომპეტენტურობაც. ამიტომ იყო, რომ 7 აპრილს თურქეთის ჯარებმა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე დაიკავეს ოზურგეთი, 12 აპრილს ვეჰიბ-ფაშამ ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა ბათუმის კომენდანტისაგან ქალაქის დაცლა და ეს ყველაფერი ტრაპიზონის მოლაპარაკების დროს(!). 15 აპრილს იოლად აიღეს ბათუმი. თურქეთის წინააღმდეგ ომში ერთადერთ ნათელ წერტილად უნდა ჩავთვალოთ ჩოლოქთან ბრძოლა გენერალ გ. მაზნიაშ-

ვილის მეთაურობით. ამ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს თურქეთის გალიპოლის დივიზია. მტერმა მოკლულთა სახით 600-მდე კაცი დაკარგა. მიუხედავად ამისა, თურქეთის ხელში აღმოჩნდა მთელი მესხეთი ბორჯომამდე (167,24-27).

სწორედ ბათუმის დაცემა გახლდათ ბიძგი იმისა, რომ ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ე. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა. იგი შეიცვალა ა. ჩხენკელის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი (ერთადერთი – გ. გ.) კაბინეტით.

მთავრობამ თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა ომიდან გამოსვლა. 23 აპრილს ა. ჩხენკელმა აცნობა ვეჰიბ–ფაშას ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და სთხოვა მოლაპარაკების გაგრძელება არა ტრაპიზონში, არამედ ბათუმში და გაეცა ბრძანება, თურქეთის ჯარებს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გათვალისწინებულ საზღვარზე დაეხით (152,224, 231). სეიმის სხდომაზე დეპუტატმა თუმანოვმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ერთი წლის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, არცერთ ერს არ დაუყენებია რუსეთისაგან მთლიანად ჩამოშორების საკითხი. „თუ ახლა წამოიჭრა იდეა გამოყოფაზე, დამოუკიდებლობაზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მომდინარეობს თურქი იმპერიალისტებისაგან", – აღნიშნა მან (152,208).

იმავე სხდომაზე ნ. ჟორდანიამ ბოდიშის მოხდით განაცხადა: „რადგან ჩვენ მიტოვებული ვართ ბედის ანაბარა, რადგან რუსეთმა, რომელიც 100 წლის განმავლობაში აქ გვიცავდა ჩვენ და ასე თუ ისე წესრიგს ამყარებდა, ამაზე უეცრად უარი სთქვა, ამით მან უარი სთქვა საკუთარ ორიენტაციაზე და ამით ჩვენ მიგვითითა, რომ თვით ჩვენვე დავდგეთ ფეხებზე და თვითვე დავიცვათ ჩვენი თავი... როცა არის არჩევანი – რუსეთი თუ თურქეთი, ჩვენ რუსეთს ვარჩევთ, მაგ-

რამ როცა არის არჩევანი – თურქეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებელ ამიერკავკასიას" (153,20).

ნოე ჟორდანიას ამ სიტყვაში მხოლოდ ერთი პიროვნების აზრი როდია ჩაქსოვილი. მასში გაცხადებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთლიანი შემადგენლობის პოლიტიკური იდეალები. მათ ხომ დამოუკიდებლობას რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა ერჩიათ. მათი მიზანი ხომ არც თავისუფალი ამიერკავკასია ყოფილა და არც თავისუფალი საქართველო. ნოე ჟორდანია მოგიანებით თავს იმართლებდა ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციების გამოუყენებლობის გამო. თურმე იმიტომ იყო წინააღმდეგი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ამიერკავკასიას თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე მეტს ვერ წაართმევდა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში თურქეთისათვის ეს ბარიერი მოიხსნებოდა (225). ამას მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი ადამიანი თუ დაიჯერებს. იქნებ კონკრეტულ სიტუაციაში ნოე ჟორდანია მართალიც იყო, რადგან ოსმალეთს ამიერკავკასიის მთავრობის უნიათობისა და ეროვნული ნიჰილიზმის გამო მადა ჰქონდა აღძრული. მაგრამ განა ეს ამართლებს მათ საერთო დამოკიდებულებას საკითხისადმი?! ოთხთა კავშირი ბრესტ-ლიტოვსკში ამიერკავკასიის დელეგაციის მოწვევით ხომ ამიერკავკასიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების გარანტიას იძლეოდა. მათ კი დელეგაციაც კი არ გააგზავნეს. არც ტრაპიზონში ცნეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები და მხოლოდ ინერციით მიყვებოდნენ მოვლენების განვითარებას. ძნელია, არ დაეთანხმო რ. გაბაშვილის მოსაზრებას ამ საკითხის ირგვლივ: ,,როცა უფიქრდება ადამიანი, თუ რატომ არც ბრესტ-ლიტოვსკში, არც ტრაპიზონში, არც ბათუმში ჩვენმა ,,მეთაურებმა'' არ გამოიყენეს (და არც ერთს მრავალრიცხოვან ნა-

ბეჭდ-ნაწერში არც კი აქვთ მოხსენიებული) – 1915 წლის ხელშეკრულებანი „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისა'' გერმანია-ავსტრია-ოსმალეთთან; არსად არ იხსენიებენ არც ერთ შედეგსაც ამ ხელშეკრულებათა, ან სხვა რამ გაკეთებულს საქართველოს სასარგებლოდ სხვებისაგან, – ძალაუნებურად ვფიქრობ, რომ განგებ მალავენ ნაცარქექიები ყველაფერს, რაც თვითონ ან მათ „პარტიას'' არ გაუკეთებია" (160, 182).

ქართველი მენშევიკები მთელი ორი ათეული წლის მანძილზე არა თუ საქართველოს დამოუკიდებლობის, არამედ ავტონომიისა და თვითმმართველობის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდნენ, ბოლშევიკებთან ერთად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებებს, საკუთარი სახელმწიფოებრიობის მოპოვების მისწრაფებებს. პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლუციამ დიდი გავლენა იქონია ქართველ მენშევიკებზე. ზავისა და ძალაუფლების საკითხში ქართველი სოციალ-დემოკრატები დაშორდნენ რუს მენშევიკებს. ამიერიდან საქართველოში ფაქტობრივად აღარ არსებობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქცია, მისი ადგილი ქართულ სოციალ-დემოკრატიას დაეჭირა (33, 113-114).

ასე რომ, მხოლოდ შექმნილმა საერთაშორისო პოლიტიკურმა ამინდმა აიძულა ისინი, დაენახათ ის მიწა, „სადაც დაბადებულან და ორივე ფეხით სდგანან'' (33, 39). ეროვნული პრობლემისადმი მათ დამოკიდებულებაში პირველმა მსოფლიო ომმა თავისი კორექტივები შეიტანა. თუმცა, მათი აზროვნება ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ მტკივნეულად განიცდიდნენ ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას.

როდესაც 1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში გერმანიიდან მალულად ჩამოსულა მიხაკო წერეთელი და დავით ვაჩნაძის სახლში დაბინავებულა, სოციალ-დემოკრატთა ყველაზე მონაციონალისტო აკაკი ჩხენკელი ისე შეშინებუ-

ლა, რომ მას არც კი შეხვედრია. ამ ფაქტით გაკვირვებული მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „დალოცვილები, იმდენად არიან შებოჭილნი თავისი ძველი რწმენით, თითქოს მსოფლიო ვითარება რუსეთზე იყო დამოკიდებული, რომ იმასაც ველარ ამჩნევენ, როგორ იშლება და ინგრევა ეხლა რუსეთის იმპერია, ამჟამად პირიქით, საჭიროა დროულად გავეყაროთ მას, რათა სამოქალაქო ომში ჩათრეულნი სრულიად არ მოვისპოთ", მაგრამ ახსენდება რა საქართველოში ყველაზე გავლენიანი პარტიის უნიათობა და ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, იმედდაკარგული სამშობლოდან გაქცევას ჩქარობს: „არა, არაფერი გამოვა, სჯობია გავეცალო აქაურობას და დავუბრუნდე გერმანიას!'' (161,142).

ამასობაში კი გერმანიის მთავრობა უმოქმედოდ არ ყოფილა. უკრაინაში პოზიციების განმტკიცების შემდეგ, ის ენერგიულად ემზადებოდა ამიერკავკასიაში შემოსასვლელად და მესოპოტამიასა და არაბეთისაკენ მიმავალი ყველაზე უშიშარი გზის ხელში ჩასაგდებად (156, 257). გაზეთ „ფრანკფურტენ ცაიტუნგის'' აზრით, ბაღდადის რკინიგზა უმნიშვნელო წამოწყება იყო იმ გრანდიოზულ ამოცანასთან შედარებით, რომელიც დაკავშირებული იყო შავი ზღვიდან შიდა აზიისაკენ მიმავალი გზების დაუფლებასთან, რაც ახლო მომავალში უდიდეს სივრცეებს გახსნიდა და მთლიანად შეცვლიდა დედამიწის ეკონომიკურ რუკას (253).

იმ ეტაპზე გერმანიის უახლეს ამოცანას შეადგენდა ანტანტის ეკონომიკური ბლოკადის გარღვევა და ამიერკავკასიის სტრატეგიული რესურსების დაუფლება. მაგრამ გერმანია კვლავ წააწყდა თურქეთის დიდ წინააღმდეგობას. თურქეთის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო მთელი კავკასიის დაპყრობისაკენ, მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდა. ლიუდენდორფი ასე აღწერს თურქეთთან ურთიერთობას: „ყარსისა და ბათუმის დაკავებას ოსმალები არ დასჯერდნენ: ისინი არ ფიქრობდნენ ამით დაკმაყოფილებულიყვნენ,

არამედ სურდათ კავკასიაში მეტი გავლენა მოეპოვებინათ... თავისუფლად შემეძლო მე ოსმალეთის მიერ მიღებული ზომები დამედასტურებინა, რომელიც საერთოდ ომის წარმოებას ხელს შეუწყობდა, მაგრამ იმ ზომებს არ უნდა გამოეწვიათ ოსმალეთის განსაკუთრებული სამხედრო ამოცანების შესუსტება ან გაეძნელებინათ ჩვენთვის კავკასიიდან ნედლ მასალათა მიღება, რომლისგანაც ჩვენ საგრძნობ შემსუბუქებას მოველოდით. ენვერის ამოცანა იყო ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა... ენვერი და ოსმალური მთავრობა უფრო ნაკლებ ფიქრობდნენ ინგლისის წინააღმდეგ ომზე, ვინემ თავის პანისლამისტურ მიზნებზე კავკასიაში... ამგვარად, ჩვენ დავუპირისპირდით ოსმალეთის მიზნებს'' (173,187-188). თურქეთ-გერმანიის წინააღმდეგობამ ხელი შეუწყო გერმანია-საქართველოს კონტაქტების გააქტიურებას სამთავრობო დონეზე. გერმანიის მთავრობამ თბილისში გამოგზავნა პროქართული ორიენტაციით ცნობილი გრაფი ფონ დერ შულენბურგი. თბილისში მის ჩამოსვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული საქართველოს ეროვნულ საბჭოში განსაკუთრებული კომისიის, ე.წ. ,,ტრიუმვირატის", შექმნა ნოე რამიშვილის, შალვა მესხიშვილისა და დავით ვაჩნაძის შემადგენლობით, რომლებსაც დაევალათ შულენბურგთან მოლაპარაკების წარმოება (161, 129). აღნიშნული კონსულტაციების შემდეგ გერმანიის მთავრობამ მოსთხოვა თურქეთს ამიერკავკასიის დელეგაციასთან მოლაპარაკების გაგრძელება, რომელსაც სამხედრო წარმატებების გამო ოსმალეთი თავს არიდებდა. გერმანელების საქართველოში დამკვიდრების მტკიცე გადაწყვეტილებას შემდეგი ფაქტიც მოწმობს. როდესაც 1918 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში დაიწყო აჯანყება, გერმანელებმა საბჭოთა რუსეთს არ მისცეს საშუალება, დახმარებოდა აჯანყებულებს. გერმანიის ასეთმა პოზიციამ ამიერკავკასიის მთავრობას გაუადვილა აჯანყების დროული ჩახშობა (151, 716-717). გარდა ამისა, აპრილის ბოლოს საქართველოში გამოიგზავნა გერმანიის მთავარი საზღვაო სამ-

მართველოს გენერალური შტაბისა და სამხედრო სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მაიორი ჰერმან მეი, რომელსაც ასევე ევალებოდა გერმანიის ინტერესების დაცვა ამიერკავკასიაში. მისი თავდაპირველი დროებითი რეზიდენცია იყო ბათუმში, შემდე კი თბილისში (56, 95-96).

გერმანია თურქეთის მთავრობისაგან მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ხეშეკრულების დაცვას. ეს უკანასკნელი კი კავკასიის დაუფლებაზე ოცნებობდა, ამიტომ გერმანიის მთავრობა იძულებული გახდა, 1918 წლის 27 აპრილს საიდუმლო ხელშეკრულება გაეფორმებინა ოსმალეთთან, რომლის ძალით, თურქეთის ხელში გადადიოდა მის მიერ უკვე დაკავებული საქართველოს ტერიტორია, ხოლო დანარჩენ ნაწილზე ცხადდებოდა გერმანიის უზენაესობა. ამგვარად, საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდა გერმანიის გავლენის სფეროში (56, 101). ოსმალეთმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და ბათუმში მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა ამიერკავკასიის დელეგაციასთან ერთად. თურქებმა ბათუმის კონფერენციას რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, ჩანს დელეგაციის შემადგენლობიდანაც, რომელსაც მეთაურობდა ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერი, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალილ ბეი. დელეგაციის შემადგენლობაში სხვა მაღალი თანამდებობის პირებიც შედიოდნენ. მათ შორის იყო თურქეთის კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ვეჰიბ-ფაშა (6, 195-196). ამიერკავკასიის დელეგატი სულ ექვსი იყო. ქართულ მხარეს ნ. ნიკოლაძე და დელეგაციის მეთაური ა. ჩხენკელი წარმოადგენდნენ. მათ გარდა, მრავლად იყვნენ ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი (159, 49). ბათუმის კონფერენციის მუშაობაში ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციებიც იღებდნენ მონაწილეობას. გერმანიის დელეგაციას მეთაურობდა გენერალ-მაიორი ფონ-ლოსოვი.

კონფერენციის პირველი სხდომა გაიხსნა 1918 წლის 11 მაისს. მას თავმჯდომარეობდა ჰალილ ბეი. ამიერკავკასიის

დელეგაციის მემორანდუმში გამოთქმული იყო ამიერკავკასიის მთავრობის თანხმობა ოთხთა კავშირსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკას შორის მეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან ერთად, ა. ჩხენკელმა მოითხოვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტის გადაცემა (როგორც იქნა! – გ.გ.). ჰალილ ბეიმ განაცხადა, რომ ტრაპიზონის მოლაპარაკების შემდეგ მოხდა შეტაკება, დაიღვარა სისხლი და ამიტომ ის არ მიიჩნევდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას ბათუმის კონფერენციაზე საბაზო დოკუმენტად. ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარეობდა კამათი. ორივე მხარეს მოჰყავდა თავისი მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთები. ა. ჩხენკელმა სხდომას შეახსენა ვეჰიბ-ფაშასადმი გაგზავნილი დეპეშის შინაარსი, სადაც იგი ითხოვდა, თურქეთის არმიას ტრაპიზონის შემდეგ შეეჩერებინა საომარი ოპერაციები, რადგან თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა რუსეთი და არა ამიერკავკასია. პასუხად ჰალიბ-ბეიმ განაცხადა, რომ თურქეთის არმია ებრძოდა არა რუსეთის არმიას, რომელმაც დატოვა საზღვარი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საუძველზე, არამედ ამიერკავკასიის ჯარებს. ჰალილ ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციას შესთავაზა თურქეთის მხარის მიერ შემუშავებული საზაო ხელშეკრულების ტექსტი. 14 მაისის ნოტით, ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის თურქეთის არმიის სარგებლობაში გადაცემა, რასაც ინგლისელებთან ბრძოლის აუცილებლობით ხსნიდა (152, 269, 315) ა. ჩხენკელმა პროტესტი გამოთქვა თურქეთის მოთხოვნაზე. ფონ ლოსოვმა ცნობად მიიღო ორ დელეგაციას შორის წამოჭრილი უთანხმოება.

საზავო კონფერენციის მუშაობა ბათუმში გრძელდებოდა, როცა თურქეთის ჯარებმა შეტევა განაახლეს და 15 მაისს აიღეს ალექსანდროპოლი, შემდეგ თბილისისა და ერევნის მიმართულებით დაიძრნენ. გენერალი ნაზარბეკოვი 20

მაისს ამიერკავკასიის სარდლობას მოახსენებდა: „მიუხედავად საზავო მდგომარეობისა, თურქები განაგრძობენ სამხედრო მოქმედებას და, კერძოდ, კარაკლისის ფორნტზე აგრძელებენ რა შეტევას, დღეს სოფელ ავდიბედიდან გარეკეს ჩვენი ნაწილები. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ თურქები თბილისის გზატკეცილზე და ლორის რაიონში აჯგუფებენ დიდ ძალებს. ცნობილია მათი განზრახვა –გააგრძელონ შეტევა კარაკლისზე და შემდეგ თბილისზე. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, ალექსანდროპოლისა და ერევნის გზის დაკავება მხოლოდ დასაწყისია შემდეგი დაპყრობისა" (152,302)

თურქეთის დელეგაციამ მიიღო რა თანხმობა ჯულფა–ალექსანდროპოლის რკინიგზით სარგებლობაზე, ახალი პრეტენზიები წამოაყენა. მოითხოვა ახალციხე, ახალქალაქი, ალექსანდროპოლი, სურმალინი, ნახჭევანი, ჯულფა და აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზაზე თავისი კონტროლის დაწესება (6, 198).

არც ამ მოლაპარაკებას ეწერა წარმატებით მუშაობა, რადგან თურქეთი ფაქტობრივად ამიერკავკასიის ოკუპაციას მოითხოვდ, რასაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ამიერკავკასიის დელეგაციაზე, გერმანია ვერ შეურიგდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერც საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის დაცვას უზრუნველყოფდა აქ არასაკმარისი საბჭედრო ძალების გამო. ამ მიზნით, ქართველების გრაფ შულენბურგთან გამართული მოლაპარაკებების დროს გადაწყდა რაზმების ჩამოყალიბება გერმანელი კოლონისტებისა და ტყვეებისაგან, რომლებიც საქართველოს საზღვრებს თურქთა შემოტევისაგან დაიცავდნენ (161,129).

შექმნილ ვითარებაში დახმარება რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო, გერმანიის წარმომადგენლებმა ურჩიეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ოფიციალურად ეთხოვა მფარველობა. მართლაც, 1918 წლის 14 მაისის დადგენილებით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გერმანიას სთხოვა შესაძ-

ლო დახმარება საერთაშორისო და პოლიტიკურ სამართლებრივ საკითხებში, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარეშე და შინაური მტრებისგან (56,103). ხოლო 1918 წლის 19 მაისს, ფონ ლოსოვის წინადადებითა და ქართველების დაჟინებული მოთხოვნით, ამიერკავკასიის დელეგაციამ თხოვნით მიმართა ფონ ლოსოვს თურქეთთან შუამდგომლობის შესახებ, რასაც თურქეთი არ დაეთანხმა (152,306).

ასე აღმოჩნდა საქართველო დიდი არჩევანის წინაშე. თურქეთის ჯარებს უკვე ოკუპირებული ჰქონდათ საქართველოს დიდი ნაწილი ბათუმიდან ბორჯომის ხეობამდე. თბილისი და ქუთაისი დაპყრობის რეალური საშიშროების წინაშე იდგნენ. ერთადერთი გამოსავალი იყო ,,გერმანული ალიკაპის'' პოლიტიკა. მით უმეტეს, რომ ბათუმში ,,გერმანულ – ქართული" შეხვედრების დროს საბოლოოდ გადაწყდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა.

1918 წლის 22 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ბათუმიდან სრულიად საიდუმლოდ უგზავნის ასეთი შინაარსის წერილს (ციტატა მოგვყავს მცირეოდენი შემოკლებით): ,,მე უკანასკნელ წუთამდე არ დამიკარგავს იმედი, რომ შეიძლებოდა შეგვეკრა ზავი ამიერკავკასიის სახელით. მართალია ჩვენმა თათრებმა თავისი სეპარატიული ნაბიჯით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას, მაგრამ ვინაიდან გერმანიის დელეგაცია სრულებით არ იზიარებდა თურქების პოზიციას, ამიტომ ჩემი იმედი საფუძვლიანი იყო. თურქებმა მართლაც ვერ გაბედეს, მიუხედავად მუქარისა ულტიმატუმის გამოგზავნა, მაგრამ სამაგიეროდ მათ მიმართეს მეორე ხერხს: ანხორციელებენ ფაქტიურად თავის დაპყრობით პოლიტიკას. ერევნის გუბერნია წააქციეს, განჯაში თავისი მთავრობა დასვეს, რასაც მთელი აზერბაიჯანის მოკლე დღე მოჰყვება. დარჩა მარტო საქართველო, რომელსაც ემუქრებიან ყოველი მხრიდან.

ბოლოს გენერალი ფონ ლოსოვი მივიდა დასკვნამდე, რომ მარტო პროტესტით ვერას გახდება და უნდა მიმართოს სხვა გზას. დარჩა, მაშასადამე, განმარტოვებული საქართველო, რომლისთვისაც დარჩენილია სამი შესაძლებლობა: ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაიც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და იმავე დროს არსებობს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს ვერ მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტური დაპყრობა მოჰყვება; ბ) საქართველო სომხებთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხეთის ტერიტორია ამიერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია, შეუძლებელია, მაშასადამე, მასთან ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდევ რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია, როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა; გ) საქართველოს დამოუკიდებლობა – აი, ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაშიც არა ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევისგან, მაგრამ სწორედ ამიტომ, ამ უბედურებას წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან კიდევ გაუგზავნა ცნობა თავის მთავრობას, რომ ამიერკავკასია არ არსებობს (ოსმალეთის წინადადებამ მოსპო ის), არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და ვთხოვთ ცნობას და მფარველობას. ის ელის ახალ ინსტრუქციას... (140)".

მეორე დღეს კი აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს ასეთი შინაარსის საიდუმლო დეპეშას უგზავნის: ,,მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა. თუ არა, მაშინ მე არ მესმის თქვენი ტაქტიკა. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა, სხვა გზა დახშულია. არც ეს გზა გვიხსნის ყოველი ხიფათისაგან, რადგან ჩვენ გვჩვევია დაგვიანება. ყოველ შემთხვევაში მე კიდევ

მწამს, რომ პასუხისმგებლობა ისტორიისა და ერის წინაშე თავისას იქს. საქართველოს მთავრობის პირველი ნაწილი შემდეგი უნდა იყოს: მან უნდა თხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს – ყველა ეს ხდება საიდუმლოდ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას, შეიძლება პასუხის მოსვლამდის უკვე იკისროს გერმანიის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს ტყვეებისაგან შემდგარს და მიეგებება მომხვდომ თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება, აქედან თურქებს არა აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახოს. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში წაუყენოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება, როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებანიც დროებითი ხასიათისაა. ყველა ეს საიდუმლოდ რჩება, რა თქმა უნდა...

ომი ამიერკავკასიის სახელით მომაკვდინებელია ჩვენთვის. მტერს შეიძლება წინააღმდეგობა გაეწიოს მხოლოდ ამიერკავკასიის სახელით..

მთელ ხალხს საქართველოს შუაგულში – არა განაპირა ადგილებში მოთხოვეთ იარაღი ჯარისათვის. თუ მიიღებთ ზომებს, თბილისშიც ბევრ იარაღს აღმოაჩენთ კერძო პირებთან, ბევრი თავის ნებითაც მოიტანს. გამოაცხადეთ საქვეყნოდ, როცა დარწმუნდებით, რომ თურქები ფაქტიურად მოიწევენ, რომ სამშობლო განსაცდელშია. ხალხი უეჭველად შეინძრევა, ის თავის ვალს გადაიხდის. ყველა ეს უდროოდ არასგზით არ უნდა მოხდეს, ვინაიდან გვაქვს კიდევ იმედი ვიფიქროთ, რომ თურქები ზავს მოითხოვენ ჩვენთან, რაც ჩვენთვის უსაჭიროესი რამაა, მაშასადამე, დამოუკიდებლო-

ბა ერთ-ერთი საშუალებაა ზავისათვის. ... ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია, ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს.

ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია – ესაა ერთ-ერთი თქვენი ლოზუნგი: პანიკა შეუწყნარებელია, საჭიროა შრომის განაწილება. ლაპარაკი და რეზოლუციები დამღუპველია. გამოაჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე, ჩვენი ერი გამჭრიახია, შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას. ვისურვებ შეასრულოთ მძიმე ვალდებულება ქვეყნის წინაშე. ჩვენ გავუშვით ყველა ვადები. ერიც არ მოვამზადეთ ამ მომენტისათვის, მაგრამ იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთ" (141).

ბათუმში გერმანიის დელეგაციასთან ერთად შემუშავებული დროებითი შეთანხმება მზად იყო ხელმოსაწერად, როდესაც ვილჰელმ II-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში გენერალ-მაიორ ფონ კრესენშტაინის მეთაურობით სამხედრო დიპლომატიური მისიის გამოგზავნის შესახებ. კერძო საუბრის დროს ლიუდენდორფმა ფონ კრესს დაავალა, რომ ყველაფერი გაეკეთებინა, რათა კავკასიის სამეურნეო რესურსები გერმანიის სამხედრო მეურნეობისათვის მისაწვდომი გამხდარიყო და ამავე დროს ინგლისელების წინააღმდეგ ინდოეთში გამოსაყენებლად კავკასიელთა სამხედრო ძალებიდან არმიის შექმნა ეცადა (6, 197).

1918 წლის 25 მაისს ფოთში გადასხდა 3 000 გერმანელი ჯარისკაცი. იმავე დღეს ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის ხელმოწერით თბილისში სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალ კვინიტაძესთან ასეთი შინაარსის დეპეშა გაიგზავნა: ,,საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცით შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი გაჭინაურება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. გერმანელების შუამდგომლობის ცდა არ გამოგვივიდა. დაგვრჩენია

ერთი რამ: თურქების შემოტევას დავუპირისპიროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც მხარს უჭერს გერმანია" (159, 79).

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა თვითლიკვიდაცია, ხოლო საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ – ეს ისტორიული მნიშვნელობის აქტი განხორციელდა გერმანელების აქტიური მხარდაჭერით. აკი მოსწრებულად წერდა ამ ფაქტთან დაკავშირებით ავსტრია-უნგრეთის კონსული საქართველოში ჟ. პომიანოვსკი: „26 მაისს თბილისის საბჭოს ღია ფანჯრიდან გრაფმა შულენბურგმა კრესის დავალებით საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, რომელიც გერმანიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება" (6, 200). გერმანიის დროებით წარმომადგენლად თბილისში დაინიშნა გრაფი შულენბურგი, ფოთში კონსულად კი–ანდერსი (159, 85).

როდესაც ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადების ისტორიულ ფაქტს ვეხებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ეს მოხდა „იმის გამო, რომ ომისა და ზავის საკითხებზე თავი იჩინა შეხედულებათა მკვეთრმა სხვადასხვაობამ იმ ხალხთა შორის, რომლებმაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნეს და ამიტომაც თვით ავტორიტეტული ხელისუფლების არსებობა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, შეუძლებელი გახდა. სეიმი ამიერკავკასიის დაშლის ფაქტს აღნიშნავს, და ხელს იღებს თავის რწმუნებაზე" (152, 162).

ჯერ კიდევ ტრაპიზონში მიმდინარე მოლაპარაკების დროს გამოაშკარავდა ამიერკავკასიის ერთობის უპერსპექტივობა. ა. ჩხენკელი წერდა: „თავდაპირველად მე ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ახლა ვასკვნი, რომ ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხიდან იყო – ამიერკავკასიის თითოეული ეროვნებისათვის შესაძლებლობის მინიჭება – თვი-

თონ გამოერკვია თავისი პოზიცია და მდგომარეობა მათ წინაშე მდგარი საკითხების შესახებ. მიაქციეთ ყურადღება, იმ დროს, როცა ჩვენი მოთხოვნების ერთი პუნქტი აწყობდა ერთ ერს, იმავე დროს ლახავდა სხვის ინტერესებს და აწყობდა რა მეორეს, ეწინააღმდეგებოდა მესამის ინტერესებს და ა. შ." (41, 48-49).

ომისა და ზავის საკითხებისადმი ამიერკავკასიის ხალხთა შორის არაერთგვაროვანი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება არსებობდა. ამაზე სეიმის აზერბაიჯანელი დელეგატები აცხადებდნენ: „... თქვენ თუ არ დააკმაყოფილებთ თურქების მოთხოვნებს, ომი გარდაუვალია... მუსულმანები მონაწილეობას არ მიიღებენ ამ ომში" (41,55). აზერბაიჯანელების თურქულმა ორიენტაციამ ძირი გამოუთხარა ამიერკავკასიის ერთიანობას. ამიტომაც გარდაუვალი იყო მისი დაშლა.

ასე მიიღო ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს. იმ ხალხმა, რომლის შესახებაც ნ. ჟორდანია წერდა: „როგორ ხონჩითაც არ უნდა მიგერთმია ქართველი ხალხისთვის პოლიტიკური ავტონომია, ხონჩიანად უკან დაგიბრუნებდაო". ალბათ, ამიტომაც უწოდებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს „ტრაგიკულს" (ხაზი ჩვენია – გ.გ). თუმცა კი მას ქართველი ერისათვის ისტორიულ აქტად მიიჩნევდა(18, 568). მეორე დიდი ფიგურა ირაკლი წერეთელი 1918 წლის 26 მაისის ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე ამბობდა: „ამიერკავკასიის ერთიანობის დარღვევა ჩვენს მიერ განიხილება არა მარტო დარტყმად ქართველი ხალხისათვის, არამედ მთელი დემოკრატიისათვის" (152, 325).

1918 წლის 26 მაისს თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ჰალილ ბეიმ აკაკი ჩხენკელს წაუყენა ულტიმატუმი – 72 საათის განმავლობაში მიეღოთ თურქეთის ყველა მოთხოვნა. 1918 წლის 31 მაისს ნ. რამიშვილმა ჰალილ ბეის აცნობა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. ამა-

ვე დროს მას აინტერესებდა, შეეხებოდა თუ არა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მისამართით გაგზავნილი ულტიმატუმი (152, 350-351). ჰალილ ბეის პასუხი იყო: „ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის შექმნა არაფერს არ ცვლის იმ პირობებში, რომლებმაც განაპირობა 26 მაისის ნოტა, საიმპერიო დელეგაციას მიაჩნია, რომ იგი, ბუნებრივია, საქართველოს რესპუბლიკასაც შეეხება" (152–340).

სამი დღით ადრე კი, 1918 წლის 28 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა და გერმანიის წარმომადგენელმა ფონ ლოსოვმა ფოთში ხელი მოაწერეს 6 დოკუმენტს. ამათგან ძირითადი იყო „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ", რომელიც 5 მუხლისაგან შედგებოდა: საქართველო ცნობდა 1918 წლის 3 მარტის ხელშეკრულებას, ოთხთა კავშირის წევრებს, ნებას რთავდა ომის დამთავრებამდე ესარგებლა საქართველოს სარკინიგზო ხაზით: ორივე ქვეყანაში იქმნებოდა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები; შეთანხმება ძალაში იყო ხელმოწერისთანავე, მაგრამ ის, რაც შეიძლება მალე, უნდა შეცვლილიყო სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებით. პირველი დამატებითი ხელშეკრულება სამეურნეო საკითხებს ეხებოდა. გერმანიიდან მისაღები სესხის გადასახდელად საქართველოს მთავრობა სარკინიგზო ხაზისა და ფოთის ნავსადგურის ნაციონალიზაციას ადგენდა, პარიტეტულ საწყისებზე უნდა შექმნილიყო ქართულ-გერმანული სამთო-სამრეწველო საზოგადოება, რომელსაც სახელმწიფო გადასცემდა სასარგებლო წიაღისეულის ექსპლუატაციის განსაკუთრებულ უფლებას, თუმცა სახელმწიფოს მონოპოლია უზრუნველყოფილი იყო საკანონმდებლო წესით. მოპოვებული მადნის ექსპორტს შეფერხება არ ექნებოდა. მესამე მუხლით მთავრობა ვალდებულებას იღებდა, ომის განმავლობაში გერმანიისათ-

ვის მიეცა უფლება მთელი რაოდენობის ნედლეულის შესყიდვისა და გატანისა ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. გერმანიას უნდა მოეგვარებინა საქართველოსთან საზღვაო კავშირი და გაეადვილებინა საფაბრიკო-საქონლის, ნახევარფაბრიკატებისა და სურსათის შემოტანა საქართველოში. მეორე დამატებითი შეთანხმება იცავდა გერმანელი კოლონისტების ინტერესებს. გარდა ამისა, ფოთში ხელი მოაწერეს სამ კონვენციას, რომელიც გულისხმობდა გერმანული ვალუტის, როგორც გადახდის საშუალების, დროებით დაშვებას ადგილობრივ ფულთან ერთად განსაზღვრული კურსით, ღონისძიებების განხორციელებას ტყვეების უსწრაფესი გაცვლის დასაჩქარებლად და საქართველოს პორტებში არსებული ტონაჟის გერმანიის განკარგულებაში გადაცემას(152, 341-344).

აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმებით, გერმანიამ, ჯერ ერთი, დე-ფაქტოდ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (რომლის წარმომადგენლები აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ფონ ლოსოვთან ერთად ბერლინს გაემგზავრნენ გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დასადებად), ხოლო, მეორე მხრივ, დაიკმაყოფილა ეკონომიკური ინტერესები საქართველოში. აღნიშნული ხელშეკრულებების წყალობით, საქართველომ თავიდან აიცილა თურქეთის მოსალოდნელი ოკუპაციის უღელი და გერმანელების დახმარებით დაიწყო სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. უპირველეს ყოვლისა, გერმანელებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს საქართველოს მთავრობას მეზობლებთან გართულებული ურთიერთობების მოგვარების საქმეში და ამით საშუალება მისცეს ახალგაზრდა სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისა და საშინაო, ეროვნული პოლიტიკის აქტუალური პრობლემების მოგვარებისა. პირველ რიგში, გერმანიის მთავრობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა თურქეთსა და საქართველოს შორის 1918 წლის 4 ივნისს ბა-

თუმში გაფორმებული ხელშეკრულება „მშვიდობისა და მეგობრობის" შესახებ, რომლის მიხედვით, თურქეთის ხელში უნდა გადასულიყო ბათუმის ოლქი, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონები საერთო ტერიტორიით 10 000 კმ^2 350 000 სული მოსახლით (47,70). შემდეგ კი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაითანხმა ოსმალეთის მთავრობა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გადასინჯულიყო ცენტრალურ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ კონფერენციაზე, სადაც გერმანია „აპირებდა დაჟინებით მოეთხოვა ბათუმის გადაქცევა თავისუფალ ნავსადგურად" (159,129), რაც, ცხადია, საქართველოსთან მის კავშირს გააადვილებდა.

თურქებს არც ბათუმის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შეუწყვეტიათ პროვოკაციები საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მათ გერმანელების ენერგიული მოქმედება უპირისპირდებოდა. გერმანელენი დიპლომატიური და სამხედრო საშუალებებით ქართველებთან ერთად იცავდნენ საქართველოს საზღვრებს არა მარტო თურქების (47, 63; 152, 337; 159, 138), არამედ რუსებისა (151,716-717) და სომხების შემოტევებისაგან(189). ამ ბრძოლაში რამდენიმე გერმანელიც დაიღუპა, მათი დაკრძალვა თბილისში დიდი სამგლოვიარო ცერემონიით ჩატარდა (212).

დაპირებისამებრ, გერმანია ენერგიულ დახმარებას უწევდა საქართველოს მთავრობას საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. ამას მიაღწია კიდეც 1918 წლის 27 აგვისტოს ბერლინში გერმანია-რუსეთს შორის ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულებით, რომლის მე-13 მუხლში ნათქვამი იყო: „ რუსეთი თანხმობას აცხადებს მასზე, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად" (151,443). ეს გერმანიის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. ქართული სახელმწიფოებრიობისათვის კი მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ეს ფაქტი საბჭოთა რუსეთის

მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივ აღიარებას ნიშნავდა.

პირველი მსოფლიო ომის მთელი პერიოდის განმავლობაში გერმანია დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებისადმი. სამხედრო ექსპერტთა ჯგუფმა ფონ კრესენშტაინის მეთაურობით შეიმუშავა კიდეც ქართული ჯარის ორგანიზაციისა და სამხედრო ბეგარის პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა სამი დივიზიის დაარსებას (ორი ქვეითი და ერთი ცხენოსანი). ქართული მუდმივი ჯარის ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გასარკვევად თბილისში ჩამოვიდა ჰინდენბურგის მიერ გამოგზავნილი ოფიცერი გრაფი ვოლფსკელი (212). სამწუხაროდ, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინდიფერენტულობის გამო, ვერ მოხერხდა გერმანელების მიერ შემუშავებული გეგმით ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნების მთავარი გარანტის – ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების შექმნა. სამხედრო ორგანიზაციის სისუსტის გამო კი მოსკოვის მთავრობამ სამი წლის შემდეგ ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებლობას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მყოფი გერმანელების დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები კრიტიკულად უყურებდნენ საქართველოს მთავრობის საქმიანობას. ამ მხრივ ნიშანდობლივია ფონ კრესენშტაინის მიერ საქართველოს მთავრობის მოღვაწეობის შეფასება: ,,ადრე თუ გვიან ჩვენ, გერმანელები, წავალთ კავკასიიდან... თქვენი მმართველი წრე არ ჩქარობს შექმნას თავისი სახელმწიფოსათვის საფუძვლიანი საარსებო დაწესებულებანი... საქართველოს მთავრობას არა აქვს კავკასიური პოლიტიკა, რომელიც თქვენი ქვეყნის არსებობის საფუძველია. ჩვენი წასვლის შემდეგ განმარტოვებული, უჯარო საქართველო მტრების რკალში მოემწყვდევა და რომელიმეს მიერ სულ ადვილად წაილეკება... თუ თქვენ, ქართველებს, გსურთ დაიც-

ვათ თქვენი თავისუფლება, ამისათვის საჭიროა დაუღალავი მუშაობა და არა უნაყოფო თეორიული კამათი ან სიმღერამხიარულება, რაზედაც დროს მთლიანად ხარჯავთ''. (161, 156). გერმანიის დიპლომატიური მისია საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვდა ქვეყანაში წესრიგის დამყარებას, სამეურნეო ცხოვრების ამოქმედებას და ენერგიული, ქმედითი ზომების გატარებას ანარქიისა და ანტისახელმწიფოებრივი ძალების წინააღმდეგ. ამ საქმეში მათ თავიანთ სამსახურსაც სთავაზობდა და ეფექტურ დახმარებასაც უწევდა (49, 74). ეს ზოგიერთ ავტორს (150; 34; 47; 49; 54) საფუძველს აძლევდა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დაემკვიდრებინა მოსაზრება საქართველოში გერმანელების უმკაცრესი საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შესახებ. ჩვენ ასეთი შეფასება მართებულად არ მიგვაჩნია. ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში ცალკეულ ექსცესებს კი ჰქონდა ადგილი, მაგრამ მთლიანობაში გერმანელების მიერ გადადგმული ნაბიჯები, ხშირად მკაცრიც, ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა და, ამდენად, მათ მიერ გატარებულ კურსს რეაქციულს ვერ ვუწოდებთ. გარდა ამისა, ქართველ საზოგადოებრიობას გერმანელებთან ურთიერთობა მეგობრულად და გულითადად მიაჩნდა (168, 91-92).

ამასობაში კი პირველი მსოფლიო ომი დასასრულს მიუახლოვდა. გერმანიის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ კატასტროფული სახე მიიღო 1918 წლის შემოდგომის თვეებში. სიტუაციის ასეთმა შეცვლამ ასახვა ჰპოვა საქართველოს მიმართ გერმანიის პოლიტიკაზე. გერმანიას საქართველოსთვის აღარ ეცალა, ამიტომ საქართველო-გერმანიის პოლიტიკური ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლით, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – დე-იურედ იყო აღიარებული, ხელმოწერილი და დამტკიცებული არ ყოფილა ჯერ კაბინეტის კრიზისის, შემდეგ კი რევოლუციის გამო (173, 15). მოწინააღმდეგეთა მიერ შევიწროებულმა გერმანიის მთავარსარდლობამ 1918 წლის 21 ოქ-

ტომბერს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოდან თავისი სამხედრო კონტინგენტის გაყვანის თაობაზე (155, 213). 1918 წლის 5 ოქრომბერს გერმანიის ახალმა მთავრობამ აშშ-ის პრეზიდენტს ვილსონს ნოტა გაუგზავნა დაზავების თხოვნით. ამ დროისათვის ბულგარეთს უკვე ჰქონდა კაპიტულაცია გამოცხადებული. 30 ოქტომბერს მუდროსის ყურეში, ინგლისის კრეისერ „აგამემნოსზე", ხელმოწერილი დროებითი ზავით თურქეთი ანტანტის ქვეყნებს დანებდა, დროებითი ზავის პირობების თანახმად, თურქეთის მიერ ომის დროს ოკუპირებული ტერიტორიები ანტანტის სახელმწიფოთა ხელში გადადიოდა. 3 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთმა დაყარა იარაღი, ხოლო 11 ნოემბერს – გერმანიამ.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ, ამ თავში გვეჩვენებინა ის რთული, კატაკლიზმებით აღსავსე ისტორიული მოვლენები, რომლებიც დატრიალდა მსოფლიოში ომის დამამთავრებელ ეტაპზე და რომლებმაც წარმართა საქართველოს შემდგომი ისტორიული განვითარების პროცესი. ყველაზე მნიშვნელოვანი და მსოფლიო მასშტაბის მოვლენები იყო რუსეთის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები. ორივე რევოლუცია საერთაშორისო ომის ქარტეხილმა წარმოშვა. ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთი ომიდან გამოთიშა და აიძულა, სეპარატიული ზავი გაეფორმებინა ოთხთა კავშირის ქვეყნებთან. ამის შემდეგ გერმანიას უკეთესი პირობები შეექმნა აღმოსავლეთისაკენ წინსვლისათვის. თავის მხრივ, თურქეთმაც აქცენტი კავკასიის ფრონტზე გადაიტანა „დიდი თურანის'' შექმნის ოცნებით. საქართველო გერმანიასა და თურქეთს შორის „განხეთქილების ვაშლად'' იქცა. უთანხმოებამ კავკასიის გარშემო კულმინაციას მიაღწია. როგორც ჩანს, გერმანია თავიდანვე გრძნობდა კავკასიის საკითხში თურქეთთან მოსალოდნელ წინააღმდეგობას. ამიტომაც 1914 წლიდან მისი იდეალი იყო არა ერთიანი ამიერკავკასია, არამედ ამიერკავკასია რესპუბლიკებად დაშლილი, რომელთა შორისაც საქართველოს თავისად თვლიდა. ერთიანი

ამიერკავკასია კი სირთულეებს შექმნიდა გერმანიასა და თურქეთს შორის ამ რეგიონის გავლენის სფეროებად დაყოფის საქმეში. ამიტომ ვილჰელმ II-ის მთავრობა დაჟინებით ცდილობდა, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება თავისთვის სასურველი გზით წარემართა. იგი გამუდმებით ახდენდა ზეწოლას ქვეყნის გავლენიან პირებზე, განსაკუთრებით ხალხში ყველაზე პოპულარული და ავტორიტეტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებზე. სწორედ მათი ხელშეწყობით სურდა გერმანიას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა თავისი პროტექტორატის ქვეშ. სოციალ-დემოკრატები კი იმედებს რუსეთზე ამყარებდნენ, ამიერკავკასიას მხოლოდ რუსეთთან განუყოფელ ერთიანობაში მოიაზრებდნენ. ამ მოტივით არ წავიდნენ ისინი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე, რითაც ხელი შეუშალეს სხვა სახელმწიფოთა მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარებას და, თავისდაუნებურად, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, მწვანე შუქი აუნთეს საქართველოს დამოუკიდებლობას – რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილების შემდეგდროინდელმა მოვლენებმა (ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა, თურქეთის აგრესიამ, გერმანელების წინადადებამ) ისინი კიდევ უფრო „უარესის'' – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფაქტის წინაშე დააყენა. ყოველივე ეს საერთაშორისო მოვლენებმა მოამზადეს.

მართალია, პირველ მსოფლიო ომში ოთხთა კავშირის წევრი ქვეყნები დამარცხდნენ, პროგერმანულ ორიენტაციასაც ძირი გამოეთხარა და გერმანელებიც გავიდნენ საქართველოდან, მაგრამ მათ კავკასიაში დატოვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს შემდგომი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაზე.

ძირითადი დასკვნები

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების აღმავალი თუ დაღმავალი ხაზი ძირითადად გარემო ფაქტორებით იყო შეპირობებული. ომის წინა წლებში იმპერიალისტური განვითარების გზაზე მდგარი რუსეთი ობიექტურად ხელს უწყობდა კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებას საქართველოში. პირველი მსოფლიო ომის გამანადგურებელმა ძალამ კი უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. პირველი მსოფლიო ომის წინ კაპიტალისტური ურთიერთობების ინტენსიურმა ზრდამ ქალაქად და სოფლად ასახვა ჰპოვა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზეც. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა გლეხთა კლასის დიფერენციაციის პროცესი. გაჩნდნენ კულაკები, საშუალო შეძლების და უღარიბესი გლეხები. თავადაზნაურთა ერთიანი კლასი შეიცვალა გაბურჟუებული და გაღარიბებული თავადაზნაურებით. გაიზარდა მუშათა კლასი და ინტელიგენტთა ფენა. საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესი ომის პირობებში კიდევ უფრო გაღრმავდა, ამან კი კლასობრივი ბრძოლის გამწვავება გამოიწვია.

ომმა მძიმე დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებას. სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების სამხედრო მიზნებისადმი დაქვემდებარებას მოჰყვა სამრეწველო და სასოფლო წარმოების პროდუქციის შემცირება, მათზე ფასების მომატება, უმუშევართა არმიის ზრდა, დამუშავებული მიწის ფართობის შემცირება. კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობამ დასცა შრომის ნაყოფიერება. შედარებით სტაბილურობით გამოირჩეოდნენ ის ქარხნები, რომლებიც სამხედრო დაკვეთებს ასრულებდნენ. ამასთან ერთად, აღსანიშნავია თავდაცვის საწარმოებში დასაქმებული მუშახელის მხრივ ამიერკავკასიის მილიტარიზაციის მაღალი დო-

ნე რუსეთის საერთო იმპერიულ მონაცემებთან შედარებით. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტიცების მიზნით, ომმა დღის წესრიგში დააყენა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების საკითხი.

ომის გამოცხადების პირველივე დღეებიდან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ამოქმედდა მრავალი სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მათ დანიშნულებას წარმოადგენდა დახმარება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახებისთვის, მზრუნველობა დაჭრილ-დასახიჩრებულებზე. თანამოძმეთა დასახმარებლად საზოგადოებები იქმნებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც: პეტროგრადში, ნოვოჩერკასკში, ვორონეჟში, მოსკოვში და სხვა. სამწუხაროდ, ეს ღონისძიებები მეტად უმნიშვნელო იყო, ამიტომაც მოსახლეობის ცხოვრების საერთო სურათს ფაქტობრივად ვერ ცვლიდა და მას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.

დიდი ცვლილებები მოხდა ქართველი საზოგადოების ცნობიერებაშიც. იგი სოციალური და ეროვნული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე დადგა. XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტიები, რომელთაც განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ ამ პრობლემებთან დაკავშირებით. თუ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ქართველი წარმომადგენლები უგულებელყოფდნენ ეროვნულ საკითხს და წინა პლანზე სოციალურ პრობლემებს აყენებდნენ, საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული (სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები) პარტიების ალფას და ომეგას ეროვნული საკითხის მოგვარება წარმოადგენდა. ამას მათ მეფის ცარიზმის მიერ საქართველოში გააქტიურებული რუსიფიკატორული და კოლინიზატორული პოლიტიკისაგან თავდაცვაც ავალებდათ, რადგან ეს უკანასკნელი გრძნობდა პირველი მსოფლიო ომის მოახლოებას და საქართველოში

აღნიშნული პოლიტიკის გააქტიურებით ხელსაყრელ პირობებს იქმნიდა მომავალი დაპყრობებისათვის.

ომის მძიმე წლებში საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, კულტურული ცხოვრება არ ჩამკვდარა. ომმა, მართალია, გარკვეული კორექტივები შეიტანა მასში (მაგ., განათლების სფეროში), მაგრამ, ამასთან ერთად, ქართული მხატვრული ლიტერატურა გაამდიდრა ომის თემაზე შექმნილი არაერთი პროზაული და პოეტული ნაწარმოებით, რომლებიც მოსახლეობის საბრძოლო განწყობას ამაღლებდა, ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებას შესძინა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ცნობილი მონასტრების შესახებ, მთლიანად საქართველოს კი დაუტოვა დიდების საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე დაღუპულ ქართველ ჯარისკაცთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ნახტომისებური განვითარების შედეგად მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა დაირღვა. დაიწყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლა. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ორი მტრულად განწყობილი ბანაკი: ანტანტა და ოთხთა კავშირი. პირველი მსოფლიო ომის ფრონტები მათი გაცხოველებული პოლიტიკური ჟინის დაკმაყოფილების პოლიგონად იქცა. პირველი მსოფლიო ომის დაწყება დაკავშირებული იყო იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა უკიდურეს გამწვავებასთან, იმპერიალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან, კოლონიებსა და დამოუკიდებელ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან. მოწინააღმდეგე ბანაკებში შემავალი ზოგი ქვეყანა აგრესიულ, უსამართლო, მტაცებლურ ომს აწარმოებდა, ზოგი კი თავდაცვითს. შესაბამისად, მეომარ სახელმწიფოთა მიზნები, დამ-

პყრობლურთან ერთად, ეროვნული ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი.

საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის უმდიდრეს და გეოგრაფიულად ხელსაყრელ მხარეს, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ამ ორი დაპირისპირებული ბანაკის იმპერიალისტურ გეგმებში.

საქართველო გერმანიის რაიხის დაინტერესების უბრალო ობიექტი კი არ იყო, არამედ მისი „მსოფლიო პოლიტიკის" ექსპანსიონისტური გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველო გერმანიისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პლაცდარმს, როგორც აზიაში (მახლობელი აღმოსავლეთი, ინდოეთი, ჩინეთი) წინსვლისათვის, ისე რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი პრობლემების შესაქმნელად. გარდა ამ სამხედრო-სტრატეგიული მხარისა, გერმანიის საქართველოთი დაინტერესებას ეკონომიკური ფაქტორიც განაპირობებდა. ეს უკანასკნელი გერმანიის მრეწველობისათვის უნდა ყოფილიყო ნედლეულის მიმწოდებელი და იაფი სამუშაო ძალის რეზერვი. მომავალი ომის სამზადისში მყოფი გერმანიის მთავრობა ხედავდა რა საქართველოს დიდ სამხედრო-სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელ გერმანელ კოლონისტებში პანგერმანულ პროპაგანდას, კაპიტალის დაბანდებას სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო დარგებში, ფართო აგენტურული ქსელის შექმნას და ადგილობრივ მოსახლეობაში ანტირუსულ აგიტაციას.

აგრესიული ხასიათისა იყო თურქეთის კავკასიური პოლიტიკაც, რომელიც ჩვენ პირობითად „მაქსიმუმად" და „მინიმუმად" დავყავით. პროგრამა „მაქსიმუმი" ითვალისწინებდა თურქიზმის იდეოლოგიის გავრცელებას და „დიდი თურანის" შექმნას. ამ პროგრამის მიხედვით, თურქეთის ხელისუფლება ეროვნული იდეალის განხორციელებას თავისი მოდგმის ყველა ხალხის გაერთიანებასა და იმპერიის საზ-

ღვრების გაფართოებაში ხედავდა. მასში საქართველოს თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეკავებინა.

კავკასიის საკითხში ოსმალეთისა და გერმანიის მთავრობების ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. ანტანტის წინააღმდეგ თურქეთის ომში ჩაბმით დაინტერესებული გერმანია იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ამ უკანასკნელისათვის და მის მიმართ გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. ასე მოიქცა თურქეთის მხარეც, რაც პროგრამა ,,მინიმუმში'' აისახა. იგი ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოს შექმნისათვის ხელშეწყობას მაჰმადიანებით დასახლებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის მიტაცების შემდეგ. მაშასადამე, იმპერიის მთავრობის პროგრამა ,,მინიმუმი" ჩამოყალიბდა გერმანიის რაიხის კავკასიური პოლიტიკის გათვალისწინებითა და გერმანელების აქტიური ზეწოლით.

ავსტრია-უნგრეთს საქართველოს მიმართ რაიმე კონკრეტული მიზნები არ გააჩნდა, მაგრამ ინტერესით ადევნებდა თვალყურს თავისი მოკავშირეების კავკასიურ პოლიტიკას.

არც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ჰქონიათ საქართველოს მიმართ რაიმე გამოკვეთილი პრეტენზიები ომის დასაწყის ეტაპზე. რუსეთის ომიდან გამოსვლის შემდეგ კი სურათი შეიცვალა. მათ რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიები გავლენის სფეროებად გაიყვეს, რის შედეგადაც საქართველო ინგლისის პოლიტიკურ ორბიტაში მოექცა. რადგანაც საქართველო იყო რუსეთის იმპერიის ნაწილი, ამ მხარეში ტარდებოდა საიმპერიო პოლიტიკა. საქართველოს მიმართ მეფის რუსეთისათვის დამახასიათებელი ტრადიციული დამპყრობლური დამოკიდებულება აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა, რადგანაც სწირედ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა აძლევდა მას საშუალებას, გაჭრილიყო როგორც სამხრეთ-დასავლეთის (კონსტანტინეპოლი, ბოსფორი, დარდანელი), ისე სამხრეთ-აღმოსავლეთით (სპარსეთი, ინდოეთი) და დაეკმაყოფილებინა თავისი

სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები. მას შემდეგ, რაც ახლო და შუა აღმოსავლეთის მიმართ პრეტენზიები გერმანიამაც გამოთქვა, რუსეთმა ობიექტურად შეაფასა ამიერკავკასიის პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ახალ პირობებში და შეეცადა თავისი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას ამ რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ მეომარ სახელმწიფოებს ამ ომში საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ და საქართველოც მათ თავიანთი მიზნების მისაღწევად სჭირდებოდათ, საქართველოსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ეს სახელმწიფოები შეგვიძლია პირობითად ორ ბანაკად დავყოთ. ერთი ბანაკი (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი) მთლიანად უგულვებელყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ხოლო მეორე (გერმანია და მისი მიკავშირეები), თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას უწყობდა ხელს.

პირველი მსოფლიო ომისადმი ქართველ საზოგადოებრიობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო, მაგრამ ერთ საკითხში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთსულოვნებას იჩენდა. ეს ერთსულოვნება ეროვნული საკითხისადმი მიდგომაში ვლინდებოდა. ომში მონაწილე ქვეყნების მმართველმა ბურჟუაზიულმა წრეებმა პირველ მსოფლიო ომში წინა პლანზე ეროვნული საკითხი წამოწიეს. იმედჩასახული ქართველი ხალხიც ამ ომისაგან ეროვნულ თავისუფლებას მოელოდა. ეს თავისუფლება კი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილისათვის სხვადასხვა იყო. ერთნი მას ეროვნული ცხოვრების გაუმჯობესებაში ხედავდნენ მხოლოდ საერთო-საიმპერიო გზით რუსეთის ხალხთან ერთად, ხოლო მეორენი ამ საერთო-საიმპერიო გზიდან გადახვევასა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში.

საკითხისადმი სხვადასხვაგვარმა დამოკიდებულებამ პარტიულ დაყოფაშიც იჩინა თავი – ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ორიენტაცია: პრორუსული (პროან-

ტანტური) და პროგერმანული. იყვნენ მესამენიც – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენლები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა მსოფლიო ომის სამოქალაქო ომში გადაზრდა, ხელისუფლების სათავეში მოსვლა და სოციალისტური საზოგადოების აშენება. აქვე შევნიშნავთ, რომ მათი უმრავლესობის პოლიტიკური თვალსაწიერი რუსეთს არ სცილდებოდა და ქვეყნის ბედნიერება მხოლოდ მის შემადგენლობაში ესახებოდათ.

პრორუსული (პროანტანტური) ორიენტაციის მომხრეთა ბანაკი ყველაზე მეტად მრავალრიცხოვანი და გავლენიანი იყო საქართველოში. მასში ძირითადად შედიოდნენ რსდმპ მენშევიკური ფრთის წარმომადგენლები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ნაწილობრივ სოციალისტ-ფედერალისტები. არაერთგვაროვანი იყო ამ ბანაკის წოდებრივი შემადგენლობაც. მასში გაერთიანებული იყვნენ როგორც მაღალი, ისე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები.

პრორუსული (პროანტანტური) ორიენტაცია წარმოშვა როგორც საზოგადოების ერთი ნაწილის ფანატიკურმა ერთგულებამ რუსეთის ცარიზმისადმი, ასევე იმედმა, რომ ომში გამარჯვებული რუსეთის მთავრობა, ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებითა და თავისი სახელმწიფო საზღვრების სამხრეთისაკენ გაფართოებით, ქართველებსაც ქვეყნის შედარებით თავისუფალი განვითარების წანამძღვრებს შეუქმნიდა. რსდმპ მენშევიკური ფრთის წარმომადგენლებს ამ საქმეში ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების დახმარების იმედიც ჰქონდათ, რომლებიც, მათი აზრით, ომის დამთავრების შემდეგ რუსეთს აიძულებდნენ, ეფიქრა მის შემადგენლობაში მყოფ პატარა ერებზე. ამდენად, ისინი არ იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ეროვნული იდეალის განხორციელება მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ესახებოდათ. საკითხისადმი სწორედ ასეთი მიდ-

გომა აერთიანებდათ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანებულ თუ უპარტიო პრორუსული (პროანტანტური) ორიენტაციის მომხრეებს.

მობილიზაცია საქართველოში მაღალ დონეზე ჩატარდა. პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დროშის ქვეშ მონაწილეობა მიიღო იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის 13%-მა, დაახლოებით 300 000 კაცმა. ომმა გამოაწრთო და დიდ მხედართმთავრად ჩამოაყალიბა მრავალი ქართველი ოფიცერი, მსოფლიოსათვის ცნობილი გახადა ბევრი მათგანის სახელი. ქართველმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უამრავი მედალი, ორდენი და მადლობა დაიმსახურეს, როგორც რუსეთის, ისე ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისა და პირველი პირებისაგან. თავიანთი გმირობით გარკვეულწილად შეუწყეს ხელი კავკასიაში გამეფებული ანტიქართული პოლიტიკის შეცვლასაც.

პროგერმანული ორიენტაცია საქართველოში მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღეებიდან წარმოიშვა. მის იდეალებსა და მიზნებს გამოხატავდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და ქვეყნის შიგნით ჟურნალ „კლდის" გარშემო გაერთიანებული ჯგუფი.

ქართველთა მცირე ნაწილს სწამდა, რომ გერმანიის მთავრობა, თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ცნობდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ხალხთა თვითმყოფადობას და მათ სახელმწიფოებრიობას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. პროანტანტური ორიენტაციის მომხრეებისაგან განსხვავებით, პროგერმანული ორიენტაციის მიმდევრები ეროვნული იდეალის განხორციელებას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ფიქრობდნენ. თუმცა თავდაპირველად ზოგი მათგანი გერმანიას ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეასაც სთავაზობდა. ეს კი გერმანიის ბლოკთან მოკავშირეობით და რუსეთის დამარცხებით მიაჩნდათ შე-

საძლებლად. თავიანთი იდეალის განსახორციელებლად ისინი ბრძოლის სხვადასხვა ფორმას იყენებდნენ, პროპაგანდა-აგიტაციიდან დაწყებული და საომარი მოქმედებებით დამთავრებული.

რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა მცირერიცხოვანი ჯგუფი გაერთიანებული იყო თურქეთში დისლოცირებულ „ქართულ ლეგიონში", რომლის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობებისაგან განსხვავებით, ოსმალეთის მმართველი წრეები ეწინააღმდეგებოდნენ მას, რადგანაც მასში პოტენციურ მოწინააღმდეგეს – მომავალი საქართველოს ძლიერ ჯარს ხედავდნენ.

გერმანიის საიმპერატორო მთავრობისა და ქართველი საზოგადოებრიობის პროგერმანული ორიენტაციის წარმომადგენლების დიდი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში ანტიცარისტული აჯანყება ვერ განხორციელდა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის პრორუსული ორიენტაციის გამო.

სწორედ ომისადმი და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მომავლისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამო, აღმოჩნდნენ ქართველები პირველი მსოფლიო ომის ურთიერთსაწინააღმდეგო ფრონტებზე. პირველ ფრონტზე ქართველები იბრძოდნენ რუსეთის დროშის ქვეშ ოთხთა კავშირში შემავალი ქვეყნების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ფრონტზე – რუსეთის წინააღმდეგ ოთხთა კავშირის მხარეზე. ასე რომ, ოთხთა კავშირსა და ანტანტას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ, რაც თავისთავად პირველი მსოფლიო ომის განმსაზღვრელი იყო, გარკვეულწილად საქართველოშიც იჩინა თავი, ოღონდ თვისობრივად განსხვავებულ ასპექტში. ქართველთა ბრძოლას პირველ მსოფლიო ომში ჰქონდა არა იმპერიალისტური, არამედ ეროვნული ხასიათი: ორივე მხარეს ქართველები მხოლოდ და მხოლოდ თა-

ვიანთი ქვეყნის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ. მართალია, მეომარ სახელმწიფოთა დროშების ქვეშ ისინი დამპყრობლურ ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ეს მხოლოდ საშუალება იყო მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ქვეყნის ნათელი მომავალი იყო.

პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო ქვეყანაში რევოლუციური სიტუაციის შექმნას. საერთაშორისო ომის ქარტეხილმა წარმოშვა რუსეთის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საქართველოს შემდგომ ისტორიულ განვითარებაზეც. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, რუსეთის ომიდან გამოთიშვით საქართველო მეომარ სახელმწიფოთა გამძაფრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

ანტანტის ქვეყნების მთავრობები ამიერკავკასიას განიხილავდნენ, როგორც გერმანია-თურქეთის, ისე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის პოლიგონად; გერმანელებს რეალური შესაძლებლობა მიეცათ აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელებისათვის, ახალგაზრდა თურქებმა კი, გერმანელებთან 1914 წელს მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, კვლავ წინა პლანზე ნამოსწიეს თურანის შექმნის საკითხი. არც საბჭოთა რუსეთი იღებდა ხელს ამიერკავკასიაზე.

ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიის მთავრობის მიზნებს წარმოადგენდა: ა) რუსეთთან სეპარატიული ზავის გაფორმება; ბ) ბოლშევიკების აღიარებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე მნიშვნელოვანი ტერიტორიების, მათ შორის, ამიერკავკასიის დაუფლება. ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის ოფიციალურ აღიარებას და აქ პოზიციების განმტკიცებას ისახავდა მიზნად ოთხთა კავშირის წევრი ქვეყნების მიერ ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაციის მიწვევა ბრესტ-ლიტოვსკში. ამ უკანსკნელის გამოუცხადებლობამ კი მოჭრა აღნიშნული მიზნის განხორციელების უმოკლესი გზები და გერმანიის მთავრობა აიძულა, თურ-

ქეთთან სამოკავშირეო ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, დაეკმაყოფილებინა მისი პრეტენზიები ამიერკავკასიაში და აღნიშნულ ეტაპზე, ყარსსა და არდაგანთან ერთად, შელეოდა თვით სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან ობიექტს – ბათუმს. ამისკენ უბიძგებდა გერმანიას თვით ამიერკავკასიაში შექმნილი რთული და გაურკვეველი პოლიტიკური მდგომარეობა, პარტიათა და მათ ლიდერთა დაბნეულობა და პოლიტიკური უნიათობა.

გერმანიის მთავრობამ ისე ჩამოაყალიბა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო დოკუმენტის IV მუხლი, რომ სამომავლოდ მას ამიერკავკასიაში თავისუფალი მანევრირების შესაძლებლობა ჰქონდა.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად, ამიერკავკასია კვლავ რჩებოდა რა რუსეთის გავლენის სფეროში, გერმანიის მთავრობა კი ხელს არ იღებდა თავისი თავდაპირველი სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე ამიერკავკასიაში, ხოლო მადააღძრული თურქეთი ახალ-ახალ ტერიტორიებს მოითხოვდა, გერმანიის მთავრობამ აქცენტი საქართველოს გავლენიან პოლიტიკურ წრეებზე, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატებზე გადაიტანა.

პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა – რუსეთში ბოლშევიკების მოსვლამ ხელისუფლების სათავეში, მათმა თანხმობამ ბრესტ-ლიტოვსკში ამიერკავკასიისათვის ტერიტორიების ჩამორთმევაზე, თურქეთის აგრესიულმა დამპყრობლურმა პოლიტიკამ, ომისადმი ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ერების არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ – გარკვეული კორექტივები შეიტანეს სოციალ-დემოკრატების (მენშევიკები) ეროვნულ პროგრამაში, რაც პრორუსული ორიენტაციის უარყოფით გამოიხატა. ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდების მსურველმა გერმანიამ კი ეს ორიენტაცია მოხერხებულად შეცვალა პროგერმანული ორიენტაციით და სოციალ-დემოკრატებს შესთავაზა – საქართველოს ეროვ-

ნულ საბჭოს მისთვის თხოვნით მიემართა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. ამის შემდეგ გერმანია უფლებამოსილი ხდებოდა, დე-ფაქტოდ აღიარებული ქვეყნის მოთხოვნით შეეჩერებინა თურქეთის აგრესია ამიერკავკასიაში და საკუთარი მიზნები განეხორციელებინა. გერმანიისა და საქართველოს პოლიტიკური ლიდერების ინტერესთა თანხვდომამ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და საქართველოს დემოკრტიული რესპუბლიკის შექმნა გამოიწვია.

1918 წლის 28 მაისის ხელშეკრულებებით, გერმანიამ, ჯერ ერთი, დე-ფაქტოდ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და თავიდან ააცილა მას თურქეთის ოკუპაციის უღელი, ხოლო, მეორე მხრივ, დაიკმაყოფილა ეკონომიკური ინტერესები საქართველოში.

მართალია, პირველ მსოფლიო ომში ცენტრალური სახელმწიფოები დამარცხდნენ და გერმანულ ორიენტაციასაც საქართველოში ძირი გამოეთხარა, მაგრამ გერმანელების ხელშეწყობით საბჭოთა რუსეთს ჩამოშორდნენ ამიერკავკასიის ქვეყნები, კავკასიაში დარჩა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით განმტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

პირველ მსოფლიო ომში განვითარებული ისტორიული მოვლენების შედეგად საქართველომ აღიდგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

THE FIRST WORLD WAR AND GEORGIA

Summary

In the monograph "The First World War and Georgia" consider the following questions:

1.The reasons of the first world war and the question of Georgia in the plans of the belligerent countries;

Question of Georgia in the plan of the German Government; Question of Georgia in the plan of the Osman Empire; Georgia in the plan of Antanta.

2.Georgia in the first half of the twentieth century;

3.Attitude of the Georgian Society to the war: Russian Orientation; German Orientation.

4.Georgians in the first War: Mobilization; Georgian People`s Struggle under the Russian Flag; Georgians in the fights against Russia.

5.Georgia from Match till November 1918. Political events of above mentioned period are analyzed.

Georgia, as the richest and geographically profitable region of Transcaucasia took an important place in the imperialist plans of opposed camps during the first World War.

Georgia wasn't the simple object of Germany Reich's interest, but the main part of expansion plan of its "World Policy". Georgia was the important bridge-head for Germany, as for advancing in Asia (Nearest East, India, China), as well as for making more problems against Russia. Besides this military strategic side, Germany's interest in Georgia was also conditioned by the economic factor. Even the Turkey's caucasian policy had a belligerent nature. It provided to spread the Turkism ideology and make a "Big Turan". And Georgia should take a distinguished place there. Austria-Hungary didn't have some specific aims

towards Georgia, but was paying attention to the caucasian policy of its allies with a great interest.

Neither England, nor France Governments had some specific pretensions towards Georgia at the initial stage of war. But the picture changed after Russia's withdrawal from the war. They divided the former territories of Russian Empire into influential spheres, because of which Georgia turned out to be under England's political orbit.

As Georgia was the part of Russian Empire, an imperial policy was taking place in that region. Traditional aggressive attitude towards Georgia, natural for Russia was especially clear during the mentioned period, as exactly the Georgia's geographical location gave it chance to run out as to the South-West (Konstantinopol, Bosphor, Dardanel), as well as to the South-East (Persia, India) and to satisfy its commercial-economical and military-strategic interests.

Under the standpoint of their attitude towards Georgia we can divide these states into two main camps. One camp (Russia, England, France) wholly ignored the national interests of Georgian people; and the second one (Germany), from its own interests helped to rehabilitate Georgia's State system.

Bourgeois circles, ruling the countries, participating in the war moved the national problem ahead during the first World War. Hopeful Georgian people expected the national freedom from this war too. And this freedom was different for different parties of the society. One saw it in improving the national life only by the common imperial way together with Russian people, and the others – in turning away from the imperial way and in creating the sovereign State of Georgia. So was made the two

controversial orientations: ProRussian (ProAntantic) and ProGerman.

ProRussian (ProAntantic) orientation was made as by the fanatical devotion of one part of society towards Russian tsarism, as well as by the hope, that in case of gain victory in the War the Russian Government under the democratic reorganizations in the country and expansion of its frontiers to the South would make Georgians preconditions for developing the country easier. The camp of ProRussian (ProAntantic) orientation supporters was the most numerous and successful in Geogia. That's why, mobilization in Georgia had a high level. During the first World War, under the Russian flag took part the 13%, approximately 300 000 men of Georgian population.

ProGerman orientation was made even from the very first days of beginning the World War in Georgia. Its ideals and goals were expressed by the Georgian Sovereignty Committee working in abroad and inside the country around the magazine "KLDE" made specific amens in the national program of social-democrats (Mensheviks), that was expressed by denial of ProRussian orientation. Germany, which had a desire to gain a foothold in Transcaucasia changed this orientation adroitly with the ProGerman orientation and offered social-democrats that the Georgian National Council would appeal it about rehabilitating the sovereignty. It was reflected in the document at May 14, 1918. That disintegrated the Transcacasian Federation and the Democratic Republic of Georgia was formed in may 26, 1918. So, coincidence of the interests of Germany's and Georgia's political leaders conditioned the dissolution of Transcaucasian Federation and making the Georgian Democratic Republic.

According to agreements of May 28, 1918 , Germany recognized the Democratic Republic of Georgia as de-facto and with this prevented Georgia the occopation yoke of Turkey and at the same time it satisfied own economic interests in Georgia.

Forcely imposed Batumi agreement of June 4,1918 turned out to be inacceptable for Germany as it testricted its interest in this region. Germany obtained consent from Turkey to revise Batumi agreement at the special conference. Germany used to help Georgia till november 1918.

Though it's true, that the central states were defeated in the first World War and the German orientation in Georgia was undermined, but with the help of Germans the Transcaucasian countries were removed from the Soviet Russia, and in Caucasia it was left the Georgian Democratic republic, strengthened with internal or external political situation.

In the end the main results of the research are summed up. It is noted that the First World War had the greatest influence on social, economic, political and cultural lives in Georgia. War ruined the industry and agriculture. From the first days of the war Georgia founed out to be in the centre of interest of the belligerent countries. As for the relation of the Georgian society towards the war two tendencies were fixed - Russian and Germanic. Social- economic and political events during the war created conditions to rehabilitade the Independence of Georgia in may 1918.

გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია:

ა) გამოკვლევები:

1. ახობაძე ნ., გლეხთა მოძრაობა საქართველოში 1910-1917, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1990.
2. ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, წიგნი II, 1900-1918, თბ., 1975.
3. ახალი ისტორია, მეორე პერიოდი, თბ., 1990.
4. ბენდიანიშვილი ალ., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980.
5. ბენდიანიშვილი ალ., საქართველოს სოფელი 1865-1917 წ.წ. (ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევა), სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1967.
6. გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963.
7. გიგინეიშვილი ო., კავკასიის ფრონტი და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი პირველი მსოფლიო ომის დროს: თსუ შრომები, ტ. 91 აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II.
8. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX –XXსს., ტ. III, თბ., 1959.
9. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX –XXსს., ტ. IV, თბ., 1965.
10. გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წ.წ.), თბ., 1995.
11. დონაძე ვ., ბოსფორი და დარდანელი, საკითხის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1983.
12. ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მფარველობის სისტემაში, 1864-1917, თბ., 1989.

13. ვაშაკიძე ა., მუშათა მოძრაობა საქართველოში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში 1914-1917 წწ., თბ., 1969.
14.ინგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990.
15.კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, თბ., 1920.
16.მანჯგალაძე გ., გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860-1918წწ.), თბ., 1991.
17.მანჯგალაძე გ., ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ პირველი მსოფლიო ომის წლებში: საქართველო და ევროპის ქვეყნები (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები), IV, თბ., 1989.
18.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV,თბ., 1972.
19.საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962.
20.საქართველოს ისტორია, XIX-XXსს., II წიგნი (1861-1921წწ.), თბ., 1959.
21.საქართველოს ისტორია (XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდის), თბ., 1984.
22.სარალიძე ლ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წწ., სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994.
23.სიდამონიძე უ., საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრტიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921წწ.), თბ., 1970.
24.სილაგაძე ა., გურული ვ., სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე, თბ., 1970.
25.სიორიძე მ., ბათუმის ოლქი დასავლეთის სახელმწიფოების იმპერიალისტურ გეგმებში (1914-1921წწ.), თბ., 1986.

26.სიორაძე მ., თურქეთის მზადება ომისათვის და კავკასიის საკითხი (1914): საქართველო და ევროპის ქვეყნები (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები), IV, თბ., 1989.
27.სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1991.
28.სურგულაძე ა., სურგულაძე პ., ქართული ლეგიონი თურქეთში, თბ., 1994.
29.სონლულაშვილი ა., გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
30.სურგულძე პ., ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბ., 1991.
31.ფარსადანიშვილი ა., საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში, თბ., 1974.
32.წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.
33.ქიქოძე გ., ეროვნული ენერგია, ტფ.,1919.
34.ღამბაშიძე გ., საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან 1917-1921, თბ., 1961.
35.ჩოჩია ვ., გერმანია პირველი მსოფლიო ომის წინ, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1974.
36.ხუციშვილი ს., მანათობელი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 100 წელი), თბ., 1980.
37.ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. IX, წერილები უცხოეთზე, თბ., 1957.
38.ჯანგველაძე გ., საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923წწ.), თბ., 1974.
39.ჯიჯეიშვილი მ., საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის (1917-1925 წწ.), თბ., 1970.

40.Арутюнян А.О., Кавказский фронт 1914-1917 ,Е., 1971.
41.Аркомед С. Т., Материалы по истории отпадения Закавказья от России, Тб., 1931.
42.Адамия В. И., Из истории английской интервенции в Грузии (1918-1921г.г.), Сухуми, 1961.
43.Басилия Ш.И., Закавказье в годы первой мировой войны, диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук, Сухуми, 1965.
44.Галоиян Г.А., Октябрская революция и возрождение народов Закавказья, М., 1977.
45.Джанджгава В.С., Революционное движение крестъян в Грузии в 1917-1921 годах, автореферат дисертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тб.,1970.
46.Жвания Г., Большевики и победа советской впасти в Грузии, Тб.,1981.
47.Завриев Д. С., К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, Тб., 1947.
48. История гражданской войны в СССР , т.3, М., 1957.
49.Кадишев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, М.,1980.
50.Корсун Н.Г., Первая мировая война на Кавказском фронте, М.,1946.
51.Ленин В.И., Польное собр. Соч., Т. 35.
52.Лукин-Антонов Н., Очерки новейшей истории Германии 1890-1914 гг. Л.-М. 1925.
53.Ментешашвили А., Октабрская революция и национально-освободителъное движние в Грузии, 1918-1921 гг., Тб. ,1987.
54.Нотович Ф.И., Захватническая политика Германского империализма на востоке в 1914-1918 гг., М .,1947.
55. Нотович Ф.И.,Дипломатическая борьба в Годы Первой мировой войны, Т. 1, М., 1947.

56.Пипия Г. В., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. ,М., 1978.
57.Руге В. ,Гинденвбург, Портрет германского милитариста. Перевод с немецкого, М.,1981.
58.Стуруа Н.И., Грузия в 1917 году, Тб.,1964.
59.Сумбатов А. В., Мошных обьятиях (общая очертания 117 лет руского-грузинского объеденений), Петроград 1919.
60.Табагуя И. ,Позиционная войиа: საქართველო და ევროპის ქვეყნები (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები), V, თბ., 1991.
61.Церцвадзе М. В. ,Революционное движние в Грузии, Тб.,1914-1917 гг., ч. II,Тб., 1960.
62.Чохели А. И., Политика Франции в отношении Грузии в 1917-1921 гг., Тб., 1980.
63.Чиабров Д. З., Войиа и грузины, Петроград, 1915.
64.Хачапуридзе Г. В. , Борьба грузинского народа за установление Советской власти, М. ,1956.
65.Шпилькова В. И., Империалистическая политика США в отношении Турции (1914-1920гг.), М., 1960.
66.D.M. Lang, A modern history of Georgia, L., 1962.
67.Wolfdieter Bihl, Die Kaukasus-politik der Mittelmachte, Hremann Böhlaus nachf,Wien-köln-Graz, 1975.

ბ) გამოუქვეყნებელი და გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები

68. ფ. 13, ანაწ. 1, საქ. 618, ფურც. 1-55.
69. ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 817, ფურც. 20.
70. ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 817, ფურც. 24-26.
71. ფ. 13, ანაწ. 3, საქ. 1354, ფურც. 5-8.
72. ფ. 13, ანაწ. 3, საქ. 1354, ფურც. 26.
73. ფ. 13, ანაწ. 3, საქ. 1415, ფურც. 1.

74. ფ. 13, ანან. 3, საქ. 1486, ფურც. 25.
75. ფ. 13, ანან. 3, საქ. 1577, ფურც. 30.
76. ფ. 13, ანან. 3, საქ. 1579, ფურც. 17.
77. ფ. 13, ანან. 3, საქ. 1717, ფურც. 220-22.
78. ფ. 13, ანან. 3, საქ. 1622, ფურც. 3.
79. ფ. 13, ანან. 3, საქ. 1882, ფურც. 11.
80. ფ. 13, ანან. 8, საქ. 331, ფურც. 8.
81. ფ. 13, ანან. 12, საქ. 409, ფურც. 401.
82. ფ. 13, ანან. 17, საქ. 5167, ფურც. 6-8.
83. ფ. 13, ანან. 21, საქ. 2423, ფურც. 1-2.
84. ფ. 13, ანან. 27, საქ. 26, ფურც. 42.
85. ფ. 13, ანან. 27, საქ. 2861, ფურც. 15.
86. ფ. 13, ანან. 27, საქ. 1826, ფურც. 11,12,13,20,21.
87. ფ. 13, ანან. 27, საქ. 3570, ფურც. 18.
88. ფ. 13, ანან. 27, საქ. 3662, ფურც. 2.
89. ფ. 13, ანან. 27, საქ. 3662, ფურც. 5.
90. ფ. 13, ანან. 27, საქ. 3662, ფურც. 8.
91. ფ. 13, ანან. 27, საქ. 3662, ფურც. 12;26.
92. ფ. 13, ანან. 27, საქ. 4337, ფურც. 4.
93. ფ. 13, ანან. 27, საქ. 4842, ფურც. 2-3.
94. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5020, ფურც. 1.
95. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5056, ფურც. 1-2.
96. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5076, ფურც. 26-27.
97. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5278, ფურც. 32.
98. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5411, ფურც. 21.
99. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5423, ფურც. 4.
100. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5429, ფურც. 4.
101. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5432, ფურც. 4.
102. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5433, ფურც. 8.
103. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5434, ფურც. 5.
104. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5439, ფურც. 30.
105. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5439, ფურც. 33-34.
106. ფ. 13, ანან. 27, საქ. 5439, ფურც. 48-50.

107. ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 5447, ფურც. 36.
108. ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 1039, ფურც. 25.
109. ფ. 47, ანაწ. 1, საქ. 42, ფურც. 37.
110. ფ. 47, ანაწ. 1, საქ. 42, ფურც. 38-39.
111. ფ. 47, ანაწ. 1, საქ. 42, ფურც. 41;53.
112. ფ. 47, ანაწ. 1, საქ. 42, ფურც. 55, 57, 114.
113. ფ. 47, ანაწ. 1, საქ. 42, ფურც. 60, 65.
114. ფ. 47, ანაწ. 1, საქ. 851, ფურც. 21.
115. ფ. 98, ანაწ. 1, საქ. 5, ფურც. 81.
116. ფ. 112, ანაწ. 1, საქ. 2313, ფურც. 2.
117. ფ. 157, ანაწ. 1, საქ. 320, ფურც. 398.
118. ფ. 275, ანაწ. 1, საქ. 231, ფურც. 12.
119. ფ. 275, ანაწ. 1, საქ. 231, ფურც. 13.
120. ფ. 519, ანაწ. 1, საქ. 1, ფურც. 60.
121. ფ. 519, ანაწ. 1, საქ. 1, ფურც. 61.
122. ფ. 519, ანაწ. 1, საქ. 9, ფურც. 3.
123. ფ. 519, ანაწ. 1, საქ. 25, ფურც. 1-2.
124. ფ. 519, ანაწ. 1, საქ. 25, ფურც. 12.
125. ფ. 519, ანაწ. 1, საქ. 48, ფურც. 2.
126. ფ. 1437, ანაწ. 1, საქ. 51, ფურც. 5.
127. ფ. 1437, ანაწ. 1, საქ. 64, ფურც. 1.
128. ფ. 1437, ანაწ. 1, საქ. 65, ფურც. 1.
129. ფ. 1437, ანაწ. 1, საქ. 80, ფურც. 5.
130. ფ. 1437, ანაწ. 1, საქ. 81, ფურც. 81.
131. ფ. 1477, ანაწ. 1, საქ. 7, ფურც. 1-3.
132. ფ. 1477, ანაწ. 1, საქ. 48, ფურც. 77.
133. ფ. 1812, ანაწ. 2, საქ. 7, ფურც. 79.
134. ფ. 1818, ანაწ. 2, საქ. 2, ფურც. 51-55.
135. ფ. 1818, ანაწ. 2, საქ. 6, ფურც. 72.
136. ფ. 1818, ანაწ. 2, საქ. 6, ფურც. 93.
137. ფ. 1819, ანაწ. 1, საქ. 167, ფურც. 145-147.
138. ფ. 1831, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 10.
139. ფ. 1831, ანაწ. 1, საქ. 131, ფურც. 53.

140. ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 132, ფურც. 3.
141. ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 132, ფურც. 5.
142. ფ. 1863, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 13.
143. ფ. 2080, ანაწ. 1, საქ. 167, ფურც. 4.
144. ფ. 2080, ანაწ. 1, საქ. 193, ფურც. 38.
145. ფ. 2099, ანაწ. 1, საქ. 5, ფურც. 102.
146. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე (1883-1921)), თბ., 1974.
147. „საისტორიო მოამბე" 13-14.
148. „საისტორიო მოამბე" 31-32.
149. „საისტორიო მოამბე" 41-42.
150. Германские окупанты в Грузии в 1918 году (сборник документов и материалов), составил и подготовил к печати М.М Габричидзе ,ТБ., 1948.
151. Документы внешней политики СССР, М. ,1957.
152. Документы и Материалы по внешней политики Закавказья и Грузии, Тиф., 1919.
153. Закавказский сеим, Стенографический отчет, Тиф., 1918.
154. Из истории иностранной интервенции в Армении в 1918 году, документы и материалы ,Е. ,1970.
155. Пипия Г. В., политика Германии в Закавказье в 1918 году, Сборник документов ,ТБ., 1971.
156. Разгром немецких захватчиков в 1918 году ,Сборник материалов и документов, М., 1943.
157. Сборник правительственных распоряжении по введению общей войской повинности (с 1 января по 1 июля 1974 года), т.I, Санкт-Петербург, 1874.
158. Свод законов Российской империи ,т.4 ,издание 1897 года, Санкт-Петербург.

გ) მემუარები, მოგონებები

159. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, მოგონებები, ნარკვევები, თბ., 1990.
160. გაბაშვილი რ., რაც მახსოვს: დაბრუნება, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა , ტ. 3, გურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1992.
161. ვაჩნაძე დ., სამშობლოს სამსახურში, მოგონებანი: ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი „ივერია" 1992, 1.
162. კვინიტაძე გ., ჩემი პასუხი: ჟურნალი „მაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 3, 1990.
163. სალია კ., დამოუკიდებლობის კომიტეტი: გაზ. „კომუნისტი'', 26.V 1990.
164. მაღლაკელიძე შ., მოგონებანი: ჟურნალი „განთიადი", 1991, 1.
165. მაღლაკელიძე შ., მოგონებანი: ჟურნალი „განთიადი", 1991, 2.
166. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, „განთიადი", 1917-1925, ბათუმი 1990.
167. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
168. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, მოგონებანი, თბ.,1990.
169. Воспоминания Гинденбурга ,Петроград ,1922.
170. Денстервиль , Британский империализм в Баку и Персии 1917-1918, воспоминания ,Тиф. 1925.
171. Джемаль-Паша, Записки 1913-1919 гг., Перевод с английского Б. Т. Руденко, Тифлись ,1923.
172. Девид Ллоид Джордж, Правда о мирных договорах, т. 1, Перевод с английского под редакцией В. Г. Труханского, М.,1997.

173. Людендорф. Мои воспоминания о войне 1914-1918 гг., М., 1924.

დ) პრესა:
გ ა ზ ე თ ე ბ ი

174. „ახალი აზრი", 2, 1914.
175. „ახალი აზრი", 23, 1914.
176. „ახალი აზრი", 24, 1914.
177. „ახალი აზრი", 27, 1914.
178. „ახალი აზრი", 51, 1914.
179. „ახალი აზრი", 58, 1914.
180. „ახალი აზრი", 61, 1914.
181. „ახალი აზრი", 104, 1914.
182. „ახალი ივერია", 11, 1914.
183. „ახალი კვალი", 2, 1915.
184. „ახალი ქართლი", 15, 1914.
185. „ახალი ქართლი", 13. XI. 1914.
186. „ახალგაზრდა კომუნისტი", 103, 1959.
187. „განთიადი", 4 ,1991.
188. „ერთობა", 146, 1918.
189. „ერთობა", 229-230, 1918.
190. „ერთობა", 3. XI. 1918.
191. „ერთობა", 30, 1919.
192. „თბილისი", 4, 1960.
193. „თბილისი", 12-15, VII. 1989: ი. ტაბაღუა, საქართველო და ევროპის სახელმწიფოები.
194. „თბილისი", 10. 11. 1992: ალ. მუჯირი, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია.
195. „თეატრი და ცხოვრება", 3 1917.
196. „თეატრი და ცხოვრება", 27, 1917.
197. „თეატრი და ცხოვრება", 32 1917.

198. „იმერეთი", 21. VIII. 1914.
199. „იმერეთი", 24. VIII. 1914.
200. „იმერეთი", 4. IX. 1914.
201. „იმერეთი", 5. IX. 1914.
202. „იმერეთი", N 127. 1914.
203. „იმერეთი", N 6. 1915.
205. „იმერეთი", 2. 1. 1915.
206. „იმერეთი",N 20. 1915.
207. „კლდე", 27. X. 1918.
208. „კომუნისტი", N 120. 1988: უ. სიდამონიძე, ოქტომბრის პირმშო –გარდაქმნით დაბრუნებული".
209. „კომუნისტი", 26. V. 1990: უ. სიდამონიძე, ეროვნული საბჭო საქართველოს პარლამენტი.
210. „კომუნისტი", 6. VI. 1989: ი. ტაბაღუა, საქართველოს მანდატი (ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან 1918-1921).
211. „კოლხური დიადემა", N 28, 1915.
215. „საქართველო,"N 30, 1915.
216. „საქართველო," N 36, 1915.
217. „საქართველო," N 53, 1915.
218. „საქართველო," NN 195; 469, 1915.
219. „საქართველო," N 161, 1916.
220. „საქართველო,"N 215, 1916.
221. „საქართველო," N 217, 1916.
222. „საქართველო," N 155, 1916.
223. „საქართველო,"N 280, 1916.
224. „საქართველო," N 97, 1918.
225. „სამშობლო," N 10-11, 1990.
226. „სახალხო საქმე", N N 56, 1914.
228. „სახალხო ფურცელი", 102, 1914.

229. „სახალხო ფურცელიN 142, 1914.
231. „სახალხო ფურცელი", N 150, 1914.
232. „სახალხო ფურცელი",N 151, 1914.
233. „სახალხო ფურცელი",N 217, 1915.
234. „სახალხო ფურცელი", 5. I. 1916.
235. „სახალხო ფურცელი", N 469, 1916.
236. „სახალხო ფურცელი", N 638, 1916.
237. „სახალხო განათლება", 18. 10. 1989.
238. „სახალხო განათლება", 11. 10. 1989.
239. „სახალხო განათლება", 22. II. 1990.
240. „ქართული გაზეთი", 27, 1917.
241. „ქართული გაზეთი", N 6, 1918.
242. „ქართული გაზეთი", N 10, 1918.
243. „შადრევანი", N 9, 1915.
244. „ჩვენი მეგობარი'', N 404, 1917.
245. „ხიდი'', 5, 1992: მ.სვანიძე, „ქართული ლეგიონი თურქეთში''.
246. „Вечерний Тбилиси„ 8. VI. 1960.
247. „Кавказ„ 2. VII. 1915.
248. „Кавказ„ 16. IX. 1914.
249. „Кавказ„ 9. I. 1915.
250. „Кавказ„ 16. I. 1915.
251. „Кавказское слово„ 17. XI. 1914.
252. „Кавказское слово„ 1. VI. 1918.
253. „Правда„ 8. VII. 1918.
254. „Русская ведомость„ 28. XI. 1914.

ჟ ურ ნ ა ლ ე ბ ი:

255. ,,არტანუჯი'', N 1, 1994: ნ.ჯავახიშვილი, მასალები ქართული ფალერისტიკის ისტორიისათვის''.

256. ,,ეკონომიკა'',N 4, 1974.

257. ,,თეატრი და ცხოვრება'', 12, 1915.

258. ,,მაცნე'', ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია,N 1, 1971: გ. მანჯგალაძე, ამიერკავკასიის მიმართ იმპერიალისტური გერმანიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ისტორიიდან.

259. ,,მაცნე'', ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია,N 4, 1985; მ.სიორიძე, გერმანია-თურქეთის სადაზვერვო ძირგამომთხრელი საქმიანობა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ.

260. ,,ცისკარი'', N 1, 1992.

სარჩევი

საკითხის ისტორიისათვის 3
პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები და საქართველოს საკითხი მეომარ სახელმწიფოთა გეგმებში 11
პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები 11
საქართველოს საკითხი გერმანიის მთავრობის გეგმაში 15
საქართველოს საკითხი ოსმალეთის იმპერიის მთავრობის გეგმებში 21
საქართველოს საკითხი ანტანტის გეგმებში 26
საქართველო XX საუკუნის პირველ ოცწლეულში 35
ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ომისადმი 72
პრორუსული (პროანტანტური) ორიენტაცია 76
პროგერმანული ორიენტაცია 85
ქართველების მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში 109
მობილიზაცია 109
ქართველების ბრძოლა რუსეთის დროშის ქვეშ 117
ქართველების მონაწილეობა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში 134
საქართველო 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ნოემბრამდე 150
ძირითადი დასკვნები 191
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) (Summary) The First World War and Georgia 203
გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია 207

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge